



გადაწყვეტილება

N გ-24-9/361
08/08/2024

361-გ-24-1-4-202408082306

ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზრის
სეგმენტზე კონკურენციის კვლევა და ანალიზის შესახებ

სარჩევი

დიაგრამების ჩამონათვალი	5
აბრევიატურების ცხრილი	9
1. აღწერილობითი ნაწილი	15
2. მარეგულირებელი კანონმდებლობა	16
2.1 „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი	16
3. ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების საცალო ბაზრის მიმოხილვა	32
3.1 სხვადასხვა ფიქსირებული ფართოზოლოვანი ტექნოლოგიებით დაფარვის ანალიზი	
32	
3.1.1 შედეგები	37
3.1.1.1 დასახლებები, რომლებზეც მინიმუმ ერთი FTTx აბონენტია წარმოდგენილი.	
40	
3.1.1.2 ტექნოლოგიების გადაფარვა	41
3.1.1.3 განსხვავებები ქალაქებსა და სოფლებს შორის	45
3.1.1.4 დასკვნები	47
3.2 საქართველოში არსებული მდგომარეობა ფიქსირებულ ფართოზოლოვან საცალო მომსახურებებთან დაკავშირებით	48
3.2.1 მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფისთვის მიწოდებული ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებების ურთიერთდამოკიდებულება	48
3.2.2 კომბინირებული შეთავაზებები	50
3.2.3 ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის პენეტრაცია	52

3.2.4 მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების პენეტრაცია	53
3.2.5 ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება ტექნოლოგიების მიხედვით	56
3.2.6 ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირის სიჩქარე	59
4. საფეხური 1 - ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის განსაზღვრა	62
4.1 მოთხოვნის მხარის ჩანაცვლებადობა	64
4.2 მიწოდების მხარის ჩანაცვლებადობა	76
4.3 დასკვნები ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების შესაბამისი საცალო ბაზრის შესახებ	77
4.4 საბაზისო და მაღალი სიჩქარის საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრის დადგენა	78
4.4.1 დასკვნა შესაბამისი ბაზრის შესახებ გეოგრაფიული თვალსაზრისით	79
4.5 დასკვნა ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე წვდომის შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის შესახებ	79
4.5.1 მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებაზე წვდომის საცალო ბაზრის განსაზღვრა	80
4.5.2 საბაზისო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის განსაზღვრა	80
5 საფეხური 2 - კონკურენციის შეფასება მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივიდან	81
5.1 საბაზისო ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე წვდომის საცალო ბაზარი	81
5.2 მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის საცალო ბაზარი	82
5.3 მომხმარებლებზე ზემოქმედება	88
6. საფეხური 3 - საბითუმო ბაზრების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივ და ცენტრალურ დაშვებასთან, (ბაზრები 3a და 3b ევროკავშირის 2014 წლის რეკომენდაციიდან)	92
6.1 ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების პროდუქციული ბაზრის განსაზღვრა – მოთხოვნის მხარის ჩანაცვლებადობა	94
6.2 ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების პროდუქციული ბაზრის განმარტება – მიწოდების მხარის ჩანაცვლებადობა	105
6.3 დასკვნა - ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების პროდუქტის ბაზრის განსაზღვრის შესახებ	105
6.4 გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრა	106
7. საფეხური 4 - სამი კრიტერიუმის ტესტი	107

ა) პირველი კრიტერიუმი - შესვლის მაღალი და არაგარდამავალი ბარიერების არსებობა	107
ბ) მეორე კრიტერიუმი - ბაზარი არ არის მიდრეკილი ეფექტიანი კონკურენციისკენ 110	
გ) მესამე კრიტერიუმი - მხოლოდ „კონკურენციის შესახებ“ კანონი არასაკმარისია ბაზარზე გამოვლენილი არაეფექტიანობების ადეკვატურად აღმოსაფხვრელად.....	116
8. საფეხური 5 - მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასება.....	119
8.1 მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასების ფაზის საფუძველი და მიზანი 119	
8.2. ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტი.....	119
8.3 მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების (SMP-ის) შეფასება შესაბამისი კრიტერიუმების გამოყენებით.....	121
8.3.1 ბაზრის წილი	121
8.3.1.1 ბაზრის წილი ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრიდან გამომდინარე	123
8.3.2 ოპერატორების აბსოლუტური და შედარებითი ზომა	127
8.3.3 რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურის კონტროლი.....	128
8.3.4 პოტენციური კონკურენციის არარსებობა	129
8.3.5 ბაზარზე შესვლის და გაფართოების ბარიერები	131
8.3.6 მსყიდველობითი ძალაუფლების არარსებობა, გრძელვადიანი და მდგრადი დაშვების ხელშეკრულებების გაფორმება	132
8.3.7 კაპიტალის ბაზრებზე/ფინანსურ რესურსებზე მარტივი ან პრივილეგირებული წვდომა.....	133
8.3.8 მასშტაბის ეკონომია.....	135
8.3.9 მრავალფეროვნების ეკონომია, პროდუქტების/სერვისების დივერსიფიკაცია (მაგალითად, კომბინირებული პროდუქტები ან მომსახურება)	135
8.3.10 ვერტიკალური ინტეგრაცია.....	136
8.4 დასკვნა ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის გამოვლენის შესახებ	138
9 კონკურენციის შეფასება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში	138
9.1 ქსელის დონეზე არსებული კონკურენციის ხელშეწყობის მიზანი	138
9.2 ბაზარზე შესვლის ბარიერების შეფასების კრიტერიუმები	140
9.3 კრიტერიუმების რისკის შეფასება	146

9.3.1	დასახლებები, სადაც არ არის წარმოდგენილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი, არ ექცევა კვლევის ფარგლებში	146
9.3.2	დასახლებები, სადაც სხვა ოპერატორებს შპს “მაგთიკომზე” მეტი FTTx აბონენტი ჰყავთ	146
9.3.3	დასახლებებში, სადაც შპს “მაგთიკომი” არ არის წარმოდგენილი, მაგრამ არსებობენ სხვა FTTx ოპერატორები	147
9.3.4	არასაკმარისად დეტალური მონაცემებით გამოწვეული რისკები	148
9.3.5	არაზუსტი მონაცემებით გამოწვეული რისკი	149
9.3.6	დასკვნა	149
9.4	საქართველოს დასახლებების შეფასება თითოეული კრიტერიუმის გამოყენებით 150	
9.4.1	კრიტერიუმი i.: დასახლებაში წარმოდგენილია სამი FTTx ქსელის ოპერატორი	151
9.4.2	კრიტერიუმი ii.: შპს “მაგთიკომის” წილი FTTx ფართოზოლოვანი წვდომის მომხმარებელთა მიხედვით 40%-ზე დაბალია	152
9.4.3	კრიტერიუმი iii.: სულ მცირე ორ ზომით მომდევნო ოპერატორს გააჩნია FTTx ფართოზოლოვანი წვდომის მომხმარებლების 10% და მეტი საბაზრო წილი	154
9.5	სამივე კუმულატიური კრიტერიუმის ერთად შეფასება	154
9.5.1	სამი ძირითადი კრიტერიუმი ერთად	155
9.5.2	კონკურენციის შეფასება 100 000-ზე მეტი მოსახლეობით წარმოდგენილ დასახლებებში	159
9.5.3	შპს “მაგთიკომის” ბაზრის წილი მიდრეკილია გახდეს 40%-ზე დაბალი	159
9.5.4	დაფარული ფართები	160
9.6	დასკვნები კონკურენციის გეოგრაფიული ანალიზის შესახებ	162
9.7	კონკურენტული დასახლებების სიის განახლება	165
10.	რეგულირების არარსებობის შემთხვევაში შესაბამის საბითუმო ბაზარზე შესაძლო კონკურენციის პრობლემების ანალიზი	165
10.1	კონკურენციის პრობლემების ზემოქმედების სეგმენტაცია I, II და III კლასტერებში	166
10.2	მიწოდებაზე უარი/დაშვებაზე უარის თქმა	167
10.3	ძალაუფლების გამოყენება არასაფასო ცვლადების გამოყენებით	168
10.3.1	ინფორმაციის დისკრიმინაციული გამოყენება ან ინფორმაციის დამალვა	168
10.3.2	დაგვიანების ტაქტიკა	168
10.3.3	დაუსაბუთებელი მოთხოვნები/პრეტენზიები	169
10.3.4	კონკურენტების შესახებ ინფორმაციის გაუმართლებელი გამოყენება	170

10.3.5	დისკრიმინაცია მომსახურების ხარისხის მიხედვით	170
10.4	ძალაუფლების გამოყენების ბერკეტი ფასის გამოყენებით	171
10.4.1	დისკრიმინაცია ფასის გამოყენებით	171
10.4.2	ჯვარედინი სუბსიდირება	172
10.4.3	მტაცებლური ფასი	172
11.	საფეხური 6 - მარეგულირებელი ვალდებულებები	173
11.1	დაშვების ვალდებულება	174
11.2	დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება	175
11.2.1	ვალდებულების შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPIs)	176
11.2.2	მარჟის შეკუმშვის ტესტი	177
11.3	ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება	178
11.3.1	მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტის (reference offer) მინიმალური შემადგენელი კომპონენტები	180
11.4	სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება	182
11.5	განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშგება	184
11.6	საბითუმო ფიქსირებული დაშვება: I, II და III კლასტერებისთვის შემოთავაზებული მარეგულირებელი ვალდებულებების მიმოხილვა	186
11.7	როგორ აგვარებს მარეგულირებელი ვალდებულებების დაწესება კონკურენციის პრობლემებს	189
12.	სარეზოლუციო ნაწილი	197
დანართი 1	201
1.	მომსახურების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტის) მინიმალური პირობები	201
2.	ვალდებულების შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPIs)	202
3.	მარჟის შეკუმშვის ტესტი	203
4.	ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზრის სერვისებზე განსაზღვრული ზედა ზღვრული ტარიფები	204
5.	ზედა ზღვრული ტარიფები ვირტუალური არხის სერვისებზე	205
დანართი 2.	კონკურენტული და კონკურენციისკენ მიდრეკილი დასახლებების სია	206

სურათი 1 მოსახლეობის სიმჭიდროვის რუკა 2014 წლის აღწერიდან	38
ცხრილი 2 აქტიური ოპერატორები დასახლებებში	39
დიაგრამა 3 ფიქსირებული ფართოზოლოვანი სიმკვრივე და დაფარვა	40
ცხრილი 4 აქტიური FTTx ოპერატორები დასახლებებში	41
ცხრილი 5. აქტიური FTTx ოპერატორები დასახლებებში	41
ცხრილი 6. FTTx ქსელების და სხვა ტექნოლოგიების (FWA, სპილენძი) გადაფარვა	42
ცხრილი 7. ტექნოლოგიების დაფარვა – FTTx სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით	42
ცხრილი 8. xDSL ქსელების გადაფარვა სხვა ტექნოლოგიებთან მიმართებაში (FWA, FTTx)	43
დიაგრამა 9. ტექნოლოგიის გადაფარვა - xDSL სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით	43
ცხრილი 10. FWA ქსელების დაფარვა სხვა ტექნოლოგიებთან მიმართებაში (ოპტიკურ- ბოჭკოვანი, სპილენძი)	44
დიაგრამა 11. ტექნოლოგიების გადაფარვა FWA სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით	44
ცხრილი 12. FTTx დაფარვის ინდიკატორები, რომლებიც დამოკიდებულია დასახლების ზომაზე.....	46
ცხრილი 13 კომბინირებული შეთავაზებები და ცალკე მდგომი სერვისები (2022).....	51
დიაგრამა 14. ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების სიმკვრივე შინამეურნეობებთან მიმართებაში	52
დიაგრამა 15. ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის აბონენტების სიმკვრივე ევროკავშირში (ოჯახების %), 2012-2021 წწ.	53
დიაგრამა 16. ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის აბონენტების სიმკვრივე შინამეურნეობებში (%), ქვეყნების მიხედვით, 2021 წ.....	53
დიაგრამა 17. მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომხმარებლების პენეტრაცია მოსახლეობაში	54
დიაგრამა 18 მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტის სიმკვრივე ევროკავშირში (ფიზიკური პირების %), 2019-2023 წწ.....	54
დიაგრამა 19. მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მომხმარებელი აბონენტების სიმკვრივე მოსახლეობაში (ფიზიკური პირების წილი), 2023 წ.....	55
დიაგრამა 20. ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების წილი ტექნოლოგიების მიხედვით.....	57
დიაგრამა 21. ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით.....	57
დიაგრამა 22. ფიქსირებული ფართოზოლოვანი აბონენტების განაწილება ტექნოლოგიების მიხედვით ევროკავშირში (აბონენტების %), 2006 წლის ივლისი - 2021 წლის ივლისი.....	58
დიაგრამა 23. ფიქსირებული ფართოზოლოვანი აბონენტების წილი ტექნოლოგიების მიხედვით ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში (აბონენტების %), 2021 წლის ივლისი (ევროკავშირში)/Q3 2022	58
დიაგრამა 24 ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების წილი სიჩქარის თითოეული ჯგუფის მიხედვით (2022)	59
დიაგრამა 25 ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების წილი სიჩქარის თითოეული ჯგუფის მიხედვით	60

დიაგრამა 26 ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება 30 მბ/წმ - 100 მბ/წმ სიჩქარის დიაპაზონში 2022 წლის მდგომარეობით.....	60
დიაგრამა 27 ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურება - ტექნოლოგიის წილი სიჩქარის თითოეული ჯგუფის მიხედვით	61
დიაგრამა 28. შინამეურნეობები, რომლებიც სარგებლობენ ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მინიმუმ 100 მბ/წმ სიჩქარის შეთავაზებებით (ოჯახების %) (საქართველო 2022)	62
ცხრილი 29. გაცხადებული სიჩქარე და ფასები (ლარში) ტექნოლოგიების მიხედვით (თბილისი).....	63
ცხრილი 30. გაცხადებული სიჩქარე და ფასები (ლარში) თითოეული ტექნოლოგიისთვის (რეგიონები).....	63
ცხრილი 31. FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ფასები სიჩქარეების მიხედვით (თბილისში).....	66
ცხრილი 32. FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ფასები სიჩქარეების მიხედვით (რეგიონებში)	66
ცხრილი 33 FWA და FTTx ფართოზოლოვანი სერვისების ფასები სიჩქარეების მიხედვით	69
ცხრილი 34 xDSL და FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი შეთავაზებების ფასები სიჩქარეების მიხედვით (თბილისში).....	72
დიაგრამა 35. ბაზრის წილი (აბონენტების მიხედვით) მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე (2022).....	83
დიაგრამა 36. ბაზრის წილი მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე - ტენდენცია.....	84
დიაგრამა 37 FTTx ოპერატორების მიერ შინამეურნეობებისა და მოსახლეობის დაფარვა შესაბამის დასახლებებში	85
დიაგრამა 38 ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ოპერატორების შემოსავლები.....	85
დიაგრამა 39 ფიქსირებული ინტერნეტ პაკეტების კალათების ხელმისაწვდომობა (2023 – შერჩეული ქვეყნები, ევროპა).....	89
დიაგრამა 40. ხელმისაწვდომობის ტენდენციები ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების კალათებისთვის 2015-2023 წწ	90
დიაგრამა 41. 100 მბ/წმ და მეტი სიჩქარის მოხმარების წილი მთლიან აბონენტებთან მიმართებაში ევროპის ქვეყნებში, DESI 2023წ.....	91
სურათი 42 FTTx წერტილი-წერტილი ქსელის არქიტექტურა	95
სურათი 43 FTTx წერტილი-მრავალწერტილი ქსელის არქიტექტურა.....	96
სურათი 44 VULA ქსელის არქიტექტურა.....	97
სურათი 45 საინვესტიციო კიბე	100
სურათი 46 „ბიტსტრიმის“ დაშვების კონცეფცია (დაერთების წერტილები).....	101
დიაგრამა 47 ბაზრის წილი (აბონენტების მიხედვით) მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტზე (2022)	111
დიაგრამა 48 FTTx აბონენტების რაოდენობა (ათასი,2019-2022 წწ.).....	112
დიაგრამა 49 ბაზრის წილი (აბონენტების მიხედვით) მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე.....	113

დიაგრამა 50 მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტები 2018-2022	114
დიაგრამა 51 ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისის მიმწოდებელი ოპერატორების შემოსავლები	114
სქემა 52 ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების შესაბამისი საცალო და საბითუმო ბაზრები	120
დიაგრამა 53 მაღალი სიჩქარის საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრის წილები (მომხმარებლები, 2022)	124
დიაგრამა 54 ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების აბონენტების რაოდენობა - ტექნოლოგიების მიხედვით 2018-2022	124
დიაგრამა 55 ბაზრის წილები მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე (ტენდენცია).....	125
ცხრილი 56 მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მომხმარებლების წმინდა წლიური ზრდა (2018-2022)	126
ცხრილი 57 FTTx ქსელების დაფარვა ოპერატორების მიხედვით (ქვეყნის მასშტაბით დაფარული ფართები 2022 წელი)	127
ცხრილი 58 FTTx ქსელის დაფარვა და ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა (2022)	128
ცხრილი 59 ძირითადი ფინანსური რესურსების ინდიკატორები 2019-2022 (მილიონი ლარი)	133
ცხრილი 60 ძირითადი ფინანსური რესურსების ინდიკატორები 2020-2022	134
ცხრილი 61 საცალო ბაზრის წილები აბონენტების მიხედვით (2022)	136
ცხრილი 62 იმ დასახლებების შეფასება, სადაც შპს “მაგთიკომი” არ არის წარმოდგენილი, მაგრამ არიან სხვა ოპერატორები	147
ცხრილი 63 დასახლებების შეჯამება, სადაც იმყოფება სამზე ნაკლები FTTx ქსელის ოპერატორი	151
ცხრილი 64 დასახლებების შეჯამება სამი ან მეტი FTTx ქსელის ოპერატორის მონაწილეობით	152
ცხრილი 65 დასახლებების შეჯამება, სადაც შპს “მაგთიკომის” წილი FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების მომხმარებლების მიხედვით 40%-ზე ნაკლებია	153
ცხრილი 66 დასახლებების შეჯამება, სულ მცირე, ორი სხვა FTTx ქსელის ოპერატორის მონაწილეობით და თითოეულის FTTx-ის მომხმარებლების მიხედვით 10% ან მეტი საბაზრო წილით.....	154
სქემა 67 სქემა გეოგრაფიული სეგმენტაციის ანალიზისთვის.....	155
ცხრილი 68 კონკურენციის შეფასება შეჯამებულია იმ დასახლებებისთვის, რომლებზეც ოპერირებს სამი ან მეტი FTTx ქსელის ოპერატორი	156
ცხრილი 69 კონკურენცია დასახლებებში სადაც 5 FTTx ქსელის ოპერატორია წარმოდგენილი	156
ცხრილი 70 კონკურენცია დასახლებებში სადაც 4 FTTx ქსელის ოპერატორია წარმოდგენილი	157
ცხრილი 71 კონკურენცია დასახლებებში სადაც 3 FTTx ქსელის ოპერატორია წარმოდგენილი	157

ცხრილი 72 კონკურენცია 100,000-ზე მეტი მოსახლეობით წარმოდგენილ დასახლებებში159

ცხრილი 73 მონაცემები იმის დასადგენად, მიდრეკილია თუ არა დასახლებები კონკურენციისკენ.....160

ცხრილი 74 FTTx ქსელით დაფარული ფართები160

ცხრილი 75 დაფარული ფართები: სს “სილქნეტი” 80%-ზე მეტი, სხვა ოპერატორები 20%-ზე მეტი162

ცხრილი 76 კონკურენციის შეფასების შეჯამება დასახლებების მიხედვით162

ცხრილი 77 კონკურენტული დასახლებების სია (კლასტერი III).....163

ცხრილი 78 ასახლებების სია, რომლებიც კონკურენტულია, მაგრამ ძალიან დიდი163

ცხრილი 79 დასახლებების სია, რომლებიც მიდრეკილია კონკურენციისკენ163

ცხრილი 80 მარეგულირებელი ვალდებულებების გეოგრაფიული სეგმენტაცია.....186

ფიგურა 81 კონკურენციის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.....192

აბრევიატურების ცხრილი

აბრევიატურა	განმარტება
5G	მე-5 თაობის მობილური ქსელი 5G არის ახალი გლობალური უკაბელო (მობილური ქსელი) სტანდარტი. 5G შექმნილია იმ მიზნით, რომ დააკავშიროს პრაქტიკულად ყველა და ყველაფერი, მათ შორის მანქანები, ობიექტები და მოწყობილობები.
4G	მე-4 თაობის მობილური ქსელი
3G	მე-3 თაობის მობილური ქსელი
2G	მე-2 თაობის მობილური ქსელი
AA	ასოცირების შეთანხმება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, რომელიც 2014 წლის ივნისში გაფორმდა. https://old.infocenter.gov.ge/eng-euinfo-the-association-agreement/
BEREC	ელექტრონული კომუნიკაციების ევროპული მარეგულირებელი ორგანო BEREC-ის მიზანია ხელი შეუწყოს ციფრული ბაზრების დამოუკიდებელი, თანმიმდევრული და მაღალი ხარისხის რეგულირებას ევროპისა და მისი მოქალაქეების სასარგებლოდ..
DESI	ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსი DESI აჯამებს ევროპის ციფრული მუშაობის ინდიკატორებს და აკონტროლებს ევროკავშირის ქვეყნების პროგრესს.
DOCSIS	მონაცემთა საკაბელო სერვისის ინტერფეისის სპეციფიკაციები DOCSIS არის გლობალურად აღიარებული სატელეკომუნიკაციო სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს ფართოზოლოვან მონაცემთა გადაცემას არსებული კოაქსიალური საკაბელო სისტემების მეშვეობით,

	რომლებიც თავდაპირველად გამოიყენებოდა საკაბელო ტელევიზიის სამაუწყებლო სიგნალის გადაცემისთვის.
EECC	ევროკავშირის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსი 2018 წლის 11 დეკემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (EU) 2018/1972 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32018L1972
FWA	ფიქსირებული უსადენო (უკაბელო) დაშვება კოლექტიური ტერმინი, რომელიც გამოიყენება მთელი რიგი უკაბელო ტექნოლოგიების განსასაზღვრად, რომლებსაც შეუძლიათ ფიქსირებულ მდებარეობაზე ფართოზოლოვანი დაშვება უზრუნველყონ (მაგალითად, CDMA, MMDS). მოცემულ დოკუმენტში ეს ტერმინი არ ვრცელდება LTE - ტექნოლოგიაზე. საქართველოში ისტორიულად FWA-ს აღსანიშნავად ზოგჯერ გამოიყენება ტერმინი Wi-Fi, მათ შორის კომისიის ანალიტიკურ პორტალზე.
FTTx	ოპტიკური ბოჭკო X-მდე კოლექტიური ტერმინი, რომელიც გამოიყენება ფართოზოლოვანი ქსელის არქიტექტურის ვარიანტების ფართო სპექტრის აღსაწერად, რომლებიც აბონენტის ჩართვის ბოლო მონაკვეთზე (Last Mile) ნაწილობრივ ან სრულად ოპტიკურ ბოჭკოს იყენებენ. FTTx ითვალისწინებს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგ გადაწყვეტებს : FTTH (ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი სახლამდე), FTTB (ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი შენობამდე), FTTC (ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი კაბინეტამდე) და ა.შ.
GPON	GPON არის სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგია, რომელსაც შეუძლია გიგაბიტი წამში მონაცემთა გამტარობის უზრუნველყოფა. ქვეყანების უმეტესობაში, მათ შორის საქართველოში, PON-ის ტიპის ტექნოლოგიებს შორის GPON ყველაზე ხშირად გამოიყენებადი ტექნოლოგია.
IP	ინტერნეტ პროტოკოლი IP არის წესების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ინტერნეტით ან ლოკალური ქსელით გაგზავნილი მონაცემების ფორმატს. არსებითად, IP მისამართი არის იდენტიფიკატორი, რომელიც მოწყობილობებს შორის ინფორმაციის ქსელში გაგზავნის საშუალებას იძლევა . ის შეიცავს მდებარეობის ინფორმაციას და მოწყობილობებს კომუნიკაციისთვის ხელმისაწვდომს ხდის.
ISP	ინტერნეტ სერვისის პროვაიდერი ISP არის კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტთან წვდომას. ISP-ებს შეუძლიათ უზრუნველყონ ეს წვდომა მრავალი საშუალებით, xDSL, საკაბელო, უკაბელო და ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიების გამოყენებით.
IPTV	ინტერნეტ პროტოკოლის ტელევიზია IPTV აღნიშნავს სატელევიზიო მაუწყებლობას ინტერნეტ

	<p>პროტოკოლის (IP) ქსელებით. ეს განსხვავდება ტრადიციული სატელიტური და საკაბელო ტელევიზიის ფორმატებში მომსახურების მიწოდებისგან. IPTV იძლევა გაფართოებულ ფუნქციებს, როგორცაა გადახვევა/დაპაუზება.</p>
L2	<p>დონე (Layer) 2: მონაცემთა გადაცემის არხის დონე (OSI მოდელი)</p> <p>მე-2 დონე პასუხისმგებელია შემდეგ ძირითად ამოცანებზე: აპარატურის დამისამართება - მე-2 დონე იყენებს მოწყობილობის უნიკალურ იდენტიფიკატორებს, რომელსაც ეწოდება MAC (Media Access Control) მისამართები. ეს მისამართები ერთხელ და სამუდამოდ ენიჭება მოწყობილობებს მწარმოებლების მიერ მათი წარმოებისას. მე-2 დონის ყველაზე მნიშვნელოვანი პროტოკოლი არის Ethernet.</p>
L3	<p>დონე (Layer) 3: ქსელის დონე (OSI მოდელი)</p> <p>მე-3 დონის (ქსელის დონეს) ყველაზე მნიშვნელოვანი პროტოკოლი არის ინტერნეტ პროტოკოლი, ანუ IP. IP არის ურთიერთდაკავშირებულ ქსელებში პაკეტების მარშრუტიზაციის სტანდარტი, საიდანაც გამომდინარეობს სახელწოდება ინტერნეტი. ეს პროტოკოლი, Ethernet პროტოკოლის მსგავსად, იყენებს პაკეტების ინკაფსულაციას.</p>
LTE	<p>Long Term Evolution</p> <p>LTE არის უკაბელო მონაცემთა გადაცემის სტანდარტი. მისი განვითარება დასრულებულია და მას 5G ქსელები ჩაანაცვლებს.</p>
MDF	<p>მთავარი სადისტრიბუციო ჩარჩო</p> <p>MDF არის პირველადი კვანძი ან სადემარკაციო წერტილი, რომელიც აკავშირებს შენობაში შემომავალ კერძო ან საჯარო IT და სატელეკომუნიკაციო ხაზებს შენობის შიდა ქსელთან ნებისმიერი რაოდენობის შუალედური განაწილების ჩარჩოების (IDFs) მეშვეობით.</p>
MMDS	<p>მრავალარხიანი მრავალპუნქტიანი დისტრიბუციის სერვისი</p> <p>MMDS არის ფიქსირებული უკაბელო ტექნოლოგია, რომელსაც ზოგჯერ უწოდებენ "უკაბელო საკაბელო ტელევიზიას" ან "უკაბელო ზოგადი DSL (xDSL)". MMDS მუშაობს 2,5 გჰც-დან 2,7 გჰც-მდე დიაპაზონში და გამოიყენება მაუწყებლობის, პირადი კომუნიკაციისა და ინტერაქტიული მედია სერვისებისთვის..</p>
NRA	<p>ეროვნული მარეგულირებელი ორგანო</p>
ODF	<p>ოპტიკური სადისტრიბუციო ჩარჩო</p> <p>ODF-ი არის ჩარჩო, რომელიც გამოიყენება საკომუნიკაციო ობიექტებს დამაკავშირებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გადასაერთებლად. ODF-ი ერთ დანადგარში უზრუნველყოფს ოპტიკური ბოჭკოების გადაბმას, ოპტიკური ბოჭკოების დაბოლოებების მიერთებებს, ოპტიკურ გადამყვანებს, კონექტორებს და მათი საშუალებით კაბელების გადაერთებას.</p>
OLT	<p>ოპტიკური ხაზის ტერმინალი</p> <p>OLT არის მოწყობილობა, რომელიც წარმოადგენს დასრულების წერტილს ინტერნეტ სერვისის პროვაიდერის პასიურ ოპტიკურ ინფრასტრუქტურის (PON) ქსელებში. OLT ასევე უზრუნველყოფს</p>

	ინტერფეისის PON ქსელსა და ISP-ს ქსელის ბირთვს შორის. მარტივად რომ ვთქვათ, OLT არის ერთ ერთი მოწყობილობა ISP -ს ქსელში.
ONT	<p>ოპტიკური ქსელის ტერმინალი (ასევე ცნობილია როგორც მოდემი)</p> <p>ONT უკავშირდება ტერმინაციის წერტილს (TP) ოპტიკური ბოჭკოვანი კაბელის საშუალებით. Ethernet კაბელის გამოყენებით კი ის უერთდება საბოლოო მომხმარებლის როუტერს. OLT ახორციელებს TP-ის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელიდან სინათლის სიგნალებს გარდაქმნას ელექტრონულ სიგნალებად, რომლებსაც აღიქვამს საბოლოო მომხმარებლის როუტერი.</p>
OTT	<p>Over-The-Top პროვაიდერი</p> <p>OTT არის მეთოდი, რომლითაც სატელეკომუნიკაციო ოპერატორი აწვდის ერთ ან მეტ მომსახურებას IP ქსელის გამოყენებით. IP ქსელები ძირითადად წარმოადგენს საჯარო ინტერნეტს. OTT-ს იყენებს Netflix, Viber და სხვა სერვისები.</p>
P2P	<p>Point-to-Point კავშირი, ზოგჯერ P2P</p> <p>P2P ქსელის ტოპოლოგია გულისხმობს სატელეკომუნიკაციო კავშირს ორ კვანძს ან ბოლო წერტილს შორის. ოპტიკური დაშვების ქსელში ეს ნიშნავს, რომ თითოეულ საბოლოო მომხმარებელს აქვს საკუთარი გამოყოფილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირი ცენტრალურ კვანძთან, რომელიც არ არის გაზიარებული სხვა საბოლოო მომხმარებლებთან.</p>
P2MP	<p>Point-to-Multi Point კავშირი), ზოგჯერ PtMP</p> <p>P2MP ქსელის ტოპოლოგია გულისხმობს სატელეკომუნიკაციო კავშირს ერთ კვანძსა და მრავალ ბოლო წერტილს შორის. ოპტიკურ ქსელში ეს ნიშნავს, რომ მრავალი ბოლო მომხმარებელი იზიარებს ერთი და იმავე ოპტიკურ-ბოჭკოვან შეერთებას ცენტრალურ კვანძთან კავშირისთვის (იხილეთ ასევე PON)</p>
PON	<p>პასიური ოპტიკური ქსელი</p> <p>PON არის ოპტიკურ-ბოჭკოვანი სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება საბოლოო მომხმარებლის ფართოზოლოვან ქსელზე წვდომისთვის.</p> <p>არსებობს PON-ს ტიპის მრავალი ტექნოლოგია, როგორცაა GPON (Gigabit capable PON, საქართველოში ძირითადად ეს PON ტექნოლოგია გამოიყენება), XGS-PON (10 Gigabit Symmetrical PON) და სხვა.</p>
SMP	<p>მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება</p> <p>SMP აღწერს ძალას, რომელიც სერვისის მიმწოდებელს საშუალებას აძლევს მიიღოს გადაწყვეტილებები და იმოქმედოს კონკურენტებისა და მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად.</p>
VoIP	<p>ხმა ინტერნეტის პროტოკოლით</p> <p>VoIP, არის ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს განახორციელოს ხმოვანი ზარები ჩვეულებრივი (ანუ ანალოგური) სატელეფონო ხაზის ნაცვლად ფართოზოლოვანი ინტერნეტის შეერთების გამოყენებით.</p>
VoD	გამომდახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურება

	<p>VOD არის ზოგადი ტერმინი, რომელიც მოიცავს რამდენიმე სახის სიტემებს. ის მოიცავს ყველა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ვიდეოს მიწოდებს მომხმარებლის მოთხოვნის საფუძველზე . ეს შეიძლება იყოს პრემიუმ ფილმები ან სატელევიზიო შოუების ბიბლიოთეკები, სპორტული ღონისძიებები ან კონცერტები. VOD ასევე ითვალისწინებს სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მაუწყებლობის დროში წანაცვლებას (დაპაუზება/გადახვევას)</p>
VULA	<p>ადგილობრივი დაშვების ვირტუალური გამოყოფა</p> <p>VULA ითვალისწინებს აქტიური შეერთების უზრუნველყოფას დაშვების მიმწოდებელი კომპანიის OLT-ზე მოწყობილობაზე მომხმარებლის ხაზის დასრულებით, სადაც LLU-ს მსგავსად, დაშვების მადიებელ კომპანიას ეძლევა საშუალება პირდაპირ დაუკავშირდეს ამ მოწყობილობას მონაცემთა გაცვლის ადგილობრივ დონეზე. მოცემული დაერთება უზრუნველყოფს, რომ დაშვების მადიებელს არ დასჭირდება დაშვების მიმწოდებელი კომპანიის აგრეგაციის ქსელის გამოყენება. VULA ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს სპილენძის ხაზებზე.</p>
xDSL	<p>ციფრული სააბონენტო ხაზი</p> <p>კოლექტიური ტერმინი, რომელიც გამოიყენება ფართოზოლოვანი ქსელის ტექნოლოგიების ფართო სპექტრის აღსაწერად, რომლებიც იყენებენ სპილენძის წყვილს მათი ბოლო მილის კავშირისთვის.</p>
xWDM	<p>xWDM</p> <p>კოლექტიური ტერმინი, რომელიც გამოიყენება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების გამტარუნარიანობის გაზრდის მულტიპლექსირების ტექნოლოგიების აღსაწერად. xWDM ტექნოლოგიებს განეკუთვნება: ნორმალური WDM, DWDM (მკვრივი WDM, ჩვეულებრივ გამოიყენება ქსელის ბირთვის შეერთებებში), CWDM (უხეში WDM).</p>
Wi-Fi	<p>Wi-Fi არის უკაბელო ქსელის ტექნოლოგია, რომელიც იყენებს რადიოტალღებს უკაბელო მაღალი სიჩქარის ინტერნეტის უზრუნველსაყოფად. Wi-Fi არის სავაჭრო ნიშნი, რომელიც გულისხმობს IEEE 802.11x სტანდარტებს.</p>

1. აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში - კომისია) 2024 წლის 30 მაისს მიიღო N გ-24-23 / 244 გადაწყვეტილება „ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“. ამავე გადაწყვეტილებით, საკითხის ზეპირი მოსმენის დღედ განისაზღვრა 2024 წლის 18 ივლისი ზეპირი მოსმენა აღნიშნული თარიღის სხდომაზე გადაიდო 1 აგვისტოსთვის.
2. 2022 წლიდან კომისიამ დაიწყო მუშაობა საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის სრულფასოვანი კვლევისა და ანალიზის (კომპლექსური კვლევა) პროექტზე, რომელიც, მოიცავს ფიქსირებული ფართოზოლოვანი და მობილური საკომუნიკაციო მომსახურებების საცალო და საბითუმო სეგმენტებზე კომპლექსური ანალიზის ჩატარებას.
3. კომპლექსური კვლევა ევროკომისიის მხარდაჭერით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების დახმარების ("Facility for the Implementation of the EU-Georgia Association Agreement", შემდგომში "AA Facility") პროექტის ფარგლებში ჩატარდა. პროექტის ფარგლებში შერჩეულმა, ევროკომისიასა და ევროპულ მარეგულირებელ ორგანოებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ექსპერტებმა, კომისიის გუნდთან ერთად, განახორციელეს ფიქსირებული ფართოზოლოვანი და მობილური საკომუნიკაციო მომსახურებების საცალო და საბითუმო ბაზრების წინასწარი კვლევა. ეკონომიკურმა, სამართლებრივმა და ტექნიკურმა ექსპერტებმა, ბაზრის სრულფასოვანი შესწავლის საფუძველზე, კომისიას შესთავაზეს რეკომენდაციები ფიქსირებული და მობილური საკომუნიკაციო მომსახურებების ბაზრის კვლევის მიმართულებებით.
4. ევროკავშირის ინსტიტუციონალური განვითარების, ტექნიკური დახმარების და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) მხარდაჭერით წინასწარი კვლევის ჩარჩოს და შედეგების რევიზია განხორციელდა ევროკომისიის სხვა დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ.
5. აღნიშნული წინასწარი კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანია, რომ კომისიამ 2024 წლის 22 თებერვალს დაამტკიცა „ბაზრის კონკურენტუნარიანობისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრის მეთოდოლოგია და პროცედურები“ (შემდგომში - მეთოდოლოგიური წესები), რომელიც ევროკავშირში მოქმედ სატელეკომუნიკაციო ბაზრის ანალიზის მიდგომებთან სრულ შესაბამისობაშია და ევროპულ საუკეთესო პრაქტიკას ეყრდნობა.
6. წინასწარი კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა ფიქსირებული და მობილური საკომუნიკაციო მომსახურებების საცალო ბაზრის კონკურენტული გარემოს ანალიზი, რომლის საფუძველზეც დადგინდა პოტენციურად რეგულირებას დაქვემდებარებული საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტები.
7. მეორე ეტაპზე ფიქსირებული და მობილური მომსახურებების შესაბამის, დადგენილ საბითუმო ბაზრების სეგმენტებზე შეფასდა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების არსებობა და შემუშავდა რეკომენდაციები იმგვარ სპეციფიკურ ვალდებულებებზე, რომელიც მიჩნეულ იქნა პროპორციულად თანაზომად მექანიზმად საბითუმო ბაზრების შესაბამის სეგმენტებზე არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად.
8. კომისიის მიერ უზრუნველყოფილ იქნა პროექტის ფარგლებში შემუშავებული წინასწარი კვლევის დოკუმენტების დაინტერესებული მხარეებისთვის სამუშაო შეხვედრებზე გაცნობა კვლევაში ჩართული ევროპელი ექსპერტების მიერ, და ამასთან, არაფორმალური კონსულტაციების ფორმატში მომზადებული დოკუმენტები გაუზიარა მათ და განუსაზღვრა შესაბამისი ვადა, თუმცა მხარეებს მოსაზრებები არ წარმოუდგენიათ.

9. კომისია წინამდებარე დოკუმენტით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ასევე გაითვალისწინებს წინასწარი კვლევის შედეგებსა და დასკვნებს.

2. მარეგულირებელი კანონმდებლობა

2.1 „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი

1. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კომისიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება, შენარჩუნება და განვითარება, ხოლო მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კვლევისა და ანალიზის ჩატარება, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრა, კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით ამ კანონით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება და მათ შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი, ხოლო „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტებთან დაშვების ან/და ურთიერთჩართვის ტექნიკურ-ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება.

2. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისიის ამოცანაა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ეფექტიანი კონკურენციის ხელშემწყობი პირობების ჩამოყალიბება, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირების დისკრიმინაციის დაუშვებლობა და მათი თანასწორუფლებიანობა; მსურველი ავტორიზებული პირების მოთხოვნით ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან, მათ თავისუფალ ფუნქციონალურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან არადისკრიმინაციული დაშვება ან/და ურთიერთჩართვა.

3. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად:

1. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენციის წინასწარი რეგულირება ხორციელდება კომისიის მიერ განსაზღვრული მომსახურების ბაზრის შესაბამისი და მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტების, ბაზრის შესაბამისი გეოგრაფიული საზღვრების მიხედვით.

2. მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეების და გეოგრაფიული საზღვრების განმსაზღვრელი კრიტერიუმების მიხედვით კომისია განსაზღვრავს კონკურენციის წინასწარი რეგულირების მიზნით.

3. მომსახურების ბაზრის კვლევასა და ანალიზს, რომლებიც ხორციელდება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების დადგენის მიზნით, კომისია ატარებს ბაზრის კონკურენტუნარიანობისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრის მეთოდოლოგიის და პროცედურების საფუძველზე, რომლებიც მტკიცდება კომისიის დადგენილებით.

4. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის რეგულირების უზრუნველყოფა, მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის უზრუნველყოფა და ამ სეგმენტებზე პირველადი და მეორეული კრიტერიუმების შესაბამისად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირთა დადგენა ხორციელდება ობიექტურობის, ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის, ფუნქციონალური ეკვივალენტობის (ფუნქციონალური კრიტერიუმების ერთგვაროვანი გამოყენების), მინიმალური საჭირო რეგულირების, პროპორციულად თანაზომადი სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების, ეფექტიანი კონკურენციის წახალისების, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების გათვალისწინებით.

5. მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის ჩატარების, ავტორიზებული პირების მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორად დადგენის, ასევე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირებისათვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებისას კომისია ითვალისწინებს საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პირობებს, მათ შორის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალურ შეთანხმებას „მომსახურებისა და ვაჭრობის შესახებ“.

4. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად:

1. მომსახურების ბაზრის კვლევა და ანალიზი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) მომსახურების ბაზრის შესაბამისი და მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტების, ბაზრის შესაბამისი გეოგრაფიული საზღვრების განსაზღვრა; ბ) მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კონკურენტუნარიანობის ანალიზის ჩატარება; გ) მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრა; დ) პირველადი და მეორეული კრიტერიუმების გათვალისწინებით მომსახურების ბაზრის შესაბამის და მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების დადგენას და მათთვის ამ კანონის V თავით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრებას კონკრეტული პირობებით.

2. მომსახურების ბაზრის ანალიზის მეთოდოლოგიური წესები, ასევე ამ თავში აღწერილი სხვა პროცედურები მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

3. მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისას კომისია ითვალისწინებს იმ ობიექტურ კრიტერიუმებს, რომლებიც ერთგვაროვნად განსაზღვრავს მომსახურების ბაზრის შესაბამის და მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტებს.

4. მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კონკურენტუნარიანობის ანალიზის ჩატარებისას კომისია ითვალისწინებს შემდეგ ანალიზურ ფაქტორებს: ა) მომსახურების ბაზრის შესაბამის და მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტებზე ჩამოყალიბებულ კონიუნქტურას, კონცენტრაციის დონეს და ავტორიზებული პირების მიერ დაკავებულ ფარდობით საბაზრო წილებს; ბ) მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მომსახურების სახეებზე მოთხოვნისა და მიწოდების მახასიათებლებს (ელასტიურობა, მოთხოვნის ზრდა და სხვ.), აგრეთვე მოთხოვნისა და მიწოდების მხარეების ჩანაცვლების პირობებს; გ) პოტენციურად არაკონკურენტული მომსახურების და ურთიერთშენაცვლებადი მომსახურების სახეებზე ჩამოყალიბებული ტარიფების დონეებს და მათ ისტორიულ ცვალებადობას; დ) მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირების ფინანსურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, მათი ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს და ავტორიზაციის მსურველი პირების მიერ ამ სეგმენტზე საქმიანობის დაწყების შესაძლებლობებს, ბაზარზე შესვლის დამაბრკოლებელ ინფრასტრუქტურულ და დინამიკურ ფაქტორებს, შესაბამის საინვესტიციო რისკებს; ე) მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მოქმედი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების ვერტიკალურად ინტეგრირებულობის ხარისხს და ხასიათს; ზ) სხვა დაკავშირებულ მახასიათებლებს, რომლებიც განისაზღვრება კომისიის დადგენილებით.

6. კომისია უფლებამოსილია დისკრეციულად მიიღოს გადაწყვეტილება როგორც მომსახურების მთლიანი ბაზრის, ისე მისი ცალკეული სეგმენტების კვლევისა და ანალიზის ჩატარების თაობაზე.

7. კონკურენცია მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ეფექტიანია, თუ ამ სეგმენტზე არ საქმიანობს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი. კონკურენცია ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არ არის ეფექტიანი, თუ ამ სეგმენტზე მოქმედ ერთ ან რამდენიმე ავტორიზებულ პირს აქვს ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება.

8. მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარებისას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორად განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმი არის ავტორიზებული პირის ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა ჯგუფის მიერ ბაზრის ამ სეგმენტზე დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილი. ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის მიერ დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილი განისაზღვრება მის მიერ მიღებული შემოსავლების, ბოლო მომხმარებელთა ან აბონენტთა რაოდენობის ან გარკვეულ

პერიოდში მიწოდებული მომსახურების ჯამური მოცულობის (ტრაფიკის) წილობრივი მაჩვენებლების, აგრეთვე მის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ქსელის შესაბამისი ელემენტების დატვირთული და თავისუფალი სიმძლავრეების ან ფუნქციონალური რესურსების რეზერვების გათვალისწინებით. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის მახასიათებლების გათვალისწინებით კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ობიექტურობის პრინციპიდან გამომდინარე, იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზებული პირის მიერ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე დაკავებული წილის გაზომვისა და სათანადო ძირითადი კრიტერიუმის გამოყენების შესახებ.

9. თუ მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კვლევისა და ანალიზის ჩატარების შედეგად კომისია დაადგენს, რომ ერთ ან რამდენიმე ავტორიზებულ პირს აქვს ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, იგი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ხასიათიდან გამომდინარე, განსაზღვრავს აღნიშნული პირებისათვის დაკისრებულ სპეციფიკურ ვალდებულებებს ამ კანონის V თავის შესაბამისად.

10. მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების დადგენის ძირითადი კრიტერიუმის შესაბამისად ავტორიზებული პირი განისაზღვრება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორად, თუ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე უკავია საბაზრო წილის არანაკლებ 40 პროცენტისა.

11. რამდენიმე ავტორიზებული პირი განიხილება ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორად, თუ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე: ა) ორი ავტორიზებული პირის ჯამური საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 60 პროცენტს, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 25 პროცენტისა; ბ) სამი ავტორიზებული პირის ჯამური საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 80 პროცენტს, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 15 პროცენტისა.

12. მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის დადგენისას და მისთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრებისას ძირითადი კრიტერიუმის გარდა გამოიყენება მეორეული კრიტერიუმები, რომლებიც ობიექტურად განსაზღვრავს ძირითადი კრიტერიუმების შესაბამისად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების მიერ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის შეზღუდვისა და არაკონკურენტული ქმედებების განხორციელების შესაძლებლობებს. მეორეულ კრიტერიუმებს ანალიზური ფაქტორების გათვალისწინებით განსაზღვრავს კომისია.

5. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება ამ თავით განსაზღვრული კონკურენციის წინასწარი რეგულირებისა და მომსახურების ბაზრის ანალიზის საფუძველზე, გარდა პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოების შემცველი ნაწილებისა, ქვეყნდება კომისიის ვებგვერდზე. ასევე საჯაროდ ქვეყნდება შემდეგი ინფორმაცია: ა) მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების ჩამონათვალი გეოგრაფიული საზღვრების განმსაზღვრელი კრიტერიუმებისა და ეკონომიკური მაჩვენებლების მითითებით; ბ) ავტორიზებული პირების სია, რომელთაც მომსახურების ბაზრის შესაბამის და მჭიდროდ დაკავშირებულ სეგმენტებზე აქვთ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება; გ) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირისათვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებები და ამ ვალდებულებების კონკრეტული პირობები; დ) იმ ძირითადი ან მეორეული კრიტერიუმების აღწერილობა, რომელთა მიხედვითაც ავტორიზებული პირი დადგინდა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორად.

6. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს გადაწყვეტილებით დააკისროს ერთი ან რამდენიმე, ქვემოთ ჩამოთვლილი სპეციფიკური ვალდებულება: ა) ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება; ბ) დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება; გ) დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად; დ) ელექტრონული

საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება; ე) სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება.

7. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად:

1. სპეციფიკური ვალდებულებები ეკისრება მხოლოდ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს.

2. სპეციფიკური ვალდებულებების ძალაში შესვლის თარიღი განისაზღვრება კომისიის გადაწყვეტილებით; თუ კომისიამ არ განსაზღვრა ეს თარიღი, ავტორიზებულმა პირმა კომისიის გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება უნდა დაიწყოს გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

3. კომისია უფლებამოსილია დააკონკრეტოს ამ კანონით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებები და მათი შესრულების პირობები, აგრეთვე მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ცვლილებები და დამატებები შეიტანოს სპეციფიკური ვალდებულებების პირობებში.

4. კომისიის მიერ ავტორიზებული პირისათვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებები უნდა შეესაბამებოდეს მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის საბაზრო ძალაუფლებისა და მისი ბოროტად გამოყენების ხასიათს, უნდა იყოს პროპორციულად თანაზომადი და ობიექტურად დასაბუთებული.

8. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად:

1. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მიწოდებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალობა და საჯაროდ გამოაქვეყნოს: ა) მისი საქმიანობის ამსახველი ფინანსური საანგარიშგებო დოკუმენტაცია; ბ) ქსელის შესაბამისი ელემენტების, ტექნიკური საშუალებების, ფუნქციონალური რესურსებისა და ინტერფეისების აღწერილობა, აგრეთვე ინფორმაცია თავისუფალი სიმძლავრეების შესახებ; გ) ქსელის ტექნიკური მახასიათებლები, მათ შორის, გამოყენებული ინტერფეისების აღწერილობა, თანალოკაციის ფართობები და ურთიერთჩართვის წერტილები; დ) ქსელის შესაბამის ელემენტებთან, მათ ფუნქციონალურ რესურსებთან და თავისუფალ სიმძლავრეებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მიწოდების პირობები, მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მსურველი ავტორიზებული პირების მოთხოვნების გათვალისწინებით; ე) დაშვებისა და ურთიერთჩართვის ტარიფები, ანგარიშსწორების პირობები.

2. ავტორიზებული პირი ვალდებულია გამოაქვეყნოს საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მოწვევის წინადადება, რომელიც უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას: ოპერატორის ქსელის ელემენტების, მათი ფუნქციონალური რესურსებისა და თავისუფალი სიმძლავრეების, აგრეთვე დაშვებისა და ურთიერთჩართვის ტარიფების შესახებ, რათა მსურველ ავტორიზებულ პირს არ მოეთხოვოს ქსელის იმ ელემენტებისათვის, ტექნიკური საშუალებებისათვის ან ფუნქციონალური რესურსებისათვის დამატებითი საფასურის გადახდა, რომლებიც მას არ მოუთხოვია.

3. კომისია უფლებამოსილია ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით დაადგინოს, თუ რა არსებით მონაცემებს უნდა შეიცავდეს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის დაშვებისა და ურთიერთჩართვის მოწვევის წინადადება, აგრეთვე დადგენილ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვოს ოპერატორის საჯაროდ გამოაქვეყნებულ მოწვევის წინადადებაში ცვლილებების ან დამატებების შეტანა.

4. კომისიის მიერ ავტორიზებული პირისათვის ადგილობრივი დაშვების ქსელთან შეუზღუდავი დაშვების ვალდებულების დაკისრების შემთხვევაში ადგილობრივი მომსახურების ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს დაშვებისა და ურთიერთჩართვის მოწვევის წინადადების

გამოქვეყნება, რომელიც უნდა მოიცავდეს ადგილობრივი დაშვების ქსელთან დაშვების, მათ შორის, ერთობლივი დაშვებისა და კომისიის მიერ დადგენილ სხვა არსებით პირობებს.

5. ინფორმაცია, რომელიც არსებითად დაკავშირებულია მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებასთან, დაშვების მსურველის არადისკრიმინაციული, თავისუფალი არჩევანის უზრუნველყოფასთან და ხელს უწყობს მის მიერ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების პირობების შერჩევის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებას, არ არის დაშვების მიმწოდებელი ოპერატორის კომერციული საიდუმლოება.

9. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად:

1. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი ქსელის შესაბამის ელემენტებთან, ტექნიკურ საშუალებებთან, თავისუფალ ფუნქციონალურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან დაშვების შეთავაზებისას, არსებითად მსგავსი გარემოებებისა და ეკვივალენტური მოთხოვნების პირობებში, ვალდებულია უზრუნველყოს მოთხოვნილი ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებისა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის მსურველი ავტორიზებული პირისათვის არადისკრიმინაციულად (შეუზღუდავად), ერთსა და იმავე ვადებში და ერთნაირი პირობებით მიწოდება.

2. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ არადისკრიმინაციული პირობების დადგენა მოიცავს მომსახურების ერთგვაროვანი პირობების, მათ შორის: მომსახურების ხელმისაწვდომობის, ხარისხის, ტარიფების, მიწოდების ვადების, მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული სხვა არსებითი ინფორმაციის გამჭვირვალების, აგრეთვე ურთიერთჩართვას უზრუნველყოფას.

3. მსურველი ავტორიზებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს ქსელის შესაბამის ელემენტებთან არადისკრიმინაციული დაშვება იმგვარი პირობებით, რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე არსებითად მსგავსი ურთიერთობების შემთხვევებში, დაშვების მიმწოდებელი ოპერატორის სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის, აფილირებული და სხვა ავტორიზებული პირებისათვის.

4. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი უფლებამოსილია შესთავაზოს მსურველ ავტორიზებულ პირს დაშვებისა და ურთიერთჩართვის მიწოდება უკეთესი პირობებით, ვიდრე ეს მოცემულია მის დაშვებისა და ურთიერთჩართვის მოწვევის წინადადებაში. უკეთესი პირობების შეთავაზებისას, დისკრიმინაციის დაუშვებლობის მიზნით, ოპერატორი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის ვადაში შეიტანოს ცვლილება თავისი მოწვევის წინადადების შესაბამის პირობებში.

5. მსურველი ავტორიზებული პირის დაშვებისა და ურთიერთჩართვის მოწვევის წინადადებისგან განსხვავებული პირობებით დაშვების წარმატებულად განხორციელების შემთხვევაში ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი ვალდებულია თავის მოწვევის წინადადებაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ან დამატებები, გამოაქვეყნოს ქსელის შესაბამის ელემენტებთან, მათ თავისუფალ ფუნქციონალურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან დაშვების აღნიშნული პირობები.

10. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად:

1. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია არ დაუშვას კონკურენციის შემზღუდავი ქმედებები, მათ შორის, მომხმარებელთა რომელიმე ჯგუფის სატარიფო შეღავათების სუბსიდირება სხვა ავტორიზებულ პირთა ან მომხმარებელთა ჯგუფების ხარჯზე.

2. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი ვალდებულია კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად აწარმოოს ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ან/და ურთიერთჩართვის მიწოდებასთან დაკავშირებული დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად, ობიექტურად და გამჭვირვალედ აღრიცხვა და განაწილება ქსელის ელემენტების, საოპერაციო საქმიანობისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეების მიხედვით.

3. დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვისა და განაწილების, ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და დისკრიმინაციის აკრძალვის სპეციფიკური ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს ავტორიზებულ პირს სააღრიცხვო, ფინანსური ინფორმაციის, მათ შორის, დანახარჯების განაწილებისა და სხვა ავტორიზებული პირებისგან მიღებული შემოსავლების თაობაზე ინფორმაციის, წარმოდგენა. კომისია უფლებამოსილია ამ კანონის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და კომერციული საიდუმლოების ან პერსონალური მონაცემების დაცვის თაობაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თავისი გადაწყვეტილებით საჯარო გახადოს ავტორიზებული პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სრულად ან იმ ნაწილში, რომელიც ევექტიანად უზრუნველყოფს მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის წახალისებას.

4. ვერტიკალურად ინტეგრირებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი, ან ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორები მსურველი ავტორიზებული პირებისათვის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებისას დისკრიმინაციის აკრძალვის მიზნით ვალდებული არიან უზრუნველყონ ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის თავისუფალ ელემენტებთან დაშვების, აგრეთვე მომსახურების ბაზარზე შეთავაზებული საბითუმო და შიდა საწარმოო სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის ტრანსფერული ტარიფების გამჭვირვალებობა.

11. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად:

1. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი, რომელიც ფლობს ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელს, ვალდებულია უზრუნველყოს მისი ქსელის შესაბამის ელემენტებთან, ტექნიკურ საშუალებებთან, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეებთან სხვა ავტორიზებული პირის შეუზღუდავი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული დაშვება.

2. ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მიზნით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამისი ელემენტების ფუნქციონალური და ტექნიკური მახასიათებლები კანონმდებლობით დადგენილი ტექნიკური სტანდარტების დონეზე.

3. ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მიწოდების ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მიზნით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი, რომელიც ადგილობრივი მომსახურების ზონაში სააბონენტო ნუმერაციის რესურსის გამოყენებით ახორციელებს ბოლო მომხმარებლების მომსახურებას, ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამისი ელემენტების ფუნქციონალური და ტექნიკური მახასიათებლები, საკმარისი თანალოკაციის ფართობების და ამ ფართობებზე განთავსებულ ურთიერთჩართვის წერტილებში საოპერაციო სიმძლავრეების მიწოდება.

4. ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების მსურველმა ავტორიზებულმა პირმა თავის განაცხადში ცხადად უნდა ასახოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის დაშვებისა და ურთიერთჩართვის მოწვევის წინადადებით განსაზღვრული პირობების უპირობო აქცეპტი და მის მიერ ურთიერთჩართვის მოთხოვნის შემთხვევაში საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მიწოდების არსებითი პირობები.

5. მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა სამართლიანი და გონივრული ზომა, განაცხადის მიღების თარიღიდან 30 დღის ვადაში შეთანხმდნენ და გააფორმონ ქსელების შესაბამის ელემენტებთან დაშვების ან/და ურთიერთჩართვის ხელშეკრულება და მისი ასლი უნდა წარუდგინონ კომისიას ორმხრივი ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

6. თუ ხელშეკრულება არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, ან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მიმწოდებელი ოპერატორის მოწვევის წინადადების არსებით პირობებს, ან/და

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვალა კანონმდებლობა, კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა, შესწორება ან გაუქმება.

7. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების შემდგომი განვითარების, აგრეთვე მომხმარებლებისათვის მიწოდებული მომსახურების სახეების გაფართოების და ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით კომისია უფლებამოსილია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორს შესაბამისი გადაწყვეტილებით მოსთხოვოს მსურველი ავტორიზებული პირის მიერ მოთხოვნილი პირობების გათვალისწინებით ქსელის შესაბამის ელემენტებთან და მათ თავისუფალ ფუნქციონალურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან დაშვება. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: ა) მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განვითარების დონეს; ბ) დაშვების მიმწოდებელი ოპერატორის ტექნიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს; გ) დაშვების მიმწოდებელი ოპერატორის ქსელის ელემენტების თავისუფალი ფუნქციონალური რესურსებისა და მოთხოვნილი სიმძლავრეების არსებობას; დ) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ გასაწევი ინვესტიციების მოცულობას და შესაბამის საინვესტიციო რისკებს; ე) მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე გრძელვადიანი კონკურენციის უზრუნველყოფის აუცილებლობას; ვ) ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის უზრუნველყოფას.

8. კომისიის გადაწყვეტილებით ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამისი ელემენტების ფუნქციონალური რესურსების განცალკევება, რომელთა გამოყენებასაც დასაბუთებულად ითხოვს მსურველი ავტორიზებული პირი იმ შემთხვევაშიც, როდესაც ასეთი განცალკევება მას ადრე არ განუხორციელებია.

9. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ქსელის შესაბამისი ელემენტების ფუნქციონალური რესურსების განცალკევებაზე, თუ მისი განხორციელება: ა) ტექნიკურად ან ტექნოლოგიურად შეუძლებელია ან დაარღვევს ოპერატორის ქსელის მთლიანობას (ინტეგრირებულობას); ბ) ქსელის ელემენტის მოთხოვნილი სიმძლავრის არასაკმარისობის პირობებში შეზღუდავს სხვა ოპერატორებისათვის მოქმედი ხელშეკრულებების შესაბამისად დაშვების ან/და ურთიერთჩართვის ან ბოლო მომხმარებლებისათვის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას; გ) არსებითად არ არის დაკავშირებული მოთხოვნილი დაშვების ან/და ურთიერთჩართვის მიწოდებასთან.

12. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად:

1. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორმა საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან, მათ ფუნქციონალურ რესურსებთან და თავისუფალ სიმძლავრეებთან მსურველი ავტორიზებული პირების დაშვების ან/და ურთიერთჩართვის ან ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეების მიწოდება უნდა განახორციელოს დანახარჯებზე ორიენტირებული და არადისკრიმინაციული ტარიფით.

2. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მიერ დაწესებული ტარიფი უნდა ითვალისწინებდეს მომსახურებისათვის გამოყენებულ ქსელის შესაბამის ელემენტებზე, რესურსების და სიმძლავრეების უზრუნველყოფაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურებას, ოპერატორის უფლებას, მიიღოს გაწეულ ინვესტიციებზე გონივრული უკუგება, და ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელების შემდგომი განვითარებისა და გაფართოების გრძელვადიან ტენდენციას.

3. სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულების დაკისრებისას კომისია უფლებამოსილია თავისი გადაწყვეტილებით დაადგინოს:

ა) ავტორიზებული პირის მიერ დაწესებული ტარიფის დანახარჯებზე ორიენტირებულობის და კომისიის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიური წესების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასაბუთება;

ბ) ავტორიზებული პირის მიერ დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული მონაცემების კომისიისთვის წარდგენა;

გ) ავტორიზებული პირების მიერ დადგენილი, კონკურენციის შემზღვეველი ტარიფების ცვლილება;

დ) ქსელის შესაბამის ელემენტებთან, მათ ფუნქციონალურ რესურსებთან და თავისუფალ სიმძლავრებთან დაშვებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების ზღვრული ტარიფები.

4. დაშვებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის მიერ დაწესებულმა ტარიფმა, ან კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში კომისიის მიერ დადგენილმა ზღვრულმა ტარიფმა უნდა უზრუნველყოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში გრძელვადიანი და ქმედუნარიანი კონკურენცია, ბოლო მომხმარებლების ეკონომიკურად ხელმისაწვდომი და ხარისხიანი მომსახურება, არ უნდა დაუშვას ოპერატორების მიერ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე არაგონივრულად მაღალი ტარიფების დაწესება ან სატარიფო ზეწოლა.

5. კომისია უფლებამოსილია დაადგინოს ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესები, რომელთა დაცვა სავალდებულოა ავტორიზებული პირების მიერ სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის.

6. სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულების დაკისრების შემთხვევაში ავტორიზებული პირი კომისიის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად ქმნის დანახარჯების აღრიცხვის სისტემას, აქვეყნებს მის აღწერას, წარუდგენს კომისიას და ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს ამ სისტემის შესაბამისად.

2.2. კომისიის 2024 წლის 22 თებერვლის №1 დადგენილებით დამტკიცებული „ბაზრის კონკურენტუნარიანობისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრის მეთოდოლოგიისა და პროცედურები“ (შემდგომში - პროცედურები)

1. პროცედურები მე-5 მუხლის შესაბამისად, კონკურენციის წინასწარი რეგულირების პროცესი შედგება შემდეგი საფეხურებისგან: ა) საფეხური 1 – საცალო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების დადგენა; ბ) საფეხური 2 – იმის შეფასება, იქნება თუ არა საცალო ბაზრის სეგმენტი ეფექტიანი კონკურენციისკენ მიდრეკილი წინასწარი რეგულირების არარსებობის პირობებში. თუ დადგინდა, რომ საცალო ბაზრის სეგმენტი არ არის ეფექტიანი კონკურენციისკენ მიდრეკილი წინასწარი რეგულირების არარსებობის პირობებში – კონკურენციის არსებული და პოტენციური პრობლემების გამოვლენა; გ) საფეხური 3 – თუ საცალო ბაზრის სეგმენტი არ არის ეფექტიანი კონკურენციისკენ მიდრეკილი, შესაბამისი ბაზრის იმ სეგმენტის იდენტიფიცირება და განსაზღვრა, რომლის რეგულირებაც აღმოფხვრის მე-2 საფეხურის ფარგლებში გამოვლენილ კონკურენციის არსებულ და პოტენციურ პრობლემებს. პირველ რიგში განისაზღვრება საბითუმო ბაზრის სეგმენტი, რომელიც შესაფასებელი საცალო ბაზრის სეგმენტის ვერტიკალური მიწოდების ჯაჭვში ყველაზე მაღლა დგას. თუ საცალო ბაზრის ყველაზე მაღლა მდგომ საბითუმო ბაზრის სეგმენტზე დაწესებულია სპეციფიკური ვალდებულება, მაგრამ არ არის საკმარისი საცალო ბაზრის სეგმენტზე იდენტიფიცირებული კონკურენციის პრობლემების აღმოსაფხვრელად, კომისია გადადის მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონის ბაზრის სეგმენტების განსაზღვრასა და ანალიზზე; დ) საფეხური 4 – მე-3 საფეხურის ფარგლებში განსაზღვრული ბაზრის შესაბამისი სეგმენტის შეფასება ამ მეთოდოლოგიური წესებით გათვალისწინებული სამი კრიტერიუმის ტესტის გამოყენებით, იმის დასადგენად, უნდა ექვემდებარებოდეს თუ არა იგი პოტენციურად წინასწარ რეგულირებას; ე) საფეხური 5 – მე-4 საფეხურის ფარგლებში გამოვლენილ პოტენციურად წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებად ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირ(ებ)ის განსაზღვრა; ვ) საფეხური 6 – მე-5 საფეხურის ფარგლებში გამოვლენილი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირ(ებ)ისთვის, ანალიზის შედეგად გამოვლენილ კონკურენციის პრობლემებთან მიმართებით, პროპორციულად თანაზომადი და ობიექტურად დასაბუთებული სპეციფიკური ვალდებულებების დაწესება.

2. პროცედურების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბაზრის შესაბამისი სეგმენტის პროდუქციული საზღვარი მოიცავს ყველა მომსახურებას, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჩამნაცვლებლად ან ურთიერთ ჩანაცვლებად არა მხოლოდ მათი ობიექტური მახასიათებლების, ფასების ან დანიშნულების, არამედ, აგრეთვე, ბაზრის შესაბამისი სეგმენტზე კონკურენციის პირობების ან/და მიწოდებისა და მოთხოვნის სტრუქტურის მიხედვით, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, ბაზრის შესაბამისი სეგმენტის პროდუქციული საზღვრები დგინდება მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთჩანაცვლებადობის განსაზღვრის გზით.

3. პროცედურების მე-7 მუხლის შესაბამისად:

1. საწყის ეტაპზე კომისიამ უნდა დაადგინოს ელექტრონული კომუნიკაციების სამიზნე მომსახურება, რომლის შეთავაზება ხორციელდება კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში და, შესაძლოა, დაექვემდებაროს სპეციფიკური ვალდებულებების დაწესებას. შემდგომ ეტაპზე კომისია აფასებს რამდენად ექვემდებარება აღნიშნული მომსახურება კონკურენტულ შეზღუდვას ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურებების მხრიდან. შემდგომში კომისია აჯგუფებს ურთიერთ ჩანაცვლებად მომსახურებებს ფუნქციური მახასიათებლების მიხედვით ერთგვაროვან ჯგუფებად და განიხილავს მათ ბაზრის ერთი შესაბამისი სეგმენტის ფარგლებში ბაზრის კონიუნქტურის, კონკურენციის, მოთხოვნისა და მიწოდების მხარის ჩანაცვლების ფაქტორების, ტარიფების დონის და მათი ისტორიული ცვალებადობის გათვალისწინებით. შესაბამისი მომსახურებების ურთიერთჩანაცვლებადობის ხარისხი უნდა იყო საკმარისად მაღალი. მომსახურებები, რომელთა ურთიერთჩანაცვლებადობის ხარისხი დაბალია, კომისიის მხრიდან არ უნდა იქნეს განხილული ბაზრის იმავე სეგმენტის საზღვრებში.

2. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრა არ არის მექანიკური და აბსტრაქტული პროცესი. იგი საჭიროებს ბაზარზე წარსული ქვეყნის განმსაზღვრელი ყველა არსებითი ფაქტორივი გარემოების ანალიზს და სექტორის მუშაობის სრული მექანიზმის გათვალისწინებას. კომისია ამგვარი ფაქტორივი გარემოებების გამოვლენის საფუძველზე განსაზღვრავს მომსახურებების სპექტრს, რომლებსაც ბაზრის მონაწილე ავტორიზებული პირების მომხმარებლები აღიქვამენ ურთიერთ ჩანაცვლებად მომსახურებებად, აგრეთვე მათი ჩანაცვლებადობის ხარისხს. კომისიის მიერ გაანალიზებული ფაქტორივი გარემოებები უნდა მოიცავდეს ინდიკატორებს, რომლებიც განსაზღვრავს მომხმარებლების მხრიდან მომსახურებების ჩანაცვლების მიზეზებს. შესაძლოა, ასეთი ინდიკატორების კატეგორიებს მიეკუთვნებოდეს მომხმარებლის პრეფერენციები მომსახურების კონკრეტულ მახასიათებლებთან, ფასებთან, სხვა მომსახურებაზე გადასვლის ბარიერებთან და ხარჯებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ სხვა მომსახურებაზე გადასვლის ხარჯი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს ან ხელი შეუშალოს კონკრეტული მომსახურების ჩანაცვლებას, მაშინ ასეთი მომსახურება ურთიერთ ჩანაცვლებად მომსახურებად არ განიხილება. სხვა მომსახურებაზე გადასვლის ხარჯი შესაძლოა, მოიცავდეს ტერმინალური მოწყობილობების ღირებულებას, ხელშეკრულების დარღვევისათვის დაწესებულ პირგასამტეხლოსა და ა.შ.

3. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრისას კომისიამ უნდა გამოავლინოს ყველა ის ავტორიზებული პირი, რომელიც საქმიანობს ბაზრის შესაბამისი სეგმენტზე და, აგრეთვე, ის ავტორიზებული/ავტორიზაციის გავლის მსურველი პირები, რომლებიც პოტენციურად ფლობენ ბაზრის შესაბამისი სეგმენტის საზღვრებში ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურების სახეების მიწოდების მოკლევადიან პერიოდში განხორციელების (ტექნიკურ, ტექნოლოგიურ, ფინანსურ, საინვესტიციო და სხვა) შესაძლებლობას.

4. საცალო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრისას კომისია აფასებს, არის თუ არა საკმარისი მომხმარებელთა ჯგუფებს შორის განსხვავებები ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ყოველთვიურ დანახარჯებში, ხელშეკრულებების პირობებსა და მის ხანგრძლივობაში, მოხმარების საჭიროებაში, მომსახურების მიღებისთვის თანხის გადახდის მზაობაში ან სხვა ანალოგიურ მახასიათებლებში მათ ბაზრის სხვადასხვა შესაბამისი სეგმენტში მოსაქცევად.

5. შესაძლოა კომისიამ ბაზრის ორი ან რამდენიმე სეგმენტი ბაზრის ერთიანი სეგმენტის ფარგლებში მოაქციოს, თუ სრულდება არანაკლებ ერთი ქვემოთ მოცემული პირობა:

ა) ცალკეულ მომსახურებებს გააჩნიათ ერთგვაროვანი კონკურენტული მახასიათებლები, რაც გულისხმობს, რომ თითოეული განხილული ბაზრის სეგმენტის ფარგლებში აღნიშნული მომსახურებების მიმწოდებლების ქცევა ერთგვაროვანი იქნება; ან/და ბ) ბაზარზე მოქმედებს საერთო სატარიფო შეზღუდვა, რაც გულისხმობს, რომ მოსალოდნელია მიმწოდებლების ფასები და ქცევა იყოს ერთგვაროვანი ბაზრის თითოეული განხილული სეგმენტის ფარგლებში.

4. პროცედურების მე-8 მუხლის შესაბამისად:

1. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის პროდუქციული საზღვრების დადგენის შემდეგ უნდა განისაზღვროს ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული საზღვრები. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული საზღვარი არის გეოგრაფიული არეალი, რომლის ფარგლებშიც ბაზრის პროდუქციულ სეგმენტზე წარმოდგენილი ავტორიზებული პირები ახორციელებენ საქმიანობას, კონკურენტული პირობები საკმარისად ერთგვაროვანია და რომელიც შესაძლებელია გამოირჩეოდეს მეზობელი გეოგრაფიული არეალებისგან, სადაც არსებითი კონკურენტული პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. არეალები, რომლებშიც განსხვავებული კონკურენტული პირობებია არ განეკუთვნება ბაზრის ერთიან სეგმენტს.

2. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული საზღვრები უნდა დადგინდეს ბაზარზე მოქმედი ავტორიზებული პირების ქცევის შეზღუდვების განსაზღვრის გზით, მათ შორის, ბაზრის სეგმენტზე ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურებების არსებობით გამოწვეული ტარიფების დაწესების შეზღუდვების გათვალისწინებით. მოთხოვნისა და მიწოდების მხარის ჩანაცვლება კონკურენტული შეზღუდვის ორი ძირითადი ფაქტორია, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისას, სადაც მომსახურების მიწოდება ბაზრის გეოგრაფიულად განცალკევებული შესაბამისი სეგმენტია. შესაბამისი გეოგრაფიული არეალების ჩანაცვლებადობის ხარისხი უნდა იყოს საკმარისად მაღალი. გარდა ამისა, კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, არის თუ არა ავტორიზებული პირ(ებ)ის ქმედება მისი ქსელის ფარგლებში ერთგვაროვანი, ან იმყოფება თუ არა იგი კონკურენტის აშკარად განსხვავებულ პირობებში იმგვარად, რომ მისი ქმედებები შეიძლება შეიზღუდოს გარკვეულ არეალში.

3. გეოგრაფიული სეგმენტის განსაზღვრისას გამოიყენება ამ მეთოდოლოგიური წესების მე-7 მუხლით გათვალისწინებული მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთჩანაცვლებადობის შეფასების პრინციპები.

4. ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების სექტორში, როგორც წესი, ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული საზღვრები დგინდება 2 მთავარი კრიტერიუმის საფუძველზე: ა) ქსელის დაფარვის არეალი; და ბ) სამართლებრივი და სხვა მარეგულირებელი ინსტრუმენტების არსებობა.

5. კომისიის მიერ სხვადასხვა გეოგრაფიული არეალის დადგენა შესაძლოა ეფუძნებოდეს ისეთ კრიტერიუმებს, როგორებიცაა: კონკურენტების რაოდენობა და მათი შესაძლებლობები, ბაზრის ხვედრითი წილების განაწილება, დიფერენცირებული ფასები, მომსახურებაზე მოთხოვნის პირობები, განსხვავებული კომერციული პირობები ან მარკეტინგული სტრატეგიები.

6. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას კომისიამ უნდა უზრუნველყოს, რომ: ა) ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები იყოს საკმარისად მცირე, რათა თავიდან იქნეს აცილებული თითოეულ გეოგრაფიულ ერთეულში კონკურენტული პირობების მნიშვნელოვანი ვარიაციების არსებობა და საკმარისად დიდი, რათა თავიდან იქნეს აცილებული მიკრო ანალიზი, რომელიც მოითხოვს დიდ რესურსებს და შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის ფრაგმენტაცია; ბ) აისახოს ყველა შესაბამისი ავტორიზებული პირის ქსელის სტრუქტურა; გ) ბაზრის გეოგრაფიულ სეგმენტს ჰქონდეს მკაფიო და სტაბილური საზღვრები დროის განსაზღვრულ პერიოდში, რომელიც გულისხმობს ბაზრის მიმდინარე ანალიზიდან ბაზრის შემდეგი ანალიზის დასრულებამდე პერიოდს.

7. კომისიამ შესაძლოა ბაზრის ერთიანი სეგმენტის ფარგლებში მოაქციოს ორი ან რამდენიმე გეოგრაფიული ბაზრის სეგმენტი, თუ სრულდება არანაკლებ ერთი ქვემოთ მოცემული პირობა:

ა) ცალკეულ მომსახურებებს გააჩნიათ ერთგვაროვანი კონკურენტული მახასიათებლები, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული მომსახურებების მიმწოდებლების ქცევაც ერთგვაროვანი იქნება თითოეული განხილული ბაზრის სეგმენტის ფარგლებში; ან/და ბ) ბაზარზე მოქმედებს საერთო სატარიფო შეზღუდვა, რაც გულისხმობს, რომ მიმწოდებლების ფასები და ქცევა მოსალოდნელია, რომ ერთგვაროვანი იქნება თითოეული განხილული ბაზრის სეგმენტის ფარგლებში.

8. ბაზრის შესაბამისი გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას რაოდენობრივი კრიტერიუმების სახით, შესაძლოა, შესაბამისი ბაზრის სეგმენტის კონიუნქტურისა და კონკურენტული მახასიათებლების გათვალისწინებით, გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმები, მათ შორის, ჰიპოთეტური მონოპოლისტის ტესტი.

5. პროცედურების მე-10 მუხლის შესაბამისად:

1. ბაზრის ანალიზის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს საცალო ბაზრის იმ შესაბამისი სეგმენტ(ებ)ის კონკურენტუნარიანობის შეფასება, რომელიც (რომლებიც) განისაზღვრა ამ მეთოდოლოგიური წესების II თავის შესაბამისად.

2. კომისია ბაზრის ანალიზის პროცესში ადგენს, არის თუ არა ბაზრის საცალო სეგმენტი ეფექტიანი კონკურენციისკენ მიდრეკილი საბითუმო რეგულაციის არარსებობის შემთხვევაში და მდგრადია თუ არა ბაზარზე არსებული ეფექტიანი კონკურენტული გარემო.

3. კომისიამ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეფასება უნდა განახორციელოს მომავალზე ორიენტირებულობის პრინციპით, შესაბამისი პერიოდის განმავლობაში ბაზრის განსაზღვრული სეგმენტის სავარაუდო განვითარების შეფასების გზით. ამ პროცესში კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს საბოლოო მომხმარებლის პერსპექტივა მოთხოვნისა და მიწოდების მხარის ჩანაცვლებადობის თვალსაზრისით ბაზრის არსებული პირობების და მათი სავარაუდო განვითარების გათვალისწინებით.

4. ბაზრის ანალიზი შეიძლება ეფუძნებოდეს საბითუმო, საცალო ან/და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული ბაზრის სეგმენტების მონაცემებს.

5. განხილვის შესაბამისი პერიოდის ხანგრძლივობა მოიცავს პერიოდს ბაზრის მიმდინარე ანალიზის დასრულებიდან შემდგომი ბაზრის ანალიზის დასრულებამდე, რომლის ფარგლებშიც კომისია შეაფასებს ბაზრის შესაბამისი სეგმენტის სპეციფიკურ მახასიათებლებსა და განვითარების ტენდენციებს.

6. იმ შემთხვევაში, თუ ბაზრის განხილული საცალო სეგმენტი ან მისი შესაბამისი ბაზრის ერთი ან ერთზე მეტი საბითუმო სეგმენტი ექვემდებარება წინასწარ რეგულირებას „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის IV და V თავების საფუძველზე, კომისიის მიერ არსებული საბაზრო პირობების შეფასება, ისევე როგორც ბაზრის სეგმენტის განვითარების მოსალოდნელი ან პროგნოზირებადი ტენდენციების შეფასება უნდა განხორციელდეს წინასწარი რეგულირების არარსებობის ჰიპოთეტური დაშვებით. ეს მეთოდი ცნობილია როგორც „მოდულირებული გრინფილდის მიდგომა“. კომისიამ ასევე უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი პერიოდის განმავლობაში, საცალო და მასთან დაკავშირებულ საბითუმო ბაზრის სეგმენტ(ებ)ზე მოქმედი, სექტორისთვის სპეციფიკური რეგულირების, გადაწყვეტილებების და კანონმდებლობის ეფექტი.

6. პროცედურების მე-11 მუხლის თანახმად:

1. მე-10 მუხლში მითითებული შეფასება აჩვენებს, რომ საცალო ბაზრის სეგმენტი მიდრეკილია ეფექტიანი კონკურენციისკენ მოდიფიცირებული გრინფილდის მიდგომის გათვალისწინებით, კომისიამ უნდა დაასკვნას, რომ არ არის საჭირო ამ საცალო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის და მისი აღმავალი საბითუმო სეგმენტ(ებ)ის წინასწარი რეგულირება და თუ საცალო ან მისი აღმავალი საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტ(ებ)ი უკვე ექვემდებარება წინასწარ რეგულირებას, კომისია აუქმებს დაწესებულ სპეციფიკურ ვალდებულებებს.

2. თუ ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასებისას კომისია დაადგენს, რომ საცალო ბაზრის შესაბამისი სეგმენტ(ებ)ი არ ხასიათდება ეფექტიანი კონკურენციით და კონკურენციის დაბალი დონე შენარჩუნდება საბითუმო ბაზრის სეგმენტზე სპეციფიკური ვალდებულებების არარსებობის შემთხვევაში, კომისიამ უნდა შეაფასოს, შესაძლებელია თუ არა კონკურენციის დაბალი დონით გამოწვეული მომხმარებელთა ზიანის რისკი აღმოიფხვრას საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტ(ებ)ის წინასწარი რეგულირებით.

3. პირველ რიგში მოთხოვნისა და მიწოდების (რამდენადაც ეს აქტუალურია) ურთიერთჩანაცვლებადობის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს და ამ მეთოდოლოგიური წესების მე-12 მუხლით გათვალისწინებული სამი კრიტერიუმის ტესტით შეფასდეს საბითუმო ბაზრის სეგმენტი, რომელიც შესაფასებელი საცალო ბაზრის სეგმენტის ვერტიკალური მიწოდების ჯაჭვში ყველაზე მაღლა დგას – ე. ი. რომლის წინასწარი რეგულირება საცალო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ეფექტიანი კონკურენციის განვითარებაზე ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. ამ პროცესში კომისიამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ზოგიერთი საცალო ბაზრის სეგმენტი შესაძლოა დაკავშირებული იყოს საბითუმო ბაზრის ერთზე მეტ სეგმენტთან. თუ საცალო ბაზრის ყველაზე მაღლა მდგომ საბითუმო ბაზრის სეგმენტზე დაწესებულია სპეციფიკური ვალდებულება, მაგრამ არ არის საკმარისი საცალო ბაზარზე იდენტიფიცირებული კონკურენციის პრობლემ(ებ)ის აღმოსაფხვრელად, კომისია გადადის მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონის ბაზრის სეგმენტების განსაზღვრასა და ანალიზზე მოდიფიცირებული გრინფილდის მეთოდის გამოყენებით. თუ ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასებისას კომისია დაადგენს, რომ საცალო ბაზრის შესაბამისი სეგმენტ(ებ)ი არ ხასიათდება ეფექტიანი კონკურენციით და კონკურენციის დაბალი დონე შენარჩუნდება საბითუმო ბაზრის სეგმენტზე სპეციფიკური ვალდებულებების არარსებობის შემთხვევაში, კომისიამ უნდა შეაფასოს, შესაძლებელია თუ არა კონკურენციის დაბალი დონით გამოწვეული მომხმარებელთა ზიანის რისკი აღმოიფხვრას საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტ(ებ)ის წინასწარი რეგულირებით, ხოლო მე-3 პუნქტის შესაბამისად, პირველ რიგში მოთხოვნისა და მიწოდების (რამდენადაც ეს აქტუალურია) ურთიერთჩანაცვლებადობის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს და ამ პროცედურების მე-12 მუხლით გათვალისწინებული სამი კრიტერიუმის ტესტით შეფასდეს საბითუმო ბაზრის სეგმენტი, რომელიც შესაფასებელი საცალო ბაზრის სეგმენტის ვერტიკალური მიწოდების ჯაჭვში ყველაზე მაღლა დგას – ე. ი. რომლის წინასწარი რეგულირება საცალო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ეფექტიანი კონკურენციის განვითარებაზე ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. ამ პროცესში კომისიამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ზოგიერთი საცალო ბაზრის სეგმენტი შესაძლოა დაკავშირებული იყოს საბითუმო ბაზრის ერთზე მეტ სეგმენტთან. თუ საცალო ბაზრის ყველაზე მაღლა მდგომ საბითუმო ბაზრის სეგმენტზე დაწესებულია სპეციფიკური ვალდებულება, მაგრამ არ არის საკმარისი საცალო ბაზარზე იდენტიფიცირებული კონკურენციის პრობლემ(ებ)ის აღმოსაფხვრელად, კომისია გადადის მიწოდების ჯაჭვის ქვედა დონის ბაზრის სეგმენტების განსაზღვრასა და ანალიზზე მოდიფიცირებული გრინფილდის მეთოდის გამოყენებით.

4. ბაზრის ანალიზი შეიძლება ეფუძნებოდეს საბითუმო, საცალო ან/და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული ბაზრის სეგმენტების მონაცემებს.

5. განხილვის შესაბამისი პერიოდის ხანგრძლივობა მოიცავს პერიოდს ბაზრის მიმდინარე ანალიზის დასრულებიდან შემდგომი ბაზრის ანალიზის დასრულებამდე, რომლის ფარგლებშიც კომისია შეაფასებს ბაზრის შესაბამისი სეგმენტის სპეციფიკურ მახასიათებლებსა და განვითარების ტენდენციებს.

6. იმ შემთხვევაში, თუ ბაზრის განხილული საცალო სეგმენტი ან მისი შესაბამისი ბაზრის ერთი ან ერთზე მეტი საბითუმო სეგმენტი ექვემდებარება წინასწარ რეგულირებას „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის IV და V თავების საფუძველზე, კომისიის მიერ არსებული საბაზრო პირობების შეფასება, ისევე როგორც ბაზრის სეგმენტის განვითარების მოსალოდნელი ან პროგნოზირებადი ტენდენციების შეფასება უნდა განხორციელდეს წინასწარი რეგულირების არარსებობის ჰიპოთეტური დაშვებით. ეს მეთოდი ცნობილია როგორც „მოდიფიცირებული გრინფილდის მიდგომა“. კომისიამ ასევე უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი პერიოდის განმავლობაში, საცალო და მასთან დაკავშირებულ საბითუმო ბაზრის სეგმენტ(ებ)ზე

მოქმედი, სექტორისთვის სპეციფიკური რეგულირების, გადაწყვეტილებების და კანონმდებლობის ეფექტი.

7. პროცედურების მე-12 მუხლის შესაბამისად:

1. ბაზრის შესაბამისი სეგმენტი განისაზღვრება პოტენციურად წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებად ბაზრის სეგმენტად შემდეგი სამი კრიტერიუმის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში:

ა) სახეზეა ბაზარზე შესვლის მაღალი და არაგარდამავალი სტრუქტურული, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ბარიერები;

ბ) სახეზეა ბაზრის სტრუქტურა, რომელიც დროის შესაბამის ჰორიზონტში არ არის ეფექტიანი კონკურენციისკენ მიდრეკილი, ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებული და სხვა სახის კონკურენტული გარემოებების გათვალისწინებით;

გ) კონკურენციის სამართალი არ არის საკმარისი ბაზრის იდენტიფიცირებული ჩავარდნების აღმოსაფხვრელად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამი კრიტერიუმის შეფასების სტანდარტები:

ა) პირველი კრიტერიუმი დაკავშირებულია ბაზარზე შესვლის მაღალი და არაგარდამავალი ბარიერების არსებობასთან, რომლის ფარგლებშიც უნდა შეფასდეს, რამდენად შესაძლებელია ბაზარზე შესვლა და დადგინდეს ავტორიზებული პირის ბაზარზე წარმატებულ შესვლასთან დაკავშირებული ფაქტორები. ავტორიზებული პირისათვის ბაზარზე შესვლის დამაბრკოლებელი ბარიერი შეიძლება იყოს: სტრუქტურული, სამართლებრივი ან მარეგულირებელი:

ა.ა) სტრუქტურული ბარიერების არსებობა გამომდინარეობს დანახარჯების ან მოთხოვნის სტრუქტურიდან, რომელიც განსაზღვრავს ასიმეტრიულ პირობებს ბაზარზე მოქმედ და ახალ შემსვლელ ავტორიზებულ პირებს შორის, რაც აფერხებს ან გამორიცხავს ამ უკანასკნელთა ბაზარზე შესვლას. მაღალი სტრუქტურული ბარიერები ვლინდება იქ, სადაც, ბაზარი ხასიათდება უპირატესობებით აბსოლუტური ხარჯების, მასშტაბის ეკონომიისა და ქსელის ეფექტურობის თვალსაზრისით. ამასთან, შესაძლოა, ბაზარზე მოქმედებდეს სიმძლავრეების შეზღუდვები და ბაზარზე შესვლა დაკავშირებული იყოს მაღალი არადაბრუნებადი ხარჯების გაწევასთან. გარდა ამისა, ბაზარზე შესვლის მაღალი სტრუქტურული ბარიერების არსებობა, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ბაზარზე არსებულ გარემოსთან, როდესაც მომსახურების მიწოდება მოითხოვს ქსელის კომპონენტს, რომლის დუბლირება ტექნიკურად შეუძლებელია ან არ არის ეკონომიკურად მიზანშეწონილი;

ა.ბ) სამართლებრივი ან მარეგულირებელი ბარიერები – ასეთი ტიპის ბარიერებს შესაძლებელია ჰქონდეს პირდაპირი ეფექტი ავტორიზებული პირების ბაზარზე შესვლის ან/და პოზიციონირების პირობებზე. რეგულირებულ სექტორში ავტორიზაციის პროცედურებს, ტერიტორიულ შეზღუდვებს, უსაფრთხოების სტანდარტებს და სხვა სამართლებრივ მოთხოვნებს, შესაძლოა, ჰქონდეთ ბაზარზე შესვლის შემაკავებელი ან შემაყოვნებელი ეფექტი. სამართლებრივი და მარეგულირებელი ბარიერი, რომელიც სავარაუდოა, რომ გაუქმდება 3 წლის ვადაში, როგორც წესი, არ იქნება განხილული ბაზარზე შესვლის ბარიერად პირველი კრიტერიუმის მიზნებისთვის;

ბ) მეორე კრიტერიუმი მოიცავს იმის განსაზღვრას, არის თუ არა დროის შესაბამის ჰორიზონტში ბაზრის სტრუქტურა ეფექტიანი კონკურენციისკენ მიდრეკილი ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებული კონკურენციის მდგომარეობისა და პერსპექტივის, აგრეთვე ბაზარზე შესვლის ბარიერების მიღმა არსებული სხვა სახის კონკურენტული გარემოებების გათვალისწინებით. კონკურენციის დონის ეფექტიანობის შეფასებისას, კომისიამ უნდა აჩვენოს, რომ წინასწარი რეგულირების არარსებობის პირობებში ბაზარი არ გახდება ეფექტიანად კონკურენტუნარიანი შემდეგი კვლევის ჩატარებამდე პერიოდში და კვლევისას გამოვლენილი ფაქტორები გარემოებები არ მიუთითებს დადებით დინამიკაზე, რომლის მიხედვითაც, წინასწარი რეგულირების არარსებობის პირობებში ბაზარი შესაძლებელია გახდეს ეფექტიანად კონკურენტული მომავალ პერიოდ(ებ)ში;

გ) მესამე კრიტერიუმი მიზნად ისახავს ბაზარზე კონკურენციის შემაფერხებელი არაგარდამავალი ფაქტორების აღმოსაფხვრელად ზოგადი კონკურენციის სამართლის საკმარისობის შეფასებას, იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენციის წინასწარი რეგულირების ფარგლებში დადგენილმა სპეციფიკურმა ვალდებულებებმა შეიძლება ეფექტიანად აღკვეთოს კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებები. შესაძლოა, ზოგადი კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერვენციები არ იყოს საკმარისი, თუ ბაზარზე არსებული კონკურენციის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად ხშირი ან/და დროული ჩარევაა აუცილებელი. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში კონკურენციის წინასწარი რეგულირება უნდა იქნეს განხილული ზოგადი კონკურენციის კანონმდებლობის ქმედით შემავსებლად. ბაზრის შესაბამის სეგმენტზე, რომელიც ხასიათდება ეფექტიანი და მდგრადი, ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებული კონკურენციით, ზოგადი კონკურენციის სამართლით გათვალისწინებული მიდგომების გამოყენება საკმარისი იქნება.

8. პროცედურების მე-15 მუხლის შესაბამისად:

1. ავტორიზებული პირი მიიჩნევა ერთპიროვნული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორად, თუ ის ერთპიროვნულად სარგებლობს დომინანტური მდგომარეობის შესატყვისი პოზიციით, ე.ი. მას გააჩნია საკმარისი ეკონომიკური ძალა, რომელიც აძლევს მომხმარებლებისა და კონკურენტებისგან დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას.

2. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარებისას ერთპიროვნული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორად განსაზღვრის ძირითადი (აუცილებელი) კრიტერიუმია ავტორიზებული პირის მიერ ბაზრის ამ სეგმენტზე დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილის რაოდენობრივი მაჩვენებელი – იგი განიხილება ერთპიროვნული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორად, თუ ბაზრის შესაბამისი სეგმენტზე უკავია ფარდობითი საბაზრო წილის არანაკლებ 40 პროცენტისა. კომისიამ ასევე მხედველობაში უნდა მიიღოს ბაზრის შესაბამისი სეგმენტზე მოქმედი სხვა ავტორიზებული პირების საბაზრო ხვედრითი წილების შესახებ მონაცემების დინამიკა. აღნიშნული გარემოება, სხვა რელევანტურ კრიტერიუმებთან ერთად, განსაზღვრავს, მიდრეკილია თუ არა ბაზრის შესაბამისი სეგმენტი ეფექტიანი კონკურენციისკენ.

3. ერთპიროვნული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასებისას, ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ ძირითად კრიტერიუმთან ერთად, გამოყენებული უნდა იქნეს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული მეორეული კრიტერიუმები. შესაბამისად, ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარებისას ერთპიროვნული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორად განსაზღვრის მეორეულ კრიტერიუმებად ბაზრის სტრუქტურიდან და კონკურენტული მახასიათებლებიდან გამომდინარე, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს:

ა) რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურა - ავტორიზებული პირის მიერ სხვა ავტორიზებულ პირებთან შედარებით ბაზარზე უფრო დიდი ხნის განმავლობაში საქმიანობა, შეზღუდულ სიხშირულ სპექტრზე ხელმისაწვდომობა, ან საკუთარი ელექტრონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის და ქსელის ისეთი გეოგრაფიული მასშტაბებით გავრცელება, რომელიც მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის მომსახურების მიღების საშუალებას იძლევა და კონკრეტულ ავტორიზებულ პირს სხვა ავტორიზებულ პირებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს, ვინაიდან სხვა ალტერნატიული ავტორიზებული პირისათვის ამგვარი ინფრასტრუქტურის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში, ან შეზღუდულ გეოგრაფიულ არეალში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბაზრის ანალიზისას კომისიამ უნდა მოახდინოს ასეთი ინფრასტრუქტურის იდენტიფიცირება და უნდა შეაფასოს საბაზრო ძალაუფლებისთვის მისი არსებობის მნიშვნელობა;

ბ) ტექნოლოგიური უპირატესობები – ინოვაციურ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობამ და ძვირადღირებული პატენტებისა და ლიცენზიების ფლობამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი ავტორიზებული პირის მიერ ერთპიროვნული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მოპოვებას ან კონსოლიდაციას. შესაბამისად, კომისიამ უნდა შეაფასოს, ზემოაღნიშნული აქტივების

ფლობა რამდენად აძლევს ავტორიზებულ პირს კონკურენტებისგან და მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას;

გ) მსყიდველობითი ძალაუფლების დაბალი დონე ან/და არარსებობა – ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ისეთი მდგომარეობა, როდესაც არსებულ ან პოტენციურ მომხმარებლებს არ გააჩნიათ მომსახურების შეძენის ფასზე ან სხვა მომსახურების პირობებზე გავლენის მოხდენის საკმარისი შესაძლებლობა ან რეგულაციის არარსებობისას საბითუმო მომსახურების მომხმარებელ ავტორიზებულ პირებს არ გააჩნიათ იმის შესაძლებლობა, რომ პოტენციურად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირისგან მიიღონ მომსახურება კონკურენტული პირობებით. გარდა ამისა, მსყიდველობითი ძალაუფლების შეფასებისას მხედველობაში მიიღება ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მომსახურების მიწოდებლების რაოდენობა;

დ) კაპიტალთან და ფინანსურ რესურსებთან მარტივი ან პრივილეგირებული წვდომის შესაძლებლობა – ავტორიზებული პირის მდგომარეობა, რომელიც მისი მოცულობიდან, საკუთრების ტიპიდან, ან ადგილობრივ და საერთაშორისო ჯგუფთან ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარე, შესაძლებელს ხდის ამ ავტორიზებული პირის სხვებთან შედარებით მარტივ დაშვებას, როგორც შიდა, ასევე გარე კაპიტალთან და ფინანსურ რესურსებთან, ინვესტიციების განხორციელების, ქსელის განახლების ან/და ქსელის გაფართოების საჭიროებიდან გამომდინარე;

ე) დივერსიფიცირებული მომსახურების სახეები (მომსახურების პაკეტი) – ბაზრის შესაბამის სეგმენტზე დივერსიფიცირებული მომსახურების სახეების პორტფელის მქონე ავტორიზებულ პირს მომხმარებლებისთვის არჩევანის და მიმზიდველობის თვალსაზრისით, სხვა ავტორიზებულ პირებთან შედარებით, უკეთესი პოზიცია გააჩნია. ამ კუთხით მომსახურების დივერსიფიცირება ავტორიზებულ პირს აძლევს მომხმარებლების ბაზის მოპოვებისა და შენარჩუნების საშუალებას;

ვ) მასშტაბის ეკონომია – დიდი მოცულობით მომსახურების მიმწოდებელ ავტორიზებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა, მიაღწიონ მასშტაბის ეკონომიას, რაც განპირობებულია ავტორიზებული პირის მთლიანი დანახარჯების მიწოდებული მომსახურების ერთეულებს შორის გადანაწილებით;

ზ) მომსახურების სახეების მრავალფეროვნებით განპირობებული ეკონომია (მრავალფეროვნების ეკონომია) – ამ კრიტერიუმს გააჩნია მასშტაბის ეკონომიის ანალოგიური ეფექტი, თუმცა ხარჯის შემცირება მიიღწევა ერთი და იმავე ინფრასტრუქტურის საშუალებით მიწოდებული სხვადასხვა ტიპის მომსახურებას შორის ფიქსირებული და ზედნადები დანახარჯების განაწილების შედეგად;

თ) ქსელის პირდაპირი და ირიბი ეფექტი:

თ.ა) ქსელის პირდაპირი ეფექტი ვლინდება მაშინ, როდესაც მომხმარებლისთვის მომსახურების ღირებულება გამომდინარეობს სხვა მომხმარებლების მხრიდან ასეთი მომსახურების გაზრდილი მოხმარებიდან;

თ.ბ) ქსელის ირიბი ეფექტი ვლინდება მაშინ, როდესაც მომსახურების ღირებულება იზრდება ამ მომსახურების შემავსებელი მომსახურებების მოხმარების ზრდით;

ი) ვერტიკალური ინტეგრაცია – ვერტიკალურად ინტეგრირებული ავტორიზებული პირები არიან ეკონომიკური აგენტები, რომლებიც საქმიანობენ მომსახურების მიწოდების ღირებულებათა ვერტიკალური ჯაჭვის როგორც საბითუმო, ისე საცალო დონეზე, რაც მათ ანიჭებს კონკურენტულ უპირატესობას სხვა ავტორიზებულ პირებთან შედარებით, რადგან მათ დამოუკიდებლად შეუძლიათ მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდება, მომსახურების მიწოდების კონტროლი და ბაზრის პოტენციურ ცვლილებებზე მყისიერი რეაგირება;

კ) სადისტრიბუციო და გაყიდვების მაღალგანვითარებული ქსელი – სადისტრიბუციო და გაყიდვების მაღალგანვითარებული ქსელის მქონე ავტორიზებული პირები სხვა ავტორიზებულ პირებთან შედარებით უკეთეს პოზიციაში იმყოფებიან, რადგან აღნიშნული ფაქტორი ზრდის მომსახურების შეძენის ხელმისაწვდომობას არსებული და პოტენციური აბონენტებისთვის. ხსენებული კრიტერიუმის გამოყენება მნიშვნელოვანია საცალო ბაზრის სეგმენტის ანალიზის პროცესში;

ლ) პოტენციური კონკურენტების არარსებობა – მიწოდების მხარის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით პოტენციურ კონკურენტებად განიხილებიან ის ეკონომიკური აგენტები, რომლებიც ბაზრის ანალიზის პერიოდისთვის ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არ არიან წარმოდგენილნი, თუმცა ბაზრის ამ სეგმენტზე ფასების მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი და არაგარდამავალი ზრდის შემთხვევაში აქვთ შესაძლებლობა, გააფართოონ მათი მომსახურების პორტფელი ან/და საქმიანობის გეოგრაფიული არეალი და დაიწყონ აღნიშნული მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა;

მ) ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის გაფართოებასთან დაკავშირებით არსებული ბარიერები – ეს ბარიერები დამახასიათებელია გაჯერებული ბაზრის შესაბამისი სეგმენტისთვის, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ავტორიზებული პირისთვის ბაზრის სეგმენტზე ზრდის/გაფართოების საჭირო შესაძლებლობებს, იწვევს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებული კონკურენტული გარემოს (კონკურენტების არსებული რაოდენობის) კონსერვაციას, რამაც, შესაძლოა, გააუარესოს ბაზარზე არსებული კონკურენტული მდგომარეობა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე კრიტერიუმი, შესაძლოა, განცალკევებულად არ იყოს საკმარისი ავტორიზებული პირის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორად განსაზღვრისთვის. კომისიამ საკითხი უნდა გადაწყვიტოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფაქტორებისა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პირველადი კრიტერიუმის კომბინირებულად შეფასების გზით.

5. ავტორიზებული პირების საბაზრო ძალაუფლების შეფასებისთვის, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების პარალელურად ან მათი ალტერნატივის სახით, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულის ეკვივალენტური კრიტერიუმები.

9. პროცედურების მე-17 მუხლის შესაბამისად:

1. კომისიამ სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრებისას უნდა გამოიყენოს სტატიკური და დინამიკური მიდგომები, რათა დაკისრებულმა სპეციფიკურმა ვალდებულებებმა ხელი შეუწყოს ბაზარზე კონკურენტული გარემოს განვითარებას. სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება უნდა განხორციელდეს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ პროცედურების მე-4 მუხლით განსაზღვრული კონკურენციის წინასწარი რეგულირების პრინციპების, მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით და ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი მოთხოვნები:

ა) სპეციფიკური ვალდებულებები უნდა დაწესდეს უპირატესად საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე და მხოლოდ იმ ბაზრის მხოლოდ იმ სეგმენტებზე, რომლებიც არ ხასიათდება კონკურენციის ეფექტიანი დონით;

ბ) სპეციფიკური ვალდებულებების დაწესება ბაზრის შესაბამის სეგმენტზე უნდა განხორციელდეს კონკურენციასთან დაკავშირებით გამოვლენილი არსებული ან პოტენციური პრობლემის აღმოფხვრის მიზნით;

გ) სპეციფიკური ვალდებულებები უნდა იყოს კონკურენციასთან დაკავშირებით გამოვლენილი, დადასტურებული პრობლემის პროპორციული და ტექნიკურად შესრულებადი;

დ) სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრება უნდა მოხდეს მათი ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით.

2. სპეციფიკური ვალდებულებების პირობები უნდა შეესაბამებოდეს საბაზრო უპირატესობის ფლობის და მისი ბოროტად გამოყენების, ბაზრის შესაბამის სეგმენტზე შესვლის დაბრკოლებების ჩამოყალიბების შესაძლებლობების ხასიათს, უნდა იყოს თანაზომიერი და დასაბუთებული.

3. ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების საცალო ბაზრის მიმოხილვა

3.1 სხვადასხვა ფიქსირებული ფართოზოლოვანი ტექნოლოგიებით დაფარვის ანალიზი

ბაზრის ანალიზის ამ ნაწილში განისაზღვრება ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურება/პროდუქტი ყველა შესაბამის ალტერნატივასთან ერთად როგორც საკვლევი ამოსავალი წერტილი, ხოლო შემდგომ ეტაპზე შეფასდება არსებობს თუ არა ნიშნები ბაზრის გეოგრაფიული დაყოფისთვის.

ანალიზი იყენებს საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირებისთვის კომისიის მიერ გაგზავნილ კითხვარზე პასუხად მიღებულ მონაცემებს. კითხვარის მიზანი იყო ფიქსირებულ ფართოზოლოვან ტექნოლოგიებს შორის არსებული (აბონენტების რაოდენობის სახით) და პოტენციური კონკურენციის (დაფარვის ზონაში არსებული პოტენციური აბონენტების ე.წ. „Premises Passed“) შესწავლა. კითხვარი გაეგზავნა ყველა ოპერატორს, რომელსაც ჰყავს 500-ზე მეტი აბონენტი, რაც ნიშნავს, რომ კითხვარის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია ფარავს ბაზრის 99%-ზე მეტს. ანალიზის მიზნებისთვის გეოგრაფიული ერთეულად განისაზღვრა „დასახლება“ (Settlement). ცნობილია, რომ მთელ საქართველოში 3,605-ამდე დასახლებაა.

კითხვარი მოიცავდა შემდეგ მონაცემებს:

1. ქსელში ჩართული შინამეურნეობების რაოდენობას (არსებული აბონენტების რაოდენობა);
2. დაფარული ფართების (Premises Passed) რაოდენობა (მოიცავს ფართების რაოდენობას, რომლებიც არ არიან ქსელში ჩართული და რომელთა დაკავშირება შესაძლებელია ოპერატორის მიერ განაცხადის მიღებიდან 7 დღის განმავლობაში ქსელის მოწყობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ხარჯების გარეშე);
3. პასიური ინფრასტრუქტურის გამოყენება (ელ. კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირების მიერ ინფრასტრუქტურის გაზიარება, ან კომუნალური მომსახურებების მიმწოდებელი კომპანიის პასიური ინფრასტრუქტურა (მაგალითად, ელექტროენერჯის მიმწოდებელი კომპანიის ბოძების ან წყალმომარაგების არხების გამოყენება).

კითხვარი მოიცავდა დეტალებს ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მისაწოდებლად გამოყენებული ტექნოლოგიების შესახებ:

1. ოპტიკურ-ბოჭკოვანი P2P (წერტილი-წერტილი) ფართოზოლოვანი კავშირი;
2. ოპტიკურ-ბოჭკოვანი P2MP (წერტილი-მრავალწერტილი) ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირი;
3. xDSL სპილენძის წყვილების გამოყენებით უზრუნველყოფილი ფართოზოლოვანი კავშირი, რომელსაც შეუძლია მინიმუმ 10 მბ/წმ ჩამოტვირთვის სიჩქარის უზრუნველყოფა;
4. კოაქსიალური ფართოზოლოვანი კავშირი;
5. FWA (ფიქსირებული უკაბელო კავშირი) ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირი, რომელსაც შეუძლია მინიმუმ 10 მბ/წმ ჩამოტვირთვის სიჩქარის უზრუნველყოფა,
6. ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირი მობილური ქსელის (LTE) გამოყენებით, რომელსაც შეუძლია მინიმუმ 10 მბ/წმ ჩამოტვირთვის სიჩქარის უზრუნველყოფა,
7. ნებისმიერი სხვა ფართოზოლოვანი ტექნოლოგია, რომელსაც შეუძლია მინიმუმ 10 მბ/წმ ჩამოტვირთვის სიჩქარის უზრუნველყოფა.

ასევე, კითხვარში მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია იმ იურიდიული პირი მომხმარებლების რაოდენობასთან დაკავშირებით (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც იყენებენ ფიზიკური პირების მომსახურების პაკეტებს (ძირითადად მცირე და საშუალო კომპანიები).

შევსებული კითხვარების შედეგები შედარებულ იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს¹ (საქსტატის), შინამეურნეობების და მოსახლეობის რაოდენობის მონაცემებთან. შინამეურნეობების შესახებ საქსტატის მონაცემები წარმოადგენს 2014 წელს განხორციელებული მოსახლეობის აღწერის შედეგებს. შესაბამისად, კვლევის მიზნებისთვის აღნიშნული მონაცემები განახლდა 2022 წლისთვის ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ელექტრონული სექტორის აბონენტების რაოდენობის შეფასებით.

ანალიზისთვის გამოყენებულ გეოგრაფიულ ერთეულს წარმოადგენს “დასახლება”. პროცედურების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული საზღვარი არის გეოგრაფიული არეალი, რომლის ფარგლებშიც ბაზრის პროდუქციულ სეგმენტზე წარმოდგენილი ავტორიზებული პირები ახორციელებენ საქმიანობას, კონკურენტული პირობები საკმარისად ერთგვაროვანია და რომელიც შესაძლებელია გამოირჩეოდეს მეზობელი გეოგრაფიული არეალებისგან, სადაც არსებითი კონკურენტული პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ამავე მუხლის მე-6 პუნქტი ასახავს კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ აღნიშნული გეოგრაფიული დასახლებები:

- ა) ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები იყოს საკმარისად მცირე, რათა თავიდან იქნეს აცილებული თითოეულ გეოგრაფიულ ერთეულში კონკურენტული პირობების მნიშვნელოვანი ვარიაციების არსებობა და საკმარისად დიდი, რათა თავიდან იქნეს აცილებული მიკრო ანალიზი, რომელიც მოითხოვს დიდ რესურსებს და შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის ფრაგმენტაცია;
- ბ) ასახულ იქნეს ყველა შესაბამისი ავტორიზებული პირის ქსელის სტრუქტურა;
- გ) ბაზრის გეოგრაფიულ სეგმენტს ჰქონდეს მკაფიო და სტაბილური საზღვრები დროის განსაზღვრულ პერიოდში, რომელიც გულისხმობს ბაზრის მიმდინარე ანალიზიდან ბაზრის შემდეგი ანალიზის დასრულებამდე პერიოდს.

ევროკავშირის ეროვნული მარეგულირებლების უმრავლესობამ გეოგრაფიული ანალიზი ჩაატარა ადმინისტრაციული ერთეულების (მაგალითად, რეგიონები, მუნიციპალიტეტები, დასახლებები) ან დომინანტი ოპერატორის ქსელის ტოპოლოგიის საფუძველზე. მაგალითად, გეოგრაფიულ ერთეულად შეიძლება იქნეს მიღებული ტერიტორია, რომელსაც ემსახურება ერთი MDF (ძირითადი განაწილების ჩარჩო²) ან ODF (ოპტიკური განაწილების ჩარჩო³). ქსელთან დაკავშირებული მეთოდოლოგიის მთავარ უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ საზღვრები ნაკლებად სტაბილურია დროთა განმავლობაში, მაგალითად, ქსელის ტოპოლოგია შეიძლება შეიცვალოს ტექნოლოგიის განახლების დროს.

საქართველოს შემთხვევაში მიზანშეწონილად ითვლება ადმინისტრაციული ერთეულების გამოყენება, ნაცვლად დომინანტი ოპერატორის ტოპოლოგიაზე დაფუძნებულ ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფისა. გეოგრაფიული სეგმენტაციის ამ მიდგომის უპირატესობაზე მიუთითებს ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები:

- ევროკავშირის ქვეყნებში ყველაზე მსხვილი ოპერატორი ხშირ შემთხვევაში, ყოფილი ისტორიული/საჯარო ქსელის ოპერატორია (incumbent), საქართველოს შემთხვევაში ეს ასე არ არის. სწრაფად მზარდმა ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ქსელებმა თითქმის სრულად ჩაანაცვლეს სპილენძის ქსელები, რაც იძლევა განსხვავებული ქსელის სტრუქტურას სპილენძზე დაფუძნებულ ქსელებთან შედარებით.

¹ Source: Geostat, the Georgian statistics agency www.geostat.ge

² <https://www.techopedia.com/definition/2233/main-distribution-frame-mdf>

³ <https://www.qsfptek.com/article/optical-distribution-frame-ODF-wiki>

- საქართველოში მსხვილი მოთამაშეების მიერ მცირე ზომის მოთამაშეების შერწყმა-შეძენა⁴ განხორციელდა და ეს შესაძლოა მომავალშიც გაგრძელდეს. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს ქსელის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილება ძალიან მოკლე დროში.
- ასევე შესაძლებელია, რომ არსებობდეს გეოგრაფიული არეალები, სადაც დომინანტი ოპერატორი საერთოდ არ ოპერირებს და მათზე წარმოდგენილი იყოს რამდენიმე მცირე ადგილობრივი ოპერატორი. აღნიშნული არეალები არ იქნება გათვალისწინებული ანალიზში, თუ გეოგრაფიული სეგმენტაცია დაფუძნებული იქნება დომინანტი ოპერატორის ქსელის გეოგრაფიულ განვითარებაზე.
- ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრების გამოყენებით მიღებული, უფრო სტაბილური გეოგრაფიული დაყოფა, საშუალებას იძლევა მომავალი ბაზრის ანალიზის შედეგები იყოს მარტივად შედარებადი.

ანალიზისთვის გათვალისწინებული ადმინისტრაციული ერთეულების ზომასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს აქვს გეოგრაფიული დაყოფა იმგვარად, რომ ერთეულები შედგება დასახლებული პუნქტისგან ან დასახლებული პუნქტების ჯგუფისგან. სულ რეგისტრირებულია 69 მუნიციპალიტეტი (2019 წლის იანვარი). ხუთი მუნიციპალიტეტი მთლიანად განლაგებულია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე. დარჩენილი 64 მუნიციპალიტეტი მოიცავს ხუთ თვითმმართველ ქალაქს და 59 თვითმმართველ თემს. ამ მუნიციპალიტეტებში 3,000-ზე მეტი დასახლებაა. ტიპური მუნიციპალიტეტი შედგება ცენტრისა და მისი მიმდებარე სოფლებისგან, რომლებიც შეიძლება იყოს საკმაოდ დაშორებული მუნიციპალიტეტის ცენტრიდან. ზოგიერთ შემთხვევაში სახეზეა პატარა ურბანული ცენტრები, რომლებიც გარშემორტყმულია სოფლის ტიპის, მეჩხერად დასახლებული ტერიტორიებით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის დონეზე გეოგრაფიული ერთეულის გამოყენების შემთხვევაში, პირობები არ იქნება საკმარისად ერთგვაროვანი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მცდარი დასკვნები. მაგალითად, შეიძლება მოხდეს, რომ ზოგიერთი დასახლება დაფარული იყოს A ოპერატორის მიერ, ზოგი B ოპერატორის მიერ, მუნიციპალიტეტის ცენტრი C და A ოპერატორებით, ხოლო ზოგიერთ დასახლებაში საერთოდ არ იყოს წარმოდგენილი ფიქსირებული ქსელი. მუნიციპალიტეტის დონეზე ანალიზის შემთხვევაში, კონკურენცია შეიძლება ეფექტური ჩანდეს, სამი კონკურენტი ოპერატორის ბაზარზე ოპერირების გამო, თუმცა რეალურად არ იყოს საკმარისად კონკურენტული გარემო დასახლებების დონეზე.

მოსახლეობა	დასახლების რაოდენობა	სულ მოსახლეობა	მოსახლეობის საშუალო რაოდენობა	შინამეურნეობების რაოდენობა	შინამეურნეობების საშუალო რაოდენობა
>1,000,000	1	1,108,717	1,108,717	464,688	464,688
100,000-200,000	3	425,577	141,859	140,196	46,732
50,000-100,000	0				
30,000-50,000	3	132,606	44,202	40,878	13,626
10,000-30,000	15	252,614	16,841	81,483	5,432

⁴ იხ. კომუნიკაციების კომისიის წლიური ანგარიში <https://comcom.ge/en/the-commission/annual-report>

5,000-10,000	30	203,666	6,789	65,754	2,192
2,000-5,000	143	417,324	2,918	117,844	824
1,000-2,000	279	388,322	1,392	112,409	403
1-1,000	2,835	750,919	265	228,723	81
	296 ⁵				
	3,605	3,679,745	1,021	1,251,975	347

ასევე, ზოგიერთ, განსაკუთრებით კი დიდ⁵ დასახლებებში, შესაძლოა არ იყოს ერთგვაროვანი კონკურენტული გარემო უბნების მიხედვით, თუმცა წინამდებარე კვლევის ფარგლებში კომისია მოკლებული იყო შესაძლებლობას დროის მოკლე პერიოდში მიეღო დიდი დასახლებების უფრო მცირე ერთეულების შესახებ საკმარისად ზუსტი ინფორმაცია.

ფიქსირებული ფართობოლოვანი ქსელის დაფარვის შეფასების მიზნებისთვის ძირითად ერთეულს წარმოადგენს შინამეურნეობა. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ერთ ბინაში ან სახლში ცხოვრობს ერთი კომლი. ეს ზოგჯერ ასე არ არის, თუმცა ამგვარი გამონაკლისებით გამოწვეული სტატისტიკური ცდომილება ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას ანალიზის შედეგზე. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა გეოგრაფიული ზონების შედარებისთვის, სატელეკომუნიკაციო სექტორში ფიქსირებულ ფართობოლოვან აბონენტებზე ინფორმაციის წარდგენისთვის ან შედარებისთვის, როგორც წესი, იყენებენ შინამეურნეობებს. (ეს განსხვავდება მობილური სიმკვრივის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენისა და შედარების აპრობირებული მეთოდისგან, რომელიც წარმოადგენს მობილური აბონენტების (SIM ბარათების) რაოდენობას მოსახლეობის ერთ სულზე).

იმის ნაცვლად, რომ გამოვიყენოთ „სახლები“ (ბინა ან კერძო სახლი), სასურველია, სადაც ეს შესაძლებელია, გამოვიყენოთ ტერმინი „ფართი“ (premise) (ბინა, ინდივიდუალური სახლი, შენობის ფართი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საცხოვრებელი ან საქმიანი მიზნებისთვის (ოფისი, მაღაზია, და ა.შ.)) როგორც ქსელის დაფარვის შეფასების ერთეული. ოპერატორებისგან გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზის პროცესში შესამჩნევი გახდა, რომ განსხვავება „სახლებსა“ და „ფართებს“ შორის ყოველთვის არ არის გამოკვეთილი. თუმცა, კვლევის ფარგლებში ამგვარი ცდომილებების გავლენა მინიმუმამდეა დაყვანილი.

გეოგრაფიული სეგმენტაციის ანალიზის ზოგადი აღწერა და მისი შეზღუდვები

გეოგრაფიული სეგმენტაციის ანალიზის მიზანია ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურებების მიმწოდებელი ოპერატორების ქსელებისა და ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის შეფასება საქართველოს ტერიტორიაზე. ამ ანალიზის შედეგები გამოყენებულია იმისათვის, რომ განისაზღვროს გეოგრაფიული ბაზარი და შემდგომ შეფასდეს კონკურენციის დონე ფიქსირებული ფართობოლოვანი დაშვების ბაზარზე საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ ერთეულში.

გამოყენებული მეთოდოლოგია

⁵ 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით აღნიშნულ დასახლებებში არ არის მითითებული მოსახლეობის რაოდენობა - <http://pop-stat.mashke.org/georgia-census2014.htm>

გეოგრაფიული ანალიზი ავასებს ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ტექნოლოგიებს, ოპერატორების მიხედვით თითოეულ დასახლებაში. უკაბელო დაშვების ტექნოლოგიებისთვის (FWA და ფიქსირებული LTE), კვლევის ფარგლებში მიჩნეულია, რომ ოპერატორი წარმოდგენილია დასახლებაში, თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე მინიმუმ ერთი აბონენტი იყენებს ამ ტექნოლოგიას.

აღნიშნული მეთოდით შეფასებისას თითოეულ დასახლებაში, სადაც ჩათვლება რომ მომსახურება ხელმისაწვდომია, მიიჩნევა, რომ დაფარვის ზონაში ექცევა დასახლებაში არსებული ყველა ოჯახი, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია დასახლების მხოლოდ ნაწილში იყოს კონკრეტული ქსელის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი. ასეთი სახის შეფასებამ შეიძლება გადაჭარბებული მაჩვენებელი მოგვცეს, თუმცა ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ დასახლების კონკურენტული გარემოს ანალიზის პროცესში გათვალისწინებული იქნება თითოეული ქსელი, რომელიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა დასახლებაში.

გეოგრაფიული ერთეულების განმარტება

კონკურენციის ანალიზის მიზნებისთვის მიზანშეწონილია ჩატარდეს სრული გეო-სეგმენტაციის ანალიზი, რათა დადგინდეს, თუ რომელი ქსელები და ტექნოლოგებია ხელმისაწვდომი თითოეული შინამეურნეობისთვის საქართველოში. ამ დონის გეო-სეგმენტაციის მონაცემები მიმდინარე ეტაპზე არ არის ხელმისაწვდომი. ეროვნულ დონეზე ქსელებისა და ტექნოლოგიების ანალიზი კი არ გამოავლენს კონკურენციის პრობლემებს საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში. შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ანალიზი ჩატარდეს დასახლების დონეზე.

საქართველოში ძალიან დიდი განსხვავებაა დასახლებებს შორის ზომების თვალსაზრისით, განსაკუთრებით ქალაქებსა და სოფლებს შორის. მათ შორის, თბილისიც მიიჩნევა ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად. როგორც უკვე აღინიშნა, შედარებით დიდი დასახლებების ფარგლებში (მაგალითად, როგორც არის თბილისი, ბათუმი, რუსთავი და ა.შ) არსებული რაიონების/უბნების მონაცემების შეგროვება მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული ამისთვის საჭირო დროის დიდი რესურსის და უზუსტობების მაღალი ალბათობის გამო.

დაფარვის განმარტება

იგულისხმება, რომ ოპერატორს, რომელიც წარმოდგენილია კონკრეტული დასახლების მხოლოდ ნაწილში, შეუძლია გააფართოვოს თავისი ქსელი დასახლებაში ან სულ მცირე დასახლების უფრო მჭიდროდ დასახლებულ ნაწილებში. აქედან გამომდინარე, მთელი დასახლება მიიჩნევა ოპერატორის მიერ დაფარულად თუ მას აღნიშნულ დასახლებაში ჰყავს ერთი აბონენტი მაინც.

ზოგიერთი დასახლება, სადაც ოპერატორი მიუთითებს, რომ აქვს უსადენო ტექნოლოგიის ქსელი, მაგრამ არ აფიქსირებს აბონენტების რაოდენობას, არ ითვლება დაფარულად.

თუ რამდენიმე ოპერატორი არის წარმოდგენილი ერთ დასახლებაში, იგულისხმება, რომ ყველა ეს ოპერატორი ფარავს დასახლებას სრულად.

ტექნოლოგიების თანაკვეთა

ვინაიდან სახლის მისამართის დონეზე მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი, ტექნოლოგიების გადაფარვა შეიძლება შეფასდეს მხოლოდ დასახლების დონეზე. დაფარვის ზემოაღნიშნული განმარტების მიხედვით, ჩათვლება, რომ დასახლებაში ფიქსირდება ქსელების გადაფარვა თუ თითოეული ამ ტექნოლოგიის ჭრილში წარმოდგენილია ერთი აბონენტი მაინც.

მონაცემთა სიზუსტე

კვლევის ფარგლებში ფიქსირებული ფართოზოლოვანი დაშვების ქსელებისა და ტექნოლოგიების დაფარვის მონაცემების შეგროვება საქართველოს ფარგლებში არსებული დასახლებების დონეზე მოხდა პირველად. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ იყოს გარკვეული შეცდომები მონაცემთა შეგროვების თვალსაზრისით, მაგრამ ძირითადად შეჯამებული მონაცემები შეესაბამება კომუნიკაციების კომისიის მიერ რეგულარულად შეგროვებულ მონაცემებს. კონკურენციის გეოგრაფიულ ანალიზში (იხ. თავი 9.3.4) ძირითადად გამოიყენება FTTx დაფარვის შესახებ მიღებული მონაცემები.


შინამეურნეობების მონაცემები მოპოვებულია საქსტატიდან (საქართველოს 2014 წლის აღწერის საფუძველზე, რომელიც ყველაზე ბოლო მონაცემია). შინამეურნეობების ზრდის შეფასება გაკეთდა ელექტრო მრიცხველების რაოდენობის საფუძველზე. ელექტრო მრიცხველების რაოდენობის გამოყენება მიზანშეწონილია იმის გამო, რომ როგორც წესი, თითოეულ ოჯახს აქვს ელექტროენერჯის ერთი მრიცხველი.

3.1.1 შედეგები

კომისიის მიერ წინამდებარე კვლევის ფარგლებში განხორციელებული გეოგრაფიული ანალიზის მიზნებისთვის ინფორმაციის მიღება მოხდა ოპერატორებისგან, რომლებიც ჯამურად ემსახურებიან ბაზარზე არსებული აბონენტების 93%-ს, ამასთან, FTTx, xDSL და ფიქსირებული უსადენო (FWA) ქსელების აბონენტების 96%-ს, 83%-ს და 70%-ს შესაბამისად.

2014 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოში 1 109 222 შინამეურნეობა და 3 716 900 მუდმივი მაცხოვრებელი მოსახლეა. მოსახლეობის სიმჭიდროვე მერყეობს თბილისის მჭიდროდ დასახლებული ქალაქის ცენტრალური და ქალაქის მიმდებარე ტერიტორიებიდან თითქმის დაუსახლებელ მთიან რაიონებამდე, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზეა ნაჩვენები.

სურათი 1 მოსახლეობის სიმჭიდროვის რუკა 2014 წლის აღწერიდან



წყარო: <https://demotrends.org/2020/01/20/population-change-in-georgia-from-1990-to-2018/>

დაფარული ფართობის (დაფარვის ზონაში არსებული) შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა ყველა ოპერატორმა ცალ-ცალკე. ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე ფართი დაფარულია ერთზე მეტი ინფრასტრუქტურით, ამიტომ ასეთი დაფარული ფართები შესაძლოა მონაცემებში ასახული იყოს

რამდენჯერმე. აღნიშნული წარმოადგენს იმის მიზეზს, რომ ამ ნაწილში მოცემული შედეგების მიხედვით, დაფარული ფართების საერთო რაოდენობა საქართველოში შინამეურნეობების საერთო რაოდენობაზე მეტია.

დაფარვის გეოგრაფიული ანალიზი ხორციელდება მთელი რიგი კრიტერიუმების გათვალისწინებით, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ტერიტორიაზე კონკურენციის განსხვავებული დონე სხვადასხვა ინფრასტრუქტურას შორის. შემდგომ ეტაპზე განხორციელდება დეტალური გეოგრაფიული სეგმენტაცია. ამ თავში კი, წარმოდგენილია მხოლოდ ინფრასტრუქტურის დაფარვის მიმოხილვა (კითხვარის შედეგების გამოყენებით). ეს მიმოხილვა არ უნდა ჩაითვალოს, ბაზრის შემდგომი განსაზღვრის წინასწარ შეფასებად (თავი 4.5).

საწყის ეტაპზე განიხილება ყველა ხელმისაწვდომი ფიქსირებული ფართობოლოვანი ინფრასტრუქტურა, მიუხედავად იმისა, კვლევის შემდეგ ეტაპზე, საბითუმო ბაზრების განსაზღვრისას იქნება თუ არა ყველა ეს ინფრასტრუქტურა იგივე ფიქსირებული ფართობოლოვანი დაშვების ბაზრის ნაწილი. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ანალიზში ჩართულია დასახლებები, სადაც წარმოდგენილია მინიმუმ ერთი აქტიური აბონენტი, მიუხედავად ტექნოლოგიისა.

დასახლებები იყოფა ოთხ კატეგორიად:

- წარმოდგენილია 3 ან მეტი ოპერატორი,
- წარმოდგენილია 2 ოპერატორი,
- წარმოდგენილია 1 ოპერატორი,
- ოპერატორი არ არის წარმოდგენილი

თბილისის მოსახლეობა წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის 30%-ზე მეტს, ამიტომ შემდეგ ცხრილებში (სადაც საჭიროა) ცალკე სტრიქონებია გამოტანილი მხოლოდ თბილისის მონაცემებით. მაგალითად, ცხრილი 2-ში, თბილისი შედის როგორც პირველ სტრიქონში წარმოდგენილ მონაცემებში (დასახლებები სადაც წარმოდგენილია 3 ან მეტი ოპერატორი), ასევე, გამოტანილია ცალკე, დამატებით ორ სტრიქონში, სადაც წარმოდგენილია 3 ან მეტი ოპერატორი, აბონენტების რაოდენობა ნაწილდება შემდეგნაირად: 425,610 თბილისში, ხოლო 440,696 სხვა 473 დასახლებაში.

ანალიზის ამ ნაწილისთვის მნიშვნელოვანია არა ოპერატორის ზომა, არამედ მხოლოდ მისი არსებობა დასახლებაში (ერთი აბონენტის მაინც). მიჩნეულია, რომ ოპერატორი წარმოდგენილია დასახლებაში იმ შემთხვევაშიც, როდესაც დასახლების მხოლოდ მცირე ნაწილია დაფარული ამ ოპერატორის მიერ. მიდგომა ეფუძნება გარემოებას, რომ როგორც წესი, ოპერატორისთვის, დასახლებაში შესვლის საწყისი ღირებულება მაღალია და ბაზარზე შესვლის შემდგომ ქსელის დაფარვის გაფართოება უფრო მარტივია.

ცხრილი 2 აქტიური ოპერატორები დასახლებებში

ოპერატორების რაოდენობა	დასახლებების რაოდენობა	შინამეურნეობების რაოდენობა დასახლებაში	მთლიანი შინამეურნეობების %	მოსახლეობა	აბონენტების რაოდენობა
3 ან მეტი	474	957,053	76.4	2,682,727	866,306
2	607	119,539	9.5	411,791	56,725
1	1,104	114,612	9.2	391,704	33,896
0	1,420	60,771	4.9	193,523	0
სულ	3,605	1,251,975	100.0	3,679,745	956,927


თბილისი (3)	1	464,688	37.1	1,108,717	425,610
სხვა (3)	473	492,365	39.3	1,574,010	440,696

წყარო: დაფარვის შესახებ კითხვარით ოპერატორებისგან მიღებული პასუხები

ფიქსირებული ფართოზოლოვანი ქსელის სიმკვრივე (აქტიური აბონენტების რაოდენობა ერთ შინამეურნეობაზე დასახლებაში) ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (დიაგრამა 3). სიმკვრივის მაჩვენებელი მოიცავს ყველა ფიქსირებულ ფართოზოლოვან ტექნოლოგიას, რომელიც გამოიყენება საბოლოო მომხმარებლის ჩასართავად.

დაფარვის შემდეგ დიაგრამებზე (როგორც ამ თავში, ასევე შემდეგ თავებში) სიმკვრივე ყველაზე მაღალია იმ დასახლებებში, სადაც ყველაზე მეტი ოპერატორია წარმოდგენილი (3 ან მეტი). ზოგიერთ დასახლებაში სიმკვრივის მაჩვენებელი 100%-ზე მეტია. აღნიშნულ გარემოებას ადგილი აქვს იმ მიზეზით, რომ ოჯახების ნაწილს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს ერთზე მეტ ქსელში. იმ დასახლებებში, რომლებიც არ არის დაფარული ფიქსირებული ფართოზოლოვანი ქსელით, სიმკვრივის მაჩვენებელი შეადგენს 0%.

დიაგრამა 3 ფიქსირებული ფართოზოლოვანი სიმკვრივე და დაფარვა



წყარო: ოპერატორების მიერ შევსებული კითხვარი დაფარვის შესახებ

შინამეურნეობების მნიშვნელოვანი უმრავლესობა 76.6% წარმოდგენილია იმ დასახლებებში, რომლებზეც ოპერირებს სამი ან მეტი ოპერატორი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დაფარვა შეიძლება ხორციელდებოდეს ნებისმიერი ქსელური ტექნოლოგიის გამოყენებით, ასე რომ შესაძლებელია, მაგალითად, დასახლების ზოგიერთი ნაწილი დაფარული იყოს ფიქსირებული უსადენო ტექნოლოგიით (FWA) და სხვა ნაწილები FTTx ან xDSL-ით, რომლებიც შესაძლოა არ

ფარავდეს ერთმანეთს. საქართველოში შინამეურნეობების თითქმის 5% ცხოვრობს დასახლებებში, სადაც არც ერთი ოპერატორი არ არის წარმოდგენილი და შესაბამისად, მათთვის ამჟამად შეუძლებელია ფიქსირებული ფართობოლოვანი სერვისის მიწოდება.

3.1.1.1 დასახლებები, რომლებზეც მინიმუმ ერთი FTTx აბონენტი წარმოდგენილი.

დასახლებები დაყოფილია ოთხ ჯგუფად:

- წარმოდგენილია 3 ან მეტი FTTx ოპერატორი,
- წარმოდგენილია 2 FTTx ოპერატორი,
- წარმოდგენილია 1 FTTx ოპერატორი,
- ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ოპერატორი არ არის წარმოდგენილი.


დაფარული ფართების აღრიცხვა განხორციელდა FTTx ტექნოლოგიისთვის ჯამურად, ვინაიდან ოპერატორებმა არ წარმოადგინეს ინფორმაცია P2P და P2MP ქსელებით დაფარული შინამეურნეობების შესახებ ცალ-ცალკე. მე-4 ცხრილში ასახულ 2,611 დასახლებაში არ ხორციელდება ინტერნეტ მომსახურების მიწოდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით, თუმცა, აღნიშნულ დასახლებებში წარმოდგენილი შინამეურნეობების რაოდენობა მთლიანი შინამეურნეობების მხოლოდ 15.3%-ს შეადგენს.

ცხრილი 4 აქტიური FTTx ოპერატორები დასახლებებში

ოპერატორების რაოდენობა	დასახლებების რაოდენობა	შინამეურნეობების რაოდენობა	მთლიანი შინამეურნეობების %	მოსახლეობა	აბონენტი
3	45	749,153	59.8	1,987,448	711,802
2	182	110,539	8.8	360,059	70,030
1	767	200,842	16.0	696,003	109,535
0	2,611	191,442	15.3	636,235	0
სულ	3,605	1,251,975	100.0	3,679,745	891,367
თბილისი (3)	1	464,688	37.1	1,108,717	414,183
სხვა (3)	44	284,465	22.7	878,731	297,619

წყარო: ოპერატორების მიერ შევსებული კითხვარი დაფარვის შესახებ

ცხრილი 5. აქტიური FTTx ოპერატორები დასახლებებში



წყარო: ოპერატორების მიერ შევსებული კითხვარი დაფარვის შესახებ

იმ 45 დასახლებაში, სადაც სამი ან მეტი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელია წარმოდგენილი, შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებელი მთლიანი შინამეურნეობების 59.8%-ია. ამ შედეგზე ყველაზე დიდი გავლენა აქვს თბილისს, რომელზეც საქართველოს მთლიანი შინამეურნეობების მნიშვნელოვანი წილი მოდის.

3.1.1.2 ტექნოლოგიების გადაფარვა

დაფარვის ანალიზის ამ ნაწილში განხილულია, თუ რა სახის ტექნოლოგიები გამოიყენება საბოლოო მომხმარებლებისთვის ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მისაწოდებლად. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით დაფარვა საქართველოში შედარებით მაღალია ევროკავშირის ბევრ ქვეყანასთან შედარებით. გარდა ამისა, არსებობს ალტერნატიული ტექნოლოგიები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ფიქსირებული ფართობოლოვანი მომსახურების შეთავაზება საქართველოში არსებული აბონენტებისთვის (FWA და xDSL).


ცხრილი 6. FTTx ქსელების და სხვა ტექნოლოგიების (FWA, სპილენძი) გადაფარვა

ტექნოლოგია	დასახლების რაოდენობა	შინამეურნეობების რაოდენობა	მთლიანი შინამეურნეობების %	მოსახლეობა	აბონენტი
მხოლოდ FttX	247	48,340	3.9	178,308	27,163
FttX + xDSL + FWA	99	803,573	64.2	2,156,162	776,338
FttX + xDSL	9	2,647	0.2	8,824	2,478
FttX+FWA	639	205,974	16.5	700,216	120,193
FttX-ის გარეშე	2,611	191,442	15.3	636,235	30,755
სულ	3,605	1,251,975	100.0	3,679,745	956,927

თბილისი FttX + xDSL + FWA	1	464,688	37.1	1,108,717	425,610
სხვა FttX + xDSL + FWA	98	338,885	27.1	1,047,445	350,728

წყარო: ოპერატორების მიერ შევსებული კითხვარი დაფარვის შესახებ

ცხრილი 7. ტექნოლოგიების დაფარვა – FTTx სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით



წყარო: პასუხები დაფარვის შესახებ კითხვარზე

დასახლებების რაოდენობა, სადაც მხოლოდ FTTx ტექნოლოგია არის წარმოდგენილი, მცირეა. ზოგიერთი ტერიტორია, რომელზეც FTTx არ არის წარმოდგენილი ფართო და მეჩხერად დასახლებულია. სპილენძის xDSL ქსელები კვლავ წარმოდგენილია ძირითადად ქალაქებში.

ცხრილი 8. xDSL ქსელების გადაფარვა სხვა ტექნოლოგიებთან მიმართებაში (FWA, FTTx)


ტექნოლოგია	დასახლების რაოდენობა ⁷	შინამეურნეობების რაოდენობა	მთლიან შინამეურნეობების %	მოსახლეობა	აბონენტი
მხოლოდ xDSL	17	1,179	0.1	4,670	156
xDSL + FttX + FWA	99	803,573	64.2	2,156,162	776,338
xDSL + FttX	9	2,647	0.2	8,824	2,478
xDSL+FWA	31	5,917	0.5	22,466	2,019
xDSL გარეშე	3,449	438,659	35.0	1,487,623	175,936

⁷ ოპერატორების მხრიდან გამოთხოვილი ინფორმაცია, რომელიც მოიცავს დასახლებებს, რომელშიც წარმოდგენილია კონკრეტული ტექნოლოგია შეიძლება არ იყოს კომისიის ელექტრონულ სტატისტიკურ ფორმებში წარმოდგენილი დასახლებების რაოდენობის შესადარისი რადგან ფორმებში წარმოდგენილი დასახლებები ოპერატორების მხრიდან არ არის ასახული იმავე დეტალიზაციით, როგორც ეს გამოთხოვილ იქნა ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის ანალიზისთვის.

სულ	3,605	1,251,975	100.0	3,679,745	956,927
თბილისი xDSL + FttX + FWA	1	464,688	37.1	1,108,717	425,610
სხვა xDSL + FttX + FWA	98	338,885	27.1	1,047,445	350,728

წყარო: პასუხები დაფარვის შესახებ კითხვარზე

დიაგრამა 9. ტექნოლოგიის გადაფარვა - xDSL სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით



წყარო: პასუხები დაფარვის შესახებ კითხვარზე

ევროკავშირის მრავალი ქვეყნისგან განსხვავებით, იმ დასახლებების რაოდენობა დაბალია, რომლებზეც მხოლოდ xDSL ტექნოლოგიაა განლაგებული (მთლიანი შინამეურნეობების დაახლოებით 0.1%). xDSL ქსელები, შესაბამისად, თითქმის 100%-ით გადაფარულია FTTx და FWA ქსელებით. ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში საქართველოში xDSL ქსელით მომსახურების მიწოდება აღარ არის მოსალოდნელი. .


ცხრილი 10. FWA ქსელების დაფარვა სხვა ტექნოლოგიებთან მიმართებაში (ოპტიკურ-ბოჭკოვანი, სპილენძი)

ტექნოლოგია	დასახლების რაოდენობა	შინამეურნეობების რაოდენობა	მთლიან შინამეურნეობების %	მოსახლეობა	აბონენტი
მხოლოდ FWA	1,133	121,153	9.7	408,432	28,340
FWA + xDSL + FttX	99	803,573	64.2	2,156,162	776,338
FWA+ FttX	639	205,974	16.5	700,216	120,193
FWA + xDSL	31	5,917	0.5	22,466	2,019
FWA გარეშე	1,703	115,359	9.2	392,469	30,037
სულ	3,605	1,251,975	100.0	3,679,745	956,927

თბილისი FWA + xDSL + FttX	1	464,688	37.1	1,108,717	425,610
სხვა xDSL + FttX + FWA	98	338,885	27.1	1,047,445	350,728

წყარო: პასუხები დაფარვის შესახებ კითხვარზე

დიაგრამა 11. ტექნოლოგიების გადაფარვა FWA სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით



წყარო: პასუხები დაფარვის შესახებ კითხვარზე

დასახლებებში, სადაც მხოლოდ ერთი ტექნოლოგიაა წარმოდგენილი FWA-ს აქვს ყველაზე მაღალი დაფარვა - შინამეურნეობების 9.7%, FTTx-ის და xDSL-ის ანალოგიურმა მაჩვენებელმა 3.9% და 0.1% შეადგინა შესაბამისად. აღნიშნული შედეგი მოსალოდნელი იყო, რადგან FWA ტექნოლოგია ჩვეულებრივ გამოიყენება უფრო მეჩხერად დასახლებულ გეოგრაფიულ რაიონებში, რადგან აღნიშნული ქსელის მოწყობა უფრო დაბალ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. FWA ტექნოლოგია ასევე გამოიყენება უფრო მჭიდროდ დასახლებულ გეოგრაფიულ დასახლებებშიც, მაგალითად, ისეთებში, როგორებიცაა თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და რუსთავი, თუმცა ამ ადგილებში FWA არ წარმოადგენს ერთადერთ ტექნოლოგიას.

3.1.1.3 განსხვავებები ქალაქებსა და სოფლებს შორის

საქართველოს სოფლებში მოსახლეობის სიმჭიდროვე მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე ქალაქებში. ზოგიერთ უფრო შორეულ მაღალმთიან რაიონში მოსახლეობის ძალიან დაბალი რაოდენობაა.

საქართველოში ზოგიერთ დასახლებას აქვს ქალაქის სტატუსი, თუმცა, მათი მოსახლეობა 5,000 მოსახლეზე ნაკლებია. ყველაზე მეტად დასახლებულ სოფელში მოსახლეობა ოთხჯერ მეტია, ვიდრე ყველაზე ნაკლებად დასახლებულ ქალაქში. ამ ანალიზის მიზნებისთვის, „ურბანულ“ დასახლებად მიჩნეულია ის დასახლებები, სადაც 10,000-ზე მეტი მოსახლეა.

თბილისი არის საქართველოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და ეკონომიკურად, შედარებით ყველაზე მდიდარი რეგიონი, ამიტომ აქვს სატელეკომუნიკაციო ქსელების ყველაზე მეტი დაფარვა, მათ შორის FTTx ქსელების ოთხი პროვაიდერი, xDSL ქსელების ორი პროვაიდერი, FWA ქსელების ორი მცირე პროვაიდერი (მათგან ერთ-ერთი LTE ტექნოლოგია). FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების საშუალო რაოდენობა შინამეურნეობაზე თბილისში 0,9 არის.

მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით სიდიდით მომდევნო სამ ქალაქში თითოეულს 100,000-ზე მეტი მოსახლე ჰყავს - ბათუმი, ქუთაისი და რუსთავი. თითოეულ ამ ქალაქში ოპერირებს FTTx ქსელების სამი ან მეტი პროვაიდერი, xDSL ქსელის მინიმუმ ერთი პროვაიდერი და მინიმუმ ერთი FWA ქსელი. საშუალოდ ამ სამ ქალაქში FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობა შინამეურნეობაზე 1.2 არის.

საქართველოში არ არის ქალაქები მოსახლეობის რაოდენობის დიაპაზონით 50,000-დან 100,000-მდე.

სამი ქალაქი 40,000-დან 50,000-მდე მოსახლეობით, წარმოდგენილია იგივე ტექნოლოგიის ქსელებით, როგორც ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში. ამასთან, აღნიშნულ ქალაქებში წარმოდგენილია სამი ან მეტი ოპერატორი FTTx ქსელებით, მინიმუმ ერთი xDSL ქსელის და ერთი FWA ქსელის პროვაიდერი. FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების საშუალო რაოდენობა შინამეურნეობაზე 0,9 არის.

მცირე ქალაქებში, რომელთა მოსახლეობა 10,000-დან 30,000-მდეა, მინიმუმ ერთი FTTx ქსელი (ზოგადად ორი ან სამი) , ერთი xDSL და FWA ქსელის პროვაიდერები არიან წარმოდგენილი. ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების საშუალო რაოდენობა შინამეურნეობაზე კვლავ იგივეა, რაც ქალაქებში 40,000-დან 50,000 მოსახლემდე (0,9).

5,000-დან 10,000-მდე მოსახლეობით დასახლებულ პუნქტებში მინიმუმ ერთი FTTx ქსელია წარმოდგენილი, მაგრამ ყველა მათგანი არ არის დაფარული xDSL ან FWA ქსელებით. FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების საშუალო რაოდენობა შინამეურნეობაზე 0.6-ია.

2,000-დან 5,000-მდე მოსახლეობით წარმოდგენილ ყველა დასახლებას არ გააჩნია FTTx ქსელი (143 დასახლებიდან 13 წარმოდგენილია FTTx ქსელის გარეშე, მაგრამ ასევე არსებობს 8 დასახლება, რომელზეც ოპერირებს 3 FTTx ქსელი). ერთ დასახლებაში (სოფელი ყარაჯალა) რომელიც მოსახლეობის ამ დიაპაზონით არის წარმოდგენილი არ ოპერირებს არც ერთი ფიქსირებული ქსელის პროვაიდერი. ეს დასახლება საქართველოში ყველაზე დიდი დასახლებაა ფიქსირებული ფართოზოლოვანი დაშვების ქსელის გარეშე და მასზე წარმოდგენილია 4,891 მოსახლე (2014 წლის აღწერის მონაცემებით). 2,000-დან 5,000-მდე მოსახლეობით დასახლებულ პუნქტებში FTTx ფართოზოლოვანი აბონენტების რაოდენობა საშუალოდ შინამეურნეობაზე 0,5-ს შეადგენს.

1,000-დან 2,000-მდე მოსახლეობის დიაპაზონით წარმოდგენილი დასახლებული პუნქტების თითქმის მესამედს (279 დასახლებული პუნქტიდან 84) არ გააჩნია FTTx დაფარვა და 11 მათგანზე საერთოდ არ ხორციელდება ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების მიწოდება. ამ ზომის დასახლებებში, სადაც FTTx ტექნოლოგია წარმოდგენილია, შინამეურნეობების დაახლოებით 40% სარგებლობს მომსახურებით ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის გამოყენებით.

1,000-ზე ნაკლები მოსახლეობით წარმოდგენილი დასახლებების მნიშვნელოვანი უმრავლესობა არ არის დაფარული FTTx ქსელებით (2,247 დასახლებული პუნქტი 2,835-დან). ოჯახების მხოლოდ 17% არის FTTx-ის ტექნოლოგიის მომხმარებელი. არსებობს 296 დასახლება, სადაც მოსახლეობა არ არის მითითებული (2014 წლის აღწერის მიხედვით), თუმცა მათგან 29-ში წარმოდგენილია FTTx აბონენტი.

ცხრილი 12. FTTx დაფარვის ინდიკატორები, რომლებიც დამოკიდებულია დასახლების ზომაზე

მოსახლეობის რაოდენობა (დიაპაზონი დან-მდე)	დასახლების რაოდენობა	დასახლება 3 ან მეტი FttX პროვაიდერით	დასახლება FTTx -ს გარეშე	ჩართული შინამურნეობები
1,000,000	1	1	0	0.9
100,000 - 200,000	3	3	0	იხ.შენიშვნა
50,000 - 100,000	0	0		
30,000 - 50,000	3	3	0	0.9
10,000 - 30,000	15	13	0	0.9
5,000 - 10,000	30	7	0	0.6
2,000 - 5,000	143	8	13	0.5
1,000 - 2,000	279	7	84	0.4
1 - 1,000	2,835	3	2,247	0.2
სულ / საშუალოდ	3,309	45	2,344	0.70

წყარო: პასუხები დაფარვის შესახებ კითხვარზე

შენიშვნა: ქალაქებში 100,000-დან 200,000-მდე მოსახლეობით შედის რუსთავი, ბათუმი და ქუთაისი. ამ 3 ქალაქისთვის დამატებით სირთულეს წარმოადგენს ჩართული შინამურნეობების თანაფარდობის განსაზღვრა შინამურნეობებთან. ჩართული შინამურნეობებისთვის გამოყენებული საბაზისო მონაცემები აღებულია ოპერატორების მიერ წარმოდგენილი მონაცემებიდან. შინამურნეობების რაოდენობა მიღებულია საქსტატიდან, სადაც შინამურნეობების მონაცემები ბოლოს 2014 წელს შეგროვდა.⁸ ბათუმი ტურისტული ზონაა, სადაც ზოგიერთი სახლი არ არის დაკავებული მთელი წლის განმავლობაში და ეს შინამურნეობები არ შედის საქსტატის მიერ დათვლილი აღწერის მონაცემებში. ბათუმში ჩართული შინამურნეობების თანაფარდობა შინამურნეობების მთლიან რაოდენობასთან 1.28-ს შეადგენს, რაც, სავარაუდოდ, ასახავს იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი შინამურნეობა არ შედის ქალაქის შინამურნეობების რაოდენობაში. ქუთაისში ჩართული შინამურნეობების თანაფარდობა შინამურნეობების მთლიან რაოდენობასთან 0,97-ია. რუსთავისთვის განხორციელდა საქსტატის 2014 წლის აღწერით წარმოდგენილ შინამურნეობებთან დაკავშირებული მონაცემების განახლება და მოსახლეობის ზრდაზე დაყრდნობით უფრო რეალისტური შეფასების მიღება 2022 წლის მდგომარეობით. შინამურნეობების ამ მაღალი შეფასებითაც კი, ოპერატორების მიერ წარმოდგენილი მონაცემების გათვალისწინებით რუსთავში ჩართული შინამურნეობების შეფარდება შინამურნეობების ჯამურ მაჩვენებელთან 1.29 არის.

3.1.1.4 დასკვნები

საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების უმრავლესობა დაკავშირებულია FTTx ქსელთან (91%)⁹. ყველა ქალაქს, სადაც 40,000-ზე მეტი მოსახლეა, ჰყავს FTTx ქსელების მინიმუმ სამი მიმწოდებელი. ამ დაფარვის ანალიზში ჩვენ

⁸ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>

⁹ კომუნიკაციების კომისიის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული ფართოზოლოვანი და ოპტიკურ-ბოჭკოვანი აბონენტების საერთო რაოდენობა ოდნავ განსხვავდება ოპერატორებისთვის გაგზავნილი კომისიის კითხვარის მიერ დასახლების დონეზე შეგროვებული მონაცემებისგან მიღებული მაჩვენებლებისაგან. ეს იმიტომ ხდება, რომ მცირე ოპერატორებს, რომელთა საერთო რაოდენობა 100-ზე ნაკლებია, არ იყო ვალდებული წარმოედგინა დაფარვის მონაცემები, შესაბამისად, ზევრმა მცირე ოპერატორმა 100-ზე მეტი აბონენტი არ წარმოადგინა კითხვარით განსაზღვრული მონაცემები.

შევაფასეთ მხოლოდ ქსელისა და ტექნოლოგიების დაფარვა და არა ბაზრის შედარებითი ზომები და ცალკეული ოპერატორების და სხვადასხვა ტექნოლოგიების ათვისების მაჩვენებელი. ამ ქსელის დაფარვის შედეგად მიღებული შედარებითი საბაზრო პოზიციები წარმოდგენილი იქნება კონკურენციის ანალიზის შემდგომ ნაწილში(თავში 4).

LTE ტექნოლოგია მოიცავს ყველა დასახლებას 2,000-ზე მეტი მოსახლეობით (ამ დასახლებების ნაწილს მაინც ერთი ოპერატორი ფარავს). ამ მხრივ LTE ქსელებს აქვთ ტექნიკური შესაძლებლობა უზრუნველყონ თითქმის უნივერსალური ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირი საქართველოში. თუმცა, ქართული მობილური ოპერატორები ზოგადად არ იყენებენ თავიანთ LTE ქსელებს აბონენტებისთვის ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისის შეთავაზებისთვის¹⁰.

გეოგრაფიული დაფარვისა და პენეტრაციის თვალსაზრისით, xDSL-ს აქვს ყველაზე დაბალი წილი, მას შემდეგ ყველაზე დაბალი წილი FWA-ს აქვს, ხოლო FTTx-ის ეს მაჩვენებლები ყველაზე მაღალია. LTE ქსელის დაფარვა ეროვნულია (ქვეყნის მასშტაბის), მაგრამ ფიქსირებული ფართოზოლოვანი დაშვებისთვის მისი დაფარვის მაჩვენებელი ყველა ტექნოლოგიას შორის ყველაზე დაბალია.

სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა ფიქსირებული ფართოზოლოვანი ქსელების გადაფარვა გავლენას ახდენს კონკურენციაზე. გადაფარვის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება დასახლებების ფარდობითი ზომების მიხედვით. ყველა დასახლებას, სადაც 40,000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, ჰყავს FTTx ქსელების მინიმუმ სამი პროვაიდერი, ასევე, ფიქსირდება FWA და xDSL ქსელები. ამ დასახლებებში თითოეულ ოჯახს ხელი მიუწვდება ერთი მაინც FTTx ქსელზე, ხოლო ფაქტობრივი პენეტრაცია 90%-ს აღემატება.

ახლო წარსულში ინვესტიციების უმეტესი ნაწილი FTTx ქსელების მოწყობისკენ იყო მიმართული. იყო მხოლოდ შეზღუდული ინვესტიციები FWA-ში და საერთოდ არ განხორციელებულა სპილენძზე დაფუძნებულ xDSL ქსელებში. ამიტომ მოსალოდნელია, რომ FTTx ქსელების დაფარვის მაჩვენებელი გაიზრდება, ხოლო სხვა ტექნოლოგიები თანდათან შემცირდება ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში.

რეალურ გამოწვევად რჩება საქართველოსთვის ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირის უზრუნველყოფა მცირე სოფლებისთვის, მაშინ როდესაც ინტერნეტ პროვაიდერებისთვის არ არსებობს ეკონომიკური სტიმული ქსელები განავითარონ ასეთ ლოკაციებზე.

3.2 საქართველოში არსებული მდგომარეობა ფიქსირებულ ფართოზოლოვან საცალო მომსახურებებთან დაკავშირებით

ამ თავში მოყვანილია საქართველოში არსებული ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ბაზარზე არსებული ვითარების წინასწარი ანალიზი ბაზრის განსაზღვრის პროცესის ფარგლებში ჩანაცვლებადობის ანალიზის ჩატარებამდე. საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU-ს) განმარტებით¹¹ ინტერნეტ მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს 2 მბ/წმ-ზე მაღალ სიჩქარეს განიხილება, როგორც ფართოზოლოვანი მომსახურება.

წინასწარი ანალიზი ეფუძნება ავტორიზებული პირების მიერ კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონულ ფორმებში რეგულარულად წარმოდგენილ მონაცემებს. გარკვეულ შემთხვევებში განხორციელდა მონაცემების დაზუსტება ან დამატებითი მონაცემების გამოთხოვა.

¹⁰ 2022 წლის დეკემბერში საქართველოში მხოლოდ 4984 ფიქსირებული LTE აბონენტია აღრიცხული

¹¹ <https://www.itu.int/en/ITU-T/committees/scv/Documents/T17-SCV-LS-0015.pdf>

3.2.1 მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფისთვის მიწოდებული ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებების ურთიერთდამოკიდებულება

პირველ რიგში, საჭიროა ინტერნეტ მომსახურების სტანდარტული შეთავაზებების საცალო მასობრივი სეგმენტი გაიმიჯნოს საბოლოო მომხმარებელზე მორგებული, ინდივიდუალური, მაღალი ხარისხის ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების შეთავაზებებისგან. მასობრივი სეგმენტზე არსებული შეთავაზებები გათვლილია ყველა ტიპის ფიზიკურ პირ მომხმარებელზე და ასევე, მცირე და საშუალო იურიდიულ პირებზე. ინდივიდუალური შეთავაზებების მიწოდება ხორციელდება იმ იურიდიული პირებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ უფრო რთული სატელეკომუნიკაციო საჭიროებები, მაგალითად, დიდი, მულტილოკაციური ბიზნესები და კომპანიები მიწოდების კომპლექსური ჯაჭვით. ინდივიდუალური შეთავაზებები, ხშირ შემთხვევაში აერთიანებს ფიქსირებულ ფართოზოლოვან მომსახურებას, მობილურ მომსახურებებთან და სხვა, მათთან დაკავშირებულ IT სერვისებთან, რაც უზრუნველყოფს კომპანიის შიდა ქსელების გამართულ და უსაფრთხო მუშაობას და უზრუნველყოფს საიმედო ტელეკომ კავშირს თავიანთი საქმიანობისთვის. ამგვარი კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია აბონენტთა მომსახურების ხარისხი, ჰქონდეთ ერთ საკონტაქტო წერტილი სატელეკომუნიკაციო ოპერატორთან, ისარგებლონ პერსონალური მენეჯერის მომსახურებით, რომელიც პასუხისმგებელია მომსახურების ყველა ეტაპზე - მომსახურების საწყის შერჩევაზე, გაყიდვის შემდგომ მომსახურებაზე, პრობლემების მოგვარებასა და ანგარიშსწორების პროცესზე.

იურიდიული პირი აბონენტებისთვის შეთავაზებული ინდივიდუალური, მაღალი ხარისხის მომსახურებები, როგორც წესი, ითვალისწინებს ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მიწოდებას გამოყოფილი არხებით (მაგალითად, გამოყოფილი არხები ატვირთვისა და ჩამოტვირთვის სიმეტრიული სიჩქარით), რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ბიზნეს ლოკაციების დასაკავშირებლად. ასეთი მაღალი ხარისხის სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი მიწოდების საშუალებები:

- ტრადიციული ციფრული გამოყოფილი არხები (SDH¹², PDH¹³);
- ეზერნეტ¹⁴ არხები;
- ე.წ. Wavelength access (xWDM¹⁵);
- ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირი გაუნათებელი ოპტიკური ძარღვით¹⁶.

ინდივიდუალურ მოთხოვნებზე მორგებული ინტერნეტ მომსახურების მიწოდება გამოყოფილი არხებით, მოითხოვს სპეციალიზებული კვალიფიკაციის მქონე პერსონალს. ამიტომ მიჩნეულია, რომ არ არსებობს მიწოდების მხარის ჩანაცვლებადობა იურიდიული პირებისთვის შეთავაზებულ ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინდივიდუალურ მოთხოვნებზე მორგებულ ბიზნეს სერვისებსა და მასობრივ ბაზარზე წარმოდგენილ ფიქსირებულ ფართოზოლოვან მომსახურებებს შორის.

შესაბამისად, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზარი ამ შედარებით მცირე რაოდენობის განსაკუთრებული საჭიროების მქონე იურიდიული პირი აბონენტებისთვის გამოყოფილია ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების მასობრივი ბაზრისგან. მასობრივი ბაზარი მოიცავს ფიზიკური და იურიდიული პირი მომხმარებლებისთვის შეთავაზებულ მასობრივი ბაზრის ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებს.

¹² <https://www.techtarget.com/searchnetworking/definition/SDH>

¹³ <https://www.rfwireless-world.com/Terminology/PDH-vs-SDH.html>

¹⁴ <https://www.versitron.com/blog/everything-you-should-know-about-ethernet-networks-and-media-converters>

¹⁵ <https://www.techopedia.com/definition/3451/wavelength-division-multiplexing-wdm>

¹⁶ <https://everstream.net/knowledge-base/dark-fiber-vs-lit-fiber-which-is-better-for-your-business/>

ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის მარეგულირებელი კომისია (მაგალითად, რუმინეთის მარეგულირებელი¹⁷), არ თვლის რომ მასობრივი ბაზრის ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის სერვისები, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ფიზიკური პირი, ისე იურიდიული პირი საბოლოო მომხმარებლებისთვის, ცალკე ბაზრებს წარმოადგენენ. მასობრივი ბაზრის ფარგლებშივე არსებობს შეთავაზებები სტანდარტული და გაუმჯობესებული პირობებით (მაგალითად, მომსახურების მიწოდების უფრო სწრაფი დრო და ხარვეზების აღდგენა). ამგვარი შეთავაზებები, რომლებიც როგორც წესი უფრო ძვირია, ხელმისაწვდომია როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი მომხმარებლებისთვის. ამ ბაზრების გამიჯვნისას მთავარი პრობლემა არის საზღვრის დადგენა სხვადასხვა იურიდიულ პირებს შორის.

ნებისმიერ შემთხვევაში, შესაძლოა მიღწეულ იქნეს მიწოდების მხარის ჩანაცვლებადობა, იმის გათვალისწინებით, რომ ოპერატორის რესურსები იურიდიული პირების ინდივიდუალური მომსახურებების და მასობრივი ბაზრის იურიდიული და ფიზიკური პირი მომხმარებლების მომსახურებების მიწოდებისთვის ფარავს ერთმანეთს და ოპერატორს შეუძლია შედარებით ადვილად მიმართოს რესურსები სერვისების ერთი სეგმენტიდან მეორე სეგმენტზე.

თუმცა, ეს მსჯელობა არ ვრცელდება საქართველოზე სრულად. აქ ოპერატორები, როგორც წესი, არ აძლევენ უფლებას იურიდიულ პირ მომხმარებლებს მიიღონ ფიზიკური პირი მომხმარებლებისთვის განკუთვნილი მომსახურებები. თუ იურიდიული პირი გახდება ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტი, ისე, რომ ის არ შეატყობინებს მომსახურების მიმწოდებელ ოპერატორს, რომ მის მიერ ფიქსირებული მომსახურების გამოყენება განხორციელდება იურიდიული პირის საჭიროებებისთვის, მაშინ ოპერატორს შეუძლია გააუქმოს ფიზიკური პირის მომსახურება და შეცვალოს იგი იურიდიული პირის ფიქსირებული ფართოზოლოვანი პაკეტით. იურიდიული პირის კონტრაქტებს, როგორც წესი, აქვს გარკვეული უპირატესობები ფიზიკური პირის ხელშეკრულებებთან შედარებით. კერძოდ, შესაძლოა მომსახურების პაკეტში გათვალისწინებული იყოს დამატებითი პირობები, რომლებიც სასარგებლოა იურიდიული პირისთვის (მაგალითად, მრავალი მომხმარებლის ჩართვის შესაძლებლობა, ერთზე მეტი სტატიკური IP მისამართი, ვებ-ჰოსტინგი და ა.შ.). ფიზიკური პირი მომხმარებლები არ ყიდულობენ იურიდიული პირის პაკეტებს. ეს ნიშნავს იმას, რომ მიუხედავად იმისა, რომ (ტექნიკურად და ოპერაციულად) მიწოდების მხარის ჩანაცვლებადობა მასობრივი ბაზრის სერვისებს და იურიდიული პირებისთვის განკუთვნილ ინდივიდუალურ მომსახურებებს შორის სავსებით შესაძლებელია, რეალურად ასეთი ჩანაცვლებადობა მიწოდების მხარეს ჩვეულებრივ არ მოხდება. ამ მიზეზით, უნდა დავასკვნათ, რომ იურიდიული პირებისთვის განკუთვნილი ინდივიდუალური შეთავაზებები და მასობრივი ბაზრის ინტერნეტ მომსახურებები არ არის ჩანაცვლებადი, თუმცა მჭიდროდ დაკავშირებული ბაზრის სეგმენტებია.

მომდევნო თავებში გაანალიზდება ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის სერვისების მასობრივი მომსახურების საცალო ბაზარი, რომლებიც განკუთვნილია ფიზიკური პირი მომხმარებლებისთვის. ამ ბაზრის სეგმენტს ზოგადად განსაზღვრავენ, როგორც “ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებების საცალო ბაზრის სეგმენტს ფიზიკური პირი მომხმარებლებისთვის”.

ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებების მასობრივი საცალო ბაზრის სეგმენტის დასკვნები ამ ანალიზში, ასევე ეხება იურიდიული პირების მასობრივი ბაზრის სეგმენტსაც, იმის გათვალისწინებით, რომ ოპერატორების რესურსები, როგორც ფიზიკური პირი მომხმარებლებისთვის, ასევე, იურიდიული პირებზე მომსახურების მიწოდებისთვის, იდენტურია. ამავე მიზეზით, მასობრივი საცალო ბაზრის სეგმენტის დაყოფა ორ მჭიდროდ დაკავშირებულ

¹⁷ ANCOM-ის გადაწყვეტილება 2020/05/01/RO 11 ივნისი 2020.

ბაზრად არ საჭიროებს დამატებითი ან განსხვავებული შესაბამისი საბითუმო ბაზრის სეგმენტების იდენტიფიცირებას, ვიდრე ეს გაანალიზებულია მე-6 თავში.

3.2.2 კომბინირებული შეთავაზებები

მომხმარებლები მიდრეკილნი არიან შეიძინონ ფიქსირებული სერვისები კომბინირებული შეთავაზებების სახით, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა სატელეკომუნიკაციო სერვისებს (მაგალითად, ხმოვანი სერვისები, ინტერნეტი და IPTV) ერთ კომბინირებულ შეთავაზებაში. უმეტეს ქვეყნებში შეიმჩნევა ზოგადი ტენდენცია საბოლოო მომხმარებლებისთვის კომბინირებული შეთავაზებების სერვისების მიწოდების კუთხით¹⁸. კომბინირებულ შეთავაზებებში როგორც წესი, გაერთიანებულია შემდეგი სერვისები: ფიქსირებული ტელეფონია, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი, მაუწყებლობის ტრანზიტი (IPTV ან საკაბელო ტელევიზია) და მობილური სატელეფონო მომსახურება.

კომბინირებული შეთავაზებების კომბინაციები, რომელსაც მიმწოდებლები სთავაზობენ საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის მომხმარებლებს, ძირითადად მოიცავს ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებას, რაც ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას მომხმარებლებისთვის. ყველაზე პოპულარული მომსახურებების პაკეტს წარმოადგენს ორმაგი შეთავაზება (49%), რომელიც მოიცავს ინტერნეტს და მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურებებს. „სამმაგ“ შეთავაზებას იყენებს ფიქსირებული ქსელის აბონენტების დაახლოებით 10%. მომხმარებელთა მცირე ნაწილი იყენებს ოთხივე სერვისს კომბინირებული შეთავაზების სახით.

ცხრილი 13 კომბინირებული შეთავაზებები და ცალკე მდგომი სერვისები (2022)

პაკეტის შინაარსი	აბონენტების რაოდენობა*	მთლიანის %
ფართოზოლოვანი ინტერნეტი + ტელევიზია	489,596	49%
ფართოზოლოვანი ინტერნეტი (ცალკემდგომი)	391,458	39%
ფართოზოლოვანი ინტერნეტი + ტელევიზია + მობილური	71,558	7.1%
ფართოზოლოვანი ინტერნეტი + ტელევიზია + ტელეფონი	22,263	2.2%
ფართოზოლოვანი ინტერნეტი + მობილური	17,377	1.7%
ფართოზოლოვანი ინტერნეტი + ტელეფონი (VoIP, PSTN)	12,790	1.3%
ფართოზოლოვანი ინტერნეტი + ტელევიზია+ ტელეფონი + მობილური	1,408	0.1%
სულ	1,006,450	100%
* ეფუძნება 2022 წლის დეკემბრის მონაცემებს		

წყარო: კომუნიკაციების კომისიის მიერ ოპერატორებისგან გამოთხოვილი ინფორმაცია

ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებების 39% მოდის ცალკე მდგომ ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებაზე. მომხმარებლის კომბინირებული მომსახურების პაკეტში მაუწყებლობის ტრანზიტის მომსახურების გავლენა, როგორც ჩანს, ძლიერია და მასზე გავლენას ახდენს ფიქსირებული ქსელის მსხვილი ოპერატორების მიერ შეთავაზებული მიმზიდველი პრემიუმ კონტენტი. კომბინირებული შეთავაზებებისთვის მთავარი ფაქტორი არის ის, რომ ისინი მოიცავენ ინტერნეტს, თუმცა საბოლოო მომხმარებლის გადაწყვეტილება შეიძლება დაფუძნებული იყოს შეთავაზებაში შემავალ სხვა სერვისებზე. განსახილველია, არის თუ არა ცალკე

¹⁸ “WIK: ევროპარომატრის კვლევის მიხედვით, რესპოდენტების 60%-მა განაცხადა, რომ ისინი სარგებლობენ პაკეტებით, რომლებიც მოიცავს მინიმუმ ორ საკომუნიკაციო სერვისს. მართალია არის განსხვავებები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის, თუმცა აღსანიშნავია, რომ ქვეყნიდან მხოლოდ ორს ჰქონდა პაკეტების პენეტრაციის მაჩვენებელი 50%-ზე ნაკლები” განმარტებითი ბარათი კომისიის 2020 წლის რეკომენდაცია შესაბამის ბაზრებზე (<https://digital-strategy.ec.europa.eu/en/news/recommendation-relevant-markets>)

ბაზარი კომბინირებული შეთავაზებებისთვის და ცალკემდგომი სერვისებისთვის, რომლებსაც მოიცავენ კომბინირებული შეთავაზებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონტექსტში Over-The-Top (OTT¹⁹) სერვისების(ინტერნეტის მეშვეობით მიღებული დამატებითი მომსახურებები, როგორც არის Netflix, Youtube, WhatsApp და სხვა) გავლენის თვალსაზრისით 2020 წლის რეკომენდაციის განმარტებით ბარათში შესაბამის ბაზრებთან²⁰ დაკავშირებით ნათქვამია შემდეგი: “კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი კომბინირებული შეთავაზებების საცალო ბაზრის არსებობის შეფასებისას არის OTT პროვაიდერების მიერ შემოთავაზებული სერვისების გაზრდილი მოხმარება, რაც წყვეტს კავშირს ქსელთან დაკავშირებასა და სხვა სერვისის მიწოდებას შორის და მომხმარებლებს, რომლებიც იყენებენ OTT სერვისებს, ჩვეულებრივ, არ ექნებათ რეალური სტიმული ისარგებლონ კომბინირებული შეთავაზებებით, რადგან მხოლოდ ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებაზე წვდომა შეიძლება იყოს საკმარისი კომბინირებულ შეთავაზებაში შემავალი სხვა მომსახურებების მიღებისთვის.” დამატებით, ევროკავშირის 2014 წლის შესაბამისი ბაზრების შესახებ რეკომენდაციის განმარტებით ბარათში ასახული ჩანაწერის თანახმად²¹: „მიუხედავად იმისა, რომ კომბინირებული შეთავაზებების მოხმარების ზრდა წარმოადგენს ერთ-ერთ დომინანტურ ტენდენციას, რომელიც შეინიშნება საცალო დონეზე, ეს რეკომენდაცია არ გვთავაზობს კომბინირებული შეთავაზებებისთვის ცალკე საცალო ბაზრის განსაზღვრას, რადგან დღემდე არ არსებობს იმის ნიშანი, რომ არსებობს კომბინირებული შეთავაზებების წინასწარი რეგულირების აუცილებლობა, რომელიც შეიძლება შეიცავდეს წინა პერიოდში დარეგულირებულ მაკომპლექტებებს”.

ევროკავშირის ამ რეკომენდაციების და მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რამდენიმე კომბინირებული შეთავაზება, ყველა მათგანი მოიცავს ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებას, როგორც კომბინირებული შეთავაზების ნაწილს, რაც ნიშნავს, რომ მასში ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება არის ყველაზე მნიშვნელოვანი სერვისი. საბოლოო მომხმარებელს შეუძლია ჰქონდეს წვდომა ყველა სხვა სერვისზე (მაგ. IP ტელევიზია, ტელეფონია) OTT აპლიკაციების გამოყენებით, რაც არღვევს კავშირს ქსელზე დაშვებასა და სერვისის მიწოდებას შორის. ეს ნიშნავს, რომ ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებასთან დაკავშირებული შესაბამისი ბაზრის სეგმენტი (ბაზრები) უნდა შედგებოდეს ფართოზოლოვანი კავშირის სერვისისგან, მიუხედავად იმისა, არიან ისინი წარმოდგენილნი ცალკემდგომი თუ კომბინირებული შეთავაზებების სახით.

3.2.3 ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის პენეტრაცია

2022 წლის ბოლოს საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების 1,029,481 ფიზიკური პირი აბონენტი დაფიქსირდა, რაც შინამეურნეობების 82%-ს შეადგენს.


ბოლო 4 წლის განმავლობაში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების პენეტრაცია შინამეურნეობებში სტაბილურად გაიზარდა.

¹⁹ <https://www.carritech.com/news/ott-telecom-providers/>

²⁰ <https://digital-strategy.ec.europa.eu/en/news/recommendation-relevant-markets>

²¹ <https://www.pts.se/globalassets/startpage/dokument/legala-dokument/eu-regler/explanatorynote-201410091.pdf>


დიაგრამა 14. ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების სიმკვრივე შინამეურნეობებთან მიმართებაში



წყარო: კომუნიკაციების კომისიის სტატისტიკური ანგარიშების ელექტრონული ფორმები

ბაზრის ანალიზის ამ ნაწილში განხორციელდება საქართველოს ზოგიერთი ძირითადი ინდიკატორის შედარება ევროკავშირის ქვეყნების მონაცემებთან, ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსის - DESI-ს (Digital Economy and Society Index) უახლესი ინდიკატორების გამოყენებით (DESI 2022)²². ციფრული ინფრასტრუქტურის შესახებ DESI-ის ანგარიშის მიხედვით, ევროკავშირში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის პენეტრაციის საშუალო მაჩვენებელი (შინამეურნეობების მიხედვით) 78% იყო, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე.

დიაგრამა 15. ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის აბონენტების სიმკვრივე ევროკავშირში (ოჯახების %), 2012-2021 წწ.




წყარო: ევროსტატი, ევროკავშირის კვლევა ICT გამოყენებაზე მოსახლეობასა და ოჯახებში

წყარო: DESI 2022 – ციფრული ინფრასტრუქტურის ანგარიში

²² <https://digital-strategy.ec.europa.eu/en/policies/desi-connectivity#ecl-inpage-kw0gi8an> (ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსი (DESI) 2022 – ციფრული ინფრასტრუქტურები) <https://digital-decade-desi.digital-strategy.ec.europa.eu/datasets/desi/charts>

რაც შეეხება ევროკავშირის ცალკეულ ქვეყნებთან შედარებას, საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების სიმკვრივე შინამეურნეობებში იგივე დონეზეა, როგორც ეს ევროკავშირის ქვეყნების ნახევარშია ასახული.

დიაგრამა 16. ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის აბონენტების სიმკვრივე შინამეურნეობებში (%), ქვეყნების მიხედვით, 2021 წ.




წყარო: DESI 2022 – ციფრული ინფრასტრუქტურის ანგარიში

3.2.4 მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების პენეტრაცია

ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე წვდომასთან დაკავშირებული ტენდენციების სრულად შესასწავლად ბაზრის კვლევის ამ ნაწილში გასათვალისწინებელია მობილურ ფართოზოლოვან მომსახურებასა და სიმკვრივესთან დაკავშირებული მაჩვენებლები. საქართველოში მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირის აბონენტების პენეტრაცია მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებაში 2022 წლის ბოლოს 111% იყო. ეს ნიშნავს, რომ ზოგიერთი მომხმარებელი იყენებს ერთდროულად რამდენიმე მობილური ოპერატორის მობილურ მომსახურებას.

დიაგრამა 17. მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომხმარებლების პენეტრაცია მოსახლეობაში




წყარო: კომუნიკაციების კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონული ფორმები

მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტის მომხმარებლების პენეტრაციის მაჩვენებელი სტაბილურად გაიზარდა ბოლო 4 წლის განმავლობაში, რაც აჩვენებს იგივე ტენდენციას, რასაც ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის პენეტრაციის მაჩვენებელი. საქართველოში

მობილური ინტერნეტის გამოყენების უფრო მაღალი მაჩვენებელია, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში. ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტის მომხმარებლების პენეტრაციის თვალსაზრისით 87%-ია. თუმცა, არსებობს განსხვავებები საქართველოსა და ევროკავშირის მიერ მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტის მომხმარებელი აბონენტების პენეტრაციის გაანგარიშების მეთოდოლოგიებს შორის, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართლიანი შესადარისობის უზრუნველსაყოფად.


დიაგრამა 18 მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტის სიმკვრივე ევროკავშირში (ფიზიკური პირების %), 2019-2023 წწ.



წყარო: DESI 2023

მობილური ფართოზოლოვანი პენეტრაციის გამოთვლის მეთოდოლოგიაში განსხვავებების გათვალისწინებით (რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნაში), საქართველოსა და ევროკავშირის შორის სამართლიანი შედარება ნაჩვენებია დიაგრამა 19-ში.

დიაგრამა 19. მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მომხმარებელი აბონენტების სიმკვრივე მოსახლეობაში (ფიზიკური პირების წილი), 2023 წ.²³



წყარო: DESI/ კომუნიკაციების კომისია 2023

შენიშვნა: საქართველოში მობილური ინტერნეტის მომხმარებელი აბონენტების მოსახლეობაში სიმკვრივის მაჩვენებლების შედარებას ევროკავშირის ქვეყნებთან ართულებს შესაბამისი მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტის მომხმარებელი აბონენტებისა და მოსახლეობის მაჩვენებლების აღრიცხვის განსხვავებულობა. მაგალითად, საქართველოში, სადაც ფიზიკურ პირი იყენებს რამდენიმე მობილური მობილური ოპერატორის ფართოზოლოვან მომსახურებას, რაც ნიშნავს, რომ მას აქვს რამდენიმე სიმ ბარათი, თითოეული სიმ ბარათი კი შედის მობილური ინტერნეტის მომხმარებელი აბონენტების რაოდენობაში. ევროკავშირის ქვეყნებისთვის დათვლის მეთოდოლოგია ითვალისწინებს, რომ ფიზიკური პირი, რომელიც იყენებს მრავალი მობილური ოპერატორის ფართოზოლოვან მომსახურებას, მხოლოდ ერთხელ აღირიცხება. ასევე, საქართველოში მნიშვნელოვან გამოყენებულ მაჩვენებელი (მოსახლეობის რაოდენობა) არ მოიცავს 5 წლამდე ასაკის ბავშვებს, ხოლო ევროკავშირში სიმკვრივის გაანგარიშების მნიშვნელოვანი მოიცავს მთელ მოსახლეობას. ეს განსხვავებები, როგორც წესი, განაპირობებს საქართველოში მობილური ინტერნეტის სიმკვრივის გადაჭარბებულ მაჩვენებელს ევროკავშირის ქვეყნების მონაცემებთან შედარებისას. საქართველოსთვის წარმოდგენილი მაჩვენებლები აღებულია წლის ყოველთვიური დათვლის მეთოდოლოგიის გამოყენებით და არა დეკემბრის წლიური მონაცემებით. განსხვავება წლიურ დათვლილ მაჩვენებლებსა და ყოველთვიურ დათვლილ მაჩვენებლებს შორის გამოწვეულია აქტიური მობილური აბონენტების რაოდენობით (დათვლის პერიოდში მოხმარების მიხედვით). ყოველთვიური დათვლილი აბონენტების მაჩვენებლები უფრო დაბალია, ვიდრე წლიური პერიოდულობის გამოყენებით მიღებული რიცხვი (დაახლოებით 10%-ით). ამ ყოველივეს გათვალისწინებით და DESI-ს მობილური ინტერნეტის აბონენტების განმარტებიდან გამომდინარე, საქართველოს მობილური ინტერნეტის აბონენტების რაოდენობის მაჩვენებლის ევროკავშირთან შესადარებლად ოპტიმალურია გამოყენებულ იქნეს სწორედ DESI-ს რიცხვები (დიაგრამა 19).

²³ DESI-ს 2023 წლის ანგარიშსა და ინტერქატიულ დიაგრამებზე არ არის ასახული მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მომხმარებელი აბონენტების სიმკვრივესთან დაკავშირებული მონაცემები 2022 წლის მდგომარეობით (უნდა ვივარაუდოთ რომ 2022 წლის მონაცემების შეგროვება არ განხორციელებულა) შესაბამისად მე-19 დიაგრამაზე ასახული ბოლო მონაცემი წარმოადგენს 2021 წლის მონაცემს.

ფიქსირებული და მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირის სერვისების პენეტრაციის მაჩვენებლებს მივყავართ შემდეგ დასკვნებამდე:

- საქართველოში მუდმივი და სტაბილური მოთხოვნა ყველა ტიპის (ფიქსირებული და მობილური) ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებაზე;
- მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული ცვალებადობა პენეტრაციის მაჩვენებლის კუთხით, ფიქსირებულ ფართოზოლოვანი და მობილურ ფართოზოლოვანი სერვისებს აქვს შემავსებელი სერვისების მახასიათებლები, რადგან ერთი სერვისის გამოყენების ზრდა არ იწვევს მეორის გამოყენების შემცირებას. ეს მოსაზრება უნდა დადასტურდეს ამ კვლევის შემდეგ ეტაპებზე დეტალური ჩანაცვლებადობის ანალიზის ფარგლებში;
- საქართველოსა და ევროკავშირის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის ბაზრების შედარების მაჩვენებლები, ასევე ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლები (დიაგრამები 15-დან 19-მდე) და მათთან დაკავშირებული დასკვნები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბაზრის ანალიზის პროცესში.

3.2.5 ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება ტექნოლოგიების მიხედვით

ტექნოლოგიების ნაირსახეობა, რომლითაც ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისები მიეწოდებათ საბოლოო მომხმარებლებს, აფართოვებს ბაზრის სტრუქტურას, პროდუქტის ჩანაცვლებადობას და კონკურენციის პირობების განსხვავებულობას. ქვემოთ მოცემულია ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირის ტექნოლოგიები საქართველოში:

- FTTx (P2P(წერტილი - წერტილი), GPON და FTTB UTP Ethernet სახლამდე);
- ფიქსირებული უსადენო კავშირი FWA²⁴;
- xDSL კავშირი სპილენძის ქსელით (ADSL, VDSL);
- ფიქსირებული LTE²⁵.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში კოაქსიალური საკაბელო ქსელებით (DOCSIS-ზე²⁶ დაფუძნებული ტექნოლოგიები) ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების მიწოდება არ ხორციელდება. საქართველოში 5G ქსელის განვითარება და 5G უკაბელო ფართოზოლოვანი სერვისების შეთავაზება საწყის ეტაპზეა. ასეთი მომსახურების მიწოდება შეიძლება განხორციელდეს უახლოეს წლებში, მაგრამ, მოსალოდნელია, რომ მისი მოცულობა ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში მცირე იქნება.²⁷ თუმცა, მოსალოდნელია, რომ ფიქსირებული 5G უკაბელო ფართოზოლოვანი ქსელი მხედველობაში იქნება მისაღები ბაზრის მომდევნო ანალიზის განხორციელებისას.


24 ზოგიერთი ისტორიული მიზეზის გამო, საქართველოში ზოგჯერ WiFi-ს უწოდებენ

25 [https://bundunetworx.co.za/the-difference-between-adsl-fixed-lte-and-fibre/#:~:text=Fixed%20Long%2DTerm%20Evolution%20\(LTE,together%20with%20core%20network%20improvements](https://bundunetworx.co.za/the-difference-between-adsl-fixed-lte-and-fibre/#:~:text=Fixed%20Long%2DTerm%20Evolution%20(LTE,together%20with%20core%20network%20improvements)

26 <https://www.ppc-online.com/docsis-3.1-guide>

27 5G სპექტრის შპს „ვიონი საქართველოსთვის“ მინიჭებულ ლოტებში დაფარვის მოთხოვნები ითვალისწინებს მხოლოდ „საქართველოს მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიების, ტურისტული ზონების, პორტების, აეროპორტების, რკინიგზის და მთავარი მაგისტრალის თანდათანობით დაფარვას 5G ქსელით მომდევნო 3-7 წლის განმავლობაში. წლები.“ <https://www.com.ge/en/yvela-siaxle/comcom-announces-auction-for-the-implementation-of-5g-technology.page>


დიაგრამა 20. ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების წილი ტექნოლოგიების მიხედვით



წყარო: კომუნიკაციების კომისიის სტატისტიკური ანგარიშების ელექტრონული ფორმები

წილების განაწილება სხვადასხვა ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ტექნოლოგიებს შორის წარმოდგენილია მე-20 დიაგრამაზე. საქართველოში ყველაზე მეტად გამოყენებული ტექნოლოგიაა FTTx, რომელიც, 2022 წლის ბოლოს მონაცემებით არსებული ფიქსირებული ფართოზოლოვანი აბონენტების ჯამური რაოდენობის 88%-ს შეადგენს. FTTx-ს მოსდევს ფიქსირებული უსადენო ქსელი FWA, რომელიც მოიცავს აქტიური ფართოზოლოვანი შეერთებების ჯამური რაოდენობის 10%-ს, ხოლო xDSL და ფიქსირებული LTE ერთად იკავებენ მხოლოდ 2%-ს. შესაბამისად, წინამდებარე კვლევის ფარგლებში გაანალიზებას საჭიროებს, FWA, xDSL და ფიქსირებული LTE-ის ჩანაცვლებადობის დონის განსაზღვრა FTTx-ით, რომელიც საქართველოს ბაზარზე წარმოადგენს დომინანტ ტექნოლოგიას.

დიაგრამა 21. ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის აბონენტების რაოდენობა ტექნოლოგიების მიხედვით




წყარო: კომუნიკაციების კომისიის სტატისტიკური ანგარიშების ელექტრონული ფორმები

ცხადია, რომ საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირის წამყვან ტექნოლოგიას წარმოადგენს FTTx. FTTx-ის წილი ყოველწლიურად სტაბილურად იზრდება. FWA ტექნოლოგიის მომხმარებელი ინტერნეტ აბონენტების რაოდენობა ცვალებადობით ხასიათდებოდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში და უმეტესად სტაბილურია, ხოლო xDSL ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობის სტაბილური შემცირება შეინიშნება, მაშინ როდესაც FTTx მაღალი ზრდის ტემპით ხასიათდება. მაგალითად, 2019 წლიდან 2022 წლამდე FTTx აბონენტების რაოდენობა 172,000-ით გაიზარდა, ხოლო ყველა სხვა ტექნოლოგიის მომხმარებელთა რაოდენობა შემცირდა 41,000-ით. FTTx-ის ზრდა ძირითადად განპირობებულია ახალი საბოლოო მომხმარებლების მოზიდვით, თუმცა ამასთან, მომხმარებლების ნაწილი სხვა ტექნოლოგიების ჩანაცვლებას

ახორციელებს FTTx-ით, რაც მიუთითებს FTTx-ის უპირატესობაზე სხვა ტექნოლოგიებთან მიმართებაში.


ევროკავშირში ფიქსირებული ფართოზოლოვანი აბონენტების განაწილების ტენდენცია ტექნოლოგიების მიხედვით ნაჩვენებია 22-ე დიაგრამაზე, ხოლო აბონენტების განაწილება ტექნოლოგიების მიხედვით ევროკავშირის თითოეულ ქვეყანაში ნაჩვენებია 23-ე დიაგრამაზე.

დიაგრამა 22. ფიქსირებული ფართოზოლოვანი აბონენტების განაწილება ტექნოლოგიების მიხედვით ევროკავშირში (აბონენტების %), 2006 წლის ივლისი - 2021 წლის ივლისი



წყარო: DESI 2022 – ციფრული ინფრასტრუქტურის ანგარიში

დიაგრამა 23. ფიქსირებული ფართოზოლოვანი აბონენტების წილი ტექნოლოგიების მიხედვით ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში (აბონენტების %), 2021 წლის ივლისი (ევროკავშირში)/Q3 2022



წყარო: DESI 2022 – ციფრული ინფრასტრუქტურის ანგარიში/კომუნიკაციების კომისია

სხვადასხვა ქვეყნებში აბონენტების ტექნოლოგიების მიხედვით განაწილების შედეგებიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები:

- ევროკავშირში FTTx ტექნოლოგიის წილი საშუალოდ მთლიანი აბონენტების რაოდენობის დაახლოებით 30%-ს შეადგენს, ხოლო საქართველოში 88%-ს.
- ევროკავშირში ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირისთვის გამოყენებულ დომინანტ ტექნოლოგიას კვლავ წარმოადგენს xDSL, საქართველოს ბაზარი ამგვარი მოცემულობით არ ხასიათდება;

- საკაბელო ტექნოლოგია, რომელიც ფართოდ არის წარმოდგენილი ევროკავშირის ქვეყნებში, საქართველოში, როგორც ფიქსირებული ფართოზოლოვანი დაშვების უზრუნველყოფის საშუალება არ გამოიყენება (და ძალიან შეზღუდულად გამოიყენება სატელევიზიო სერვისების გავრცელებისთვის).
- FTTx ტექნოლოგიის დომინანტი წილი შეინიშნება ევროკავშირის მხოლოდ რამდენიმე წევრ ქვეყანაში (მაგალითად ესპანეთი, ლატვია, ლიეტუა და რუმინეთი), მაგრამ ამ ქვეყნებშიც კი FTTx-ის სიმკვრივე არ არის ისეთი მაღალი, როგორც საქართველოში.
- საქართველოში FTTx-ის მაღალი წილი (ევროკავშირთან შედარებით) მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბაზრის განსაზღვრის პროცესში.


3.2.6 ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირის სიჩქარე

გაცხადებული და კონტრაქტით განსაზღვრული ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირის სიჩქარის ანალიზი მნიშვნელოვანია ბაზრის სპეციფიკური მახასიათებლებისა და დინამიკის გასაგებად და ასევე სხვადასხვა ტექნოლოგიებს შორის ჩანაცვლებადობისა და ბაზარზე კონკურენციის დონის შესაფასებლად.

საქართველოში ოპერატორების მიერ გაცხადებული და კონტრაქტით განსაზღვრული ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირის ჩამოტვირთვის სიჩქარე შეიძლება მოქცეულ იქნეს შემდეგ ოთხ დიაპაზონში:

- ჩამოტვირთვის სიჩქარე < 10 მბ/წმ;
- 10 მბ/წმ ≤ ჩამოტვირთვის სიჩქარე < 30 მბ/წმ;
- 30 მბ/წმ ≤ ჩამოტვირთვის სიჩქარე < 100 მბ/წმ;
- ჩამოტვირთვის სიჩქარე ≥ 100 მბ/წმ.


დიაგრამა 24 ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების წილი სიჩქარის თითოეული ჯგუფის მიხედვით (2022)



წყარო: კომისიის სტატისტიკური ანგარიშების ელექტრონული ფორმები

ყველაზე ფართოდ გამოყენებადი სიჩქარის დიაპაზონი არის 30 მბ/წმ - 100მბ/წმ (შეადგენს მთლიანი ფიქსირებული ფართოზოლოვანი მოხმარების 59%-ს), რასაც მოჰყვება 10 მბ/წმ - 30 მბ/წმ დიაპაზონი (მთლიანი ფიქსირებული ფართოზოლოვანი მოხმარების 32%-ს). 10 მბ/წმ-ზე ქვემოთ ჩამოტვირთვის სიჩქარეზე მოდის მთლიანი მოხმარების მხოლოდ 8%, ხოლო 100 მბ/წმ-ზე მაღალი სიჩქარეზე მხოლოდ 1%.


დიაგრამა 25 ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების წილი სიჩქარის თითოეული ჯგუფის მიხედვით



წყარო: კომისიის სტატისტიკური ანგარიშების ელექტრონული ფორმები

25-ე დიაგრამა გვიჩვენებს, რომ დაბალი სიჩქარის დიაპაზონის მოხმარების შემცირების ხარჯზე შეიმჩნევა 30 მბ/წმ - 100 მბ/წმ სიჩქარის დიაპაზონის მოხმარების მზარდი ტენდენცია. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ დიაპაზონში დიდი წილით დომინირებს სიჩქარის ქვედა ზღვარი - 30 მბ/წმ სიჩქარე და ის ამ სიჩქარის დიაპაზონში მოქცეული აბონენტების ჯამური რაოდენობის 86%-ს შეადგენს.

დიაგრამა 26 ფიზიკური პირი აბონენტების განაწილება 30 მბ/წმ - 100 მბ/წმ სიჩქარის დიაპაზონში 2022 წლის მდგომარეობით




30 მბ/წმ - 100 მბ/წმ სიჩქარის დიაპაზონში მოხმარების ყველაზე მაღალი ზრდა 2022 წელს დაფიქსირდა, როცა სს "სილქნეტმა" და შპს „მაგთიკომმა“ გაზარდეს აბონენტების სიჩქარე 20 მბ/წმ-დან 30 წმ-მდე. საქართველოში ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ კავშირის ტექნოლოგიის, FTTx-ის მაღალი მოხმარების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ ყველაზე მაღალი სიჩქარის დიაპაზონი ხასიათდებოდეს მოხმარების ყველაზე მაღალი ზრდის ტენდენციით,

თუმცა, 100 მბ/წმ-ზე მეტი სიჩქარე არ ხასიათდება ზრდის ტენდენციით და ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების მომხმარებლების ჯამური რაოდენობის დაახლოებით 1%-ს შეადგენს. აღნიშნულის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ მომხმარებლებისთვის, მაღალი სიჩქარის დიაპაზონში გადასვლა სააბონენტო გადასახადის მნიშვნელოვან ზრდასთან არის დაკავშირებული. მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივის და საქართველოში მონაცემთა ტრაფიკის მუდმივი ზრდის გათვალისწინებით, მოსალოდნელია, გაგრძელდეს როგორც 30 მბ/წმ-ზე მაღალი სიჩქარის და ასევე, 100 მბ/წმ-ზე მეტი სიჩქარის მოხმარება.

მნიშვნელოვანია მოთხოვნის ფაქტორების განხილვა სხვადასხვა ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირის სიჩქარესთან დაკავშირებით განხორციელდეს მომხმარებლისთვის ამ მომსახურების მისაწოდებლად გამოყენებული ტექნოლოგიების თვალსაზრისით. დიაგრამა 27 აჩვენებს ფართოზოლოვანი ინტერნეტის მიწოდების ტექნოლოგიებს ინტერნეტ სიჩქარის თითოეული ჯგუფისთვის. ეს გვიჩვენებს, რომ 10 მბ/წმ და ზემოთ სიჩქარეები ძირითადად FTTx ტექნოლოგიით არის შეთავაზებული, რაც შეესაბამება ამ ტექნოლოგიის უპირატესობებს მისი ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე. ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებაზე წვდომის წილი სიჩქარის თითოეული ჯგუფისთვის (დიაგრამა 25) და ტექნოლოგიური მაჩვენებლები (დიაგრამა 27) სრულად შეესაბამება თითოეული ტექნოლოგიის ტექნიკურ მახასიათებლებს.

დიაგრამა 27 ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურება - ტექნოლოგიის წილი სიჩქარის თითოეული ჯგუფის მიხედვით




წყარო: კომისიის სტატისტიკური ანგარიშების ელექტრონული ფორმები

xDSL და FWA ტექნოლოგიების გამოყენება ფიქსირდება უმეტესად 10 მბ/წმ-მდე სიჩქარის დიაპაზონში. ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს აქვს 10 მბ/წმ-ზე მეტი სიჩქარე ამ ტექნოლოგიების გამოყენებით. xDSL ტექნოლოგიით არც ერთ მომხმარებელს არ აქვს 30 მბ/წმ-ზე მეტი სიჩქარე. ეს სურათი შეესაბამება ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების სხვადასხვა ტექნოლოგიების ტექნიკურ მახასიათებლებს და საქართველოში FTTx ქსელის მნიშვნელოვან გაგრძელებას.

საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის 100 მბ/წმ ან უფრო მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების სიმკვრივის მაჩვენებლების შედარება (28-ე დიაგრამა) გვიჩვენებს, რომ საშუალოდ ევროკავშირში ოჯახების დაახლოებით 55% სარგებლობს 100 მბ/წმ ან უფრო მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებით. თერთმეტ ქვეყანაში შინამეურნეობების 60%-ზე მეტი სარგებლობს მინიმუმ 100 მბ/წმ სიჩქარით, ხოლო სამ ქვეყანაში შინამეურნეობების 80%-ზე მეტი სარგებლობს მინიმუმ 100 მბ/წმ სიჩქარის

ინტერნეტ მომსახურებით. საქართველოში მომხმარებელთა მხოლოდ 1% სარგებლობს 100 მბ/წმ-ზე მაღალი სიჩქარის მომსახურებით.

დიაგრამა 28. შინამეურნეოები, რომლებიც სარგებლობენ ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მინიმუმ 100 მბ/წმ სიჩქარის შეთავაზებებით (ოჯახების %) (საქართველო 2022)



წყარო: DESI/კომუნიკაციების კომისია 2023

4. საფეხური 1 - ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის განსაზღვრა

პროცედურების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბაზრის სეგმენტის პირველ საფეხურზე უნდა დადგინდეს საცალო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრები. პროცედურების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „ბაზრის შესაბამისი სეგმენტის პროდუქციული საზღვრები დგინდება მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთჩანაცვლებადობის განსაზღვრის გზით.“

3.1 თავში ჩატარებული ანალიზის გათვალისწინებით, საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირის ტექნოლოგიებისა და სიჩქარის დიაპაზონის შესახებ ინფორმაცია გაანალიზებულ უნდა იქნეს საქართველოში ძირითადი ოპერატორების მიერ გაცხადებული შეთავაზებების საფუძველზე, რომელთა მიწოდება ხორციელდება სხვადასხვა ტექნოლოგიების მეშვეობით (FTTx, FWA და xDSL). შეთავაზებების, ფასების, სიჩქარეებისა და ტექნოლოგიების შედარება ოთხი ყველაზე მსხვილი ოპერატორისთვის ნაჩვენებია 29-ე და 30-ე ცხრილებში.

აღნიშნული ანალიზის ფარგლებში განხილულია, არსებობს თუ არა სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენებით მიწოდებულ სერვისებს შორის ფასისმიერი კონკურენცია სიჩქარეების სხვადასხვა დიაპაზონში, ან არსებობს თუ არა გადაფარვა სიჩქარის ზოგიერთ დიაპაზონში, ან ისეთ შემთხვევებს, როდესაც გადაფარვა საერთოდ არ ფიქსირდება (რაც შეიძლება მიუთითებდეს, რომ ისინი შესაძლოა ცალკეული ბაზრის სეგმენტის ნაწილია).

ცხრილი 29. გაცხადებული სიჩქარე და ფასები (ლარში) ტექნოლოგიების მიხედვით (თბილისი)

FTTH															
კომპანიის დასახელება	2 მბ/წმ	3 მბ/წმ	4 მბ/წმ	5 მბ/წმ	6 მბ/წმ	8 მბ/წმ	10 მბ/წმ	20 მბ/წმ	25 მბ/წმ	30 მბ/წმ	35 მბ/წმ	40 მბ/წმ	50 მბ/წმ	70 მბ/წმ	100 მბ/წმ
მაგთიკომი								N/A	N/A	37	N/A	N/A	50	N/A	100
სილქნეტი								N/A	35	N/A	40	N/A	50	N/A	100
ახალი ქსელები								N/A	N/A	30	N/A	35	50	70	100
სქაიტელი								20	N/A	25	N/A	30	40	N/A	N/A
xDSL															
კომპანიის დასახელება	2 მბ/წმ	3 მბ/წმ	4 მბ/წმ	5 მბ/წმ	6 მბ/წმ	8 მბ/წმ	10 მბ/წმ	20 მბ/წმ	25 მბ/წმ	30 მბ/წმ	35 მბ/წმ	40 მბ/წმ	50 მბ/წმ	70 მბ/წმ	100 მბ/წმ
მაგთიკომი	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A								
სილქნეტი	N/A	24	33	N/A	45	65									
ახალი ქსელები	22	32	39	49	N/A	N/A									
სქაიტელი	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A									
გლობალ ურთი		10	13	16	19	25	30	56	68	80					
FWA - Wi-Fi															
კომპანიის დასახელება	2 მბ/წმ	3 მბ/წმ	4 მბ/წმ	5 მბ/წმ	6 მბ/წმ	8 მბ/წმ	10 მბ/წმ	20 მბ/წმ	25 მბ/წმ	30 მბ/წმ	35 მბ/წმ	40 მბ/წმ	50 მბ/წმ	70 მბ/წმ	100 მბ/წმ
მაგთიკომი			N/A		N/A	N/A	N/A								
სილქნეტი			N/A		N/A	N/A	N/A								
ახალი ქსელები			N/A		N/A	N/A	N/A								
სქაიტელი			20		25	30	35								
აილინკი	N/A		N/A	N/A	N/A	N/A	N/A								

წყარო: ოპერატორების ვებგვერდები

ცხრილი 30. გაცხადებული სიჩქარე და ფასები (ლარში) თითოეული ტექნოლოგიისთვის (რეგიონები)

FTTH															
კომპანიის დასახელება	2 მბ/წმ	3 მბ/წმ	4 მბ/წმ	5 მბ/წმ	6 მბ/წმ	8 მბ/წმ	10 მბ/წმ	20 მბ/წმ	25 მბ/წმ	30 მბ/წმ	35 მბ/წმ	40 მბ/წმ	50 მბ/წმ	70 მბ/წმ	100 მბ/წმ
მაგთიკომი								N/A	N/A	30	N/A	N/A	50	N/A	100
სილქნეტი								N/A	34	N/A	40	N/A	50	N/A	100
ახალი ქსელები								N/A	N/A	30	N/A	35	50	70	100
სქაიტელი								20	N/A	25	N/A	30	40	N/A	N/A
xDSL															
კომპანიის დასახელება	2 მბ/წმ	3 მბ/წმ	4 მბ/წმ	5 მბ/წმ	6 მბ/წმ	8 მბ/წმ	10 მბ/წმ	20 მბ/წმ	25 მბ/წმ	30 მბ/წმ	35 მბ/წმ	40 მბ/წმ	50 მბ/წმ	70 მბ/წმ	100 მბ/წმ
მაგთიკომი	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A								
სილქნეტი	N/A	20	29	N/A	45	65									
ახალი ქსელები	14	32	39	49	N/A	N/A									
სქაიტელი	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A									
გლობალ ურთი	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A									
FWA - Wi-Fi															
კომპანიის დასახელება	2 მბ/წმ	3 მბ/წმ	4 მბ/წმ	5 მბ/წმ	6 მბ/წმ	8 მბ/წმ	10 მბ/წმ	20 მბ/წმ	25 მბ/წმ	30 მბ/წმ	35 მბ/წმ	40 მბ/წმ	50 მბ/წმ	70 მბ/წმ	100 მბ/წმ
მაგთიკომი			N/A		N/A	N/A	N/A								
სილქნეტი			N/A		N/A	N/A	N/A								
ახალი ქსელები			N/A		N/A	N/A	N/A								
სქაიტელი			20		25	30	35								
აილინკი	20		25	30	N/A	N/A	N/A								

წყარო: ოპერატორების ვებ-გვერდები

29 და 30 ცხრილები საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ წარმოადგენენ თუ არა შეთავაზებები სიჩქარის ოთხივე (10 მბ/წმ-მდე, 10 მბ/წმ - 30მბ/წმ-მდე, 30მბ/წმ – 100მბ/წმ(მდე) და 100 მბ/წმ და ზევით) დიაპაზონში ერთი საცალო ბაზრის ნაწილს თუ ცალკეულ ბაზრებს.

ოპტიკურ ტექნოლოგიაზე ოპერატორები დაბალ სიჩქარეებს დაბალ ფასად არ სთავაზობენ და მათი შეთავაზებები 20, 25, 30 მბ/წმ-დან იწყება, რაც უფრო მაღალია სააბონენტო პაკეტის სიჩქარე, მით მეტი იქნება საშუალო შემოსავალი ერთი მომხმარებლიდან (ARPU).

25-ე დიაგრამა გვიჩვენებს, რომ არსებობს მკაფიო ტენდენცია 30 მბ/წმ - 100 მბ/წმ სიჩქარის დიაპაზონის მოხმარების მიმართულებით, დაბალი სიჩქარის დიაპაზონის მოხმარების შემცირების ხარჯზე. ამ სიჩქარის დიაპაზონის მოხმარების ყველაზე მაღალი ზრდა, რომელიც ძირითადად 30 მბ/წმ-იანი პაკეტის მომხმარებელი აბონენტების ზრდით იყო განპირობებული, 2022 წელს დაფიქსირდა.

2022 წელს დაბალსიჩქარიანი ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების (10 მბ/წმ-მდე დიაპაზონი) და მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის (100 მბ/წმ და მეტი) სერვისების, ანუ ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი სიჩქარის შეთავაზებების აბონენტების

რაოდენობა (25-ე დიაგრამა) ფიქსირებული ფართოზოლოვანი აბონენტების ჯამური რაოდენობის მხოლოდ 8%-ს შეადგენდა.

არ არსებობს FTTx ტექნოლოგიის საცალო შეთავაზებები 20 მბ/წმ-ზე დაბალი სიჩქარისთვის. xDSL და FWA ტექნოლოგიის შეთავაზებები კი არ ხორციელდება იმავე სიჩქარის დიაპაზონში, რომელშიც FTTx ტექნოლოგიის საცალო შეთავაზებებია წარმოდგენილი, თუმცა არსებობს გარკვეული გადაფარვა 20 მბ/წმ ქვემოთ სიჩქარის დიაპაზონში. უნდა ჩაითვალოს, რომ FTTx-ით აღნიშნული სიჩქარის დიაპაზონში მოქცეული პაკეტების მოხმარება ძველი პერიოდიდან მოყოლებული ხორციელდება და მოიცავს იმ მომხმარებლებს, რომლებმაც არ განაახლეს პაკეტები (არ გაზარდეს სიჩქარეები). მოსალოდნელია, რომ ეს დარჩენილი გადაფარვა შემცირდება, რადგან მომხმარებლის ქცევა მიუთითებს მოთხოვნის ზრდაზე შედარებით მაღალი სიჩქარის მომსახურებებზე.

xDSL ან FWA და FTTx ტექნოლოგიების შეთავაზებებს შორის, როგორც ჩანს, 10 მბ/წმ-მდე სიჩქარის დიაპაზონში არსებული პაკეტები აშკარა გარდამტეხი წერტილია. xDSL-ზე დაფუძნებული სერვისები შემოთავაზებულია 8 მბ/წმ-მდე სიჩქარის დიაპაზონში, ხოლო FWA 10 მბ/წმ-მდე სიჩქარის დიაპაზონში სთავაზობს მომხმარებელს მომსახურებას. ისინი არ ახორციელებენ სერვისების მიწოდებას უფრო მაღალი სიჩქარით, რაც უზრუნველყოფდა შესადარისობას FTTx ტექნოლოგიასთან.

10 მბ/წმ-მდე სიჩქარის დიაპაზონი ერთადერთია, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიების სრულ ნაკრებს. ეს გვიჩვენებს, რომ 10 მბ/წმ-მდე სიჩქარის დიაპაზონში, არსებობს განსხვავებული კონკურენტული ფაქტორები, ვიდრე უფრო მაღალი სიჩქარის დიაპაზონში. სხვადასხვა პროვაიდერებისა და ტექნოლოგიების არსებობა სიჩქარის სხვადასხვა დიაპაზონში მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს განსხვავებული კონკურენტული ბაზრის პირობები, რომლებიც დაკავშირებულია სიჩქარის სხვადასხვა დიაპაზონის გამოყენებასთან.

მონაცემთა გადაცემის სიჩქარის დიაპაზონის სხვადასხვა არჩევანიდან, სხვადასხვა ტარიფებიდან და მოხმარებიდან გამომდინარე, სერვისების მიწოდებისას, მიჩნეულია, რომ „საბაზისო ფართოზოლოვანი წვდომის სერვისები“ (მოიცავს 10 მბ/წმ-ზე ნაკლებ სიჩქარეს) და „მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტზე წვდომის სერვისები“ (მოიცავს 10 მბ/წმ-ზე მეტ სიჩქარეს) ქმნიან მჭიდროდ დაკავშირებულ, მაგრამ განსხვავებულ ბაზრებს როგორც მიმდინარე შეთავაზებების, ასევე ტექნოლოგიების ასორტიმენტის თვალსაზრისით, სიჩქარის თითოეულ დიაპაზონში.

ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრის ამ ორი განსხვავებული სეგმენტის დეტალური განსაზღვრა განხორციელდება მოთხოვნისა და მიწოდების მხარის ჩანაცვლებადობის ანალიზის გამოყენებით.

4.1 მოთხოვნის მხარის ჩანაცვლებადობა

პროცედურების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საწყის ეტაპზე კომისიამ უნდა დაადგინოს ელექტრონული კომუნიკაციების სამიზნე მომსახურება, რომლის შეთავაზება ხორციელდება კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში და შესაძლოა, დაექვემდებაროს სპეციფიკური ვალდებულებების დაწესებას. შემდგომ ეტაპზე კომისია აფასებს რამდენად ექვემდებარება აღნიშნული მომსახურება კონკურენტულ შეზღუდვას ურთიერთჩანაცვლებადი მომსახურებების მხრიდან. შემდგომში კომისია აჯგუფებს ურთიერთჩანაცვლებად მომსახურებებს ფუნქციური მახასიათებლების მიხედვით ერთგვაროვან ჯგუფებად და განიხილავს მათ ბაზრის ერთი შესაბამისი სეგმენტის ფარგლებში ბაზრის კონიუნქტურის, კონკურენციის, მოთხოვნისა და მიწოდების მხარის ჩანაცვლების ფაქტორების, ტარიფების დონის და მათი ისტორიული ცვალებადობის გათვალისწინებით. შესაბამისი მომსახურებების ურთიერთჩანაცვლებადობის

ხარისხი უნდა იყოს საკმარისად მაღალი. მომსახურებები, რომელთა ურთიერთჩანაცვლებადობის ხარისხი დაბალია, კომისიის მხრიდან არ უნდა იქნეს განხილული ბაზრის იმავე სეგმენტის საზღვრებში.“

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სერვისი, რომელიც ყველაზე მეტად არის წარმოდგენილი ბაზარზე, უნდა იქნეს მიღებული ორივე ბაზრისთვის მოთხოვნის მხარის ჩანაცვლებადობის ანალიზის ამოსავალ წერტილად:

- საბაზისო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრისთვის წამყვანი ტექნოლოგიაა FWA, რომლის აბონენტების რაოდენობა შეადგენს ამ სეგმენტზე აბონენტების რაოდენობის თითქმის 80%-ს.
- მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრისთვის, წამყვანი ტექნოლოგიაა FTTx, რომლის აბონენტების რაოდენობა შეადგენს ამ სეგმენტზე აბონენტების რაოდენობის 96%-ს.

თითოეული წარმოდგენილი ტექნოლოგია განიხილება ნებისმიერი შესაძლო ალტერნატივასთან შედარებით, რომელმაც შეიძლება დააკმაყოფილოს მომხმარებლის იგივე მოთხოვნა ფუნქციონალურობის თვალსაზრისით (მათ შორის, სიჩქარე, მომსახურების ხარისხი და შესადარისი საცალო ფასები), რათა დადგინდეს წარმოდგენს თუ არა ალტერნატიული სერვის(ებ)ი იმავე შესაბამისი ბაზრის ნაწილს.

4.1.1 FTTx ქსელზე წვდომა

3.2.5 თავში დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ FTTx ტექნოლოგიის გამოყენებით ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება ყველაზე მეტად არის გავრცელებული საქართველოში (იხ. დიაგრამები 20 და 21). საერთო ჯამში, FTTx ტექნოლოგიით ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებას იღებს აბონენტების 88%.

FTTx ჩვეულებრივ უზრუნველყოფილია ორი ძირითადი მოწყობის ტექნოლოგიით, წერტილი წერტილი (P2P) და წერტილი-მრავალწერტილი (P2MP GPON). საქართველოში FTTx ფართოზოლოვანი მომსახურების პროვაიდერები იყენებენ ორივე ტექნოლოგიას (დამოკიდებულია ოპერატორების ქსელის არქიტექტურაზე). აბონენტების რაოდენობის მიხედვით საქართველოში FTTx ტექნოლოგიის ყველაზე დიდი პროვაიდერები არიან:

- შპს „მაგთიკომი“;
- სს „სილქნეტი“;
- ახალი ქსელების ჯგუფი(შპს „ახალი ქსელები“ და შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“;
- შპს „სქაიტელი“.

ამ პროვაიდერებმა შექმნეს საკუთარი დამოუკიდებელი FTTx ქსელები კონკურენტებისგან FTTx საბითუმო დაშვების გამოყენების გარეშე.

არსებული შეთავაზებების ანალიზის მიხედვით, ფიზიკური პირი მომხმარებლებისთვის (იხ. ცხრილები 29 და 30), ყველა ეს ოპერატორი უზრუნველყოფს ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებას FTTx-ის გამოყენებით. ეს შეთავაზებები უზრუნველყოფილია მონაცემთა ტრაფიკის შეზღუდვის გარეშე. სერვისი წარმოადგენს „ფიქსირებული ტარიფით შეთავაზებას“, მომხმარებლებისთვის მონაცემთა გადაცემის შეუზღუდავი მოცულობის მოხმარების უფლებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაცხადებულ ყოველთვიურ სააბონენტო გადასახადს არ ემატება გადასახადი ინტერნეტ ტრაფიკის მოხმარებიდან გამომდინარე ყოველთვიურ ჭრილში.

ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის მიწოდებას ყველა ოპერატორი ახორციელებს წინასწარი გადახდის პირობით.

სხვადასხვა FTTx პროვაიდერის შეთავაზებების ფასები განსხვავდება და ეფუძნება:

- რეგიონები, სადაც წარმოდგენილია FTTx სერვისი (ზოგიერთ შემთხვევაში თბილისში მომსახურებას სთავაზობენ განსხვავებულ ფასად, საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით - იხილეთ ცხრილები 31 და 32) და;
- საბოლოო მომხმარებლების ტიპი (ფიზიკური პირი/იურიდიული პირი). მომსახურების ტიპი იგივეა, მაგრამ პროვაიდერები უფრო მაღალ ფასად სთავაზობენ სერვისებს იურიდიულ პირებს, ვიდრე ფიზიკურ პირებს.

ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისის საცალო ფასები დამოკიდებულია პაკეტის პირობებზე (ფიქსირებული ტარიფი, მომსახურებების კომბინაცია, წინასწარ გადახდა). სხვადასხვა ოპერატორების FTTx შეთავაზებები დიდწილად შესადარისია, განსაკუთრებით 40 მბ/წმ-მდე სიჩქარისთვის. ცხრილი 31 გვიჩვენებს თბილისში ყველაზე დიდი FTTx ოპერატორების მიერ შეთავაზებული შესადარისი პაკეტების სიჩქარესა და ფასებს, ხოლო 32 ცხრილში ნაჩვენებია თბილისს გარეთ არსებული შეთავაზებების ფასები.

ცხრილი 31. FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ფასები სიჩქარეების მიხედვით (თბილისში)

FTTx ფასები ლარში (თვეში)				
სიჩქარე	მაგთიკომი	სილქნეტი	ახალი ქსელები	სქაიტელი
20 მბ/წმ				20
25 მბ/წმ		35		
30 მბ/წმ	37		30	25
35 მბ/წმ		40		
40 მბ/წმ			35	30
50 მბ/წმ	50	50	50	40
70 მბ/წმ			70	
100 მბ/წმ	100	100	100	

წყარო: ოპერატორების ვებგვერდები

ცხრილი 32. FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ფასები სიჩქარეების მიხედვით (რეგიონებში)

FTTx ფასები ლარში (თვეში)				
სიჩქარე	მაგთიკომი	სილქნეტი	ახალი ქსელები	სქაიტელი
20 მბ/წმ				20
25 მბ/წმ		34		
30 მბ/წმ	30		30	25
35 მბ/წმ		40		
40 მბ/წმ			35	30
50 მბ/წმ	50	50	50	40
70 მბ/წმ			70	
100 მბ/წმ	100	100	100	

წყარო: ოპერატორების ვებგვერდები

ფასთა შორის სხვაობა თბილისსა და რეგიონებს შორის გამოვლენილია მხოლოდ შპს „მათიკომის“ (30 მბ/წმ ფასები) და სს „სილქნეტის“ შემთხვევაში (25 მბ/წმ ფასები). ყველა სხვა პაკეტს თბილისში იგივე ფასი აქვს, რაც რეგიონებში.

FTTx წარმოდგენილია 10 მბ/წმ-ზე მეტი სიჩქარით თითოეულ ჯგუფში. მინიმუმ 100 მბ/წმ სიჩქარის დიაპაზონში, სიმკვრივე ძალიან დაბალია. მოსალოდნელია, რომ მაღალი სიჩქარის ფართოზოლოვან სერვისებზე მოთხოვნის მუდმივმა ტემპსთან ერთად (იხ. დიაგრამა 25), 100 მბ/წმ-ზე ზევით სიჩქარეზე მოთხოვნა დაიწყებს უფრო მნიშვნელოვან ზრდას. როდესაც მომხმარებელი 50 მბ/წმ-დან 100მბ/წმ მომსახურებაზე გადადის, საცალო ფასის ამჟამინდელი ზრდა მნიშვნელოვანად მაღალია (თვეში 50-დან 100 ლარამდე).

FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისები საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, შეიძლება შეთავაზებულ იქნეს ბევრად უფრო მაღალი სიჩქარით, ვიდრე xDSL ან FWA ტექნოლოგიის მომსახურებები. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების ტექნოლოგიური მახასიათებლები მნიშვნელოვნად მაღალი სიჩქარის უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა, ვიდრე ქსელები, რომლებიც სრულად ან მნიშვნელოვნად იყენებენ სპილენძის წყვილებს ან უკაბელო გადაცემის ტექნოლოგიას.

საქართველოში FTTx ერთადერთი ფიქსირებული ტექნოლოგიაა, სადაც ამჟამად იზრდება აბონენტების რაოდენობა, ხოლო ყველა სხვა ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობა მცირდება. ეს ნათლად აჩვენებს, რომ მოთხოვნა წარმოიქმნება არა მხოლოდ ახალი მომხმარებლებისგან, არამედ სხვა ტექნოლოგიების მომხმარებლებისგანაც, რომლებიც გადადიან FTTx-ზე.

FTTx არის წამყვანი ტექნოლოგია მაღალი სიჩქარის ბაზარზე, რადგან მისი წილი აბონენტების რაოდენობის მიხედვით შეადგენს 96%-ს.

ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე წვდომის საბაზისო ყველაზე დაბალი სიჩქარის დიაპაზონში (10 მბ/წმ-მდე) ბაზარზე, FTTx ფლობს ბაზრის 2%-ს, ამიტომ FTTx არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ტექნოლოგიას დაბალი სიჩქარის სერვისების ბაზარზე. როგორც ეს 31-ე და 32-ე ცხრილებშია ნაჩვენები, ამჟამად დაბალი სიჩქარის დიაპაზონში არ არის წარმოდგენილი FTTx ტექნოლოგიის საცალო შეთავაზებები.

- აბონენტები, რომლებიც მომსახურებას იღებენ FTTx ქსელის გამოყენებით, ფლობენ 10 მბ/წმ-მდე მოხმარების მთლიანი წილის დაახლოებით 2%-ს (თუმცა ამჟამად FTTx არ არის შეთავაზებული, 20 მბ/წმ-ზე დაბალი სიჩქარის დიაპაზონში). ეს ნიშნავს, რომ ის მომხმარებლები, რომლებსაც ემსახურებიან FTTx დაშვების ქსელები, არიან აბონენტები, რომლებმაც დიდი ხნის წინ გააფორმეს ხელშეკრულება დაბალი სიჩქარის FTTx ტექნოლოგიის სერვისზე და სერვისების პაკეტი ჯერ არ განუახლებიათ.

4.1.2 ფიქსირებულ უსადენო ქსელზე წვდომა (FWA)

საქართველოში FWA ტექნოლოგიაზე მთლიანი ფიქსირებული ფართოზოლოვანი მოხმარების 10% მოდის. ზოგადად FWA-ს მიწოდებისთვის გამოყენებული ტექნოლოგიები შეიძლება ვარიირდეს MMDS²⁸-დან WiMax-მდე²⁹. ზოგადად, MMDS ყველაზე ხშირად გამოიყენება მეჩხერად დასახლებულ სოფლებში, სადაც ფიქსირებული ქსელების გაყვანა არ არის ეკონომიკურად

²⁸ მრავალარხიანი მრავალპუნქტიანი განაწილების სერვისი (MMDS) არის ფიქსირებული უკაბელო ტექნოლოგია, რომელსაც ზოგჯერ უწოდებენ უკაბელო საკაბელო ტელევიზიას ან უკაბელო ზოგად DSL-ს (xDSL). MMDS მუშაობს 2,5 გჰც-დან 2,7 გჰც-მდე და გამოიყენება მაუწყებლობისთვის, პირადი კომუნიკაციისთვის და ინტერაქტიული მედია სერვისებისთვის ქალაქის ცენტრალურ ნაწილსა და მიმდებარე ტერიტორიებზე.

²⁹ https://ec.europa.eu/health/scientific_committees/opinions_layman/en/electromagnetic-fields/glossary/wxyz/wimax.htm

მომგებიანი. სერვისების მიწოდება MMDS ტექნოლოგიით მოითხოვს რადიო სიხშირეების გამოყენებას, რომლებიც შეზღუდულია სიმძლავრით, რაც ართულებს საბოლოო მომხმარებლის მოზიდვას.

შეზღუდული სიმძლავრისა და სიჩქარის გამო, FWA ტექნოლოგია, როგორც წესი, არ არის შესაფერისი ფიქსირებული ფართოზოლოვანი ქსელებისთვის, სადაც მომხმარებლის მოთხოვნა ძირითადად უფრო მაღალ სიჩქარეებთან არის დაკავშირებული. დაბალი სიჩქარისთვის ტექნოლოგია შეიძლება საკმაოდ კონკურენტუნარიანი იყოს, რაც ჩანს 33-ე ცხრილში მოცემული ფასების შედარებიდან. ზოგადად, მომხმარებლები ირჩევენ FWA დაშვებას იმ ადგილებში, სადაც ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე წვდომისთვის სხვა ტექნოლოგიები მიუწვდომელია.

FWA ასევე შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მობილური ქსელის ტექნოლოგიებით, მაგალითად ისეთით, როგორცაა LTE. ხარისხი და სიჩქარე იგივეა, რაც მობილური ქსელისთვის იმავე ადგილას, სადაც ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების მიწდება ხორციელდება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში FWA პროვაიდერების უმეტესობა წარმოადგენს მცირე ადგილობრივ ოპერატორს, რომელიც ფარავს მხოლოდ მცირე რაოდენობის დასახლებებს, ძირითადად სოფლებს. კომისიის მონაცემებით, სულ 84 ავტორიზებული პირი უზრუნველყოფს FWA ის მეშვეობით მომსახურების მიწოდებას, მათგან მხოლოდ 5-ს ჰყავს 3,000-ზე მეტი აბონენტი და მხოლოდ ერთს (შპს „სქაიტელი“) დაახლოებით 30,000-მდე აბონენტი.

აქტიური აბონენტების რაოდენობის მიხედვით, საქართველოში FWA ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირის ყველაზე დიდი პროვაიდერები არიან:

- შპს „სქაიტელი“;
- შპს „აილინკი“;
- შპს „ორდუნეტი“; და
- შპს „ჯორჯიან აირლინკი“.

ამ კომპანიების საცალო მომხმარებლების არსებული შეთავაზებების ანალიზზე დაყრდნობით, FWA ოპერატორები ახორციელებენ ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების მიწოდებას 10 მბ/წმ-მდე სიჩქარით, რომელიც ვერ შეედრება FTTx ტექნოლოგიით მიწოდებული მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვან მომსახურებას. ეს სავარაუდოდ ასე გაგრძელდება მანამ, სანამ უმაღლესი სიჩქარის FWA ან 5G არ გახდება ხელმისაწვდომი ქვეყნის დონეზე. დაბალი სიჩქარისთვის FWA სერვისი ნამდვილად სთავაზობს ბაზარს კონკურენტულ გადაწყვეტას და ამჟამად წარმოადგენს წამყვან ტექნოლოგიას საქართველოში 10 მბ/წმ-მდე სიჩქარის შეთავაზებების ბაზარზე.

ცხრილი 33 FWA და FTTx ფართოზოლოვანი სერვისების ფასები სიჩქარეების მიხედვით

(თბილისში)

FTTx ყოველთვიური ფასები ლარში

სიჩქარე	მაგთიკომი	სილქნეტი	ახალი ქსელები	სქაიტელი
20მბ/წმ				20
25მბ/წმ		35		
30მბ/წმ	37		30	25

35მბ/წმ		40		
40მბ/წმ			35	30
50მბ/წმ	50	50	50	40
70მბ/წმ			70	
100მბ/წმ	100	100	100	

FWA ყოველთვიური ფასები ლარში

სიჩქარე	სქაიტელი
2 მბ/წმ	
3 მბ/წმ	
4 მბ/წმ	20
5 მბ/წმ	
6 მბ/წმ	25
8 მბ/წმ	30
10 მბ/წმ	35

წყარო: ოპერატორების ვებგვერდები

უმსხვილესი FWA ქსელის ოპერატორი შპს „სქაიტელი“ ერთადერთია ხუთი ძირითადი FTTx ოპერატორიდან, რომელიც უზრუნველყოფს FWA სერვისებს. შპს „სქაიტელი“ უზრუნველყოფს FWA ძირითადად იმ ადგილებში, სადაც ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურა არ არსებობს. მე-10 ცხრილში გვიჩვენებს, რომ FWA ქსელების მხრიდან არ ხორციელდება FTTx ქსელების გადაფარვა გეოგრაფიული თვალსაზრისით. 28,340 FWA აბონენტი არის წარმოდგენილი დასახლებებში, სადაც სხვა ტექნოლოგია არ არის ხელმისაწვდომი (FWA ყველა აბონენტის 31%, FTTx- 3% და xDSL- 1%-ზე ნაკლები). იმ დასახლებებშიც კი, სადაც რამდენიმე ტექნოლოგიაა წარმოდგენილი, შესაძლოა სხვადასხვა ტექნოლოგიები სრულად არ ფარავდნენ ერთმანეთს.

მისი ხარისხისა და სიჩქარის შეზღუდვის გათვალისწინებით, FWA ტექნოლოგია არ არის წამყვანი ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის (FTTx) ჩამნაცვლებელი მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მიწოდების თვალსაზრისით. ამ დასკვნას ასევე ამყარებს სიჩქარის თითოეული ჯგუფის და ტექნოლოგიების მიხედვით წარმოდგენილი მონაცემები (იხ. დიაგრამა 27), რომელიც აჩვენებს, რომ FWA აბონენტების უმეტესობა იყენებს სიჩქარეს 10 მბ/წმ-მდე და 10-30 მბ/წმ დიაპაზონის (სიჩქარის ორი ყველაზე დაბალი ჯგუფი) სიჩქარის სააბონენტო პაკეტებს და მხოლოდ რამდენიმე აბონენტი იყენებს სერვისებს 30 მბ/წმ – 100 მბ/წმ-მდე და 100 მბ/წმ-ზე მეტი სიჩქარის დიაპაზონებში.

FWA-ის ყველაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარე არის ის, რომ ხელმისაწვდომი გადაცემის სიმძლავრე განაწილებულია მრავალ მომხმარებელს შორის, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს მომსახურების ხარისხზე, განსაკუთრებით მოხმარების პიკის დროს, როდესაც რამდენიმე მომხმარებელი ერთდროულად არის ონლაინ რეჟიმში.

ფასების, შეთავაზებული სიჩქარის, ბაზრის ტენდენციების, FWA ფიქსირებული ფართოზოლოვანი ტექნოლოგიის ტექნიკური შეზღუდვების გათვალისწინებით და მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივის გათვალისწინებით, მიჩნეულია, რომ FWA არ არის FTTx-ის ჩამნაცვლებელი სერვისი მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზრისთვის. FWA ვერ გაუწევს კონკურენციას FTTx-ს მომსახურების ხარისხისა და სიჩქარის თვალსაზრისით. FWA უფრო მეტად წარმოადგენს FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების შემავსებელ სერვისს, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც FTTx დაფარვა შეზღუდულია.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ FWA არ არის FTTx-ის მოთხოვნის მხარის ჩამნაცვლებელი მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზარზე და შესაბამისად, არ წარმოადგენს იგივე შესაბამისი საცალო ბაზრის ნაწილს, რომელშიც წარმოდგენილია მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება.

ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების საბაზისო ბაზრისთვის, როგორც ეს ნაჩვენებია 27-ე ცხრილში, FWA წარმოადგენს წამყვან ტექნოლოგიას, რომელიც ძირითადად კონკურენციას უწევს xDSL-ს წვდომის სიჩქარისა და ფასების თვალსაზრისით. FWA-ის სიჩქარეთან დაკავშირებული ნაკლოვანებები არ ეხება საბაზისო ბაზარს. როგორც ზემოთ აღინიშნა არ არსებობს FTTx-ის მიმდინარე შეთავაზებები 20 მბ/წმ-ზე დაბალი სიჩქარისთვის, შესაბამისად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამჟამად FWA-ზე FTTx-ის მხრიდან არ არსებობს კონკურენტული ზეწოლა ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ბაზარის სეგმენტზე, შესაბამისად, FTTx არ არის FWA-ის ამჟამინდელი ჩამნაცვლებელი აღნიშნულ ბაზარზეც.

მიწოდების მხრიდან, ეს სერვისები პოტენციურად ჩანაცვლებადია, მაგრამ დაბალია ალბათობა იმისა, რომ FTTx პროვაიდერები შესთავაზებენ დაბალ სიჩქარეს მოხმარებელს, რადგან მათი ბიზნეს მოდელი დაფუძნებულია მაღალი სიჩქარის სერვისების მიწოდებაზე.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ FTTx არ წარმოადგენს ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საბაზისო ბაზრის სეგმენტის ნაწილს, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, FWA უფრო მეტად არის FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების შემავსებელი სერვისი, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც FTTx დაფარვა შეზღუდულია.

4.1.3 xDSL ტექნოლოგიის ინტერნეტ მომსახურება (ADSL და VDSL)

საქართველოში სპილენძის ქსელზე დაფუძნებული xDSL ტექნოლოგიის ინტერნეტ მომსახურება ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მთლიანი ბაზრის მხოლოდ 1.4%-ს შეადგენს.

ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ყოფილმა სახელმწიფო ისტორიულმა/საჯარო სერვისების ოპერატორმა (incumbent) სპილენძის საკომუნიკაციო ქსელი განავითარა, ძირითადად ფიქსირებული ხმოვანი ტელეფონისთვის. აღნიშნული ქსელი მოგვიანებით სს „სილქნეტის“ მფლობელობაში აღმოჩნდა და მანვე გააგრძელა xDSL ტექნოლოგიის განვითარება ამ ქსელის მეშვეობით.. სს „სილქნეტის“ გარდა, ზოგიერთმა სხვა ოპერატორმაც განავითარა ადგილობრივი სპილენძის ინფრასტრუქტურა, მაგრამ ბევრად უფრო მცირე მასშტაბით. აქტიური დაერთებების რაოდენობის მიხედვით, საქართველოში xDSL ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ყველაზე დიდი პროვაიდერებია:

- სს „სილქნეტი“;
- ახალი ქსელების ჯგუფი.³⁰

xDSL ტექნოლოგია იძლევა მონაცემთა გადაცემის საშუალებას მაღალი სიჩქარით (24 მბ/წმ-დან ADSL2+³¹) 300 მბ/წმ-მდე VDSL2³² ვექტორინგის გამოყენებით. უფრო მაღალი სიჩქარის მიღწევა შესაძლებელია სპილენძის მხოლოდ მოკლე წყვილებზე. xDSL-ით დაშვების სიჩქარე ძირითადად დამოკიდებულია სპილენძის წყვილის სიგრძეზე და მის ხარისხზე. რაც უფრო მოკლეა სპილენძის წყვილი, მით მეტია სიჩქარე, რომლის მიღწევაც შესაძლებელია. FTTC³³ ან FTTB-ის შემთხვევაში,

³⁰ ახალი ქსელების ჯგუფი მოიცავს საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას და სისტემ ნეტს

³¹ <https://www.increasebroadbandspeed.co.uk/2012/graph-ADSL-speed-versus-distance>

³² <https://www.draytek.co.uk/support/guides/kb-what-is-vdsl-vectoring-sra-and-ginp>

³³ <https://www.airband.co.uk/what-is-the-difference-between-fttc-and-ftp/>

ოპერატორები აფართოებენ ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელს ქსელის განთავსებით ქუჩის კაბინეტამდე ან შენობის კედლამდე. ამ შემთხვევებში, კავშირი საბოლოო მომხმარებლამდე უზრუნველყოფილია სპილენძის წყვილებით. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის ეს შეზღუდული განლაგება მიზნად ისახავს სპილენძით დაერთებული ნაწილის სიგრძის შემცირებას, რათა უზრუნველყოს მეტი სიჩქარის მიწოდების შესაძლებლობა. სხვადასხვა VDSL გადაწყვეტების გამოყენება შეიძლება განხორციელდეს მოკლე წყვილებზე. ვექტორინგის ტექნოლოგიის გამოყენებით, შეიძლება განხორციელდეს მნიშვნელოვნად მაღალი სიჩქარის მიწოდების უზრუნველყოფა.

კომისიის მონაცემებით, საქართველოში xDSL აბონენტების უმეტესობა იყენებს დაბალი სიჩქარის ADSL³⁴ ტიპის ტექნოლოგიას. xDSL აბონენტების რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება (იხ. დიაგრამა 20). xDSL ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტთა უმეტესობა გადავიდა FTTx სერვისზე. xDSL-ს სთავაზობენ საცალო დონეზე მხოლოდ ის ოპერატორები, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი სპილენძის ქსელები. კომისიამ შემოიღო რეგულაცია, რომელიც ავალდებულებს სპილენძის ინფრასტრუქტურის მფლობელებს შესთავაზონ საბითუმო დაშვება სხვა პროვაიდერებს³⁵ (unbundled local loop access), თუმცა, ალტერნატიული ოპერატორების მიერ სპილენძის სახაზო-სააბონენტო წყვილებზე საბითუმო დაშვება მხოლოდ ძალიან შეზღუდულად იქნა გამოყენებული საცალო დონეზე ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების შეთავაზებისთვის. ასე რომ, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისგან განსხვავებით, მიუხედავად იმისა, რომ რეგულაცია არსებობს, ამ მომსახურებას საქართველოში ამჟამად არცერთი კონკურენტი არ იყენებს.

ევროკავშირისა და საქართველოს შორის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრების ამ განსხვავების ერთ-ერთი შესაძლო მიზეზი არის ის, რომ საქართველოში FTTx-ის ბევრად უფრო ფართო გავრცელებას აქვს ადგილი (იხ. დიაგრამა 20) და შესაბამისად, სპილენძის ქსელზე დაფუძნებული მომსახურებებით კონკურენციის გაწევა რთული იყო. შესაბამისად, საქართველოში ოპერატორებმა, რომლებსაც ამის ეკონომიკური შესაძლებლობა ჰქონდათ ძირითადად საკუთარი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის შექმნაზე კონცენტრირდნენ. იმ ოპერატორებისთვის, რომლებსაც უკვე აქვთ მოძველებული სპილენძის ქსელები, ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელში ინვესტიციები ემსახურება არა მხოლოდ მათი გეოგრაფიული დაფარვის გაფართოებას, არამედ მათი სპილენძის ინფრასტრუქტურის ჩანაცვლებასაც. ერთადერთი საბითუმო სერვისი, რომელსაც ოპერატორები ხშირად იყენებენ არის ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე (ძირითადად არხებსა და ბოძებზე) დაშვება, რათა განათავსონ საკუთარი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელები. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქართველოში კონკურენცია ძირითადად ინფრასტრუქტურის დონეზე მიმდინარეობს.

ეს არის განსხვავებული მდგომარეობა ევროკავშირისგან, სადაც ფართოდ გამოიყენება ფიქსირებული ფართოზოლოვანი სპილენძის წყვილებზე საბითუმო დაშვების სერვისები. ამ გზით, ევროკავშირის ვრცელი სპილენძის ქსელები ფართოდ იქნა გამოყენებული ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ბაზარზე ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობისთვის საცალო დონეზე კონკურენციის დონის უზრუნველსაყოფად.

ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრის სიჩქარის მონაცემების მიხედვით, საქართველოში xDSL დაშვებაზე დაფუძნებული სერვისები მხოლოდ ორი სიჩქარის დიაპაზონს მოიცავს (10 მბ/წმ-მდე და 10-დან 30 მბ/წმ-მდე). ამ დიაპაზონშიც კი, xDSL ფლობს ძალიან მცირე ბაზრის წილებს. xDSL ტექნოლოგიით შეთავაზებული სიჩქარე შეზღუდულია სპილენძის ქსელების ტექნიკური შესაძლებლობებით. ნათელია, რომ ინვესტიციები გრძელი სპილენძის წყვილების შემცირების

³⁴ <https://www.techtarget.com/searchnetworking/definition/ADSL>

³⁵ კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის No620/9 გადაწყვეტილება საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებზე დაშვების საბითუმო ბაზრისა და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებზე დაშვების საბითუმო ბაზრის შესახებ, ბოლო ცვლილება განხორციელდა კომუნიკაციების კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N672/9 გადაწყვეტილებით.

მიმართულებით არ შეინიშნება, მაგალითად, FTTC-ის ³⁶გამოყენებით. სანაცვლოდ, საქართველოში სპილენძის დაშვების ქსელების მფლობელებმა თავიანთი ინვესტიციები მიმართეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი დაშვების ქსელის მოწყობაზე (FTTH).

საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი შეთავაზებების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ოპერატორები xDSL-ის გამოყენებით ინტერნეტზე წვდომას უზრუნველყოფენ მხოლოდ დაბალი სიჩქარეებით. ფასები ამ მომსახურებებზე აღემატება FTTx ტექნოლოგიის გამოყენებით მიწოდებულ ზოგიერთი მაღალი სიჩქარის შეთავაზებებს.

ცხრილი 34 xDSL და FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი შეთავაზებების ფასები სიჩქარეების მიხედვით (თბილისში)

FTTx ყოველთვიური ფასები ლარში

სიჩქარე	მაგთიკომი	სილქნეტი	ახალი ქსელები	სქაიტელი
20მბ/წმ				20
25მბ/წმ		35		
30მბ/წმ	37		30	25
35მბ/წმ		40		
40მბ/წმ			35	30
50მბ/წმ	50	50	50	40
70მბ/წმ			70	
100მბ/წმ	100	100	100	

xDSL ყოველთვიური ფასები

სიჩქარე	სილქნეტი	ახალი ქსელები
2მბ/წმ		22
3მბ/წმ	24	32
4მბ/წმ	33	39
5მბ/წმ		49
6მბ/წმ	45	
8მბ/წმ	65	
10მბ/წმ		

წყარო: ოპერატორების ვებგვერდები

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ xDSL სერვისებს მხოლოდ სს “სილქნეტი” და ახალი ქსელების ჯგუფი სთავაზობენ ბაზარს. სს “სილქნეტს” შეუძლია ამის გაკეთება, რადგან ის მართავს სპილენძის მემკვიდრეობითი (Legacy) ადგილობრივი დაშვების ქსელს. სს “სილქნეტმა” ახალი ინვესტიცია განახორციელა თავის FTTx ქსელში xDSL-ით დაფარულ ყველა გეოგრაფიულ არეალში. ეს მიუთითებს მოძველებული სპილენძის ინფრასტრუქტურის ამოღებასა და სრულად მომავალ FTTx ქსელზე გადასვლის განზრახვაზე. ამ სტრატეგიის მთავარი საფუძველი არის ის, რომ სპილენძის ქსელებს არ შეუძლიათ ისეთივე ხარისხის და მაღალი სიჩქარის მახასიათებლების შეთავაზება მომხმარებლისთვის, როგორც ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელს. ეს ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ მაღალი სიჩქარის დიაპაზონისთვის, xDSL არ შეიძლება იყოს FTTx-ის მოთხოვნის მხარის ჩამნაცვლებელი.

სპილენძის ქსელი ჯერ კიდევ ფართოდ გამოიყენება ჩვეულებრივი სატელეფონო სერვისებისთვის. საქართველოში სპილენძის ქსელზე ფიქსირებული ტელეფონის 218,000-მდე აბონენტი რჩება. ამ

³⁶ <https://www.airband.co.uk/what-is-the-difference-between-fttc-and-ftp/>

არხებს აქვთ xDSL-ზე გადასვლის პოტენციალი, თუმცა ამ ტექნოლოგიის გამოყენების დიდი სიჩქარით შემცირების ტენდენცია მიუთითებს, რომ xDSL-ში შემდგომი ინვესტიციების მიმართვა არ მოიაზრება. ოპერატორები საქართველოში ინვესტიციებს მიმართავენ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების მოწყობის მიმართულებით.

ბაზრის ამ ტენდენციების გათვალისწინებით, შეზღუდული დაფარვის, xDSL-ის მაღალი ფასის, FTTx-ში ინვესტირების ტენდენციების, xDSL-ის ტექნიკური შეზღუდვებისა და სპილენძის წყვილებით მიწოდებული მომსახურების დაბალი ხარისხის და მომავალზე ორიენტირებული მიდგომის გათვალისწინებით, ითვლება, რომ საქართველოში xDSL არ არის FTTx-ის მოთხოვნის მხარის ჩამნაცვლებელი მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი დაშვების ბაზარზე. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ xDSL არ არის მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ სერვისებზე წვდომის საცალო ბაზრის სეგმენტის ნაწილი.

ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ სერვისებზე წვდომის საბაზისო ბაზრისთვის, xDSL არის მეორე ტექნოლოგია მოხმარების რაოდენობის თვალსაზრისით, FWA-ს შემდეგ. xDSL-ის საცალო ფასები ზოგადად უფრო მაღალია, ვიდრე FWA-ს, რაც ასახავს ზოგადად მიწოდების უფრო მაღალ ხარჯებს და მიწოდებული სერვისის მაღალ ხარისხს. ამიტომ ითვლება, რომ სპილენძის წყვილებზე დაფუძნებული xDSL არის FWA-ის ჩამნაცვლებელი ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზარზე. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ xDSL იმყოფება იმავე, საბაზისო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისებზე წვდომის ბაზრის სეგმენტზე.

4.1.4 მობილური ფართოზოლოვანი დაშვება (მათ შორის ფიქსირებული LTE)

მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის ეს ანალიზი დაკავშირებულია ფიქსირებული ფართოზოლოვანი დაშვების სერვისთან, აუცილებელია გვაანალიზოთ მობილური ქსელებით დაშვების გავლენა, რათა გავიგოთ, ახდენს თუ არა ის კონკურენტულ ზეწოლას FTTx ტექნოლოგიის ინტერნეტ მომსახურებაზე, როგორც მისი ჩამნაცვლებელი სერვისი.

ზოგადად, მობილურ ქსელში გადაცემის სიჩქარე ძირითადად დამოკიდებულია გამოყენებულ ტექნოლოგიაზე. UMTS, HSDPA, HSUPA და HSPA+³⁷ ტექნოლოგიები გამოიყენება 3G ქსელებში, ხოლო LTE და LTE+ ამჟამად ყველაზე გავრცელებული გადაცემის ტექნოლოგიებია 4G ქსელებში. მოსალოდნელია, რომ 5G ტექნოლოგია მომავალში უფრო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოში, მათ შორის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით, მაგრამ არა ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივის ფარგლებში (3 წელი). მობილური ოპერატორები უზრუნველყოფენ საქართველოში საბოლოო მომხმარებლების წვდომას მობილურ ფართოზოლოვან სერვისებზე მობილური ქსელების გამოყენებით, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს ისარგებლოს 20 მბ/წმ-მდე სიჩქარით (თუმცა თეორიული სიჩქარე შეიძლება იყოს უფრო მაღალი, მობილური მომხმარებლის მოწყობილობის მდებარეობიდან გამომდინარე, რაც დამოკიდებულია მობილურ გადამცემთან და ქსელთან დაკავშირებულ სხვა პირობებზე). ფიქსირებული და მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების სერვისების შედარებისთვის გამოყენებული ძირითადი ფაქტორები განხილულია შემდგომ თავებში.

მობილური ქსელების მეშვეობით ფართოზოლოვან ინტერნეტ სერვისებზე წვდომა შესაძლებელია სმარტფონების გამოყენებით. კავშირის სხვა ფორმები მოიცავს სხვადასხვა ტიპის მოდემს, რომლებიც გამოიყენება კომპიუტერულ მოწყობილობებთან ერთად (მაგალითად, USB dongles³⁸). ამ ანალიზის მიზნებისთვის, ყველა სახის წვდომის გათვალისწინებაა საჭირო, რადგან სმარტფონებს შეუძლიათ შეასრულონ ლოკალური Wi-Fi როუტერების ფუნქცია სხვადასხვა მოწყობილობების

³⁷ <https://www.4gitemall.com/blog/what-is-gsm-edge-gprs-umts-3g-hsdpa-hsupa-lte/>

³⁸ <https://www.uswitch.com/broadband/guides/what-is-a-mobile-dongle/>

ინტერნეტთან დასაკავშირებლად და სხვადასხვა ვებ სერვისებზე წვდომისთვის (მაგალითად, OTT და ე.წ სტრიმინგ მომსახურება). მომხმარებლების მოთხოვნა სულ უფრო მეტად მიემართება ულიმიტო ტრაფიკის გამოყენებასა და მომსახურების მაღალ ხარისხზე.

საქართველოში მობილური ოპერატორების შეთავაზებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამი მობილური ოპერატორიდან ორი (შპს “მაგთიკომი” და სს „სილქნეტი“) სთავაზობს ბაზარს მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტის ულიმიტო პაკეტებს (ფიქსირებული ტარიფით) ან აწესებს მონაცემთა ლიმიტის ისეთ მაღალ მაჩვენებელს, რომ პაკეტი შესაძლოა ჩაითვალოს ულიმიტოდ. მესამე მობილურმა ოპერატორმა (შპს „სელფი მობაილმა“) შეწყვიტა მონაცემთა ულიმიტო პაკეტების შეთავაზება.

სხვა ქვეყნებში, მონაცემთა ულიმიტო პაკეტების მიწოდების, მხოლოდ თეორიული შესაძლებლობა არსებობს, რადგან დაშვებული მაქსიმალური სიჩქარე მოქმედებს მხოლოდ მონაცემთა გამოყენების ლიმიტის მიღწევამდე. მაქსიმალური ლიმიტის მიღწევის შემდგომ გამოყენებული მონაცემების მიწოდება ხორციელდება შემცირებული სიჩქარით. ეს შეზღუდვა მნიშვნელოვნად აისახება მომსახურების ხარისხსა და საბოლოო მომხმარებლის გამოცდილებაზე. სერვისის ამ ტიპის შეზღუდვა საქართველოში არ გამოიყენება.

იმ შემთხვევაში თუ მონაცემთა მაქსიმალური ლიმიტის მიღწევას მონაცემთა გადაცემის სიჩქარის შემცირება არ განხორციელდება მობილური ოპერატორების მიერ, მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისები შეიძლება პირდაპირ შედარდეს ფიქსირებული ოპერატორების მიერ შეთავაზებულ ფართოზოლოვან სერვისებს. იმ შემთხვევაში, როდესაც მომსახურების მიწოდებისას არ არის გათვალისწინებული სიჩქარის შემცირება მონაცემთა გადაცემის ლიმიტის მიღწევის შემთხვევაში, ფიქსირებული და მობილური ფართოზოლოვანი სერვისების შესადარისობას, ასევე, განსაზღვრავს მომსახურების ხარისხის სხვა ასპექტები და გარანტირებული სიჩქარე. მობილური ინტერნეტის სიჩქარე, ტექნოლოგიის თითოეულ კატეგორიაში (3G, LTE ან 5G), დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სიგნალის მიღების ხარისხი, მობილური ქსელის ოპერატორის საბაზო სადგურის სიახლოვე და საბაზო სადგურთან ერთდროულად დაკავშირებული საბოლოო მომხმარებლების რაოდენობა.

ეს ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მომსახურების ხარისხსა და მომხმარებლების მიერ მიღებული მობილური ინტერნეტ კავშირის სიჩქარეზე. ფიქსირებული ოპერატორებისგან განსხვავებით, მობილურ ოპერატორებს არ შეუძლიათ თავიანთი საბოლოო მომხმარებლებისთვის გარანტირებული მინიმალური სიჩქარის მიწოდება. იგივე ეხება FWA სერვისებს, თუ მობილური ქსელის ტექნოლოგიები გამოიყენება FWA-ს უზრუნველსაყოფად, ეს საკითხი განხილულია 4.1.2. თავში. მობილური ქსელების სიჩქარის ცვალებადობა განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც მომხმარებელს სურს მაღალი გარჩევადობის ვიდეო კონტენტზე წვდომა ან როდესაც რამდენიმე მოწყობილობა იზიარებს ერთსა და იმავე ინტერნეტ კავშირს (მაგალითად, სახლის Wi-Fi ქსელი).

საბაზისო და მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზრის სეგმენტებს განსხვავებული მახასიათებლები გააჩნიათ იმ მხრივ, თუ რა ასპექტებს შეუძლიათ მოახდინონ გავლენა მომხმარებლის გამოცდილებაზე, ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე და სხვადასხვა ტექნოლოგიების ჩანაცვლებადობაზე. ზოგადად, რაც უფრო დაბალია სიჩქარე, მით უფრო დაბალია მომსახურების ხარისხისა და საბოლოო მომხმარებლის გამოცდილების მნიშვნელობა სხვადასხვა ტექნოლოგიებს შორის არჩევანის თვალსაზრისით. მიჩნეულია, რომ საბაზისო სერვისებისთვის (10 მბ/წმ-მდე) სერვისის ხარისხი და სიჩქარე, რომელიც მიეწოდება საბოლოო მომხმარებლებს მობილური ქსელების გამოყენებით, შეიძლება სრულად იყოს შესადარისი FWA და xDSL ტექნოლოგიებთან. რაც შეეხება მობილური ფართოზოლოვანი სერვისების მოქმედ ტარიფებს, შპს “მაგთიკომიც” და სს „სილქნეტიც“ მომხმარებლებს სთავაზობენ

მონაცემთა ულიმიტო პაკეტებს თვეში 32 ლარად. ეს ფასი ხვდება FWA ტარიფების ფასების დიაპაზონში, რაც ნიშნავს, რომ მობილური ფართოზოლოვანი სერვისების მიწოდებელმა ოპერატორებმა თავიანთი ულიმიტო მონაცემთა პაკეტებით შეიძლება მოახდინონ კონკურენტული ზეწოლა FWA ოპერატორებზე. აქედან გამომდინარე, ამან შეიძლება მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისები ხვდება იმავე შესაბამისი ბაზრის სეგმენტზე, რომელზეც ხორციელდება ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირის მომსახურების მიწოდება, ისევე როგორც xDSL და FWA.

რაც შეეხება მაღალ სიჩქარეებს (10 მბ/წმ-ზე ზემოთ) და FTTx სერვისებს, იმისათვის, რომ მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება იყოს კონკურენტუნარიანი მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ბაზრის სეგმენტზე, მომხმარებელს უნდა შეეძლოს მიიღოს იგივე სიჩქარე და იგივე ხარისხი. თუმცა აღნიშნული ვერ იქნება უზრუნველყოფილი, იქიდან გამომდინარე, რომ მობილური ფართოზოლოვანი მომსახურება ვერ უზრუნველყოფს FTTx ტექნოლოგიის გამოყენებით მიწოდებული ეკვივალენტური მომსახურების ანალოგიური სიჩქარის მიწოდებას.

როგორც ჩანს, არ არსებობს იმის ტენდენცია, რომ საბოლოო მომხმარებლები გადავიდნენ მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისიდან მობილურ ფართოზოლოვან სერვისზე. ეს არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი იმისა, რომ საბოლოო მომხმარებლები განიხილავენ მობილურ ფართოზოლოვან სერვისს, როგორც შემავსებელ სერვისს მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ქსელისთვის და არა როგორც მის ჩამნაცვლებელს. ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მობილური სერვისი დაკავშირებულია ცალკეულ ინდივიდთან, როგორც საბოლოო მომხმარებელთან და ძირითადად გამოიყენება მხოლოდ ამ პირის მიერ, ხოლო ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისი ძირითადად გამოიყენება ოჯახის ყველა წევრის მიერ. ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისი, როგორც წესი, საშუალებას აძლევს საბოლოო მომხმარებლებს ისარგებლონ IPTV სერვისებით, განსხვავებით ამჟამინდელი მობილური ფართოზოლოვანი შეთავაზებებისგან.

ეს ფაქტორები აძლიერებს მოსაზრებას, რომ მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისი და მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისი არ განიხილება როგორც ურთიერთჩანაცვლებადი სერვისები საბოლოო მომხმარებლების მიერ, თუმცა ისინი შესაძლოა განიხილულ იქნენ, როგორც შემავსებელი სერვისები.

ფიქსირებულ ფართოზოლოვან და მობილურ ფართოზოლოვან მომსახურებებს შორის ხარისხობრივი განსხვავება შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს, როდესაც საქართველოში 5G საცალო სერვისები დაინერგება. ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში, არ არის მოსალოდნელი, რომ 5G მოახდენს რაიმე კონკურენტულ ზეგავლენას მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე მომდევნო 3 წლის განმავლობაში.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ხარისხისა და ტარიფების გამო, მობილური ფართოზოლოვანი კავშირი და მაღალი სიჩქარის საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება არ ექცევა ერთიდაიგივე მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ინტერნეტ კავშირის ბაზრის სეგმენტში.

საბაზისო (basic) ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრის სეგმენტზე მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება, (როგორც ჩანაცვლებადი მომსახურება) არ ხასიათდება იმავე შეზღუდვებით, როგორც ეს მას ახასიათებს მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის საცალო ბაზრის სეგმენტზე. FWA ქსელებით დაფარული ყველა ლოკაცია ასევე დაფარულია მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების ქსელებით. ზოგადად,

საბაზისო ფართოზოლოვანი სერვისების საბოლოო მომხმარებლები არ არიან ინტერნეტის მაღალი მოცულობის მომხმარებლები. მობილური ფართოზოლოვანი შეთავაზებების ულიმიტო პაკეტების ტარიფები კონკურენციას უწევს FWA შეთავაზებებს. ამასთან, მობილური ქსელის გამოყენებას ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისის უზრუნველსაყოფად იგივე ტექნიკური მახასიათებლები გააჩნია, როგორც მობილურ ფართოზოლოვან სერვისს იმავე ადგილას. ეს სერვისი უკვე შემოთავაზებულია, FWA ტექნოლოგიის გამოყენებით ისეთ ადგილებში, სადაც ზოგადად არ არსებობს ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირის უზრუნველყოფის სხვა საშუალება.

ამიტომ მიჩნეულია, რომ მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისი წარმოადგენს FWA-ს მოთხოვნის მხარის ჩამნაცვლებელ სერვისს ფიქსირებული ფართოზოლოვანი საცალო ინტერნეტ მომსახურების ბაზარზე.

კომისია გააგრძელებს დაკვირვებას ფართოზოლოვანი ტექნოლოგიებისა და ბაზარზე შემოთავაზებული სერვისების შემდგომ განვითარებაზე (კერძოდ 5G მობილური ქსელებით). ბაზრის ანალიზის შემდეგ ეტაპზე, მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტის განვითარების გავლენა, შეიძლება გათვალისწინებული იყოს როგორც საბაზისო, ასევე მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ სერვისებზე წვდომის საცალო ბაზრების დადგენისას.

4.2 მიწოდების მხარის ჩანაცვლებადობა

კომისიის მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც დაკავშირებულია ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების გამოყენებასთან და ასევე FTTx ქსელის დაფარვის მონაცემებით, (იხ. ცხრილები 4.5,12 და დიაგრამები 20 და 21), ნაკლებად სავარაუდოა, რომ ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე საცალო ფასის ჰიპოთეტური ზრდის შემთხვევაში, ახალ ოპერატორებს შეეძლებათ დაიწყონ მომსახურების მიწოდება მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ქსელის ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი დაფარვით, ამ ბაზრის ანალიზით განსაზღვრული მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივის ფარგლებში. როგორც მობილური ტექნოლოგიების სერვისების წინა ანალიზში (იხ. თავი 4.1.4) აღინიშნა, მომავალში კონკურენტულ სერვისად ამ ბაზარზე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს 5G მობილური ტექნოლოგიის³⁹ გამოყენებით სერვისის მიწოდება, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ აღნიშნული მომსახურების მიწოდება განხორციელდება ეროვნულ დონეზე ამ ბაზრის ანალიზით განსაზღვრული მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივის ფარგლებში.

ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის საბაზისო ბაზრისთვის, სადაც FWA წარმოადგენს უპირატეს ტექნოლოგიას, საცალო ფასის ჰიპოთეტური ზრდის შემთხვევაში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ FTTx-ის პროვაიდერებმა დაიწყონ მომსახურების მიწოდება დაბალი სიჩქარის დიაპაზონში. FTTx-ის გამოყენებით (20 მბ/წმ-ზე ქვემოთ) სერვისების შეთავაზება არ ხორციელდება და ასევე უფრო სავარაუდოა, რომ, მომავალში FWA და xDSL საბაზისო ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის სერვისების მომხმარებლები უფრო მაღალ სიჩქარეებზე გადავლენ, რომელსაც სთავაზობს მათ FTTx ტექნოლოგია, ვიდრე ისარგებლებენ FTTx ტექნოლოგიით დაბალი სიჩქარის მომსახურების მიღებისთვის.

ამიტომ მიჩნეულია, რომ საქართველოში არ არის უზრუნველყოფილი მიწოდების მხარის ჩანაცვლებადობა მაღალი სიჩქარის და საბაზისო ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებებს შორის.

³⁹ 2023 წლის აგვისტოში Cellfie-ს მიენიჭა დამატებითი სპექტრი საქართველოში 5G სერვისების დაწერვისთვის გამოყენებისთვის <https://comcom.ge/en/yvela-siaxle/5g-auction-concludes-the-new-technology-will-be-implemented-by-cellfie-mobile.page>

4.3 დასკვნები ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების შესაბამისი საცალო ბაზრის შესახებ

4.3.1 საბაზისო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზარი

3.1 და 3.2 და თავებში გაკეთებულ ანალიზზე დაყრდნობით, შესაძლოა დავასკვნათ, რომ საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირის საბაზისო ბაზარი საქართველოში შედგება შემდეგი ჩანაცვლებადი სერვისებისგან:

- საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურება FWA-ის გამოყენებით;
- საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურება xDSL-ის გამოყენებით;
- საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურება მობილური ქსელის გამოყენებით;

შესაბამისი ბაზარი შეიძლება ჩათვალოს 10 მბ/წმ-მდე სიჩქარის დიაპაზონში, რომელსაც სთავაზობენ საბოლოო მომხმარებლებს, მიუხედავად შეთავაზების ფორმისა (ცალკემდგომი, კომბინირებული) და განსაზღვრულ დიაპაზონში მომსახურების მიწოდების სიჩქარისა.

4.3.2 მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზარი

3.1 და 3.2 თავებში გაკეთებული ანალიზიდან ჩანს, რომ მოთხოვნის ან მიწოდების მხარის ჩანაცვლებადობა ამჟამად არ არის უზრუნველყოფილი საქართველოში და მაღალი სიჩქარის საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზარი შედგება FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებისგან, რომელსაც ოპერატორები სთავაზობენ საბოლოო მომხმარებლებს (ფიზიკური პირი) 10 მბ/წმ-ზე მეტი დიაპაზონის სიჩქარეებით. აღნიშნული დასკვნა იგივეა, იმის მიუხედავად იქნება თუ არა ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისი შემოთავაზებული ცალკე მდგომი თუ კომბინირებული შეთავაზების სახით, განურჩევლად სიჩქარისა მითითებული დიაპაზონის ფარგლებში.

4.4 საბაზისო და მაღალი სიჩქარის საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრის დადგენა

პროცედურების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, “ბაზრის შესაბამისი სეგმენტის პროდუქციული საზღვრების დადგენის შემდეგ უნდა განისაზღვროს ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული საზღვრები. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული საზღვარი არის გეოგრაფიული არეალი, რომლის ფარგლებშიც ბაზრის პროდუქციულ სეგმენტზე წარმოდგენილი ავტორიზებული პირები ახორციელებენ საქმიანობას, კონკურენტული პირობები საკმარისად ერთგვაროვანია და რომელიც შესაძლებელია გამოირჩეოდეს მეზობელი გეოგრაფიული არეალებისგან, სადაც არსებითი კონკურენტული პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. არეალები, რომლებშიც განსხვავებული კონკურენტული პირობებია არ განეკუთვნება ბაზრის ერთიან სეგმენტს.”

საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრების სამართლებრივი და მარეგულირებელი პირობები იგივეა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. თუმცა, არსებობს გარკვეული განსხვავებები, რომლებიც დაკავშირებულია ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე წვდომის როგორც საბაზისო, ასევე მაღალი სიჩქარის ბაზრებთან. ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრაზე, შემდეგია:

- სხვაობა ქსელის დაფარვის თვალსაზრისით როგორც ეს აღწერილია 3.1 თავში;
- ფასების სხვაობა თბილისსა და რეგიონებს შორის, როგორც ეს აღწერილია 3.2 თავში.

ორი ოპერატორი თბილისში, საბოლოო მომხმარებლებისთვის ადგენს მაღალ ფასებს FTTx მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი შეთავაზებებისთვის (იხ. ცხრილები 31 და 32). ეს იმაზე მეტყველებს, რომ მაღალი სიჩქარის ბაზარი, თბილისსა და სხვა რეგიონებს შორის, შეიძლება გაიყოს რადგან ზოგიერთ შემთხვევაში საბოლოო მომხმარებლები ვერ იღებენ ერთსა და იმავე პირობებს აღნიშნულ სერვისებზე ეროვნული მასშტაბით.

რაც შეეხება ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საბაზისო ბაზარს, xDSL-ისთვის ორი ოპერატორი აწესებს უფრო მაღალ ფასებს თბილისში ყველაზე დაბალი სიჩქარეებისთვის (2 მბ/წმ, 3 მბ/წმ და 4 მბ/წმ), ხოლო FWA-სთვის არ არის განსხვავებები ტარიფებში თბილისსა და სხვა რეგიონებს შორის. ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის საბაზისო საცალო ბაზარი მოიცავს საცალო ფართოზოლოვანი წვდომის მომსახურებას მობილური ქსელების გამოყენებით, რომელზეც სამივე მობილური ქსელის ოპერატორს აქვს ეროვნული დაფარვა. ამიტომ მიჩნეულია, რომ გეოგრაფიული ბაზრის ფარგლები, რომელიც დაკავშირებულია საბაზისო საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზართან, წარმოადგენს საქართველოს მთელ ტერიტორიას რადგან მობილურ ქსელებს შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ FWA და xDSL სერვისებს მთელი საქართველოს მასშტაბით.

მაღალი სიჩქარის საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ბაზრის თვალსაზრისით, მთავარი გეოგრაფიული განსხვავება არის თბილისში შემოთავაზებული 30 მბ/წმ სერვისის უფრო მაღალი ფასი თბილისის გარეთ იმავე სერვისთან შედარებით. ყველა სხვა სიჩქარისთვის, ძირითადად 50 მბ/წმ და 100 მბ/წმ (მაგრამ ოპერატორების შეთავაზებების დეტალური შინაარსიდან გამომდინარე) ფასები იგივეა. ამიტომ მიჩნეულია, რომ არ არსებობს მკაფიო მტკიცებულება საცალო დონეზე სხვადასხვა გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 30 მბ/წმ სიჩქარის შეთავაზებები თბილისის გარეთ იყიდება, დროში შეზღუდული აქციების სახით, შესაბამისად ოპერატორების მხრიდან არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, რომ დაბალი ფასის შეთავაზება მომავალშიც ძალაში დარჩება. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში FTTx-ზე განსხვავებული ტარიფები კვლავ არსებობს სხვა რეგიონებთან შედარებით, განსხვავებები შემცირდა და მოსალოდნელია, რომ ამ ბაზრის ანალიზით განსაზღვრულ მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში, დარჩენილი ტარიფების სხვაობა გაქრება.

შპს “მაგთიკომისა” და სს “სილქნეტის” გარდა სხვა ოპერატორებს გეოგრაფიული დაფარვა მნიშვნელოვნად ნაკლები აქვთ. ყველა მოთამაშემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ურბანულ რაიონებზე, სადაც შეიმჩნევა ქსელების გარკვეული გადაფარვა, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში (იხ. თავი 3.1). ამ ძირითადი ქალაქების გარეთ, კონკურენტების ქსელების დაფარვა არ მოდის სრულ თანხვედრაში. ეს ნიშნავს, რომ შპს “მაგთიკომი” მხოლოდ შეზღუდულ კონკურენციას აწყდება ეროვნულ ბაზარზე, გარდა ძირითადი ურბანული ტერიტორიებისა, სადაც ზოგადად სხვა ოპერატორებიც არიან წარმოდგენილნი (მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბაზარზე გეოგრაფიული დიფერენციაცია აუცილებელია).

გეოგრაფიული ბაზრის განმარტებასთან დაკავშირებით ძირითადი მოსაზრებებია:

- საქართველოს მასშტაბით ერთი და იგივე საკანონმდებლო და მარეგულირებელი პირობებია;
- კონკრეტული ოპერატორების ერთი და იგივე სტანდარტული ფიქსირებული ფართოზოლოვანი FWA პაკეტების ფასები მთელი საქართველოს მასშტაბით იგივეა;
- კონკრეტული ოპერატორების ეკვივალენტური ძირითადი ფიქსირებული ფართოზოლოვანი xDSL პაკეტების ფასები განსხვავდება თბილისსა და სხვა რეგიონებს შორის საბაზისო სიჩქარეებზე.
- მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ სერვისებზე წვდომის ბაზარზე,

ფასში ერთადერთი განსხვავება (30 მბ/წმ) პაკეტზე, წარმოადგენს სააქციო შეთავაზებას, რომელიც შეიძლება არ იყოს მუდმივი;

- მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ოპერატორი წარმოდგენილია ქსელის განსხვავებული დაფარვის არეალით, ბაზრის სეგმენტზე ოპერირებს მინიმუმ ერთი მომსახურების პროვაიდერი მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის ბაზარზე (შპს “მაგთიკომისა”), რომელიც ფარავს შინამეურნეობების დიდ წილს და ბაზარზე წარმოდგენილია სამი პროვაიდერი ეროვნული დაფარვით, რომლებიც შეიძლება მოემსახურონ ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის საბაზისო ბაზარს (მობილური ქსელის 3 ოპერატორი).

4.4.1 დასკვნა შესაბამისი ბაზრის შესახებ გეოგრაფიული თვალსაზრისით

ამ ანალიზის საფუძველზე ვლინდება, რომ როგორც საბაზისო, ასევე მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის საცალო ბაზრის გეოგრაფიული არეალი საქართველოს მთელი ტერიტორიაა.

4.5 დასკვნა ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე წვდომის შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის შესახებ

შესაბამისი ბაზრის მკაფიო და ზუსტი განმარტება ფუნდამენტურია იმის შესაფასებლად, აქვს თუ არა ოპერატორს (ან ოპერატორებს) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება ბაზარზე, ანუ სარგებლობს თუ არა რომელიმე ოპერატორი ცალკე ან ერთობლივად ეკონომიკური ძალით, რომელიც მას კონკურენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას აძლევს. კონკურენციის ეფექტიანობის ზუსტი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ ბაზრის საზღვრების მკაფიოდ გამოკვეთის შემდეგ.

ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებაზე წვდომის საცალო ბაზარზე ორი შესაბამისი ბაზრის სეგმენტი გამოიკვეთა:

- მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტზე წვდომის მომსახურების ბაზრის სეგმენტი (10 მბ/წმ-ზე მეტი სიჩქარის სერვისებისთვის);
- საბაზისო ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტზე წვდომის მომსახურების ბაზრის სეგმენტი (10 მბ/წმ-მდე სიჩქარის სერვისებისთვის).

4.5.1 მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებაზე წვდომის საცალო ბაზრის განსაზღვრა

4.1 და 4.2 თავების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოტანილ იქნეს დასკვნა, რომ ვინაიდან აღნიშნულ ბაზარზე არ არის უზრუნველყოფილი მოთხოვნის ან მიწოდების მხარის ჩანაცვლებადობა ამჟამად და ბაზრის ანალიზით განსაზღვრულ მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტზე წვდომის საცალო ბაზარი საქართველოში შედგება მხოლოდ FTTx ფართოზოლოვანი წვდომის მომსახურებისგან 10 მბ/წმ-ზე მეტი სიჩქარის დიაპაზონში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მითითებული ფართოზოლოვანი წვდომის სერვისის შემოთავაზებული ცალკე მდგომი თუ კომბინირებული სახით (სხვა ელექტრონულ საკომუნიკაციო სერვისებთან ერთად) და მიუხედავად ამ განსაზღვრული სიჩქარის დიაპაზონში გათვალისწინებული ინტერნეტკავშირის სიჩქარისა. გეოგრაფიული თვალსაზრისით ბაზარი მიჩნეულია ეროვნულად, რადგან მომსახურების მიწოდების ვადები და პირობები, ბაზარზე დაწესებული ფასები, ისევე როგორც სამართლებრივი და მარეგულირებელი პირობები ერთნაირია მთელი საქართველოს მასშტაბით.

4.5.2 საბაზისო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის განსაზღვრა

4.3 და 4.4 თავებში მოყვანილ ანალიზზე დაყრდნობით, იკვეთება, რომ საქართველოში საბაზისო ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის საცალო ბაზრის სეგმენტი შედგება შემდეგი ჩანაცვლებადი სერვისებისგან:

- საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება FWA-ის მეშვეობით;
- საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება xDSL-ის მეშვეობით;
- საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება მობილური ქსელის გამოყენებით.

ბაზრის ეს სეგმენტი მოიცავს შემოთავაზებებს 10 მბ/წმ-მდე სიჩქარის დიაპაზონში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მითითებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება შემოთავაზებული ცალკე მდგომი თუ სხვა ელექტრონულ საკომუნიკაციო სერვისებთან ერთად და მიუხედავად სიჩქარის ამ დიაპაზონში გათვალისწინებული კავშირის სიჩქარისა. გეოგრაფიული თვალსაზრისით ბაზარი მიჩნეულია ეროვნულად, რადგან მომსახურების მიწოდების პირობები, მოქმედი ფასები, ისევე როგორც სამართლებრივი და მარეგულირებელი პირობები ერთნაირია მთელი საქართველოს მასშტაბით.

5 საფეხური 2 - კონკურენციის შეფასება მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივიდან

5.1 საბაზისო ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე წვდომის საცალო ბაზარი

ისევე, როგორც მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს სამართლებრივი, ადმინისტრაციული ან მარეგულირებელი ბარიერები საქართველოში საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საბაზისო ბაზრის სეგმენტზე შესვლისთვისაც.

როგორც 4.5 თავში მოცემული ანალიზის შედეგად დადგინდა, საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის საბაზისო ბაზრის სეგმენტი საქართველოში შედგება FWA, xDSL და მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებისგან 10 მბ/წმ-მდე სიჩქარის დიაპაზონში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მითითებული ფართოზოლოვანი კავშირის სერვისი შემოთავაზებული ცალკემდგომი თუ კომბინირებული შეთავაზების სახით (სხვა ელექტრონულ საკომუნიკაციო სერვისებთან ერთად (და ამ განსაზღვრული სიჩქარის დიაპაზონში შეთავაზებული სიჩქარის მიუხედავად). ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარი გეოგრაფიული თვალსაზრისით წარმოადგენს ეროვნულ ბაზარს.

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია ხაზგასმულია მე-4 თავში და უნდა იქნეს გათვალისწინებული ამ ბაზარზე კონკურენციის ამჟამინდელი მდგომარეობის ანალიზთან ერთად:

- FWA – 84 ოპერატორი უზრუნველყოფს FWA სერვისების მიწოდებას ცალკეულ გეოგრაფიულ არეალში;
- xDSL – სს “სილქნეტი” და ახალი ქსელების ჯგუფი უზრუნველყოფენ xDSL სერვისების მიწოდებას კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალებში;
- მობილური ფართოზოლოვანი - სამივე მობილური ქსელის ოპერატორი უზრუნველყოფს მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მიწოდებას ეროვნული დაფარვით.

აღნიშნულ მობილურ ქსელებს შეუძლიათ შესთავაზონ მომხმარებლებს ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება FWA და xDSL ბაზრებზე.

ეს ფაქტორები მიუთითებენ იმაზე, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე არსებობს შესვლასთან დაკავშირებული გარკვეული ბარიერები, საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის საბაზისო ბაზარი ამჟამად აჩვენებს ეფექტიანი კონკურენციის ნიშნებს, რამეთუ ბაზარზე მომსახურების მიწოდებას ახორციელებს რამდენიმე ოპერატორი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო კონკურენცია ამ ბაზარზე მიღწეულია სპილენძის წყვილებზე დაშვების რეგულირებადი საბითუმო სერვისების გამოყენების გარეშე, მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული სერვისის ხელმისაწვდომია. ამ ბაზარზე არსებული კონკურენცია ეფუძნება ცალკეულ ქსელურ ინფრასტრუქტურას სხვადასხვა ტექნოლოგიების კომბინირებული გამოყენებით. საბითუმო დაშვების სერვისები, რომლებიც მივიჩნევთ, რომ გაზრდიდა კონკურენციას საცალო ბაზრის სეგმენტზე საკმაოდ შეზღუდულად გამოიყენებოდა (ევროკავშირში აღნიშნული სერვისის მაღალ გამოყენებასთან შედარებით). ეს აჩვენებს, რომ არ არსებობს მკაფიო ისტორიული ტენდენცია ან გამოცდილება სერვისზე დაფუძნებული ფიქსირებული ფართოზოლოვანი კონკურენციის შესახებ, რადგან ადგილი ჰქონდა კონკურენციას ინფრასტრუქტურულ დონეზე.

მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში და ბაზარზე ბოლო ტენდენციებზე დაყრდნობით (იხ. დიაგრამა 21) მოსალოდნელია, რომ ბევრი საბოლოო მომხმარებელი გადაინაცვლებს FTTx ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ინტერნეტის უფრო მაღალ სიჩქარეებზე. შესაბამისად, გაიზრდება მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირის საცალო ბაზრის მნიშვნელობა.

მიუხედავად იმისა, რომ FWA და xDSL ქსელები არ ფარავენ ქვეყნის მთელ ტერიტორიას, პოტენციური კონკურენცია სამი მობილური ქსელის ოპერატორის მხრიდან ამ ბაზარზე არ მისცემს საშუალებას მცირე მოთამაშეებს მოიპოვონ დომინანტური პოზიცია იმ გეოგრაფიულ ადგილებში, სადაც ხელმისაწვდომია მხოლოდ ერთი FWA ან xDSL ქსელი. ეს პუნქტი ხაზს უსვამს ძირითად განსხვავებას კონკურენციის დონეებს შორის საბაზისო და მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან საცალო ბაზრებზე.

მოსალოდნელია, რომ მოვლენების განვითარება ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირის საცალო ბაზარზე ამ ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში იქნება შემდეგი:

- არ არის მოსალოდნელი, რომ ადგილობრივი ოპერატორები განახორციელებენ მაღალ ინვესტიციებს ეროვნული დაფარვის მისაღწევად;
- არ არსებობს იურიდიული ან მარეგულირებელი ბარიერები შესვლისთვის, ამიტომ FWA-ს ახალ მოთამაშეებს შეუძლიათ შევიდნენ ბაზარზე, ან FWA-ს არსებულმა მოთამაშეებმა გააფართოვონ თავიანთი ბაზრები ადგილობრივი მასშტაბით;
- სხვა ქვეყნების ტენდენციების შესაბამისად, მოსალოდნელია გარკვეული კონსოლიდაცია FWA-ს პროვაიდერებს შორის, რათა მათ უზრუნველყონ მასშტაბის უკეთესი ეკონომია;
- მოსალოდნელია, რომ სერვისების მიწოდება xDSL-ის საშუალებით შემცირდება, რადგან ამ ქსელების უმეტესობა გარკვეულ ეტაპზე გაუქმდება და ჩანაცვლდება FTTx ქსელებით, რაც დასტურდება ისტორიული ტენდენციით;
- მოსალოდნელია, რომ ამ ბაზარზე საბოლოო მომხმარებელთა რაოდენობა კვლავ შემცირდება, რადგან მომავლის ტექნოლოგიების (განსაკუთრებით FTTx და 5G)

გაფართოებასთან ერთად, არსებული ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის საბაზისო საცალო სერვისის მომხმარებლები უფრო მაღალ სიჩქარეებზე გადავლენ.

პირობების მომავალზე ორიენტირებული ამ ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საბაზისო საცალო ბაზარი ხასიათდება ეფექტიანი კონკურენციით, აქედან გამომდინარე, კომისიამ უნდა იმოქმედოს პროცედურების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: „თუ მე-10 მუხლში მითითებული შეფასება აჩვენებს, რომ საცალო ბაზრის სეგმენტი მიდრეკილია ეფექტიანი კონკურენცისკენ მოდიფიცირებული გრინფილდის მიდგომის გათვალისწინებით, კომისიამ უნდა დაასკვნას, რომ არ არის საჭირო ამ საცალო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის და მისი აღმავალი საბითუმო სეგმენტ(ებ)ის წინასწარი რეგულირება და თუ საცალო ან მისი აღმავალი საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტ(ებ)ი უკვე ექვემდებარება წინასწარ რეგულირებას, კომისია აუქმებს დაწესებულ სპეციფიკურ ვალდებულებებს.“

5.2 მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის საცალო ბაზარი


პროცედურების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, “კომისია ბაზრის ანალიზის პროცესში ადგენს, არის თუ არა ბაზრის საცალო სეგმენტი ეფექტიანი კონკურენციისკენ მიდრეკილი საბითუმო რეგულაციის არარსებობის შემთხვევაში და მდგრადია თუ არა ბაზარზე არსებული ეფექტიანი კონკურენტული გარემო.”

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს იურიდიული, ადმინისტრაციული ან მარეგულირებელი ბარიერები საქართველოში მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე შესვლისთვის.

4.5 თავში აღინიშნა, რომ მაღალი სიჩქარის საცალო ბაზარი შედგება FTTx ფართოზოლოვან ინტერნეტთან წვდომის სერვისისგან, რომელიც შემოთავაზებულია 10 მბ/წმ-ზე მეტი სიჩქარის დიაპაზონში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მითითებული ფართოზოლოვან ინტერნეტ კავშირის სერვისი შემოთავაზებული ცალკემდგომი თუ კომბინირებული სახით (სხვა ელექტრონულ საკომუნიკაციო სერვისებთან ერთად) და მიუხედავად ამ განსაზღვრული სიჩქარის დიაპაზონში გათვალისწინებული სიჩქარისა. გეოგრაფიულ ბაზრად მიჩნეულ იქნა საქართველო.

ოპერატორების ბაზრის წილები, რომლებიც ახორციელებენ მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი საცალო სერვისების მიწოდებას, ნაჩვენებია 35-ე დიაგრამაზე.

დიაგრამა 35. ბაზრის წილი (აბონენტების მიხედვით) მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე (2022)



წყარო: კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონული ფორმები

შპს „მაგთიკომი“ არის FTTx სერვისების წამყვანი მიმწოდებელი მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე, აბონენტების 55%-იანი საბაზრო წილით, როგორც ეს ნაჩვენებია 35 დიაგრამაზე. შპს „მაგთიკომი“ ასევე არის ყველაზე დიდი FTTx დაფარვის მქონე ოპერატორი საქართველოში. დანარჩენი ოპერატორები ერთად ბაზარს სთავაზობენ ალტერნატიულ FTTx ინფრასტრუქტურას და ფიქსირებულ ფართოზოლოვან საცალო სერვისების მიწოდებას უფრო დაბალი გეოგრაფიული დაფარვით, როგორც ეს შეჯამებულია ქვემოთ:


- სს „სილქნეტს“ აქვს მნიშვნელოვანი დაფარვა FTTx ტექნოლოგიის ქსელით (მაგრამ არ არის წარმოდგენილი იმ დასახლებების ნაწილში, რომელშიც შპს „მაგთიკომი“ ოპერირებს) და აბონენტების რაოდენობის მიხედვით ფლობს ბაზრის 32%-ს (დიაგრამა 35);
- ახალ ქსელებს აქვს უფრო მცირე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი დაფარვა (ფოკუსირებულია ზოგიერთ რეგიონზე) FTTx ტექნოლოგიის ქსელით და აბონენტების რაოდენობის მიხედვით ფლობს ბაზრის 6%-ს;
- ყველაზე მსხვილ ოპერატორებთან შედარებით შპს „სქაიტელს“ აქვს ყველაზე მცირე დაფარვა და აბონენტების რაოდენობის მიხედვით ფლობს ბაზრის მხოლოდ 2%-ს;
- ყველა სხვა FTTx ოპერატორი ერთად ქსელის სხვადასხვა დონის ადგილობრივი დაფარვით აბონენტების რაოდენობის მიხედვით ფლობს ბაზრის 5%-იან წილს.

კონკურენციის განვითარების დინამიკის შესაფასებლად ამ კონკურენტული ქსელებისა და ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების განვითარება ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საჭიროებს შესწავლას.

კომისიის მონაცემებზე დაყრდნობით, FTTx ქსელების საბოლოო მომხმარებლების რაოდენობა სტაბილურად იზრდება. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, მიდრეკილია თუ არა ბაზარი ეფექტიანი კონკურენციისკენ, აუცილებელია გავიგოთ ოპერატორების ბაზრის წილების დინამიკა და მისი განვითარება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში და განვსაზღვროთ, გაგრძელდება თუ არა ტენდენცია ამ ბაზრის ანალიზით განსაზღვრული მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივის ფარგლებში. ოპერატორების ფარდობითი ბაზრის წილების ცვალებადობა შეიძლება იყოს ეფექტიანი კონკურენციის ნიშანი, თუ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ბაზრის წილების ცვლილება დაფუძნებულია მომხმარებლების მიერ გაკეთებულ რეალურ არჩევანზე. თუმცა, 36-ე

დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ ყველა ოპერატორის ბაზრის წილი სტაბილურობით გამოირჩევა ბოლო 3-5 წლის განმავლობაში. ბაზარზე კონკურენციის განვითარების დინამიკის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი 2018 წლამდე იყო ის, რომ შპს “მაგთიკომმა” თავდაპირველად მოიპოვა ბაზრის წილი დელტა-ნეტის⁴⁰ შექმნით.

დიაგრამა 36. ბაზრის წილი მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე - ტენდენცია



წყარო: კომისიის სტატისტიკური ანგარიშების ელექტრონული ფორმები

მიუხედავად იმისა, 2016 წლიდან საბოლოო მომხმარებლების საერთო რაოდენობა 2.4-ჯერ გაიზარდა, ოპერატორებს შორის შედარებითი ბაზრის წილები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ახალმა ქსელებმა დაკარგა ბაზრის წილის ნაწილი, რადგან ის დარჩა ძირითადად საბოლოო მომხმარებლების იგივე რაოდენობაზე, ხოლო სხვა ოპერატორები პერიოდულად ზრდიდნენ მომხმარებელთა ბაზას. ახალმა ქსელებმა 2015 წლიდან 2020 წლამდე თითქმის 14 000 აბონენტი დაკარგა და ბოლო ორი წლის განმავლობაში მისი აბონენტების რაოდენობა 2015 წლის დონეს დაუბრუნდა. 37-ე ცხრილში მოცემული ქსელის დაფარვის მონაცემებიდან ჩანს, რომ ახალმა ქსელებმა ვერ განახორციელა ინვესტიცია FTTx ქსელის დაფარვის გაფართოების მიმართულებით.

დიაგრამა 37 FTTx ოპერატორების მიერ შინამეურნეობებისა და მოსახლეობის დაფარვა შესაბამის დასახლებებში


კომპანია	დასახლებების რაოდენობა, სადაც წარმოდგენილია FTTx ოპერატორი	მოსახლეობა	შინამეურნეობა	FTTx აბონენტი
მაგთიკომი	602	2.828.752	999.641	479.973
სილქნეტი	71	2.050.762	769.467	275.464
სქაიტელი	212	1.786.979	688.504	13.136
ახალი ქსელები	14	1.565.156	603.324	66.542

⁴⁰ <https://www.commsupdate.com/articles/2016/11/23/magticom-snaps-up-a-second-isp-deltacom/>

წყარო: ოპერატორებისგან მიღებული პასუხები დაფარვის შესახებ კითხვარზე

შპს “მაგთიკომის”, როგორც ბაზრის ლიდერის პოზიციაზე, მისი შემოსავლების ზრდაც მეტყველებს. ოპერატორების შემოსავლების წილი სტაბილური ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ისევე როგორც მათი შესაბამისი ბაზრის წილები.

დიაგრამა 38 ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ოპერატორების შემოსავლები



წყარო: კომუნიკაციების კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონული ფორმები

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ორი უმსხვილესი ოპერატორის მიერ ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების პაკეტების შემუშავება და საცალო ფასების ცვლილება განხორციელდა თანმიმდევრულად ერთმანეთთან მიმართებაში, საკმაოდ ახლო პერიოდებში. მაგალითად, 2022 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში სს „სილქნეტმა“ გაზარდა ინტერნეტის და ტელევიზიის კომბინირებული პაკეტის ტარიფი თბილისში 13%-ით, ხოლო სხვაგან 10%-ით. ამას მალევე მოჰყვა (სექტემბრის დასაწყისში) შპს “მაგთიკომის” მიერ ინტერნეტის და ტელევიზიის კომბინირებული პაკეტის ფასის ზრდა 14%-დან 17%-მდე. მხოლოდ ეს პარალელიზმი ვერ დაადასტურებს ეფექტიანი კონკურენციის არარსებობას ამ ბაზარზე, მაგრამ აღნიშნული მოითხოვს შემდგომ გამოკვლევას, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შემდგომი ანალიზის ფარგლებში (იხ. თავი 7 პუნქტი „ბ“).

რაც შეეხება FTTx დაფარვას, შპს “მაგთიკომს”, იმ გეოგრაფიულ ლოკაციებზე, სადაც ის ერთადერთი ან დომინანტი პროვაიდერია, წინასწარი რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, შეუძლია სცადოს ბაზარზე თავისი ძლიერი პოზიციის გამოყენება სხვა მოთამაშეების მიმართ, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს საბოლოო მომხმარებლებს, სერვისებზე გადაჭარბებული ფასების დაწესების თვალსაზრისით.

ზოგადად, იმ ბაზრებზე, სადაც შესვლის, ზრდისა და ქსელის გაფართოების უფრო დაბალი ბარიერებია, როგორც წესი უფრო აქტიური კონკურენცია ყალიბდება. ზემოაღნიშნული 35-ე დიაგრამის მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ არსებობს ბარიერები მაღალი სიჩქარის საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრის გაფართოებისთვის, რადგან სხვადასხვა ოპერატორები (თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ისინი შესაძლოა ინვესტირებას ახდენენ ახალ ინფრასტრუქტურაში) არ ახორციელებენ საბაზრო წილის მნიშვნელოვან ზრდას და არც ეროვნული დაფარვა აქვთ. მიზეზი

შეიძლება იყოს ის, რომ მომხმარებლები უკვე მიჯაჭვული არიან გარკვეულ მომწოდებელთან და არ აქვთ საკმარისი სტიმული სხვა ოპერატორის მომსახურებაზე გადასვლისთვის⁴¹.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ოპერატორები შემოვიდნენ ბაზარზე, ჯერ კიდევ არსებობს ბაზარზე შესვლისა და ეროვნული მასშტაბით გაფართოების მნიშვნელოვანი ბარიერები, რაც მაღალი ინვესტიციების საჭიროებასთან არის დაკავშირებული. ბაზარზე შესვლის ეს ასპექტი შემდგომში განიხილება სამი კრიტერიუმის ტესტის ფარგლებში (თავი 7).

ოპერატორების საბაზრო წილების დინამიკის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა რომ ახალი ოპერატორები შემოვიდნენ მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის საცალო ბაზარზე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ახალმა მოთამაშეებმა მნიშვნელოვნად ვერ გაზარდეს თავიანთი საერთო ბაზრის წილი ბოლო 5 წლის განმავლობაში. ამას მიყვავართ დასკვნამდე, რომ ბაზრის წილის დინამიკის გათვალისწინებით, ამჟამად არ არსებობს ეფექტიანი კონკურენცია საცალო ბაზარზე და წინასწარი რეგულირების არარსებობის პირობებში, ეფექტიანი კონკურენცია მომავალში სრულფასოვნად ვერ განვითარდება.

მეორე ნაბიჯი არის ბაზარზე მოსალოდნელი მოვლენების შეფასება ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში. საბითუმო რეგულირების არარსებობის პირობებში, შემდეგი სამი წლის განმავლობაში მოვლენების მოსალოდნელი განვითარება შემდეგია:

- კონკურენტი ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ კავშირის ქსელების განვითარება შესაძლებელი გახდა, სხვა მიზეზებთან ერთად, სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებზე რეგულირებადი საბითუმო დაშვების ვალდებულების დაწესების გამო, თუმცა მეორე მხრივ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სპილენძის წყვილებზე რეგულირებული საბითუმო დაშვების ვალდებულების დაწესების მიუხედავად, აღნიშნული მომსახურება ალტერნატიული ოპერატორების მიერ არ ყოფილა გამოყენებული. ეს აჩვენებს, რომ კვლავ რჩება შესვლის ბარიერები სერვისზე დაფუძნებული ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზარზე კონკურენციის განვითარებისთვის, შესაბამისად, დიდი ალბათობით („მოდულირებული გრინფილდის მიდგომის“ გათვალისწინებით⁴²) კონკურენცია ძლიერ შეფერხდება შესაბამისი წინასწარი მარეგულირებელი ზომების გარეშე.
- მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრის ახალი მოთამაშეების ბაზარზე შესვლის სამართლებრივი ან მარეგულირებელი ბარიერები, მოსალოდნელი არ არის, რომ რომელიმე მნიშვნელოვანი ახალი მოთამაშე შემოვა მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე წვდომის საცალო ბაზარზე და შექმნის FTTx ქსელს მნიშვნელოვანი დაფარვით. ბაზარზე არსებული მოთამაშეებისთვის კონკურენციის გაწევის მიზნით ასეთი ქსელების შექმნა მოითხოვს მაღალ ინვესტიციებს მაღალი არადაბრუნებადი ხარჯებით. „საქართველოს კანონი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიწნებისთვის გამოყენებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“ ამოქმედდა 2024 წლის 1 ივლისიდან. აღნიშნული კანონი გააუმჯობესებს ბაზარზე შესვლის შესაძლებლობებს, საინვესტიციო პოტენციალს და ბაზარზე კონკურენტუნარიანობას. კანონი მოიცავს მოთხოვნას, რომ ინფრასტრუქტურის ნებისმიერი ოპერატორი, რომელსაც აქვს ფიზიკური ინფრასტრუქტურა, რომელიც

⁴¹ ეს აჩვენს კითხვას, არის თუ არა ამ პროვადერების მიერ შემოთავაზებული საცალო დაშვების სერვისები ერთი და იმავე ბაზრის ნაწილი, იმის გათვალისწინებით, რომ გადართვის ხარჯებმა - განსაკუთრებით ლოდინის დროისა და შიდა გაყვანილობისათვის საჭირო საშუალებების თვალსაზრისით - შეიძლება უბიძგოს ბევრ აბონენტს შეცვალოს პროვადერი ფასის 5-10%-იანი ზრდის შემთხვევაში. ამ საკითხზე მეტი მონაცემის არარსებობის და დაინტერესებული მხარის მიერ წამოწეული საკითხის არარსებობის პირობებში, მიმდინარე ანგარიში არ განიხილავს ასეთი შესაძლებლობის არსებობას.

⁴² კომისიის 2014/710/EU რეკომენდაციის თანმხლები განმარტებითი ჩანაწერი, SWD(2014) 298, გვ. 8.

შეიძლება გამოყენებულ იქნეს ელექტრონული საკომუნიკაციო სერვისების უზრუნველსაყოფად, ვალდებულია დააკმაყოფილოს ყველა გონივრული მოთხოვნა მის ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების შესახებ არადისკრიმინაციული, სამართლიანი და გონივრული პირობებით, მათ შორის ფასის განსაზღვრის ნაწილშიც. დავის წარმოშობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ჩაერიოს და დაადგინოს დაშვების საფასური მის მიერ მიღებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. თუმცა, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი კანონმდებლობის იმპლემენტაცია თავისთავად საკმარისი იქნება მცირე ოპერატორების (ბაზარზე ახალშემსვლელი სუბიექტები) ქსელის შემდგომი გაფართოების ხელშეწყობისთვის ისე, რომ მნიშვნელოვანი გამოწვევა შეუქმნან ბაზრის შესაბამის სემენტზე დამკვიდრებულ მოთამაშეებს.

- მოსალოდნელი არ არის, რომ რომელიმე მოთამაშე, რომელიც უკვე ოპერირებს საქართველოში, მნიშვნელოვანი FTTx დაფარვის გარეშე, განახორციელებს ინვესტიციას მისი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის დაფარვის გაფართოებისთვის, რათა ეფექტურად გაუწიოს კონკურენცია შპს “მაგთიკომსა” და სს „სილქნეტს“. ბაზრის შედარებით მცირე მოთამაშეები ფლობენ მხოლოდ მცირე საბაზრო წილებს და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი განახორციელებენ ისეთ მაღალ ინვესტიციებს, რომ შეძლონ კონკურენცია გაუწიონ ბაზრის ორ უმსხვილეს მოთამაშეს ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში.
- ნაკლებად სავარაუდოა, რომ მაღალი ინვესტიციების და ეროვნული ქსელის განვითარებისთვის საჭირო ხანგრძლივი დროის გამო, ნებისმიერი მოთამაშე, რომელიც ამჟამად არ ახორციელებს მომსახურების მიწოდებას FTTx ქსელის გამოყენებით, მაგრამ გააჩნია სხვა სახის ქსელები (მაგალითად, შპს „სელფი მობაილი“) შეძლებს გადაერთოს FTTx-ზე და განახორციელოს კონკურენტული ზეწოლა მიწოდების მხარის თვალსაზრისით მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ სერვისებზე წვდომის საცალო ბაზარზე.
- ზოგიერთი ახალი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ღონისძიება (მაგ. როგორც არის ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ საქართველოს კანონი), რომელიც მიზნად ისახავს ინვესტიციების სტიმულირებას ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების ხარჯების შემცირებით, 2024 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდება, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ პოტენციური ხარჯების ეს შემცირება გამოიწვევს ახალი ქსელების მნიშვნელოვან განვითარებას ან უკვე არსებული FTTx ქსელების მნიშვნელოვან გაფართოებას მიმდინარე ბაზრის ანალიზიდან 3 წლის პერიოდში.

სავარაუდოდ, შპს “მაგთიკომი” (ბაზრის 55%-იანი წილით) დარჩება FTTx-ის ყველაზე დიდი დაფარვის მქონე ოპერატორად. ყველა სხვა ოპერატორი, სს “სილქნეტის” სახით შესაძლო გამონაკლისის გარდა, ვერ შეძლებს შპს “მაგთიკომისთვის” ეფექტიანი კონკურენციის გაწევას მთელი საქართველოს მასშტაბით. თუ სხვა FTTx ქსელები არ იქნებიან წარმოდგენილი საქართველოს ზოგიერთ რაიონში, შპს “მაგთიკომმა” და სს “სილქნეტმა” შეიძლება იმოქმედონ, როგორც დომინანტმა ოპერატორებმა, ანუ უარი თქვან საბითუმო დაშვების სერვისის მიწოდებაზე და დაუწესონ გადაჭარბებული საცალო ფასები საბოლოო მომხმარებლებს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შპს “მაგთიკომი” და სს “სილქნეტი” ვერტიკალურად ინტეგრირებული ოპერატორები არიან, რომლებსაც აქვთ ბაზრის უდიდესი წილი და ასევე კარგად განვითარებული გაყიდვებისა და აბონენტთა მომსახურების ქსელი. აღნიშნულს მივყავართ დასკვნამდე, რომ მათი ძლიერი საბაზრო პოზიციები შეიძლება შენარჩუნდეს მომავალში, ყოველ შემთხვევაში, ამ ბაზრის ანალიზით განსაზღვრული მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივის განმავლობაში. ევროკავშირის ქვეყნებში მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენს, რომ ქვეყნის მასშტაბით არსებობს

მხოლოდ ერთი ფიქსირებული ქსელი, რომელსაც შეუძლია შესთავაზოს ბაზარს დაშვების მომსახურება ფართოზოლოვან ქსელზე.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ კონკურენტული პირობების ამ მომავალზე ორიენტირებულ ანალიზში, მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარი არ არის საკმარისად კონკურენტუნარიანი. ეს დასკვნა ეფუძნება უამრავ ასპექტს, რომელსაც ამყარებს FTTx დაფარვის ანალიზი და ბაზრის მოთამაშეებს შორის არსებული დისბალანსი ბაზრის წილებში მაღალი სიჩქარის ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებაზე წვდომის ბაზრის სეგმენტზე და დისბალანსი ოპერატორების ეროვნულ დონეზე გაყიდვებისა და აბონენტთა მომსახურების მიმართულებით. ანალიზის შემდგომი ეტაპების შედეგებისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შესაძლო გამოვლენის შემთხვევაში, მარეგულირებელი ჩარევა საბითუმო დონეზე საჭირო იქნება საცალო დონეზე კონკურენტული არაეფექტიანობ(ებ)ის აღმოსაფხვრელად.

5.3 მომხმარებლებზე ზემოქმედება

პროცედურების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად “თუ ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასებისას კომისია დაადგენს, რომ საცალო ბაზრის შესაბამისი სეგმენტ(ებ)ი არ ხასიათდება ეფექტიანი კონკურენციით და კონკურენციის დაბალი დონე შენარჩუნდება საბითუმო ბაზრის სეგმენტზე სპეციფიკური ვალდებულებების არარსებობის შემთხვევაში, კომისიამ უნდა შეაფასოს, შესაძლებელია თუ არა კონკურენციის დაბალი დონით გამოწვეული მომხმარებელთა ზიანის რისკი აღმოიფხვრას საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტ(ებ)ის წინასწარი რეგულირებით.”

მაღალი სიჩქარის საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის ბაზრის შესაბამის სეგმენტზე პოტენციური კონკურენციის ნაკლებობა, სავარაუდოდ, გამოიწვევს მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას საბოლოო მომხმარებლებზე („მომხმარებლის ზიანი“).


საქართველოში 100 მბ/წმ ან მეტი სიჩქარის მომხმარებელი აბონენტების პენეტრაციის მაჩვენებლების ევროპული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებისას (28-ე დიაგრამა) ჩანს, რომ საშუალოდ ევროკავშირში შინამეურნეობების დაახლოებით 55%-ს გააჩნია ფიქსირებული ფართოზოლოვან ინტერნეტ სერვისებზე წვდომა მინიმუმ 100 მბ/წმ სიჩქარით. თერთმეტ ქვეყანაში შინამეურნეობების 40%-ზე მეტი იყენებს მინიმუმ 100 მბ/წმ სიჩქარეს, ამასთან სამ ქვეყანაში შინამეურნეობების 80%-ზე მეტი იყენებს მინიმუმ 100 მბ/წმ სიჩქარეს. საქართველოში კი მომხმარებელთა მხოლოდ 1% სარგებლობს 100 მბ/წმ ან უფრო მაღალი სიჩქარის ინტერნეტ მომსახურებით. კომისიის მიერ ჩატარებული საცალო ფასების კვლევის საფუძველზე, საქართველოში მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის საცალო ფასები მნიშვნელოვნად მაღალია ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით.

კომისიის ბენჩმარკინგის კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ 100 მბ/წმ ფიქსირებული ფართოზოლოვანი FTTx ტექნოლოგიის ინტერნეტ მომსახურების ცალკემდგომი შეთავაზება 2.4-ჯერ უფრო ძვირია (2023 PPP პირობებით) ვიდრე ეკვივალენტური საშუალო ფასი ევროკავშირის გამოკვლეულ 23 ქვეყანაში. 25 მბ/წმ შეთავაზებისთვის (ყველა ტექნოლოგია) საქართველოს ფასი რეგიონებში 12%-ით დაბალია და დაახლოებით ევროკავშირის ეკვივალენტური საშუალო ფასია თბილისში. ყველაზე დაბალი სიჩქარეებზე (0.25 მბ/წმ) საქართველოში ფასები უფრო დაბალია ან დაახლოებით ევროკავშირის ეკვივალენტური საშუალო ფასის ტოლია.

საცალო ფასების შედარება (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის კორექტირების შემდეგ) საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. მომხმარებლის გადმოსახედიდან, მომსახურების ფასი მის პირად ან ოჯახის შემოსავალთან შედარებით ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. შედარებითი მონაცემები ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ მსოფლიოში

გამოქვეყნებულია ITU-ს ⁴³ მიერ. საქართველოს შედეგები შესადარისი ქვეყნებისა ⁴⁴ და რეგიონების მიმართ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.

დიაგრამა 39 ფიქსირებული ინტერნეტ პაკეტების კალათების ხელმისაწვდომობა (2023 – შერჩეული ქვეყნები, ევროპა)



წყარო: ITU DataHub⁴⁵

აღნიშნული დიაგრამა გვიჩვენებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების საცალო ფასები ზოგადად უფრო დაბალია საქართველოში, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში, როგორც ჩანს, ხელმისაწვდომობის მაჩვენებლის მხრივ საქართველოში უარესი სურათია, რაც ასახულია ერთ სულ მოსახლეზე მთლიან ეროვნულ პროდუქტთან მიმართებაში ფასების შედარებით მაღალი წილით. ბევრ შემთხვევაში (მაგალითად, ევროპის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ან რუმინეთსა და ხორვატიასთან შედარებით), ფასების ხელმისაწვდომობა საქართველოში ბევრად უარეს სურათს აჩვენებს.


დინამიკაში ხელმისაწვდომობის ტენდენცია ასევე აჩვენებს, რომ საქართველოში, გაუმჯობესების მიუხედავად, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების შედარებითი საცალო ფასი მაინც გაცილებით ნაკლებად ხელმისაწვდომია, ვიდრე ზოგადად ევროპაში.

⁴³ <https://datahub.itu.int/data/?i=34616>

⁴⁴ საქართველოსთან შედარებისთვის შერჩეული ქვეყნების დიაპაზონი მოიცავს სხვადასხვა ზომის და ეკონომიკური სიძლიერის ქვეყნებს. მონაცემთა გამოყენება, რომელიც ზომავს ფასს მთლიანი ეროვნული შემოსავლის (GNI) პროცენტული წილის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე, აუმჯობესებს შედარებას ქვეყნებს შორის ისეთი განსხვავებების გათვალისწინებით როგორებიცაა ეკონომიკური სიძლიერე და მოსახლეობის რაოდენობა. მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობითა და მთლიანი ეროვნული პროდუქტით (მეკ) საქართველოს შესადარისი ქვეყნებია მოლდოვა და ალბანეთი, სადაც ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება მნიშვნელოვნად უფრო ხელმისაწვდომია.

⁴⁵ ITU-ს მიერ წარმოდგენილი ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების კალათა შედგება ყველაზე იაფი შეთავაზებისგან, რომელიც უზრუნველყოფს მინიმუმ 5 გბ ყოველთვიურ მაღალსიჩქარიან მომსახურებას (256 Kbit/s ან უფრო მაღალი) ოპერატორისგან, რომელსაც აქვს ბაზრის უდიდესი წილი თითოეულ ქვეყანაში.

დიაგრამა 40. ხელმისაწვდომობის ტენდენციები ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების კალათებისთვის 2015-2023 წწ



წყარო: ITU DataHub

ბოლო 7 წლის განმავლობაში, ევროპას ხელმისაწვდომობის კუთხით კარგი შედეგებითი პოზიცია ეკავა, ხოლო საქართველომ თავის მხრივ შეინარჩუნა უფრო მაღალი ფასები მომხმარებლის ინდივიდუალურ საშუალო შემოსავალთან მიმართებაში. 2021 წელს ევროპული ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ფასები ორჯერ უფრო მეტად ხელმისაწვდომი იყო ევროპაში, ვიდრე საქართველოში.


ეს მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ უკვე არსებობს ხელმისაწვდომობის პრობლემები შეთავაზებული ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის სხვადასხვა სიჩქარის დიაპაზონში, განსაკუთრებით მაღალ სიჩქარეებზე, სადაც საცალო ფასები მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ფასების და ხელმისაწვდომობის ეს საკითხები იწვევს მომხმარებელთა ზიანს, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება, იმ პირობებში, თუ საქართველოში მომხმარებლების მნიშვნელოვანი ნაწილის გადასვლა უფრო მაღალ სიჩქარის შეთავაზებების მოხმარებაზე შეზღუდული იქნება.

საქართველოში 100მბ/წმ-ზე მაღალი სიჩქარის შეთავაზებების აბონენტების ძალიან დაბალი რაოდენობა მნიშვნელოვანი საკითხია ბაზრის სხვა პრობლემურ საკითხებთან ერთად. 100 მბ/წმ და მეტი ფართოზოლოვანი სიჩქარე მიჩნეულია კრიტიკულად მნიშვნელოვნად, მზარდი შესაძლებლობების სერვისებისთვის. შესაბამისად, ევროკავშირი ქვეყნის დაფარვის ეფექტურობას აფასებს მხოლოდ 100 მბ/წმ და მეტი სიჩქარეების პენეტრაციის საფუძველზე, მათ შორის 1 გბ/წმ-მდე⁴⁶, რაც ხაზს უსვამს ამ მაღალი სიჩქარის მნიშვნელობას დაბალ სიჩქარეებთან ან ფართოზოლოვანი სერვისების ზოგად გამოყენებასთან მიმართებაში. როგორც ქვემოთ მოყვანილი დიაგრამიდან ჩანს, ევროპის მრავალ ქვეყანაში 100 მბ/წმ და მეტი სიჩქარეების წილი მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე საქართველოში. მაგალითად, ბულგარეთის 100 მბ/წმ და ზემოთ სერვისების მოხმარების წილი შეადგენს მთლიანი ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების აბონენტების 50%-ს. ეს სურათი შეესაბამება მიმდინარე ტექნოლოგიურ განვითარებას და ხარისხის სტანდარტებს, რომლებსაც მოელიან მომავალში FTTx ქსელებიდან. ზოგადად, ინვესტიციებისა და სტრატეგიის სრული აქცენტი კეთდება ტექნოლოგიებზე, რომლებსაც შეუძლიათ მომავალში

⁴⁶https://digital-decade-desi.digital-strategy.ec.europa.eu/datasets/desi/charts/desiindicators?period=desi_2024&indicator=desi_dsk_bab&breakdown=ind_total&unit=pc_in_d&country=AT,BECY,BG,CZ,DK,EE,EU,FI,FR,DE,EL,HU,IE,IT,LV,LT,LU,MT,NL,PL,PT,RO,SK,SI,ES,SE

უზრუნველყონ მნიშვნელოვნად მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების მიწოდება.

დიაგრამა 41. 100 მბ/წმ და მეტი სიჩქარის მოხმარების წილი მთლიან აბონენტებთან მიმართებაში ევროპის ქვეყნებში, DESI 2023წ



საქართველოში აშკარად შეინიშნება ბაზარზე არსებული ჩავარდნა მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების მიწოდებასთან და მათ ფასდადებასთან მიმართებაში. ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების საცალო ხელმისაწვდომობის შედარება შერჩეულ ქვეყნებს შორის ნათლად აჩვენებს, რომ ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ტარიფები ზოგადად ნაკლებად ხელმისაწვდომია საქართველოში, ვიდრე მისი შესადარისი ქვეყნების უმეტესობაში. მხოლოდ ორ ევროპულ ქვეყანაში (სომხეთი და ჩრდილო მაკედონია) არის ფიქსირებული ფართოზოლოვანი საცალო მომსახურება ნაკლებად ხელმისაწვდომი.

ფიქსირებული ფართოზოლოვანი საცალო შეთავაზებებისთვის 100 მბ/წმ და მეტ სიჩქარეებზე, ფასები საქართველოში უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ამ უფრო მაღალი სიჩქარის სერვისების მზარდი მნიშვნელობის გათვალისწინებით (ევროპაში და სხვაგან), შეუძლებელია არასათანადოდ შეფასდეს ბაზრის ამ სეგმენტის მნიშვნელობა. ბაზარზე არსებული გარემოებებიდან გამომდინარე შესაძლოა დავასკვნათ, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი 100 მბ/წმ და ზემოთ სერვისების მაღალ ფასსა და ამ სიჩქარის მომხმარებელი აბონენტების დაბალ პენეტრაციას შორის. ხელმისაწვდომობის ანალიზი აჩვენებს, რომ ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების ბაზარზე ზოგადი თვალსაზრისით, საქართველოს აქვს მაღალი ფასები საშუალო შემოსავლებთან შედარებით. ფასების მნიშვნელოვანი განსხვავებები სტანდარტულ (დაბალ სიჩქარეებზე) ფიქსირებულ ფართოზოლოვან შეთავაზებებსა და 100 მბ/წმ და უფრო მაღალი სიჩქარის შეთავაზებებს შორის ადასტურებს, რომ უფრო მაღალი სიჩქარის შეთავაზებები არსებითად ნაკლებად ხელმისაწვდომია, ვიდრე დანარჩენ ევროპაში.

ის ფაქტი, რომ დაბალი სიჩქარის შეთავაზებებზე ფასები უფრო კონკურენტუნარიანია (სხვა ქვეყნებთან შედარებით) არ ცვლის ძირითად საკითხს, რომ უფრო მაღალი სიჩქარის FTTx სერვისებს ექმნებათ მნიშვნელოვანი პრობლემები პენეტრაციის თვალსაზრისით (მიაღწიონ მაღალ მაჩვენებლებს), რამაც საქართველო უფრო მეტად უნდა დაახლოვოს ევროკავშირის ძალიან მაღალი გამტარობის ქსელების(VHCN) განვითარებასთან -დაკავშირებულ მიზნებთან.

დაბალი ხელმისაწვდომობა ბაზრის მთავარი მოთამაშეების მიერ მიღებულ მაღალ მომგებიანობასთან ერთად, არის მომხმარებლის ზიანის აშკარა მტკიცებულება. ბოლოდროინდელი ფასების შემცირება (შპს “მაგთიკომისა” და სს “სილქნეტის” მიერ) მაღალი სიჩქარის შეთავაზებებზე განიხილება, როგორც უფრო კონკურენტული ბაზრის პასუხი მიზეზობრივ კავშირზე მაღალ ფასსა და მაღალი სიჩქარის ფართოზოლოვანი ინტერნეტის დაბალ პენეტრაციას შორის საქართველოში. თუმცა, ფასების ეს ბოლო მოკრძალებული შემცირება არ პასუხობს ხელმისაწვდომობის ძალიან მნიშვნელოვან საკითხებს და ჭარბი მომგებიანობის მაჩვენებლებს, რომლებიც ამჟამად ზიანს აყენებს მომხმარებლებს.

სავარაუდოა, რომ მომხმარებლის ეს ზიანი გაგრძელდება კონკურენტული შეზღუდვების არარსებობის პირობებში. რაც შეიძლება აღმოფხვრილ იქნეს ბაზრის საცალო სეგმენტზე ახალი კონკურენტების შემოსვლით, რომლებმაც შესაძლოა მხოლოდ რეგულირებად საბითუმო ინფრასტრუქტურაზე დაშვების მომსახურების გამოყენებით განახორციელონ მომსახურების მიწოდება ბაზრის საცალო სეგმენტზე. შესაძლოა ამ კონკურენტებს ჰქონდეთ ბაზრისთვის უფრო მაღალი სიჩქარის შეთავაზების ინტერესი და შესაბამისად ამით განახორციელებენ ამ საბაზრო ნიშის ათვისებას. ამიტომ, საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე *წინასწარმა* რეგულაციამ უნდა უპასუხოს საბოლოო მომხმარებლებზე ნეგატიურ გავლენას ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში.

6. საფეხური 3 - საბითუმო ბაზრების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივ და ცენტრალურ დაშვებასთან, (ბაზრები 3a და 3b ევროკავშირის 2014 წლის რეკომენდაციიდან)

კომისიის მიერ წინასწარ რეგულირებას ექვემდებარება საბითუმო დაშვება სატელეკომუნიკაციო ოპერატორების მფლობელობაში არსებულ სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებზე (კომისიის გადაწყვეტილება N620/9, 06.11.2014), ხოლო „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში ვალდებულებები ჯერჯერობით არ არის სრულად ამოქმედებული. შესაბამისად, ამ დრომდე არასატელეკომუნიკაციო ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების უზრუნველყოფის შეთავაზება ხორციელდებოდა ინფრასტრუქტურის მფლობელებსა და დაშვების მაძიებლებს შორის კომერციული ხელშეკრულებების საფუძველზე.

თუმცა, აღნიშნული წინასწარი რეგულაცია და კომერციული ხელშეკრულებები არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ აღმოფხვრილიყო კონკურენტის პრობლემა, რომელიც გამოვლინდა მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხების ბაზრის გარდა წინასწარი რეგულირების ქვეშ ბომბისა და არასატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოქცევა, მანინ ვერ უზრუნველყოფს მომხმარებლების მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილებას (იხ. 5.2, 5.3 თავები). მაშინაც კი თუ ასეთი სახის დაშვება ეფექტიანი იქნება, კონკურენტი FTTx ქსელების მოწყობა მოითხოვს მნიშვნელოვან დროს და არ მოახდენს არსებით გავლენას ამ ბაზრის ანალიზით განსაზღვრულ მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში. აქედან გამომდინარეობს, დასკვნა, რომ ფიზიკური ინფრასტრუქტურის ბაზრის ქვედა დონეზე არსებულ საბითუმო ბაზრებზე უნდა იქნეს განსაზღვრული სწორი მარეგულირებელი ქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკურენტული პრობლემების აღმოფხვრას მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებების საცალო ბაზარზე. ასეთი ბაზრების კატეგორიას შესაძლოა მიეკუთვნებოდეს ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო

ბაზარი (ცნობილია, როგორც ბაზრები 3a და 3b ევროკომისიის 2014 წლის რეკომენდაციიდან⁴⁷), რომელიც განხილულ უნდა იქნეს ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების სერვისების ჩანაცვლებადობის ანალიზის გამოყენებით, რათა დადგინდეს რომელი ურთიერთჩამნაცვლებელი სერვისები წარმოადგენენ ამ შესაბამისი ბაზრის ნაწილს.

საბოლოო მომხმარებლებისთვის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების უზრუნველყოფის წინაპირობაა, არსებობდეს ადგილობრივ ბოლო მონაკვეთზე დაშვება საბოლოო მომხმარებელამდე. საბოლოო მომხმარებელამდე წვდომა შეიძლება მიღწეული იქნეს საცალო სერვისის პროვაიდერის მიერ საკუთარი ინფრასტრუქტურით ან ერთი ან მეტი საბითუმო შეთავაზების გამოყენებით ოპერატორებისგან, რომლებსაც აქვთ ფიზიკური ქსელი იმ ადგილას, სადაც საბოლოო მომხმარებლის მომსახურებაა საჭირო. ამ ტიპის ადგილობრივი დაშვების უზრუნველყოფის საბითუმო საშუალებები ფართოდ გამოიყენება ევროკავშირში (მაგალითად, ფიქსირებული ფართოზოლოვანი დაშვება xDSL-ის გამოყენებით - იხილეთ დიაგრამა 22). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში რეგულირდება ადგილობრივი დაშვება სპილენძის წყვილების გამოყენებით, ის ფაქტობრივად არ არის გამოყენებული. საქართველოში ოპერატორები ფიქსირებულ ფართოზოლოვან საცალო მომსახურებას ფაქტობრივად მხოლოდ საკუთარი ინფრასტრუქტურის გამოყენებით უზრუნველყოფენ.

ევროკავშირის ბაზრის ანალიზის და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასების სახელმძღვანელო პრინციპების⁴⁸ შესაბამისად, მოთხოვნა ყველა საბითუმო მომსახურებაზე გამომდინარეობს საბოლოო მომხმარებლების მოთხოვნიდან საცალო სერვისებზე. თავი 4.5 განსაზღვრავს ორ შემავსებელ ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისზე წვდომის საცალო ბაზრის სეგმენტს - ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე წვდომის საბაზისო ბაზარს და მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე წვდომის საცალო ბაზრის სეგმენტს. ამ ჩანაცვლებადობის ანალიზში, აქცენტი გაკეთდება შესაბამის საბითუმო სერვისზე, რომელიც წარმოადგენს საცალო მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე წვდომის (FTTx-ის გამოყენებით) ბაზრის აღმავალ საბითუმო ბაზარს. ეს მოითხოვს შეფასებას, შეიძლება იყოს თუ არა სხვა საბითუმო დაშვების სერვისი ჩანაცვლებელი ფიქსირებულ ადგილას ადგილობრივი და ცენტრალური FTTx დაშვების მიწოდებისთვის, თითოეული ოპერატორის მიერ მიწოდებული თვითმომსახურების სერვისების ჩათვლით.

6.1 ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების პროდუქციული ბაზრის განსაზღვრა – მოთხოვნის მხარის ჩანაცვლებადობა

FTTx-ზე დაფუძნებული მთავარი საბითუმო სერვისები, რომლებიც შესაბამის საბითუმო ბაზართან არიან დაკავშირებული, შემდეგია:

- ფიზიკური ან ვირტუალური საბითუმო დაშვება ადგილობრივ დონეზე;
- საბითუმო დაშვება ცენტრალურ დონეზე (ევროკავშირში მას უწოდებენ “ბიტსტრიმ” დაშვების სერვისს⁴⁹).

FTTx წერტილი-წერტილი(P2P) ინფრასტრუქტურისთვის, სერვისი, რომელიც ზოგადად ცნობილია, როგორც გამოყოფილი ოპტიკური ძარღვი⁵⁰, წარმოადგენს ძირითად საბითუმო ადგილობრივი დაშვების სერვისს. “ბიტსტრიმ” დაშვების სერვისები შეიძლება მიეწოდოს დაშვების მაძიებლებს

⁴⁷ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014H0710&from=EN>

⁴⁸ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52018XC0507%2801%29>

⁴⁹ <https://www.lawinsider.com/dictionary/fiber-wholesale-bitstream-access-service>

⁵⁰ https://www.researchgate.net/figure/Overview-of-the-impact-of-fibre-unbundling-on-the-network-deployment-cost_fig1_283032020

ქსელის სხვადასხვა წერტილში, ისევე როგორც სხვადასხვა დაერთების წერტილებში ორივე ტიპის FTTx არქიტექტურაზე (წერტილი-წერტილი და GPON).

საბითუმო დონეზე მოთხოვნის მხარის ჩანაცვლებადობის შეფასებისას, აუცილებელია განხილულ იქნეს, შეიძლება თუ არა არსებობდეს გამოყოფილ ოპტიკურ ძარღვზე დაშვების ჩამნაცვლებელი სერვისის (როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალური დაშვების დონეზე) ისე, რომ საბითუმო სერვისის მომხმარებლებისთვის, შესაძლებელი იყოს ფასის მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, დაიწყო საკუთარი დაშვების ინფრასტრუქტურის გამოყენება ან სხვა საბითუმო სერვისით სარგებლობა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ჩამნაცვლებლად.


ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, ბაზარზე ახალ შემსვლელებს (ან არსებულ ოპერატორებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აქვთ მნიშვნელოვანი გეოგრაფიული დაფარვა საკუთარი ინფრასტრუქტურით), რომელთაც სურთ უზრუნველყონ ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების მიწოდება FTTx ტექნოლოგიის გამოყენებით საქართველოს მასშტაბით, უნდა შეეძლოთ არსებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის გამოყენება ინფრასტრუქტურის მფლობელთან საბითუმო ხელშეკრულების გაფორმების საშუალებით. ამჟამად კომისიის მონაცემებით, საქართველოში არც ერთი ოპერატორი FTTx ქსელების მეშვეობით საბითუმო დაშვების მომსახურების მიწოდებას არ ახორციელებს. ეს ნიშნავს, რომ ან ბაზარზე არ არიან დაშვების მაძიებლები, ან დაშვების მაძიებლებს უარს ეუბნებიან არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებაზე. იმის გამო, რომ საქართველოში აღნიშნული ბაზარი არ არის რეგულირებული, არცერთი ოპერატორი (მიუხედავად იმისა, ბაზარზე დომინანტია თუ არა) არ უზრუნველყოფს დაშვების მომსახურების მიწოდებას FTTx ტექნოლოგიის გამოყენებით.

ფიზიკურად გამოყოფილ ოპტიკურ ძარღვზე დაშვება (Physically unbundled fibre)

საქართველოში FTTx-ზე დაფუძნებული დაშვების ქსელები ოპერატორების მიერ აგებულია ორი განსხვავებული ტიპის ქსელის არქიტექტურის გამოყენებით:

- წერტილი-წერტილი კავშირი;
- წერტილი-მრავალწერტილი კავშირი, რომელიც არის პასიური ოპტიკური ქსელი (PON ან GPON) სტრუქტურირებული ისე, რომ ერთი ოპტიკური ბოჭკოდან სიგნალი გადანაწილდეს რამდენიმე ბოჭკოზე, სანამ საბოლოოდ დასრულდება მომხმარებლის შენობაში.
შენიშვნა: ორივე ზემოთ ხსენებულ ქსელურ არქიტექტურაში მრავალსაცხოვრებლიან კორპუსებში (FTTB) შესაძლებელია ქსელის მოწყობა UTP გაყვანილობით Ethernet გადამრთველის გამოყენებით.


ზოგადად, წერტილი-წერტილი (P2P) არქიტექტურაში, ოპერატორი ოპტიკური ხაზის ტერმინალს (OLT) განათავსებს შენობაში აბონენტთან უახლოესი ქსელის წერტილში (POP) ან ცენტრალურ ოფისში და თითოეული ბოჭკო პირდაპირ აკავშირებს OLT-სა და ინდივიდუალურ საბოლოო მომხმარებელს (სურათი 42). ამ არქიტექტურაში, გამოყოფილ ოპტიკურ ძარღვზე დაშვება ODF (ოპტიკური განაწილების ჩარჩო)-ს ლოკაციაზე შესაძლებელია, რადგან თითოეულ საბოლოო მომხმარებელზე გამოყოფილია ერთი ოპტიკური ბოჭკო. ამ შემთხვევაში სხვა ოპერატორისთვის ოპტიკური ძარღვის (ბოჭკოების) გამოყოფა მარტივია.



წყარო: ევროპის მარეგულირებლების ჯგუფის(ERG)-ის აზრი შემდეგი თაობის ქსელების(NGA) მარეგულირებელი პრინციპების შესახებ (ERG (07) 16rev2)

წერტილი-მრავალწერტილი არქიტექტურაში, პასიური ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების (PON ან GPON) საშუალებით, შესაძლებელია OLT-სა და განაწილების წერტილს შორის არსებული ერთი ოპტიკური ბოჭკოს გაზიარება მრავალ მომხმარებელს შორის (სურათი 43). ამ შემთხვევაში სხვა ოპერატორისთვის ოპტიკური ბოჭკოების გამოყოფა არ არის მარტივი.

სურათი 43 FTTx წერტილი-მრავალწერტილი ქსელის არქიტექტურა



წყარო: ERG-ის მოსაზრება ECN-ის მარეგულირებელი პრინციპების შესახებ (ERG (07) 16rev2)

წერტილი-მრავალწერტილი, გამოყოფილ ბოჭკოზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ განაწილების წერტილში ოპტიკური განაწილების ქსელში, სადაც მდებარეობს ოპტიკურ-ბოჭკოვანი გამყოფი (Splitter). ეს დაშვება ნაკლებად ეკონომიურია, რადგან ნაკლები მომხმარებელია განთავსებული განაწილების წერტილში, ვიდრე ცენტრალურ ადგილას. ასევე არსებობს ტექნიკური პრობლემა წერტილი-მრავალწერტილი გამოყოფისას. როგორც წესი, გამყოფი (Splitter) არ არის პირდაპირ დაკავშირებული დაშვების წერტილთან, შესაბამისად აღნიშნული წერტილების დაკავშირება, ოპტიკური ბოჭკოების გადაბმით ხორციელდება. ასე რომ, ოპტიკური ბოჭკოების გამოსაყოფად, ოპტიკური ბოჭკო უნდა გადაერთდეს დაშვების მაძიებელი ოპერატორის ბოჭკოზე. საბითუმო დაშვების უზრუნველსაყოფად აღნიშნული სამუშაოს განხორციელება შესაძლებელია ოპტიკურ-ბოჭკოვანი შესაბამისი ტექნიკოსის მიერ.

მე-4 თავში საცალო დონეზე გამოყენებული ბაზრის განსაზღვრის პროცესის მეთოდოლოგიის შესაბამისად, ოპტიკურ-ბოჭკოვან ინფრასტრუქტურაზე ადგილობრივი დაშვების საბითუმო მომსახურება (ოპტიკური ბოჭკოს გამოყოფა) განიხილება, როგორც ძირითადი სერვისი ამ საბითუმო ბაზარზე და ყველა სხვა სერვისის შეფასება ხორციელდება მისი ჩანაცვლებადობის ხარისხის მიხედვით.

VULA (ვირტუალური ადგილობრივი დაშვების უზრუნველყოფა)

FTTx ქსელებით შემდეგი თაობის დაშვების ინფრასტრუქტურის განვითარებით, განსხვავება ფიზიკური ადგილობრივი დაშვების საბითუმო სერვისისა და ვირტუალური ადგილობრივი დაშვების საბითუმო სერვისს შორის იშლება. ვირტუალური დაშვება, ფიზიკური დაშვებისგან განსხვავებით, საშუალებას აძლევს დაშვების მაძიებელს მიაღწიოს ქსელზე დაშვებას იმ შემთხვევაში, როდესაც ოპტიკური ბოჭკოს გამოყოფის სერვისის მიღება შეუძლებელია. ტექნოლოგიის განვითარებით, VULA-მ ეს მოქნილობა შესაძლებელი გახადა ოპერატორის GPON ქსელის ინფრასტრუქტურის ცენტრალურ ადგილზე დაშვების განხორციელებით.


ძირითადი განმასხვავებელი ფაქტორი ფიზიკურ საბითუმო დაშვების მომსახურებასა და ვირტუალურ საბითუმო დაშვების მომსახურებას შორის არის გადაცემის წერტილის მდებარეობა. ოპტიკურ ქსელებში დაერთების წერტილი შეიძლება იყოს ადგილობრივი (ბოლო მომხმარებელთან ახლოს) ან უფრო შორს ოპერატორის ძირითადი ქსელისკენ.

VULA შეესაბამება ფართოზოლოვანი დაშვების საბითუმო სერვისს OLT-ს დონეზე, მაგრამ აქვს ოპტიკური ბოჭკოს გამოყოფის მომსახურების მსგავსი მახასიათებლები. VULA შექმნილია იმისთვის, რომ უზრუნველყოს საბითუმო სერვისი იგივე ფუნქციებით, როგორც ფიზიკური გამოყოფა ქსელის ახალ არქიტექტურებზე, სადაც შეუძლებელია ფიზიკური გამოყოფის გამოყენება. დაშვება ხდება უფრო ადგილობრივ დონეზე (როგორც წესი, ოპერატორის ადგილობრივი გაცვლის მთავარ სადისტრიბუციო ჩარჩოში ან ODF მდებარეობაზე (იხ. სურათი 44). ეს უფრო ახლოსაა საბოლოო მომხმარებელთან, ვიდრე დაერთების წერტილი, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება რეგიონალური ან ეროვნული „ბიტსტრიმ“ მომსახურებისას. VULA, დაშვების მსურველს აძლევს მეტ მოქნილობას ქსელის კონტროლის პროცესში, რათა გავლენა მოახდინოს საბოლოო მომხმარებლისთვის სერვისის მიწოდებაზე.

44-ე სურათი გვიჩვენებს VULA-ს ოპერატორს ადგილობრივი გაცვლის წერტილში ან გარე კაბინეტის ადგილას. VULA სთავაზობს მომხმარებელს უფრო მეტ კონტროლს საბოლოო მომხმარებლის სერვისის პარამეტრებსა და ხარისხზე, ვიდრე ჩვეულებრივი საბითუმო ფართოზოლოვანი დაშვება („ბიტსტრიმ“ დაშვება), რაც მას უფრო ფიზიკური გამოყოფის სერვისთან აიგივებს. VULA საბითუმო სერვისის მიზანია შესთავაზოს დაშვების მაძიებელს იგივე შესაძლებლობა საცალო პროდუქტის დიფერენციაციისთვის, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს ფიზიკური გამოყოფის გამოყენებით. UTP

დაერთების შემთხვევაში Ethernet გადამრთველის („Switch”) გამოყენებით მრავალსაცხოვრებლიან კორპუსებში (FTTB), VULA-ს გამოყენება აგრეგაციის წერტილში შესაძლებელია, ხოლო ფიზიკური გამოყოფა შესაძლებელია, მხოლოდ UTP დაერთებისთვის.

სურათი 44 VULA ქსელის არქიტექტურა



წყარო: BEREC

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ VULA სერვისი, მისი მახასიათებლების მიხედვით არის გამოყოფილი კავშირი და დაშვების მამიებელი ახორციელებს ტრაფიკის გატარებას დაშვების წერტილამდე და უკან, საკუთარი ტრანზიტული (Backhaul) ქსელის გამოყენებით, ისევე როგორც გამოყოფილი ოპტიკური ძარღვით საბითუმო ადგილობრივი დაშვების მომსახურებისას.

ევროკავშირში, VULA შეფასდა, როგორც საუკეთესო საშუალება კონკურენციის განვითარებისთვის, რამეთუ მომხმარებლებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ კონკურენტული სერვისების უფრო ფართო სპექტრით, რომელთა მიწოდება ხდება შემდეგი თაობის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურით. VULA-ს ინტეგრირება შესაძლებელია ქსელის ყველა ტოპოლოგიაში და ყველა ტექნოლოგიურ გადაწყვეტაში. მისი დიდი უპირატესობა არის ის, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია FTTH/GPON ტექნოლოგიური გადაწყვეტისას, რომლებშიც ფიზიკური გამოყოფა ზოგადად შეუძლებელია.

თუ შევადარებთ „ბიტსტრიმ“ დაშვების სერვისებს OLT დონეზე (ანუ ადგილობრივი „ბიტსტრიმის“ დაშვება ტრაფიკის გადაცემის 1 წერტილში - სურათი 46) და VULA საბითუმო სერვისების მახასიათებლებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს სერვისები ძალიან ჰგავს ტექნიკური მახასიათებლების მხრივ ერთმანეთს. VULA სერვისი შექმნილია ახალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის არქიტექტურის გამოყოფის გასააქტიურებლად, როგორც ეს ხდება სპილენძის ადგილობრივი დაშვების ქსელის გამოყოფისთვის. თუ შევადარებთ VULA-ს ტექნიკურ მახასიათებლებს, რომლებიც დაწესებულია ევროკავშირის მრავალი მარეგულირებლის მიერ ადგილობრივი „ბიტსტრიმ“ დაშვების ტექნიკურ მახასიათებლებთან („ბიტსტრიმ“ დაშვება OLT დონეზე), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ სერვისებს აქვთ მაღალი დონის მსგავსება ფიქსირებული ფართობოლოვანი საცალო სერვისების მიწოდების თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ VULA სერვისი, თავისი ძირითადი მახასიათებლებით, წარმოადგენს ფიზიკურად გამოყოფილი ოპტიკური ბოჭკოს (physical unbundled fibre) სერვისის ჩამნაცვლებელ მომსახურებას, რადგან VULA უზრუნველყოფს:

- კავშირს იგივე ადგილობრივ წერტილში;
- საცალო მომსახურების პირობებს, რომლებიც შეიძლება იქნეს მოთხოვნილი დაშვების მაძიებლის მიერ;
- გადამცემი ქსელის საკმარის კონტროლს (ტოვებს ადგილს დიფერენცირებული საცალო შეთავაზებებისთვის);
- მომსახურების მსგავს ხარჯებს.

საქართველოში ფასების შედარება გამოყოფილი ოპტიკური ბოჭკოსა და VULA პროდუქტებს შორის შეუძლებელია, რადგან ამჟამად არ არსებობს FTTx-ზე დაფუძნებული საბითუმო სერვისები, შეთავაზებული რეგულირებად ან კომერციულ საფუძველზე. ასე რომ, ჩანაცვლების ანალიზი ძირითადად ეფუძნება როგორც ზოგად ტექნიკურ მახასიათებლებს, ასევე ამ სერვისების მიწოდებაზე გაწეული ხარჯების ჩვეულებრივ დონეს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვირტუალური ადგილობრივი დაშვების უზრუნველყოფა (VULA) წარმოდგენილია იმავე შესაბამის ბაზარზე, რომელზეც ფიზიკურად გამოყოფილი ოპტიკური ბოჭკოს სერვისი.

„ბიტსტრიმ“ დაშვება

„ბიტსტრიმ“ დაშვების (BSA) სერვისი წარმოადგენს ევროპაში ფართოდ გამოყენებულ აქტიური ტიპის საბითუმო დაშვების სერვისს, რომელიც საშუალებას აძლევს დაშვების მაძიებელს მიაწოდოს ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება საბოლოო მომხმარებლებს ინფრასტრუქტურის მფლობელი ოპერატორის ქსელის ელემენტების გამოყენებით, მათ შორის, ქსელის ადგილობრივი და ტრანზიტული (Backhaul) წერტილების გამოყენებით. ტრანზიტული (Backhaul) ქსელის გამოყენების მასშტაბი დამოკიდებულია ორ ოპერატორს შორის ურთიერთჩართვის წერტილის (გადაცემის წერტილი) მდებარეობაზე. „ბიტსტრიმ“ დაშვების გამოყენებით საბოლოო მომხმარებელი დაშვების მაძიებლისგან მომსახურებას იღებს გადაცემის წერტილში, რომელიც შეიძლება იყოს ადგილობრივი, რეგიონული ან ეროვნული. ამ წერტილიდან, დაშვების მაძიებელი იყენებს საკუთარ ქსელურ ინფრასტრუქტურას მომხმარებლისთვის მომსახურების სრულად მიწოდებისთვის.


„ბიტსტრიმ“ დაშვების სერვისის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ აღნიშნული მომსახურება დაშვების მაძიებელს აძლევს შესაძლებლობას ჰქონდეს წვდომა ოჯახების მეტ რაოდენობასთან შედარებით მცირე ფიქსირებული დანახარჯებით. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს ინვესტიციებისა და დანახარჯების საჭიროებას საკუთარი ინფრასტრუქტურის აშენებასთან ან გამოყოფილი ოპტიკური-ბოჭკოების გამოყენებასთან შედარებით.

„ბიტსტრიმ“ დაშვება ფართოდ გამოიყენება ევროკავშირში, ძირითადად ბაზარზე ახლად შემოსული პროვაიდერების მიერ, სანამ ისინი შექმნიან აუცილებელ მომხმარებელთა ბაზასა და მიაღწევენ შემოსავლების ოდენობას, იმისათვის, რომ განახორციელონ ინვესტირება საკუთარ ინფრასტრუქტურაში უფრო დიდი გეოგრაფიული დაფარვის მისაღწევად. ოპერატორს, რომელსაც აქვს ამბიციური მიზანი მიაღწიოს ეროვნულ დაფარვას საკუთარი ინფრასტრუქტურით, შეუძლია გამოიყენოს „ბიტსტრიმ“ დაშვების მომსახურება, დაფარვის თვალსაზრისით არსებული ჩავარდნების (Gap) შესავსებად მანამ, სანამ საკუთარ ინფრასტრუქტურას განავითარებს. ეს სტრატეგია სასარგებლოა, რადგან „ბიტსტრიმ“ დაშვების მომსახურების გამოყენებით, ახალ

ოპერატორს შეუძლია შეისწავლოს მოთხოვნა მოცემულ გეოგრაფიულ არეალში, სანამ ინვესტიციის გაკეთების გადაწყვეტილებას მიიღებს.

“ბიტსტრიმ” დაშვების სერვისი განლაგებულია „საინვესტიციო კიბეზე“⁵¹ ფიზიკურად გამოყოფილი ოპტიკური ძარღვით საბითუმო მომსახურების გვერდით (სურათი 45). საინვესტიციო კიბის პრინციპი ეფუძნება იდეას, რომ ალტერნატიული ოპერატორების ინვესტიციები შეიძლება განხორციელდეს ეტაპობრივად, იმისდა მიხედვით, ალტერნატიული ოპერატორის თვალსაზრისით, საკუთარი დაშვების ინფრასტრუქტურის აშენება შეიძლება თუ არა ჩაითვალოს მიზანშეწონილად. საინვესტიციო კიბის პრინციპი საშუალებას აძლევს ახალ ოპერატორებს რამდენიმე რეგულირებადი დაშვების პროდუქტის გამოყენებით განახორციელონ ინვესტიციები საკუთარ ინფრასტრუქტურაში და ამავდროულად მოემსახურონ მომხმარებელთა დიდ რაოდენობას. როდესაც ისინი მიაღწევენ საბოლოო მომხმარებლების კრიტიკულ მასას ან მასშტაბის ეკონომიას ახალ გეოგრაფიულ არეალში (საბითუმო დაშვების სერვისის გამოყენებით), მათ შეუძლიათ განიხილონ ინვესტიციის განხორციელების მიზანშეწონილობა, რათა გააფართოვონ თავიანთი ქსელის დაფარვა ამ ტერიტორიაზე და გადაიყვანონ თავიანთი მომხმარებლები საკუთარ ქსელზე. ამ გზით ბაზარზე შესვლის მაღალი ბარიერები (მაგალითად, ინვესტიციებისთვის განკუთვნილი ფინანსური რესურსები) მცირდება. როდესაც ახალი ოპერატორი ავითარებს საკუთარ ქსელს, მას შეუძლია მიაღწიოს უფრო მეტ კონტროლს მისი საცალო მომსახურების ხარჯებსა და მახასიათებლებზე კონკურენტულ ბაზარზე.

სურათი 45 საინვესტიციო კიბე




⁵¹https://www.ofcom.org.uk/data/assets/pdf_file/0022/76702/competition_and_investment_fixed.pdf

წყარო: ევროპის მარეგულირებლების ჯგუფის(ERG) დოკუმენტი

არსებობს სხვადასხვა ტიპის “ბიტსტრიმ” დაშვების მომსახურება, რაც დამოკიდებულია ოპერატორის ქსელის პროპორციაზე, რომელიც გამოიყენება საბითუმო სერვისების უზრუნველსაყოფად. გადაცემის სხვადასხვა წერტილი განსაზღვრავს ტექნიკური პარამეტრების კონტროლის განსხვავებულ შესაძლებლობებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საბოლოო მომხმარებლებისთვის მისაწოდებელ ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებებზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გადაცემის სხვადასხვა წერტილი განსაზღვრავს იმ დონეს, რა დონეზეც ოპერატორს შეუძლია ინფრასტრუქტურის მფლობელი ოპერატორის მიერ მიწოდებულ სერვისზე ღირებულების დამატება. რაც უფრო შორს არის დაერთების წერტილი ODF-დან ან საბოლოო მომხმარებლის შენობიდან, მით ნაკლები შესაძლებლობა აქვს ახალ ოპერატორს განასხვავოს საკუთარი საცალო სერვისი ინფრასტრუქტურის მიმწოდებელი ოპერატორის მიერ შეთავაზებული საცალო სერვისისგან. გარდა ამისა, რაც უფრო შორს არის დაერთების წერტილი საბოლოო მომხმარებლისგან, მით მეტად იქნება გამოყენებული ინფრასტრუქტურის მფლობელის ტრანზიტული (Backhaul) ქსელი. ამიტომ, დაშვების მამიებელს უწევს მეტი გადაიხადოს საბითუმო სერვისისთვის, მომსახურების უფრო მაღალი დანახარჯებიდან გამომდინარე. 46-ე სურათზე, ილუსტრირებულია დაერთების სხვადასხვა წერტილი, ისევე როგორც საზღვარი ქსელის ადგილობრივ დაშვებასა და ტრანზიტულ (Backhaul) ნაწილებს შორის.

სურათი 46 „ბიტსტრიმის“ დაშვების კონცეფცია (დაერთების წერტილები)



წყარო:

46-ე სურათზე ნაჩვენებია გადაცემის ყველა წერტილი, რომელიც წარმოდგენილია ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპით. სხვადასხვა ტექნოლოგიები გავლენას არ ახდენენ დაშვებისა და ტრანზიტულ (Backhaul) სერვისებს შორის დემარკაციის ლოგიკაზე ან საბითუმო “ბიტსტრიმ” დაშვების სერვისის ტექნიკურ მახასიათებლებზე.

46-ე სურათზე, წერტილი 1 წარმოადგენს ტექნიკურ გადაწყვეტას, რომელშიც ინფრასტრუქტურის მფლობელი ოპერატორი უზრუნველყოფს ფართოზოლოვანი დაშვების არხს, რომლის დაერთების წერტილი არის OLT-ის შემდეგ. ამ შემთხვევაში, დაშვების მსურველი ფიზიკურად იმყოფება ადგილობრივ დონეზე და ის იყენებს საკუთარ ქსელს ტრანზიტული (Backhaul) სერვისისთვის, რაც დაშვების მაძიებელს საშუალებას აძლევს დიდწილად თავად განსაზღვროს სერვისი და ხარისხის პარამეტრები საკუთარი ძირითადი ქსელის მეშვეობით. ეს ვარიანტი მოითხოვს შედარებით დიდ საწყის ინვესტიციას დაშვების მსურველის მიერ, რათა ის იყოს წარმოდგენილი ადგილობრივ დონეზე. “ბიტსტრიმ” დაშვების სერვისის ეს ტიპი, თავისი მახასიათებლების მიხედვით, საკმაოდ ჰგავს ოპტიკური ბოჭკოს გამოყოფის საბითუმო სერვისს (სურათი 42), რადგან დაერთების წერტილი ერთიდაიგივეა. განსხვავება ისაა, რომ “ბიტსტრიმ” დაშვება არის აქტიური საბითუმო სერვისი, ყველა ელემენტით, რომელიც საჭიროა საბოლოო მომხმარებლებისთვის ფიქსირებული ფართოზოლოვანი საცალო სერვისის მიწოდებისთვის, მაშინ როცა ოპტიკური ბოჭკოს გამოყოფა დაშვების მსურველს სთავაზობს მხოლოდ პასიური ინფრასტრუქტურის ელემენტს.

VULA (სურათი 44) არის „ბიტსტრიმ“ დაშვების ერთ-ერთი სახეობა გადაცემის ადგილობრივი წერტილით, აღნიშნულიდან გამომდინარე ანალიზში ადგილი ეთმობა მისი როგორც “ბიტსტრიმ” დაშვების სერვისის ჩამნაცვლებლის განხილვას.

46-ე სურათზე მე-2 ან მე-3 წერტილები წარმოადგენენ ტექნიკურ გადაწყვეტებს, რომლებშიც ინფრასტრუქტურის მფლობელი ოპერატორი უზრუნველყოფს ფართოზოლოვანი დაშვების არხს, მათ შორის ტრანზიტულს (Backhaul) და დაერთების წერტილს წარმოადგენს ინფრასტრუქტურის მფლობელის ძირითადი ქსელის მომდევნო წერტილი, შესაბამისი ტექნოლოგიის გამოყენებით (Ethernet დონე ან IP დონე). დაშვების მაძიებელ ოპერატორს შეუძლია გარკვეულწილად შეცვალოს მომსახურების ხარისხის პარამეტრები, მაგრამ დაშვების მაძიებელს არ აქვს იმდენი კონტროლი საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდებულ სერვისზე, როგორც მას ჰქონდა დაშვების პირველ წერტილში. აღნიშნულ წერტილში დაშვების მაძიებლის ინვესტიციები უფრო დაბალია პირველი წერტილის გადაწყვეტასთან შედარებით და დაშვების მაძიებელს შეუძლია მოიპოვოს წვდომა უფრო დიდ გეოგრაფიულ არეალზე, უფრო დიდი პოტენციური ბაზრით. თუ დაშვების მაძიებელი იყენებს გადაცემის რამდენიმე რეგიონულ ან ეროვნულ პუნქტს, მას შეუძლია მიიღოს წვდომა კიდევ უფრო დიდ, პოტენციურად ეროვნულ საცალო ბაზარზე. თუმცა, რაც უფრო იზრდება დაშვების წერტილების რაოდენობა, უფრო ფართო მასშტაბით ხორციელდება ინფრასტრუქტურის მფლობელის ტრანზიტული (Backhaul) სერვისების გამოყენება, რის შედეგადაც დაშვების მაძიებლის მიერ გადახდილი საბითუმო მომსახურების ღირებულება უფრო მაღალია.

46-ე სურათზე მე-4 წერტილი წარმოადგენს ტექნიკურ გადაწყვეტას, რომელშიც ინფრასტრუქტურის მფლობელი ოპერატორი უზრუნველყოფს საბითუმო დაშვებას, რომელიც მოიცავს პირდაპირ გარე კავშირს გლობალურ ინტერნეტთან. ამ წერტილზე სერვისი, რომელსაც ინფრასტრუქტურის მფლობელი სთავაზობს დაშვების მაძიებელს, ტექნიკურად იგივეა, რასაც ინფრასტრუქტურის მფლობელი ოპერატორი სთავაზობს საკუთარ საბოლოო მომხმარებლებს, ასე რომ, ეს დიდწილად ეკვივალენტურია გადაყიდვის სერვისის. რადგანაც დაშვების წერტილის პირველი სამი გადაწყვეტა აძლევს დაშვების მაძიებელს შესაძლებლობას განსხვავდეს საკუთარი საცალო სერვისები და ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ შემოთავაზებული პროდუქტები, ეს შეუძლებელია დაშვების მეოთხე წერტილში და შესაბამისად, ეს მომსახურება ჩვეულებრივ არ განიხილება, როგორც ნამდვილი BSA სერვისი.

საქართველოს შემთხვევაში, FTTx ოპერატორების ქსელური არქიტექტურის გათვალისწინებით, მიჩნეულია, რომ შესაძლებელია “ბიტსტრიმ” დაშვების საბითუმო დაშვება ქსელის შემდეგ დონეებზე (დაერთების წერტილები), მიუხედავად FTTx დაშვების ქსელში გამოყენებული ტექნოლოგიებისა:

- გადაცემა ადგილობრივ დონეზე (OLT);
- გადაცემა რეგიონულ დონეზე (Ethernet/IP);
- გადაცემა ეროვნულ დონეზე (Ethernet/IP).

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ “ბიტსტრიმ” დაშვების სერვისები გადაცემის სხვადასხვა წერტილში არის ჩანაცვლებადი მომსახურება გამოყოფილი ფიზიკური ოპტიკურ-ბოჭკოვანი დაშვების სერვისისთვის. დაერთების წერტილის არჩევანი დიდწილად უნდა განისაზღვროს დაშვების მაძიებლის მიერ, მისი ქსელის დაფარვისა და ქსელის არქიტექტურის გათვალისწინებით. თუ დაშვების მაძიებელს უკვე აქვს დიდი დაფარვა, მაშინ „ბიტსტრიმზე“ საბითუმო დაშვების ღირებულება არ საჭიროებს დიდ დამატებით ხარჯებს. თუ დაშვების მაძიებლის საკუთარი ქსელი არ არის ფართოდ გავრცელებული, დაშვების მაძიებელი სავარაუდოდ აირჩევს დაერთების წერტილებს მე-2 ან მე-3 (ანუ რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე), რათა მოიპოვოს უფრო დიდი გეოგრაფიული დაფარვა დაბალი საწყისი ინვესტიციებით. ეს ნიშნავს, რომ დაშვების მსურველის ბიზნეს გადაწყვეტილება დიდად იქნება დამოკიდებული მის დაფარვაზე და კუთვნილი ძირითადი ქსელის (Core Network) ზომაზე. ეს ნიშნავს, რომ “ბიტსტრიმ” დაშვების სერვისები ყველა დონეზე აღიქმება დაშვების მაძიებლის მიერ, როგორც იმავე ბაზარზე ოპერირების საშუალება.

Wavelength Unbundling

ეს ტექნოლოგია არ არის საკმარისად მომწიფებული იმისათვის, რომ ფართოდ იყოს გამოყენებული და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის იყოს ჩამნაცვლებელი ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში.

საკუთარი ინფრასტრუქტურის მშენებლობა

შესაძლებლობა, რომ დაშვების მაძიებელმა ააგოს საკუთარი ინფრასტრუქტურა, გასათვალისწინებელია ოპტიკურ-ბოჭკოვანი ძარღვის გამოყოფის სერვისის ფასის მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში.

ეროვნული ოპტიკურ-ბოჭკოვანი დაშვების ქსელის აშენება მოითხოვს ხანგრძლივ პერიოდს და დიდ ინვესტიციებს, შესაბამისად წარმოადგენს მაღალ ბარიერს ნებისმიერი ახალი ოპერატორისთვის. ახალი ინვესტიციების მთავარი მამოძრავებელი ძალა ოპტიკურ-ბოჭკოვანი დაშვების ინფრასტრუქტურაში არის საბოლოო მომხმარებლების მოთხოვნა და სიმჭიდროვე მოცემულ გეოგრაფიულ არეალში. მოსალოდნელია, რომ ფიქსირებული ფართობოლოვანი საცალო დაშვების მოთხოვნა გაიზრდება არა მხოლოდ ახალი მომხმარებლებისგან, არამედ არსებული მომხმარებლებისგანაც, რომლებსაც სურთ გადავიდნენ უფრო მაღალი სიჩქარის ფართობოლოვან სერვისებზე. ახალი ინვესტიციების უმეტესობა სავარაუდოდ განხორციელდება FTTx დაშვების ქსელებში, FWA და xDSL ქსელებთან შედარებით მაღალი სიჩქარისა და უკეთესი ხარისხის გამო.

მიჩნეულია, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს მასშტაბის მნიშვნელოვან ეკონომიას, პოტენციური მომხმარებლების ძალიან მაღალ სიმჭიდროვეს და ბაზარზე არსებული შეუსაბამო ინფრასტრუქტურას, შეიძლება ოპტიკურ-ბოჭკოვანი დაშვების საკუთარი ინფრასტრუქტურის მშენებლობა ჩაითვალოს დაშვების მომსახურების ჩანაცვლებად. საქართველოში ოპტიკურ-ბოჭკოვანი დაშვების ინფრასტრუქტურაში არსებული ინვესტიციები და ოპერატორების ქსელის დაფარვა (იხ. თავი 3.1.) ცხადყოფს, რომ საქართველოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ბევრ რაიონში მიღწეულია საჭირო საინვესტიციო სტიმული. თუმცა, მხოლოდ ორი FTTx ოპერატორი (შპს “მაგთიკომი” და სს „სილქნეტი“) ფარავს შინამეურნეობების დიდ რაოდენობას საქართველოში.

თუ ოპერატორმა გადაწყვეტს საკუთარი ინფრასტრუქტურის აშენებას “ბიტსტრიმ” დაშვების უზრუნველყოფის თვალსაზრისით (სურათი 46), მაშინ მაინც საჭირო იქნება გარკვეული დონის ინვესტიცია ტრანზიტულ (Backhaul) ქსელებში. ყველა ქსელს, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ქალაქს, როგორც წესი, უკვე აქვს განვითარებული ტრანზიტული (Backhaul) გამტარუნარიანობა, თუმცა ეროვნული დაფარვისთვის მაინც საჭიროა ტრანზიტული (Backhaul) სიმძლავრის უზრუნველყოფა, რომლისგამოყენება იქნება შესაძლებელი ეროვნული დაფარვისთვის. ეს მაინც ის ხარჯია, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომდევნო სამი წლის განმავლობაში რომელიმე ოპერატორმა ააგოს საკუთარი ინფრასტრუქტურა, ნაცვლად იმისა, რომ მოიპოვოს დაფარვა საბითუმო ოპტიკურ-ბოჭკოვანი ძარღვის გამოყოფის ან “ბიტსტრიმ” სერვისების გამოყენებით. საკუთარი ქსელის აშენება არ განიხილება არსებულ FTTx ოპერატორებზე ეფექტიანი კონკურენტული ზეწოლის განხორციელების შესაძლებლობად.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საკუთარი დაშვების ქსელის მშენებლობა არ წარმოადგენს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ძარღვის გამოყოფის ჩამნაცვლებელ სერვისს. საბითუმო ოპტიკური ბოჭკოვანი ძარღვის გამოყოფის სერვისის ფასის მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, დაშვების მამიებელს არ ექნება საკმარისი მოტივაცია, ააშენოს საკუთარი დაშვების ინფრასტრუქტურა ყველა იმ არეალში, რომელსაც ის ამჟამად არ ფარავს.

თვითმომსახურება

თეორიულად, თვითმომსახურება მნიშვნელოვანი საკითხია, როდესაც ვერტიკალურად ინტეგრირებული ოპერატორი, რომელიც უზრუნველყოფს ოპტიკური ძარღვის გამოყოფის საბითუმო სერვისს ზრდის მის საბითუმო ფასს. საბითუმო ფასის ზრდასთან ერთად, დაშვების მსურველის მომსახურების საცალო ფასიც გაიზრდება. ეს იმიტომ ხდება, რომ დაშვების მამიებელს, გარკვეულწილად, მოუწევს გაზრდილი საბითუმო ფასის ასახვა საბოლოო მომხმარებლების ფასზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ფინანსური მარჯა შემცირდება. შესაბამისად, საბითუმო დაშვების სერვისზე დაფუძნებული საცალო მომსახურების უფრო მაღალი ფასი გამოიწვევს იმ ფაქტს, რომ საბოლოო მომხმარებლები დაიწყებენ ამ არეალში ნებისმიერი სხვა ინფრასტრუქტურის მფლობელი ოპერატორის მიერ მიწოდებული სერვისებით სარგებლობას. ეს, თავის მხრივ, ახდენს კონკურენტულ ზეწოლას საბითუმო ფასის ზრდაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ საცალო დონეზე, ფართოზოლოვან სერვისებზე წვდომის ბაზრის სეგმენტი ძირითადად დაფუძნებულია FTTx ტექნოლოგიაზე (იხ. თავი 3.2), აუცილებელია განისაზღვროს, არის თუ არა საკმარისი კონკურენტული ზეწოლა არსებული ოპერატორების მხრიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ საცალო FTTx სერვისების მიწოდებას საკუთარი დაშვების ინფრასტრუქტურის მეშვეობით ისე, რომ გავლენა მოახდინონ ოპტიკურ-ბოჭკოვანი დაშვების სერვისის 3იპოთეტიური ფასების დონეზე. საცალო დონეზე ამ კონკურენტული ზეწოლის არსებობის შემთხვევაში, FTTx ტექნოლოგიის გამოყენებით თვითმომსახურების სერვისები მოქცეულ უნდა იქნეს ფიქსირებული საბითუმო დაშვების ბაზრის ფარგლებში.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არსებობს რამდენიმე ოპერატორი, რომელიც უზრუნველყოფს საცალო ფართოზოლოვან სერვისებზე წვდომას FTTx-ის გამოყენებით (იხ. თავი 3.1), საჭიროა შეფასდეს, შეუძლიათ თუ არა მათ საკმარისი კონკურენტული ზეწოლა მოახდინონ ისე, რომ აღნიშნულმა გავლენა იქონიოს საბითუმო გამოყოფილი დაშვების ფასზე.

FTTx ინფრასტრუქტურის დაფარვის ზონებში, კონკურენტული ზეწოლა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც ოპერატორები წარმოდგენილი არიან საკუთარი ინფრასტრუქტურით. იმის გათვალისწინებით, რომ ოპერატორების უმეტესობას არ გააჩნია

ეროვნული დაფარვა (როგორც ეს აღწერილია თავში 3.1), თვითმომსახურების სერვისების კონკურენტული ზეწოლა უნდა იქნეს გათვალისწინებული თითოეულ გეოგრაფიულ არეალში, სადაც FTTx ქსელები არსებობს. ეს მიდგომა მოითხოვს ადგილობრივი ბაზრების მნიშვნელოვანი გრანულარულობის გაოგრაფიულ ანალიზს.

მიჩნეულია, რომ გეოგრაფიულ ზონებში, სადაც ინფრასტრუქტურული კონკურენციაა (ანუ ისეთ ადგილებში, სადაც ერთზე მეტი FTTx ოპერატორი იყენებს საკუთარ ინფრასტრუქტურას), ამ ოპერატორებმა შეიძლება მოახდინონ მნიშვნელოვანი კონკურენტული ზეწოლა ერთმანეთზე გამოყოფილ ოპტიკურ ბოჭკოზე დაშვების ფასწარმოქმნის კუთხით.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ამ შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ ანალიზში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა არსებული FTTx ინფრასტრუქტურა თითოეულ დასახლებაში, თითოეული ოპერატორის დაფარვის მონაცემების, ასევე თითოეული საცალო ოპერატორის აბონენტების რეალური რაოდენობის გამოყენებით. ეს ნიშნავს, რომ ბაზრის ანალიზის პროცესში, რომელიც შეისწავლის კონკურენციას ამ შესაბამისი ბაზარზე, უნდა არსებობდეს მკაფიო კრიტერიუმები თითოეულ დასახლებაში კონკურენციის დონის შესაფასებლად. აღნიშნული კრიტერიუმების ფარგლებში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული (სხვა ასპექტებთან ერთად) არსებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის გამოყენებით თვითმომსახურების სერვისები, ისევე როგორც აბონენტების რაოდენობა საცალო დონეზე, რათა განისაზღვროს კონკურენტული ზეწოლა ინფრასტრუქტურის მფლობელ სხვადასხვა ოპერატორებს შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ შესაბამისი ბაზარზე არ არსებობს მიმდინარე საბითუმო სერვისები, ცხადია, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თვითმომსახურება. ეს უნდა გაკეთდეს თითოეულ დასახლებაში კონკურენციის შეფასებით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ფიქსირებული ფართობოლოვანი დაშვების ბაზარზე თვითმომსახურება ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში წარმოადგენს იმავე შესაბამისი ბაზრის ნაწილს, რომელსაც მიეკუთვნება საბითუმო გამოყოფილ ოპტიკურ-ბოჭკოვან ძარღვებთან დაშვების სერვისი.

6.2 ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების პროდუქციული ბაზრის განმარტება – მიწოდების მხარის ჩანაცვლებადობა

მიწოდების მხარის ჩანაცვლებადობა გულისხმობს შესაძლებლობას, რომ სხვა ოპერატორებმა, რომლებიც არ იმყოფებიან ამ შესაბამისი ბაზარზე, საბითუმო გამოყოფილ ოპტიკურ ბოჭკოზე დაშვების სერვისის ფასის მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, შესთავაზონ მომხმარებელს აღნიშნული საბითუმო სერვისის იდენტური სერვისი, მნიშვნელოვანი დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

ამჟამად, საქართველოში არ არსებობენ FTTx ოპერატორები, რომლებიც სთავაზობენ ბაზარს ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების სერვისებს ფიქსირებულ ლოკაციაზე, გარდა ბაზარზე არსებული თვითმომსახურების სერვისისა (იხ. თავი 6.1).

ნაკლებად სავარაუდოა, რომ სხვა ოპერატორებმა (გარდა იმ ოპერატორებისა, რომლებიც უკვე საქმიანობენ ამ ბაზარზე და იყენებენ თვითმომსახურებას საკუთარი FTTx დაფარვის ფარგლებში) დაიწყონ საბითუმო გამოყოფილ ოპტიკურ ბოჭკოზე დაშვების სერვისების მიწოდება მნიშვნელოვანი დაფარვით ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში.

გასათვალისწინებელია შესაძლებლობა, რომ ოპერატორს შეუძლია დაიწყოს სერვისის შეთავაზება, რომელიც იდენტურია საბითუმო გამოყოფილ ოპტიკურ ბოჭკოზე დაშვების მომსახურების, სხვა (არა-FTTx) ქსელების გამოყენებით. საქართველოში ალტერნატიული ქსელები იყენებენ სპილენძის

წყვილებს ან FWA-ს (ეს ტექნოლოგიები არ არის მომავალზე ორიენტირებული). უფრო საიმედო საკაბელო ქსელები (DOCSIS-ზე დაფუძნებული⁵²) არ არის ხელმისაწვდომი საქართველოში, ამიტომ აღნიშნული ტექნოლოგიებით სერვისების მიწოდება არ წარმოადგენს კონკურენტული ზეწოლის წყაროს მიწოდების მხრიდან. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რეგიონებში მიმდინარეობს ოუფენ ნეტი⁵³ პროექტი სოფლებში ოპტიკური ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ახალი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მხოლოდ ქსელის ტრანზიტულ (Backhaul) ნაწილს და არ ითვალისწინებს დაშვების ქსელების აშენებას.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქართველოში არ იკვეთება მიწოდების მხარის ჩანაცვლებადობა ფიქსირებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი საბითუმო დაშვების სერვისებთან მიმართებაში.

6.3 დასკვნა - ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების პროდუქტის ბაზრის განსაზღვრის შესახებ

6.1. და 6.2 თავებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ფიქსირებულ ლოკაციაზე საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ბაზარი საქართველოში შედგება შემდეგი სერვისებისგან:

- გამოყოფილ ოპტიკურ-ბოჭკოზე (unbundled fiber) დაშვების სერვისები დაფუძნებული FTTH P2P(წერტილი-წერტილი) დაშვების ქსელის არქიტექტურაზე;
- VULA სერვისები დაფუძნებული FTTH წერტილი-წერტილი(P2P) და GPON დაშვების ქსელის არქიტექტურაზე და FTTB UTP Ethernet to Home დაშვების ქსელის არქიტექტურისთვის;
- “ბიტსტრიმ” დაშვების სერვისის შემდეგ დონეზე (დაერთების წერტილები) FTTx დაშვების ქსელში გამოყენებული ტექნოლოგიების მიუხედავად:
 - დაერთების წერტილი ადგილობრივ დონეზე (OLT);
 - დაერთების წერტილი რეგიონულ დონეზე (Ethernet/IP);
 - დაერთების წერტილი ეროვნულ დონეზე (Ethernet/IP);
- FTTx-ის თვითმომსახურება ყველა ოპერატორის მიერ საკუთარი FTTx ქსელებით.

6.4 გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრა

ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების ბაზრისთვის საკანონმდებლო და მარეგულირებელი პირობები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთნაირია.

მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ სერვისებზე წვდომის საცალო ბაზარი (როგორც აღწერილია თავში 4.4.) თავისი შინაარსით ეროვნულია. აღნიშნული საბითუმო ბაზარაც არის ეროვნული, რადგან ამჟამად არ არსებობს საბითუმო შეთავაზებები, შესაბამისად ბაზრის წილები განიხილება ოპერატორების მიერ თვითმომსახურების ფარგლებში მიწოდებული FTTx საცალო სერვისების ჭრილში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბითუმო ბაზრის წილი იგივეა, რაც საცალო ბაზრის წილები. ეს ეროვნული ბაზარი დიდწილად წარმოდგენილია შპს “მაგთიკომის” საკუთრებაში არსებულ ქსელის ბოლო მონაკვეთზე დაშვების ინფრასტრუქტურით, რადგან მას გააჩნია ბაზრის ყველაზე მაღალი დაფარვის მაჩვენებელი. შპს “მაგთიკომის” დაფარვას მოჰყვება სს „სილქნეტი“, ხოლო ყველა სხვა FTTx ოპერატორს მნიშვნელოვნად დაბალი წილი აქვს. მიჩნეულია, რომ შპს “მაგთიკომისა” და სს “სილქნეტის” FTTx დაშვების ქსელების მნიშვნელოვანი

⁵² <https://www.cablelabs.com/technologies/docsis-4-0-technology>

⁵³ <https://opennet.ge/eng/static/9/oufen-neti>

ხელმისაწვდომი ალტერნატივები ეროვნულ დონეზე არ არსებობს. შპს “მაგთიკომისა” და სს “სილქნეტის” ადგილობრივი დაშვების ქსელებით დაფარული ტერიტორია ეროვნულია, მაგრამ საქართველოს ყველა დასახლებას არ მოიცავს. ყველაზე მჭიდროდ დასახლებული არეალები ისეა დაფარული, რომ საქართველოში შინამეურნეობების 85%-ს აქვს წვდომა FTTx ქსელებზე (იხ. თავი 3.1.1.2).

ამჟამად, ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების ბაზარზე FTTx ქსელებზე დაფუძნებული საბითუმო შეთავაზებები არ არსებობს, რაც ნიშნავს, რომ ყველა ოპერატორი ბაზარს სთავაზობს მომსახურებას საკუთარი ინფრასტრუქტურის გამოყენებით. კონკურენტული პირობები შესაბამისი ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების ბაზარზე საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში შეუძლებელია შეფასდეს, რადგან საქართველოში არ არსებობს საბითუმო დაშვებაზე დაფუძნებული კონკურენცია. ასევე არ არის ხელმისაწვდომი საბითუმო დაშვება ადგილობრივი დაშვების ქსელის დონეზე. ამ ტიპის საბითუმო დაშვების სერვისების არ არსებობას (გარდა თვითმომსახურებისა) მივყავართ დასკვნამდე, რომ ამ ბაზრისთვის არ არსებობს განსხვავება კონკურენტული პირობების თვალსაზრისით სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში.

3.1 თავის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში არსებობს FTTx ინფრასტრუქტურის განვითარების განსხვავებული მოცემულობა.

ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კონკურენციაზე სხვადასხვა დასახლებებში, შემდეგია:

- FTTx პროვაიდერების განსხვავებული რაოდენობა თითოეულ დასახლებაში;
- სხვადასხვა ოპერატორის ბაზრის წილი (იმის გათვალისწინებით, რომ თვითმომსახურება წარმოადგენს ამ შესაბამისი ბაზრის ნაწილს) თითოეულ დასახლებაში;
- ბაზრის სხვადასხვა მოთამაშის FTTx ქსელებს შორის განსხვავებები დაფარვის თვალსაზრისით თითოეულ დასახლებაში:
 - დომინანტი ოპერატორ(ებ)ის დაფარვა კონკრეტულ დასახლებაში;
 - ამ დასახლებაში სხვა ოპერატორების ცალკეული (ან ერთობლივი) დაფარვა.
- ქსელების გადაფარვა სხვადასხვა FTTx ქსელების მხრიდან თითოეულ დასახლებაში.

სხვადასხვა დასახლებებში ინფრასტრუქტურული კონკურენციის განსხვავებული მდგომარეობის მტკიცებულება არსებობს, თუმცა აღნიშნული არ არის საკმარისი სხვადასხვა გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრისათვის. განსხვავებული კონკურენტული პირობები შეიძლება საკმარის საფუძველს გვაძლევდეს მარეგულირებელი ვალდებულებების სეგმენტაციისთვის სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალზე. ეს ფაქტი მხედველობაში მიიღება ბაზრის ანალიზის შემდგომ ეტაპებზე, იმ შემთხვევაში, თუ განისაზღვრება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორ(ებ)ი.

აქედან გამომდინარე, ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარი გეოგრაფიული მასშტაბით განისაზღვრება, როგორც ეროვნული ბაზარი. აღნიშნულის მიზეზები შემდეგია:

- ორი უმსხვილესი ოპერატორი ოპერირებს ეროვნულ დონეზე;
- საქართველოს მასშტაბით განსხვავებული კონკურენტული პირობების მტკიცებულებების ნაკლებობაა, ძირითადად შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე:
 - საბითუმო შეთავაზებების არარსებობა;
 - დაშვებაზე დაფუძნებული (საბითუმო) კონკურენციის არარსებობა;
 - ღია დაშვების ქსელების არარსებობა დაშვების ქსელის დონეზე;
 - საცალო ბაზარი არის ეროვნული.

აქედან გამომდინარეობს, დასკვნა, რომ ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო გეოგრაფიული ბაზარი არის ეროვნული.

7. საფეხური 4 - სამი კრიტერიუმის ტესტი

ა) პირველი კრიტერიუმი - შესვლის მაღალი და არაგარდამავალი ბარიერების არსებობა

პროცედურების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ბაზრის შესაბამისი სეგმენტი განისაზღვრება პოტენციურად წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებად ბაზრის შესაბამის სეგმენტად შემდეგი სამი კრიტერიუმის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში:

ა) სახეზეა ბაზარზე შესვლის მაღალი და არაგარდამავალი სტრუქტურული, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ბარიერები;

ბ) სახეზეა ბაზრის სტრუქტურა, რომელიც დროის შესაბამის ჰორიზონტში არ არის ეფექტიანი კონკურენციისკენ მიდრეკილი, ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებული და სხვა სახის კონკურენტული გარემოებების გათვალისწინებით;

გ) კონკურენციის სამართალი არ არის საკმარისი ბაზრის იდენტიფიცირებული ჩავარდნების აღმოსაფხვრელად.

შესვლის სტრუქტურული ბარიერები

შესვლის ბარიერები, როგორც წესი, თავს იჩენს იქ, სადაც განვითარებულია რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურა, რომლის მოწყობა დაკავშირებულია მაღალ დანახარჯებთან. ბაზარზე შესვლის ბარიერები ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს არაეფექტური პროცედურების არსებობასთან, მაგალითად, სხვადასხვა სამშენებლო ნებართვების მოპოვებისას.

რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურის კონტროლი არადაბრუნებადი ხარჯების ჩათვლით

როგორც ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე საქართველოშიც შესაბამისი ბაზარი ხასიათდება მხოლოდ ერთი ინფრასტრუქტურის არსებობით (შპს “მაგთიკომისა”), რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა საბითუმო ადგილობრივი ან ცენტრალური დაშვების შეთავაზება მოსახლეობის უმეტესობის დასაფარად. ზოგიერთმა FTTx ოპერატორმა განავითარა თავისი ქსელები, თუმცა ადგილობრივ ან რეგიონულ და არა ეროვნულ დონეზე.

საკუთარი ადგილობრივი დაშვების ქსელის აშენება საქართველოს უმეტეს დასახლებებში მოითხოვს დიდ ინვესტიციებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (რომელიც დაკავშირებულია დიდი მოცულობის არადაბრუნებად ხარჯებთან). ეს ქმნის ბაზარზე შესვლის მაღალ ბარიერს ნებისმიერი ოპერატორისთვის, რომელიც შედის ფიქსირებული ფართოზოლოვანი დაშვების ბაზარზე ან ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარზე. აღნიშნული ახდენს მაღალი და არაგარდამავალი შესვლის ბარიერების ფორმირებას ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზრისთვის.

ასევე დაბალია აბონენტების მოზიდვის შესაძლებლობა იმ ადგილებში, სადაც კონკურენტები უკვე არიან წარმოდგენილნი. ასე რომ, როგორც წესი, უფრო მეტი დრო დასჭირდება ახალ მონაწილეს ამოიღოს ინვესტიცია, რაც გავლენას მოახდენს მის საინვესტიციო გადაწყვეტილებაზე.

ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში (მომდევნო სამი წელი) რომელიმე ოპერატორმა შეძლოს საკუთარი FTTx ქსელის

ამენება შინამეურნეობებისა და დასახლებების მნიშვნელოვანი დაფარვით და ამ გზით მოახდინოს ეფექტიანი კონკურენტული ზეწოლა არსებულ ოპერატორებზე, რომელთაც აქვთ ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო სერვისების შეთავაზების შესაძლებლობა.

ამიტომ ბაზარი ხასიათდება შესვლის მაღალი და არაგარდამავალი ბარიერებით დასახლებებისა და შინამეურნეობების არსებული დაფარვის მისაღწევად საჭირო დიდი ზომის ქსელის ასაშენებლად საჭირო მაღალი ინვესტიციების გამო.

მასშტაბის ეკონომია და მრავალფეროვნების ეკონომია

მასშტაბის ეკონომია არსებობს სატელეკომუნიკაციო ქსელებში, როდესაც ქსელის ზომისა და სიმძლავრის ზრდა იწვევს ერთეულის ხარჯების შემცირებას. ქსელის ოპერატორის მასშტაბის ეკონომია ძირითადად გვხვდება დაშვების ქსელში. მასშტაბის ეკონომია აძლიერებს ბაზარზე დამკვიდრებული ოპერატორების საბაზრო ძალას და შესაბამისად, შესაძლოა წარმოადგენდეს შესვლის ბარიერს ბაზარზე ახალი შემსვლელი ქსელის ოპერატორებისთვის. ამგვარად, მასშტაბის ეკონომია ხელს უწყობს ახალ და დამკვიდრებულ პროვაიდერებს შორის ასიმეტრიული პირობების ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ ასუსტებს ახალი ოპერატორის პოტენციურ კონკურენტუნარიანობას.

სატელეკომუნიკაციო სექტორში მრავალფეროვნების ეკონომიას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ერთეულის საშუალო ღირებულება მცირდება, როცა ერთზე მეტი სატელეკომუნიკაციო სერვისის მიწოდება ხორციელდება საერთო ქსელის გამოყენებით. ამის მაგალითს შეიძლება წარმოადგენდეს გაზიარებული ინფრასტრუქტურა. გასათვალისწინებელია, რომ შპს „მაგთიკომი“ და სს „სილქნეტი“, როგორც ორი FTTx პროვაიდერი, რომლებსაც აქვთ ყველაზე დიდი დაფარვა და ბაზრის წილები მაღალი სიჩქარის საცალო ბაზარზე, ასევე არიან როგორც ფიქსირებული, ასევე მობილური მომსახურების მიმწოდებლები და ვერტიკალურად ინტეგრირებული ოპერატორები. ალბათობა იმისა, რომ ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების ახალი პროვაიდერი შეძლებს ისარგებლოს მრავალფეროვნების ეკონომიით, ძალიან დაბალია.

ფინანსურ რესურსებზე წვდომა

ფინანსურ რესურსებზე წვდომას დიდი მნიშვნელობა აქვს ოპერატორისთვის, რომელსაც სურს შევიდეს ნებისმიერ ბაზარზე, მითუმეტეს თუ ის მოითხოვს დიდ საწყის ინვესტიციებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, მაღალ კაპიტალურ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული არსებული ქსელის ეროვნული ალტერნატივის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საბითუმო ადგილობრივ და ცენტრალურ დაშვებას საქართველოში.

საქართველოში ფინანსური დაკრედიტების ადგილობრივ ბაზრებს, როგორც წესი, აქვს უფრო მაღალი კომერციული დაკრედიტების განაკვეთები, ვიდრე ევროკავშირში, ამიტომ ითვლება, რომ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი ბარიერია ახალი ინვესტიციებისთვის საქართველოში. 2018 წლის ბანკების დაკრედიტების კვლევის მიხედვით⁵⁴ რომელიც მოიცავს ყველა ბიზნეს სექტორს, საქართველოში შესამჩნევია სესხების უარყოფისა და კრედიტით შეზღუდული კომპანიების დიდი რაოდენობა. სასესხო დაფინანსების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა განსაკუთრებით შესამჩნევია მცირე კომპანიებისთვის, რომლის ერთ-ერთი მიზეზი საბანკო უზრუნველყოფის წარმოდგენის პრობლემაა. საქართველოში კაპიტალის ალტერნატიული ბაზრებით დაფინანსება ჯერ არ არის განვითარებული. ნებისმიერ ადგილობრივ დაფინანსებას, როგორც წესი, უფრო მაღალი კომერციული დაკრედიტების განაკვეთები ექნება, ვიდრე

⁵⁴ https://www.eib.org/attachments/efs/smes_and_private_sector_financing_in_georgia_en.pdf

ევროკავშირში, ამიტომ ითვლება, რომ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი ბარიერია საქართველოში ახალი ინვესტიციებისთვის.

სამართლებრივი, ადმინისტრაციული ან მარეგულირებელი ბარიერები

საქართველოში არ არსებობს სამართლებრივი, ადმინისტრაციული ან მარეგულირებელი ბარიერები საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ბაზრებზე შესვლისთვის. არ არსებობს დაბრკოლებები ახალი მოთამაშისთვის ამ შესაბამის ბაზარზე შესვლის ნებართვის მისაღებად.

დასკვნა შესვლის სტრუქტურულ, სამართლებრივ, ადმინისტრაციულ ან მარეგულირებელ ბარიერებთან დაკავშირებით

საქართველოში საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ბაზრის სეგმენტზე შესვლის მნიშვნელოვანი და არაგარდამავალი ბარიერებია:

- არსებული ინფრასტრუქტურის კონტროლი მაღალი არადაბრუნებადი ხარჯების ჩათვლით;
- მოცულობისა და მასშტაბის ეკონომია;
- ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა.

არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი იურიდიული, ადმინისტრაციული ან მარეგულირებელი ბარიერი საქართველოში საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ბაზრებზე შესვლისთვის.

დასკვნა - პირველი კრიტერიუმი

ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების ბაზრებს ახასიათებს შესვლის მაღალი და არაგარდამავალი სტრუქტურული ბარიერები ქსელის ძალიან დიდი ზომისა და შესაბამისად, მის მოსაწყობად დიდი ინვესტიციების საჭიროების გამო. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი სამართლებრივი, ადმინისტრაციული ან მარეგულირებელი ბარიერები ამ ბაზრებზე შესვლისთვის, შესვლის სტრუქტურული ბარიერები მაღალი და არაგარდამავალია.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირველი კრიტერიუმი - მაღალი და არაგარდამავალი ბარიერების არსებობა შესრულებულია.

ბ) მეორე კრიტერიუმი - ბაზარი არ არის მიდრეკილი ეფექტიანი კონკურენციისკენ

მეორე კრიტერიუმის მიხედვით შეფასება მოითხოვს არსებული და მოსალოდნელი საბაზრო პირობების ფართო ანალიზს მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში.

ქვემოთ განვიხილავთ საბითუმო ბაზრის შემდეგ ასპექტებს ადგილობრივი და ცენტრალური დაშვებისთვის:

- ბაზრის სტრუქტურა
- ბაზრის დინამიკა
- ხელშეკრულების პირობები საბითუმო დონეზე


ბაზრის სტრუქტურა

ბაზრის სტრუქტურის ანალიზი უნდა მოიცავდეს ყველა პროდუქტსა და მომსახურებას, რომელიც შედის განსაზღვრულ შესაბამისი ბაზრის სეგმენტში (იხ. თავი 3.2). საქართველოში არ არსებობს FTTx-ზე დაფუძნებული ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების

საბითუმო პროდუქტების რეგულაცია. ასევე არ არის ცნობილი კომერციული ხელშეკრულებების არსებობის შესახებ ოპერატორებს შორის. ამიტომ, სერვისები, რომლებიც ქმნიან ბაზრის სტრუქტურას, დაკავშირებულია მხოლოდ თვითმომსახურებასთან FTTx ოპერატორების ქსელებში. მიჩნეულია, რომ ბაზრის სტრუქტურა მიჰყვება მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის სტრუქტურას.

ბაზარზე მსხვილი ოპერატორები არიან შპს „მაგთიკომი“, სს „სილქნეტი“, შპს „ახალი ქსელები“ და შპს „სქაიტელი“. ისინი ფლობენ FTTx ქსელებს საქართველოს დასახლებების სხვადასხვა დონის დაფარვით. შინამეურნეობების დაფარვის მხრივ ბაზრის ლიდერია შპს „მაგთიკომი“, მას მოჰყვება სს „სილქნეტი“, რომელსაც აქვს ბაზრის უფრო მცირე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი დაფარვა. შპს „ახალი ქსელები“ და შპს „სქაიტელი“ ფარავენ შინამეურნეობების შედარებით მცირე რაოდენობას. (იხ. დიაგრამა 47)

დიაგრამა 47 ბაზრის წილი (აბონენტების მიხედვით) მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტზე (2022)



წყარო: კომუნიკაციების კომისიის სტატისტიკური ანგარიშების ელექტრონული ფორმები

ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზრებისთვის საქართველოში გეოგრაფიული ერთეული დასახლებების დონეზე განისაზღვრა 6.3 თავში. სხვადასხვა FTTx პროვაიდერების ქსელებს შორის გადაფარვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თითოეულ დასახლებაში კონკურენციის ეფექტიანობაზე. გადაფარვის დონე, დასახლებების მიხედვით, მნიშვნელოვნად განსხვავდება (იხ. თავი 3.1). ყველა დასახლებას, სადაც 40,000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, ჰყავს FTTx ქსელების მინიმუმ სამი პროვაიდერი. ამ დასახლებებში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ფაქტობრივი სიმკვრივე შინამეურნეობებში არის 90% ან მეტი. საქართველოს შინამეურნეობების 40% დაფარულია 2 ან ნაკლები ქსელით, მათ შორისაა იმ შინამეურნეობების 15%, რომლებიც საერთოდ არ არის დაფარული FTTx ქსელებით.

ბაზრის მოთამაშეები მეტ ყურადღებას ამახვილებენ საქართველოს ურბანულ რაიონებზე, განსაკუთრებით დიდ ქალაქებზე, სადაც შესაბამისად, ქსელების მაღალ დაფარვას აქვს ადგილი. დიდი ქალაქების გარეთ, კონკურენტი ოპერატორების ქსელების გადაფარვა, ნაკლებად შეინიშნება.

ვინაიდან საქართველოში ამჟამად არ არსებობს ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარი (გარდა თვითმომსახურებისა), არ არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ რომ მომავალში ბაზრის სტრუქტურა ეფექტიანი კონკურენციისკენ იქნება მიდრეკილი.

მომავალში ქსელის ინფრასტრუქტურაში დამატებითი ინვესტიციები სავარაუდოდ FTTx ქსელებში განხორციელდება. ამიტომ მოსალოდნელია, რომ FTTx ქსელების დაფარვა გაიზრდება ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში. უფრო მსხვილი ოპერატორები (შპს „მაგთიკომი“ და სს „სილქნეტი“) შედარებით ძლიერი საბაზრო პოზიციით იქნებიან წარმოდგენილი თავიანთი დაფარვისა და ბაზრის წილის გაზრდის თვალსაზრისით, ისარგებლებენ რა მათი მასშტაბის და მრავალფეროვნების უფრო მაღალი ეკონომიით, ისევე როგორც არსებული ვერტიკალური ინტეგრაციით.


სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო პროდუქტების წინასწარი რეგულირების გარეშე, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ძირითადი ოპერატორების ბაზრის წილები და მათი დაფარვა საქართველოში მომდევნო სამი წლის განმავლობაში, კონკურენტული ზეწოლის წინაშე დადგება.

ბაზრის დინამიკა

ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების ბაზარზე კომერციული შეთავაზებების არარსებობის პირობებში, ბაზრის დინამიკა, როგორც მოსალოდნელია, მიჰყვება იმავე ტენდენციას, რომელსაც მიჰყვება მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტი.

ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საბოლოო მომხმარებლების რაოდენობა FTTx ქსელებზე ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სტაბილურად იზრდება.


დიაგრამა 48 FTTx აბონენტების რაოდენობა (ათასი, 2019-2022 წწ.)



წყარო: კომუნიკაციების კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონული ფორმები

კონკურენციის ეფექტიანობის კუთხით მე-2 კრიტერიუმის შესაფასებლად საჭიროა გავიგოთ ძირითადი ოპერატორების ბაზრის წილების დინამიკა და განვითარება გარკვეული პერიოდის განმავლობაში და შევაფასოთ, გაგრძელდება თუ არა ტენდენცია ამ ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში.

დიაგრამა 49 ბაზრის წილი (აბონენტების მიხედვით) მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე



წყარო: კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონული ფორმები

2018 წლამდე პერიოდში ბაზრის კონიუქტურის ძირითადი ცვლილება მოხდა შპს “მაგთიკომის” მიერ კავკასუს ონლაინის საცალო სეგმენტისა და დელტა-ნეტის⁵⁵ შექმნით. 2018 წლიდან ბაზრის წილი შედარებით სტაბილური დარჩა. ეს მიუთითებს კონკურენტული ბაზრისთვის დამახასიათებელი დინამიკის ნაკლებობაზე, რადგან ოპერატორების ფარდობითი საბაზრო წილების ცვლილება, როგორც წესი, მიუთითებს ოპერატორებს შორის კონკურენტული ზეწოლის არსებობაზე.


მცირე ოპერატორებმაც გარკვეულწილად გაზარდეს საკუთარი ქსელები (მაგალითად, ახალი ქსელები და შპს “სქაიტელი“), მაგრამ მათ ვერ ვერ შეძლეს გაეზარდათ ბაზრის წილი მნიშვნელოვნად ბოლო 6 წლის განმავლობაში. ამჟამად საქართველოში ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარი არ ექვემდებარება წინასწარ რეგულირებას და საცალო ბაზარზე არსებული ტენდენციები მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული ბაზრის წინასწარი რეგულირების გარეშე, მსგავსი არადინამიური ტენდენცია კვლავ შენარჩუნდება.

შპს “მაგთიკომის”, როგორც ბაზრის ლიდერის პოზიცია ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე (და შესაბამისად, ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების მომსახურების საბითუმო ბაზარზე) ილუსტრირებულია 47-ე დიაგრამაზე. ორი ძირითადი ოპერატორის შემოსავლების ზრდის ტენდენცია, აბონენტების მიხედვით მათი საბაზრო წილების ტენდენციის მსგავსია (დიაგრამა 51) და აჩვენებს კონკურენციის შედარებით არადინამიურ განვითარებას.


⁵⁵<https://www.magticom.ge/en/aboutcompany#:~:text=On%20November%2021%2C%202016%20MagtiCom,the%20100%25%20share%20of%20Deltacom.&text=Fiber%2Doptic%20Internet%2C%20Internet%20Television,fixed%20telephony%20and%20hosting%20services.>

დიაგრამა 50 მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტები 2018-2022

მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტები 2018-2022



დიაგრამა 51 ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისის მიმწოდებელი ოპერატორების შემოსავლები



წყარო: კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონული ფორმები

ბაზრის წილებსა და შემოსავლებზე დიდ გავლენას ახდენს ბაზრის ორი წამყვანი მოთამაშის შპს „მაგთიკომისა“ და სს „სილქნეტის“ შედარებით ძლიერი პოზიციები. ამ ოპერატორებს გააჩნიათ FTTx ქსელების ყველაზე დიდი დაფარვა და სარგებლობენ მასშტაბისა და მრავალფეროვნების უფრო მაღალი ეკონომიით (იხ. თავი 7 „ა“ ქვეპუნქტი).

5.2 თავში აღინიშნა, რომ ორი უმსხვილესი მოთამაშის (შპს „მაგთიკომისა“ და სს „სილქნეტის“) საცალო ფასები გაიზარდა ერთმანეთის მიყოლებით, საკმაოდ ახლო პერიოდებში. მხოლოდ ეს პარალელიზმი არ მიუთითებს ამ ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის არარსებობაზე, თუმცა შეიძლება მიუთითებდეს ფასისმიერი კონკურენციის არარსებობაზე. 2022 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში სს „სილქნეტმა“ გაზარდა ფასების დიაპაზონი საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი შეთავაზებებისთვის (მაგალითად, 17%-ით გაიზარდა მისი ინტერნეტ სერვისის პაკეტის "სტარტი"-

ის ფასი თბილისში, ხოლო 13%-ით საქართველოს სხვა რეგიონებში). აღნიშნულს მოჰყვა სექტემბრის დასაწყისში შპს „მაგთიკომის“ მიერ ინტერნეტ პაკეტზე ფასის ზრდა თბილისში 23%-ით და სხვა რეგიონებში 14%-ით. ამავე პერიოდში, შპს „მაგთიკომმა“ სს „სილქნეტი“ პარალელურად გაზარდა ინტერნეტისა და ტელევიზიის კომბინირებული შეთავაზების პაკეტის ფასები (სს „სილქნეტმა“ 13%-ით თბილისში და 10%-ით რეგიონებში და შპს „მაგთიკომმა“ 14%-ით თბილისში და 15%-დან 17%-მდე რეგიონებში). შპს „მაგთიკომმა“, როგორც ოპერატორმა, რომელსაც აქვს ყველაზე დიდი საბაზრო წილი ქვეყნის მასშტაბით, ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის საცალო ბაზარზე, გამოიყენა შესაძლებლობა გაზარდოს თავისი შემოსავლები სიდიდით მეორე ოპერატორის მიერ ფასების ზრდის პირობებში. ფასის უფრო მაღალი ელასტიურობის პირობებში, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ოპერატორი შეინარჩუნებდა არსებულ საფასო პოზიციას კონკურენტთან შედარებით, რათა გამოიყენებინა შესაძლებლობა გაეზარდა თავისი ბაზრის წილი კონკურენტის უფრო მაღალი ფასის ხარჯზე, შესაბამისად ფასების სუსტმა ელასტიურობამ შეიძლება ხელი შეუწყოს ფასების უსიტყვო კოორდინაციას.

ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარზე მომსახურების მიწოდება შეიძლება განახორციელოს ინფრასტრუქტურის მფლობელმა ნებისმიერმა ოპერატორმა. საქართველოს შემთხვევაში, ბაზარზე საერთოდ არ არის შემოთავაზებული ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო მომსახურებები, რაც არ აძლევს შესაძლებლობას მცირე ოპერატორებს გამოიყენონ ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო სერვისი, როგორც ფიქსირებულ ფართოზოლოვან მომსახურებებზე წვდომის საცალო ბაზარზე კონკურენციის გაზრდის ეფექტური საშუალება.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების პროდუქტების საბითუმო რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, შპს „მაგთიკომი“ დარჩება ერთადერთ მნიშვნელოვანი დაფარვის მქონე ოპერატორად საქართველოში, რომელიც გავლენას მოახდენს ქსელების განვითარებაზე ძირითადი ქალაქების გარეთ, სადაც უმეტეს შემთხვევაში არ არსებობს კონკურენტი FTTx ქსელები ფართო მასშტაბით. ეს გავლენას მოახდენს კონკურენციაზე მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე.

ხელშეკრულების პირობები საბითუმო დონეზე

საქართველოში FTTx-ზე დაფუძნებული ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო მომსახურება არ რეგულირდება და ასევე ამ ბაზარზე არ არსებობს ოპერატორებს შორის დადებული კომერციული ხელშეკრულებები.

იმისათვის, რომ ახალ ან არსებულ FTTx ოპერატორებს ჰქონდეთ ინვესტირების უკეთესი არჩევანი ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე მათი კონკურენტული პოზიციის გაზრდის მიზნით, მათ დასჭირდებათ ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების მომსახურების გამოყენება. ცხადია, ამჟამად ბაზრის არსებული წამყვანი მოთამაშეები (შპს „მაგთიკომი“ და სს „სილქნეტი“) არ იჩენენ ინტერესს კონკურენტებისთვის ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების სერვისების შეთავაზების კუთხით. თუკი მათი მხრიდან მოხდებოდა საბითუმო დაშვების ამ ფორმით შეთავაზება, ისინი დადგებოდნენ უფრო დიდი კონკურენტულ ზეწოლის წინაშე საცალო ბაზარზე, რაც განპირობებული იქნებოდა გაზრდილი არჩევანით, უფრო დიდ გეოგრაფიულ არეალში საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზარზე. შედეგად, ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების შეთავაზებების არ არსებობა მავნე გავლენას ახდენს ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე. მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში, არსებული ვითარება ხელს უშლის საქართველოში კონკურენტი FTTx ქსელების განვითარებას და გეოგრაფიულ გაფართოებას.

საქართველოში რჩება დასახლებების დიდი რაოდენობა კონკურენტი FTTx ქსელების გარეშე. ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების მომსახურების არარსებობისა და არსებული FTTx ოპერატორების ამკარა თავშეკავების გამო კომერციული საბითუმო ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებით, მოსალოდნელია, რომ კონკურენტი FTTx ქსელების დაფარვა დასახლების დონეზე შეზღუდული დარჩება. ამან შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს FTTx ქსელების განვითარებაზე უახლოეს მომავალში, ისევე როგორც კონკურენციის განვითარებაზე საცალო ბაზრებზე, რადგან ოპერატორებს, რომლებსაც არ აქვთ წვდომა შინამეურნეობების დიდ რაოდენობაზე, არ შეუძლიათ იყონ კონკურენტული. მათ შეუძლიათ საბითუმო დაშვება გამოიყენონ როგორც გარდამავალი ეტაპი მოაწყონ საკუთარი FTTx ქსელები იმ დასახლებებში, სადაც არ არიან წარმოდგენილი.

დასკვნა - მეორე კრიტერიუმი

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარი არ არის მიდრეკილი ეფექტიანი კონკურენციისკენ, რადგან:

- არ არსებობს კომერციული შეთანხმებები ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების სერვისებისთვის და გრძელდება წამყვანი FTTx ოპერატორების შეზღუდვა დაშვებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების დადებაზე;
- ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზრები ამჟამად შედგება მხოლოდ თვითმომსახურებისგან თითოეული FTTx ქსელის ფარგლებში;
- ბაზრის დინამიკის დაბალი განვითარება ასახავს არსებულ მდგომარეობას ფიქსირებულ ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე, რომელიც ასევე არ არის მიდრეკილი ეფექტიანი კონკურენციისკენ (იხ. თავი 5.2).
- წინასწარი რეგულირების არარსებობის პირობებში, მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივის გათვალისწინებით, უმსხვილესმა FTTx ოპერატორებმა შეიძლება გამოიყენონ საბაზრო ძალაუფლება ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების სერვისების მიწოდებაზე უარის თქმის გზით, რითიც შეზღუდავენ კონკურენციას საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის ახალი საცალო შეთავაზებების და გეოგრაფიული გაფართოების თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარი არ არის მიდრეკილი ეფექტიანი კონკურენციისკენ, ამიტომ მეორე კრიტერიუმი შესრულებულია.

გ) მესამე კრიტერიუმი - მხოლოდ „კონკურენციის შესახებ“ კანონი არასაკმარისია ბაზარზე გამოვლენილი არაეფექტიანობების ადეკვატურად აღმოსაფხვრელად.

პროცედურების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მესამე კრიტერიუმი მიზნად ისახავს ბაზარზე კონკურენციის შემაფერხებელი არაგარდამავალი ფაქტორების აღმოსაფხვრელად ზოგადი კონკურენციის სამართლის საკმარისობის შეფასებას, იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენციის წინასწარი რეგულირების ფარგლებში დადგენილმა სპეციფიკურმა ვალდებულებებმა შეიძლება ეფექტიანად აღკვეთოს კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებები. შესაძლოა, ზოგადი კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერვენციები არ იყოს საკმარისი, თუ ბაზარზე არსებული კონკურენციის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად ხშირი ან/და დროული ჩარევაა აუცილებელი. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში კონკურენციის წინასწარი რეგულირება უნდა იქნეს განხილული ზოგადი კონკურენციის კანონმდებლობის ქმედით შემავსებლად. ბაზრის შესაბამის სეგმენტზე, რომელიც

ხასიათდება ეფექტიანი და მდგრადი, ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებული კონკურენციით, ზოგადი კონკურენციის სამართლით გათვალისწინებული მიდგომების გამოყენება საკმარისი იქნება.

შესაბამისად, უნდა შეფასდეს ზოგადი კონკურენციის კანონმდებლობის საკმარისობა ეროვნული დაფარვის მქონე ფიზიკური ინფრასტრუქტურის მფლობელების შესაძლო ანტიკონკურენტული ქცევის აღმოსაფხვრელად. ასევე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიწნებისთვის გამოყენებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. დომინანტური მდგომარეობის მქონე პირის მიერ დაშვებაზე უარის თქმა, შესაძლოა, ცალკეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, შეფასდეს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად და დაექვემდებაროს სანქცირებას, რასთან დაკავშირებითაც კომისია იწყებს საქმის მოკვლევას საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მარეგულირებელი წესის“ მე-15 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კომისია იწყებს საქმის მოკვლევას და არაუგვიანეს 6 თვისა იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. საქმის მოკვლევა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გაგრძელდეს 18 თვემდე.

ამასთან, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მარეგულირებელი წესის“ მე-16 მუხლის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორისთვის გარკვეული ქმედების დროებით, კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე, თუ არსებობს აშკარა მტკიცებულება, რომ ეს ქმედება მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას დომინანტური მდგომარეობის გამოყენებისა და კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულების, გადაწყვეტილების და შეთანხმებული ქმედების გამო. თუმცა, ამისთვის საჭიროა არამარტო დომინანტური პოზიციის წინასწარი გამოვლენა, არამედ დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების დადგენა, რის დასადასტურებლად უნდა გამოვლინდეს არაგონივრული პირობები, რომელიც დაადასტურებს გარიგებაზე უარის თქმის განზრახვას.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ საბითუმო დაშვებაზე მოლაპარაკება წარმატებული იქნება დაშვების ერთ მაძიებელთან, შეთანხმებული პირობები, შესაძლოა, არ იყოს შესაფერისი სხვა დაშვების მაძიებლებისთვის. შესაბამისად, კონკურენციის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად, აუცილებელი იქნება კომისიის ხშირი ჩარევა. ასეთი მიდგომა არა მხოლოდ კომისიისთვის იქნება შრომატევადი, არამედ პოტენციური ინვესტორებისთვისაც ვერ იქნება სამართლებრივი განჭვრეტადობის გარანტი.

კონკურენციის წინასწარი რეგულირებისაგან განსხვავებით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის უფლებამოსილების ფარგლებში, კომისიას არ შეუძლია ეფექტურად გაუმკლავდეს საბაზრო ძალაუფლების ოპერატორის მხრიდან დაყენებულ შესაძლო ტექნიკურ დაბრკოლებებს და მოსთხოვოს დომინანტურ ოპერატორ(ებ)ს კონკრეტული ტექნიკური პარამეტრების გამოყენება ან კონკრეტული დაშვების წერტილებისა და ინტერფეისების განსაზღვრა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას. ამრიგად, ზოგადი კონკურენციის კანონმდებლობა და მის ფარგლებში არსებული კომისიის უფლებამოსილებები საკმარისი ვერ იქნება ბაზარზე კონკურენციის შემაფერხებელი არაგარდამავალი ფაქტორების აღმოსაფხვრელად

„სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიწნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3

პუნქტის თანახმად, ინფრასტრუქტურის ოპერატორი ვალდებულია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების განსათავსებლად საკუთარ ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვების თაობაზე ავტორიზებული პირის გონივრული წერილობითი მოთხოვნა დააკმაყოფილოს არადისკრიმინაციული, სამართლიანი და გონივრული პირობებითა და ფასით. ამავე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ინფრასტრუქტურის ოპერატორი ვალდებულია ავტორიზებულ პირთან დადოს ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვების უფლების მინიჭების შესახებ წერილობითი ხელშეკრულება ან წერილობით შეატყობინოს მას აღნიშნულ დაშვებაზე უარის თქმის მიზეზი ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვების თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი წერილობითი მოთხოვნის მიღების დღიდან 2 თვის ვადაში, ხოლო მე-10 პუნქტის თანახმად, ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვებაზე უარის თქმის შემთხვევაში ან კონკრეტულ პირობებსა და დებულებებზე, მათ შორის, დაშვების ფასზე, შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ, დავის გადაწყვეტის მოთხოვნით კომისიას მიმართონ, რომელიც, ამავე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, ვალდებულია, შემდგომი დაგვარად მოკლე ვადაში, მაგრამ სათანადო მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 4 თვისა, მიიღოს გადაწყვეტილება სადავო საკითხზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია უფლებამოსილია განიხილოს დავა ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვებაზე უარის თქმის ან კონკრეტულ პირობებსა და დებულებებზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში. თუმცა, კომისიას დავის განხილვა შეუძლია მხოლოდ მხარეების მომართვის შემთხვევაში, რასაც წინ უნდა უძღვოდეს ავტორიზებულ პირებს შორის მოლაპარაკების წარმართვა ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების უფლების მინიჭების შესახებ წერილობითი ხელშეკრულების დადების მიზნით, ასევე, დაშვებაზე უარის ან კონკრეტულ პირობებსა და დებულებებზე, მათ შორის დაშვების ფასზე, შეუთანხმებლობა, რაც საჭიროებს მეტ დროს და ვერ იქნება მყისიერი გავლენის მომხდენი ბაზარზე არსებული შესვლის ბარიერების აღმოფხვრისა და კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, ვიდრე ex-ante რეგულირება.

ამასთან, ფიზიკური ინფრასტრუქტურის კონკრეტულ ლოკაციაზე დაშვების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად მხოლოდ მოდავე მხარეებისთვის კონკრეტულ ლოკაციაზე, ვერ უზრუნველყოფს როგორც მოდავე მხარის ფიზიკური ინფრასტრუქტურის სხვა ლოკაციაზე, ისე, სხვა ავტორიზებული პირების ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვებაზე უარის თქმის პრევენციას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიწებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს ტექნიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობის პირობების წინასწარ გამოქვეყნებას, როგორც ეს გათვალისწინებულია ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების შეთავაზების წინადადებით (მოწვევის ოფერტი).

დასკვნა - მესამე კრიტერიუმი

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მესამე კრიტერიუმი, რომ მხოლოდ კონკურენციის კანონი არასაკმარისია გამოვლენილი ბაზრის წარუმატებლობის ადეკვატურად აღმოსაფხვრელად. - შესრულებულია.

დასკვნა სამი კრიტერიუმის ტესტის შედეგების შესახებ

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროცედურებით განსაზღვრული სამი კრიტერიუმის ტესტი დაკმაყოფილებულია. ეს ნიშნავს, რომ ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარი მიჩნეულია წინასწარი რეგულირებას პოტენციურად დაქვემდებარებად ბაზრად.

8. საფეხური 5 - მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასება

8.1 მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასების ფაზის საფუძველი და მიზანი

ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების საცალო ბაზრის სეგმენტების პოტენციური კონკურენციის შეფასების საფუძველზე, დადგინდა, რომ მაღალი სიჩქარის საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრის სეგმენტი არ არის საკმარისად კონკურენტუნარიანი (იხ. თავი 5.2).

ასევე დადგინდა, რომ შემდგომი ანალიზისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების აღმოჩენის გათვალისწინებით, საჭირო იქნება მარეგულირებელი ჩარევა საბითუმო დონეზე, რათა აღმოიფხვრას კონკურენციის საცალო დონეზე არსებული არაეფექტიანობები.

შესაბამისად, ამ ბაზრის ანალიზის მიზანია დაადგინოს გააჩნია თუ არა ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე, ოპერატორს (ან რამდენიმე ოპერატორს ერთობლივად) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება (SMP).


ოპერატორს გააჩნია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, როდესაც, ... მისი კონკურენტული პოზიცია საშუალებას აძლევს მას, ცალმხრივად არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზრის ამ სეგმენტზე და შეზღუდოს კონკურენცია⁵⁶ ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს შეუძლია შეზღუდოს კონკურენცია მაღალი სიჩქარის საცალო ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე წვდომის ბაზრის შესაბამის სეგმენტზე.

8.2. ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტი

ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტი არის ერთ-ერთი ოთხი განსაზღვრული საბითუმო ბაზრიდან, რომელიც არსებობს საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრების საბითუმო ნაწილში, როგორც ეს ნაჩვენებია შემდეგ სურათზე.:

სქემა 52 ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების შესაბამისი საცალო და საბითუმო ბაზრები

⁵⁶ საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, მუხლი 2, „3⁶ ქვეპუნქტი



წყარო: კონსულტანტების გუნდი

საბაზისო და მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების საცალო ბაზრის სეგმენტები მე-3 თავში განისაზღვრა, როგორც ორი ცალკეული ბაზარი:

საბაზისო ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის ბაზრის სეგმენტი შედგება:

- საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომა FWA-ს მეშვეობით
- საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომა xDSL-ის საშუალებით
- საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომა მობილური ქსელების გამოყენებით

ბაზრის შესაბამის სეგმენტად შეიძლება ჩაითვალოს, 10 მბ/წმ-მდე სიჩქარის დიაპაზონში, შეთავაზებული მასობრივი პროდუქტი, მიუხედავად იმისა, მითითებული ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისი შეთავაზებულია ცალკე თუ სხვა ელექტრონულ საკომუნიკაციო სერვისებთან ერთად და მიუხედავად წვდომის სიჩქარისა განსაზღვრული სიჩქარის დიაპაზონში.

მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის ბაზრის სეგმენტი, რომელიც ასევე განსაზღვრულია მე-3 თავში, შედგება FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის სერვისისაგან, რომელიც შემოთავაზებულია მასობრივი საბაზრო პროდუქტების სახით 10 მბ/წმ-ზე მეტი სიჩქარის დიაპაზონში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მითითებული ფართოზოლოვანი წვდომის სერვისი შეთავაზებული ცალკე თუ კომბინირებული შეთავაზების სახით სხვა ელექტრონულ საკომუნიკაციო სერვისებთან ერთად და წვდომის სიჩქარის მიუხედავად განსაზღვრული სიჩქარის დიაპაზონში.

ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირის ორი საცალო ბაზრის სეგმენტის გეოგრაფიული ფარგლები განისაზღვრა ეროვნულად (იხ. თავი 4.4).

ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ბაზრის სეგმენტი (იხ. სურათი 52) არის საქართველოში ახლად განსაზღვრული ბაზარი და ამჟამად არ არსებობს არცერთი

ამჟამინდელი ოპერატორი, რომელიც სთავაზობს ბაზარს საბითუმო დაშვებას. არ არსებობს მოქმედი რეგულაციები, რომლებიც ავალდებულებენ ოპერატორებს შესთავაზონ ასეთი დაშვება და რამდენადაც ცნობილია, არც ერთი მოქმედი ოპერატორი არ იყენებს ასეთ სერვისს.

ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტი არის მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების ბაზრის სეგმენტის და ასევე შეიძლება იყოს საბაზისო სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის სერვისების ბაზრის სეგმენტის შესაბამისი.

ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტი განიხილება, როგორც პოტენციურად წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებადი ბაზარი (იხ. თავი თავი 7 „დ“ ქვეპუნქტი). ეს ბაზარი წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის გამოვლენის ანალიზის საგანს.

აბონენტთა სპილენძის წყვილებზე დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტი ექვემდებარება წინასწარ რეგულირებას 2014 წლიდან.⁵⁷ ეს საბითუმო ბაზრის სეგმენტი პირდაპირ გამომდინარეობს საბაზისო ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის საცალო ბაზრიდან. ბაზრის ანალიზის შემდგომ ეტაპზე, კომუნიკაციების კომისიის მიერ გადაიხედება აბონენტთა სპილენძის წყვილებზე დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტის წინასწარი რეგულირება.

დანარჩენი საბითუმო ბაზრის სეგმენტები, რომლებიც ნაჩვენებია 52-ე სურათზე (გლობალურ ინტერნეტზე წვდომის და ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების) ასევე დაქვემდებარებულია წინასწარ რეგულირებას. ეს საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტები ცალკე იქნება განხილული კომუნიკაციების კომისიის მიერ.

8.3 მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების (SMP-ის) შეფასება შესაბამისი კრიტერიუმების გამოყენებით

8.3.1 ბაზრის წილი

ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ანალიზისას, აუცილებელია განისაზღვროს როგორ უნდა განხორციელდეს ბაზრის წილის გაზომვა.

„ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, „მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარებისას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმი არის ავტორიზებული პირის ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა ჯგუფის მიერ ბაზრის ამ სეგმენტზე დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილი. ბაზრის შესაბამისი სეგმენტზე ავტორიზებული პირის მიერ დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილი განისაზღვრება მის მიერ მიღებული შემოსავლების, ბოლო მომხმარებელთა ან აბონენტთა რაოდენობის ან გარკვეულ პერიოდში მიწოდებული მომსახურების ჯამური მოცულობის (ტრაფიკის) წილობრივი მაჩვენებლების, აგრეთვე მის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ქსელის შესაბამისი ელემენტების დატვირთული და თავისუფალი სიმძლავრეების ან ფუნქციონალური რესურსების რეზერვების გათვალისწინებით. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის მახასიათებლების გათვალისწინებით კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ობიექტურობის პრინციპიდან

⁵⁷ კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილება „საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებზე დაშვების საბითუმო ბაზრისა და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებზე დაშვების საბითუმო ბაზრის შესახებ“, შეტანილია ცვლილება კომისიის მიერ 2018 წლის 6 დეკემბრის N672/9 გადაწყვეტილებით.

გამომდინარე, იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზებული პირის მიერ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე დაკავებული წილის გაზომვისა და სათანადო ძირითადი კრიტერიუმის გამოყენების შესახებ“. ამავე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, „მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების დადგენის ძირითადი კრიტერიუმის შესაბამისად ავტორიზებული პირი განისაზღვრება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე უკავია საბაზრო წილის არანაკლებ 40 პროცენტისა.“

რაც უფრო მაღალია ბაზრის წილი და რაც უფრო ხანგრძლივია მისი ფლობის პერიოდი, მით უფრო სავარაუდოა, რომ იგი წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების არსებობის მნიშვნელოვან წინასწარ მინიშნებას. თუმცა, ბაზრის წილის განსაზღვრული ზღვრის გამოყენება არ არის საკმარისი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების დასადგენად.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის დადგენისას და მისთვის სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრებისას ძირითადი კრიტერიუმის გარდა გამოიყენება მეორეული კრიტერიუმები, რომლებიც ობიექტურად განსაზღვრავს ძირითადი კრიტერიუმების შესაბამისად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების მიერ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის შეზღუდვისა და არაკონკურენტული ქმედებების განხორციელების შესაძლებლობებს. მეორეულ კრიტერიუმებს ანალიზური ფაქტორების გათვალისწინებით განსაზღვრავს კომისია“.

მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ანალიზი იწყება ბაზრის განსაზღვრით (იხ. თავი 6). ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტი მოიცავს თვითმომსახურებას საკუთარი ქსელის სიმძლავრით ყოველი ვერტიკალურად ინტეგრირებული FTTx ოპერატორის მიერ.

ევროკავშირში, ვერტიკალურად ინტეგრირებული ოპერატორების ბაზრების შემთხვევაში, რეკომენდებულია საბაზრო ძალაუფლების შეფასება (თეორიულ საბითუმო ბაზარზე) საცალო ბაზრის წილების საფუძველზე („თვითმომსახურების“ კონცეფცია).⁵⁸ ასეთი მიდგომა ასევე გათვალისწინებულია პროცედურების მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით, რომლის თანახმად, „ბაზრის შესაბამისი სეგმენტის განსაზღვრისას კომისიამ მხედველობაში უნდა მიიღოს თვითმომსახურება, მხოლოდ მაშინ, როდესაც აღნიშნული საბითუმო მომსახურების მიუწოდებლობის გამო საბოლოო მომხმარებლებს ადგებათ ზიანი და არსებობს ამ ტიპის საბითუმო მომსახურებებზე სხვა ავტორიზებული პირების მხრიდან პოტენციური მოთხოვნა. ამ შემთხვევაში კომისიამ უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი თვითმომსახურება მომსახურების ბაზრის იმ საბითუმო სეგმენტზე, რომელსაც ვერტიკალურად ინტეგრირებული ავტორიზებული პირი იყენებს საკუთარი საცალო ოპერაციებისთვის. აღნიშნული თვითმომსახურების განსაზღვრისას კომისიამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ავტორიზებული პირის შესაძლო შეზღუდვები კონკურენტების ქსელზე დაშვების, ქსელის დაფარვისა და ბაზარზე შესვლის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.“

ზოგადად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ანალიზის პროცესში ეროვნულ დონეზე (ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტის გეოგრაფიულ ბაზრად განისაზღვრა საქართველო), საცალო ბაზრის წილები და FTTx ქსელის დაფარვა მაღალი კორელაციით ხასიათდება, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. დასახლებების დონეზე პროპორციული წინასწარი მარეგულირებელი ვალდებულებების განსაზღვრასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში კონკრეტულ დასახლებებში რაიმე ანომალიის (ეროვნული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის განსაზღვრის თვალსაზრისით) გამოვლენამ შესაძლოა მარეგულირებლის მხრიდან საკითხის დამატებითი შესწავლის აუცილებლობა განაპირობოს. (იხ. თავი 9). ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და

⁵⁸მარეგულირებლების უმეტესობამ გამოიყენა მსგავსი მიდგომა, გამოიყენა რა თვითმომსახურება როგორც ბაზრის განსაზღვრის, იხე SMP ანალიზის ეტაპზე . [ობოცოვ: IRG Report on self-supply \(europa.eu\)](http://oboc.gov.ge/IRG_Report_on_self-supply_europa.eu)

ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარის სეგმენტზე საბაზრო ძალაუფლების შესაფასებლად აუცილებელია შემდეგი საკითხების შესწავლა:

- (i) მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტზე FTTx ოპერატორების შედარებითი საბაზრო წილები და მათი ევოლუცია დროთა განმავლობაში
- (ii) FTTx ოპერატორების ფარდობითი ქსელის დაფარვა, დაფარული ფართების თვალსაზრისით (Premises Passed).


8.3.1.1 ბაზრის წილი ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრიდან გამომდინარე

53-ე დიაგრამაზე გამოსახული საცალო ბაზრის წილები ეფუძნება მაღალი სიჩქარის (>10 მბ/წმ) FTTx მომსახურების აბონენტების წილებს. ბაზრის წილის აღნიშნული განმარტება ყველაზე აქტუალურად ითვლება, რადგან:

- ა) ის პირდაპირ არის დაკავშირებული საბითუმო დონეზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების მიმწოდებლის ქსელში გამოყენებულ სიმძლავრესთან;
- ბ) ეს სიმძლავრე ამჟამად მთლიანად გამოიყენება თითოეული საცალო ოპერატორის მიერ საკუთარი საცალო FTTx მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების თვითმომსახურებისთვის. ვინაიდან არ არსებობს საბითუმო ბაზარი, აუცილებელია საცალო ბაზრის წილებზე დაყრდნობა, იმის გათვალისწინებით, რომ განსაზღვრული შესაბამისი ბაზარი ასევე მოიცავს თვითმომსახურებას.
- გ) მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის შესაბამისი სეგმენტი შედგება FTTx ტექნოლოგიისგან.

53-ე დიაგრამაზე ასახული ბაზრის წილები უნდა შევადაროთ საქართველოს კანონით განსაზღვრულ (40%) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების გამოვლენის პირველად კრიტერიუმს.


დიაგრამა 53 მაღალი სიჩქარის საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ბაზრის წილები (მომხმარებლები, 2022)



წყარო: კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონული ფორმები

თითოეული ოპერატორის მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების ბაზრის წილი (დიაგრამა 53) მჭიდროდ შეესაბამება ქსელის სიმძლავრეს, რომელიც საჭიროა ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვებისთვის, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიების გამოყენებით. ბოლო 5 წლის განმავლობაში, FTTx ტექნოლოგიის საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების წილი მკვეთრად გაიზარდა, ხოლო სხვა ტექნოლოგიების მოხმარება (ძირითადად FWA და xDSL) შემცირდა (იხ. დიაგრამა 54). ეს მიუთითებს ოპერატორების მიერ FTTx ადგილობრივი დაშვების ქსელებში განხორციელებულ ინვესტიციებზე, საბოლოო მომხმარებლების მხრიდან უფრო მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან მომსახურებაზე მოთხოვნის საპასუხოდ.

დიაგრამა 54 ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების აბონენტების რაოდენობა - ტექნოლოგიების მიხედვით 2018-2022



წყარო: კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონული ფორმები

54-ე დიაგრამაზე ასახული ტენდენციიდან ნათელია, რომ მომავალზე ორიენტირებული პერსპექტივაში, საქართველოში ოპერატორების ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ქსელში ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის წილის ზრდა გაგრძელდება.

შესაბამისად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების საცალო ბაზრის წილი (იხ. დიაგრამა 53).


53-ე დიაგრამაზე ასახული ბაზრის წილი თითოეული ოპერატორისთვის ეფუძნება მათი შესაბამისი მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების მომხმარებლებს FTTx ტექნოლოგიების გამოყენებით.

შპს “მაგთიკომის” 54.6%-იანი ბაზრის წილი აღემატება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრის პირველად კრიტერიუმს (40%). (იხ. თავი 8.3.1).

პროცედურების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარებისას ერთპიროვნული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ პირის განსაზღვრისას, კომისიამ ასევე მხედველობაში უნდა მიიღოს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მოქმედი სხვა ავტორიზებული პირების საბაზრო ხვედრითი წილების შესახებ მონაცემების დინამიკა. აღნიშნული გარემოება, სხვა რელევანტურ კრიტერიუმებთან ერთად, განსაზღვრავს, მიდრეკილია თუ არა ბაზრის შესაბამისი სეგმენტი ეფექტიანი კონკურენციისკენ.

მაშასადამე, შპს „მაგთიკომის“ საბაზრო წილის კლებას შესაძლოა მივეყვანეთ დასკვნამდე, რომ 50%-ზე მეტი ბაზრის წილის მქონე ოპერატორზე არის საკმარისი კონკურენტული ზეწოლა. ბაზრის წილების ტენდენცია ნაჩვენებია 55-ე დიაგრამაზე.

დიაგრამა 55 ბაზრის წილები მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე (ტენდენცია)



ტენდენცია გვიჩვენებს შპს „მაგთიკომის“ ბაზრის წილის თანდათანობით შემცირებას (მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის სეგმენტზე არსებულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით). მიჩნეულია რომ, იგივე პირდაპირი კავშირი არსებობდა საცალო ბაზრის წილსა და საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ბაზრის წილს შორის მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ამ თეორიულ საბითუმო ბაზარზე არ განხორციელებულა მარეგულირებელი ინტერვენციები და ბაზარზე ყველა მოთამაშე იყო ვერტიკალურად ინტეგრირებული მთელი აღნიშნული პერიოდის განმავლობაში. შპს „მაგთიკომის“ ბაზრის წილის კლება (58.9%-დან 54.8%-მდე) ნაწილობრივ დაემთხვა სს „სილქნეტის“ ბაზრის წილის მატებას (30.2%-დან 32.0%-მდე და ნაწილობრივ დანარჩენი ოპერატორების ბაზრის წილების ზრდას (10,9%-დან 13,2%-მდე). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახალი ქსელების ჯგუფის – FTTx ტექნოლოგიის გამოყენებით მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე სიდიდით მესამე პროვაიდერის, საბაზრო წილი 9.4%-დან 6.3%-მდე შემცირდა.

ბაზრის წილის ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა (6.9%-მდე 2022 წელს) გამოწვეულია ბაზარზე სხვა მოთამაშეების გააქტიურებით, განსაკუთრებით შპს „სქაიტელის“, რომელიც ამჟამად მეოთხე უდიდესი FTTx-ის ოპერატორია მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე, 2022 წელს 1.5%-იანი ზრდის მაჩვენებლით.

შპს „მაგთიკომის“ საბაზრო წილების კლება 58.9%-დან 54.8%-მდე ბოლო 5 წლის განმავლობაში არ არის გამოწვეული აბონენტების დაკარგვით, არამედ ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების ჯამური ზრდის მაჩვენებელში წილის შემცირებით. ეს ილუსტრირებულია 56-ე ცხრილში.

ცხრილი 56 მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მომხმარებლების წმინდა წლიური ზრდა (2018-2022)

ოპერატორი	აბონენტების წმინდა ზრდა წლების მიხედვით				
	2018	2019	2020	2021	2022
მაგთიკომი	80,176	64,881	27,650	16,519	22,721

სილქნეტი	26,376	37,461	23,453	13,177	28,970
ახალი ქსელების ჯგუფი	22,941	1,837	-7,277	2,277	2,706
სხვა	3,125	11,678	12,531	12,360	16,342
ჯამი	132,618	115,857	56,357	44,333	70,739

წყარო: კომუნიკაციების კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონული ფორმები

56-ე ცხრილი აჩვენებს, რომ შპს „მაგთიკომის“ წილი მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების წმინდა ზრდის კუთხით შემცირდა 2018 წლის მონაცემებით 61%-დან 2022 წელს 32%-მდე. სს „სილქნეტმა“ გააორმაგა ბაზრის ზრდის წილი 20%-დან 41%-მდე იმავე პერიოდში (აღსანიშნავია, რომ სს „სილქნეტი“ ამ პერიოდში აქტიურად ანაცვლებდა DSL ტექნოლოგიას FTTx ტექნოლოგიით). ახალი ქსელების ჯგუფის დამატებული აბონენტები მთლიანი ბაზრის ზრდის 17%-დან 3%-მდე შემცირდა. ყველა სხვა ოპერატორის წილი მთლიანი აბონენტების წმინდა ზრდის კუთხით 2018 წელს დაფიქსირებული 2.4%-დან 23%-მდე გაიზარდა 2022 წელს. შპს „სქაიტელის“ აბონენტების წმინდა ზრდამ სხვა ოპერატორების აბონენტების ჯამური ნაზრდის 14% შეადგინა.

მიჩნეულია, რომ მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზრის ზრდის მაღალი ტემპი გაგრძელდება, რადგან ფართოვდება FTTx ქსელების დაფარვა და ბევრი არსებული საბაზისო ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტი გადადის მაღალი სიჩქარის მომსახურებაზე.

ნებისმიერ შემთხვევაში, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, ავტორიზებული პირის, როგორც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირის დადგენისთვის და მასზე სპეციფიკური ვალდებულების დაკისრებისთვის, პირველად კრიტერიუმებთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს მეორეული კრიტერიუმები, რომლებიც, პირველადი კრიტერიუმების შესაბამისად, ობიექტურად განსაზღვრავს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების შესაძლებლობებს, შეზღუდონ კონკურენცია და განახორციელონ არაკონკურენტული ქმედებები მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე. შესაბამისად, ბაზრის წილების გარდა სხვა ინდიკატორებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის არსებობის შეფასებისას (იხ. თავები 8.3.2 – 8.3.10).

8.3.2 ოპერატორების აბსოლუტური და შედარებითი ზომა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროცედურების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კომისიამ ასევე მხედველობაში უნდა მიიღოს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მოქმედი სხვა ავტორიზებული პირების ბაზრის ხვედრითი წილების შესახებ მონაცემების დინამიკა. შპს „მაგთიკომი“, 54,8% ბაზრის წილით და მაღალი სიჩქარის ფართოზოლოვანი ქსელის 496,634 აბონენტით 1,7-ჯერ აღემატება მის უახლოეს კონკურენტს, სს „სილქნეტს“, რომელიც 290,408 აბონენტით არის წარმოდგენილი. დანარჩენი 60-ზე მეტი პატარა ოპერატორი სულ 119,859 მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი საცალო ინტერნეტ სერვისების აბონენტს ემსახურება, რაც 4-ჯერ ნაკლებია შპს „მაგთიკომის“ აბონენტების რაოდენობაზე. ამ მნიშვნელოვანი ფარდობითი და აბსოლუტური ზომის განსხვავებების მთავარი მიზეზი არის შპს „მაგთიკომის“ (და ნაკლებად სს „სილქნეტის“) ეროვნული დაფარვის პოტენციალი მცირე მოთამაშეებთან შედარებით, რომლებსაც ძირითადად ლოკალურად მოწყობილი ქსელი აქვთ.

57-ე ცხრილზე დაყრდნობით, შპს „მაგთიკომის“ FTTx ქსელს აქვს მნიშვნელოვნად მაღალი ეროვნული დაფარვა, ვიდრე მის უახლოეს კონკურენტს სს „სილქნეტს“. არცერთ სხვა FTTx ოპერატორს არ გააჩნია მნიშვნელოვანი ეროვნული დაფარვა.

ცხრილი 57 FTTx ქსელების დაფარვა ოპერატორების მიხედვით (ქვეყნის მასშტაბით დაფარული ფართობი 2022 წელი) ⁵⁹

ოპერატორი	FTTx ქსელის დაფარვა (დაფარული ფართობის %, 2022)
მაგთიკომი	88.6%
სილქნეტი	57.2%
ახალი ქსელები	4.9%
სქაიტელი	3.5%
აილინკი	0.7%
სხვები	2.2%

წყარო: შემუშავებულია კვლევის ფარგლებში კომუნიკაციების კომისიის მიერ ოპერატორებისგან გამოთხოვილ მონაცემებზე დაყრდნობით

ნათელია, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებაა შპს “მაგთიკომის” აბსოლუტურ და ფარდობით ზომას შორის (აბონენტთა ბაზისა და ქსელის დაფარვის თვალსაზრისით) სხვა ოპერატორებთან შედარებით (ცალკე თუ ერთობლივად), რომლებიც შეიძლება განვიხილოთ ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარზე.

8.3.3 რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურის კონტროლი

პროცედურების მე-15 მუხლის 3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარებისას ერთპიროვნული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრის მეორეულ კრიტერიუმებად ბაზრის სტრუქტურიდან და კონკურენტული მახასიათებლებიდან გამომდინარე, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს რთულად დუბლირებადი ინფრასტრუქტურა.

ცხრილი 58 საქართველოს FTTx ოპერატორებისგან გამოთხოვილი ეროვნულ დონეზე დაფარვის მონაცემების გამოყენებით (ასევე იხ. თავი 3.1), გვიჩვენებს, რომ FTTx ქსელის დაფარვა (დაფარული ფართობის მიხედვით) მნიშვნელოვნად აღემატება საცალო აბონენტების რაოდენობას. FTTx ქსელის დაფარვა ითვლება ბაზარზე სხვადასხვა ოპერატორებს შორის არსებული საბაზრო ძალაუფლების კარგ ინდიკატორად, ვინაიდან ქსელის დაფარვა სრულად ასახავს თითოეული ოპერატორის შესაძლებლობას, შესთავაზოს ბაზარს საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების სერვისები. ქსელის დაფარვის სიდიდე ასევე მოუთითებს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების მოწყობის მნიშვნელოვან დროსა და დანახარჯზე ადგილობრივი დაშვების ქსელში საბოლოო მომხმარებლების ჩასართავად.

ცხრილი 58 FTTx ქსელის დაფარვა და ფიზიკური პირი აბონენტების რაოდენობა (2022)

ოპერატორი	FTTx ქსელის დაფარვა	მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართობოლოვანი	აბონენტების რაოდენობის წილი
-----------	---------------------	---	-----------------------------

⁵⁹ დაფარვის ეს მაჩვენებლები ეფუძნება ოპერატორების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას 2022 წლის მეოთხე კვარტალში. ოპერატორებმა წარმოადგინეს მონაცემები შინამეურნეობების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომელსაც ფარავს მათი FTTx ქსელებით. FTTx ქსელის დაფარვის შეფასება დაკორექტირდა 2014 წლის აღწერის შემდეგ დაფიქსირებული შინამეურნეობების ზრდის გათვალისწინებით, . (იხილეთ ასევე თავი 3.1)

	(დაფარული ფართები)	ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობა	(დაფარული ფართების %)
მაგთიკომი	1,109,189	479,973	43.3%
სილქნეტი	716,307	275,464	38.4%
ახალი ქსელები	61,251 ¹	66,542	შენიშვნა 1
სქაიტელი	44,093	13,136	29.8%
აილინკი	8,182 ¹	8,186	შენიშვნა 1
სხვები	27,4731	32,364	შენიშვნა 1
ეროვნული დაფარვა (შენიშვნა 2)	1,251,875	875,665	70.0% (შენიშვნა 2)

წყარო: შემუშავებულია კომუნიკაციების კომისიის მიერ ოპერატორებისგან გამოთხოვილ ინფორმაციაზე და კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონულ ფორმებში წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით

შენიშვნა 1: ზუსტი მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი - მხოლოდ მიახლოებითი მონაცემები (estimates)

შენიშვნა 2: ჯამური ციფრი არ არის ინდივიდუალური დაფარვების მონაცემთა არითმეტიკული ჯამი, რადგან ბევრ შემთხვევაში ფარავს ერთზე მეტი ოპერატორი

ცხრილი 58 ნათლად აჩვენებს, რომ შპს “მაგთიკომი” აკონტროლებს FTTx ინფრასტრუქტურას გაცილებით დიდი გეოგრაფიული დაფარვით, საქართველოში სხვა ოპერატორებთან შედარებით. საქართველოს კანონი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიწებისთვის გამოყენებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ, რომელიც ამოქმედდა 2024 წლის 1 ივლისიდან, გააუმჯობესებს საინვესტიციო პოტენციალს. თუმცა, არსებობს განსაკუთრებული მახასიათებლები, რომლითაც ინფრასტრუქტურის გაზიარების კანონით გათვალისწინებულმა ახალმა ვალდებულებებმა უნდა მოახდინონ გავლენა ბაზარზე, აღნიშნული მოიცავს კომერციული შეთანხმებით ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების მომსახურებით სარგებლობას თითოეული შემთხვევის ჭრილში და დავის გადაწყვეტის პროცედურების გამოყენებას ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირობების შეთანხმება მხარეებს შორის ვერ ხერხდება. მოსალოდნელია, რომ ამ პროცესებს მნიშვნელოვანი დრო დასჭირდება, რათა რაიმე არსებითი გავლენა იქონიოს ქსელის დაფარვასთან დაკავშირებული დისბალანსის აღმოფხვრის თვალსაზრისით განსაკუთრებით მცირე ოპერატორებისთვის. არანაირი საჯარო ინფორმაცია/მაჩვენებლები არ მიუთითებს იმაზე, რომ რომელიმე სხვა ოპერატორი შეძლებს მიაღწიოს შპს “მაგთიკომის” დონის FTTx ქსელის ეროვნულ დაფარვას ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში.

ქსელის განვითარების ამ ასიმეტრიის ფონზე, დაშვების მაძიებელი, რომელსაც სურს გააფართოვოს თავისი გეოგრაფიული დაფარვა, დაინტერესებული იქნება აირჩიოს საბითუმო დაშვების ოპერატორი ყველაზე დიდი ეროვნული დაფარვით (შპს „მაგთიკომი“).

შპს „მაგთიკომმა“ განახორციელა ინვესტიცია ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის ინფრასტრუქტურაში, რომელიც ფარავს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ფართების დაახლოებით 88.6%-ს (იხ. ცხრილი 57), რაც შპს „მაგთიკომს“ ეროვნული დაფარვის პოტენციალს აძლევს. დაფარვის ეს

პოტენციალი აღემატება სს „სილქნეტის“ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის დაფარვას (რომელმაც ჯერ კიდევ უნდა შეცვალოს სპილენძზე დაფუძნებული ადგილობრივი დაშვების ინფრასტრუქტურის ნაწილი⁶⁰) და მნიშვნელოვნად აღემატება ბაზრის შედარებით ახალი მოთამაშეების ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის დაფარვის დონეს. შპს „მაგთიკომი“, ისევე როგორც მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების სხვა მიმწოდებლები, სრულად აკონტროლებს საკუთარ ინფრასტრუქტურას. ბაზრის სხვა ოპერატორები რთულად მოახერხებენ შპს „მაგთიკომის“ ინფრასტრუქტურის დუბლირებას. ეროვნული დაფარვის პოტენციალის მქონე ინფრასტრუქტურის დუბლირება მოითხოვს, მნიშვნელოვნად მაღალი ინვესტიციების განხორციელებას, რაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მაღალი ხარჯების გაწევასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად შპს „მაგთიკომი“ აშკარად დომინირებს ეროვნულ დონეზე, ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარზე, რადგან ის აკონტროლებს რთულად დუბლირებად FTTx ქსელის ინფრასტრუქტურას იმ მასშტაბით, რომლებსაც არცერთი სხვა ოპერატორი არ ფარავს. შპს „მაგთიკომის“ FTTx ქსელით 88.6%-იანი დაფარვა ეროვნულ დონეზე პირდაპირ ასახავს შპს „მაგთიკომის“ კონკურენტებისთვის ხელმისაწვდომ სიმძლავრეს, თუ ისინი აირჩევენ ამ ქსელზე დაშვებას, მცირე და საშუალოვადიან პერიოდში საკუთარი ინფრასტრუქტურის გაფართოების ნაცვლად.

8.3.4 პოტენციური კონკურენციის არარსებობა

მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასებისას პროცედურების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ბაზარზე შესვლის სიმარტივე ახალი ოპერატორებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ მათი არსებული პროდუქტები ან გააფართოვონ მათი პროდუქციის ასორტიმენტი. ანალიზის პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს, ბაზარზე შესვლის შესაძლებლობა იმ ჰიპოთეტურ შემთხვევაში, როდესაც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი მცირედ, მაგრამ მნიშვნელოვნად ზრდის საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ფასს.

ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზრის შეფასებისას, გამოკვლეულ უნდა იქნეს, რამდენად შეძლებს საბითუმო ბაზარზე ახალშემსვლელი ოპერატორი დამკვიდრებას და უკვე არსებული ოპერატორებისთვის ეფექტური კონკურენციის გაწევას. ეფექტური კონკურენცია შეიძლება წარმოიშვას ახალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებიდან ან არსებული ქსელური ინფრასტრუქტურისგან, რომელიც განახორციელებს არსებული ქსელის ადაპტირებას საცალო ოპერატორებისთვის ფიქსირებული ფართოზოლოვანი დაშვების საბითუმო ბაზარზე სიმძლავრის შეთავაზებისთვის. პოტენციური კონკურენცია შეიძლება წარმოიშვას „მხოლოდ საბითუმო“ ქსელის პროვაიდერის წარმოშობით, ან ვერტიკალურად ინტეგრირებული საცალო და საბითუმო ოპერატორისგან, რომელსაც სურს განახორციელოს დივერსიფიკაცია ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარზე.

გარკვეულ ბაზრებზე შესვლის მაღალი ბარიერები შესაძლოა ნაკლებად აქტუალური გახდეს მიმდინარე ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში, განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიების განვითარების გამო, რომლებიც ახალ მონაწილეებს საშუალებას აძლევს უზრუნველყონ ხარისხობრივად განსხვავებული სერვისების მიწოდება და კონკურენცია გაუწიონ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებს. საქართველოში ელექტრონული კომუნიკაციების ფიქსირებულ ბაზრებზე, უკვე მიღწეულია მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური პროგრესი, იქიდან გამომდინარე, რომ არსებული ძირითადი (Core) და დაშვების ქსელები ძირითადად ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიაზეა დაფუძნებული. შპს „მაგთიკომის“ უახლოესი კონკურენცია სს „სილქნეტი“, რომელსაც გააჩნია საკუთარი FTTx ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ადგილობრივი დაშვების და ძირითადი ქსელი. სს „სილქნეტის“ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის სიმძლავრის გეოგრაფიული დაფარვა (ფართობის დაფარვის მაჩვენებელი 57.2% - იხ. ცხრილი 57)

⁶⁰ ითვლება, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სს „სილქნეტმა“ მთლიანად ჩაანაცვლა არსებული სპილენძის ადგილობრივი დაშვების ქსელი FTTx-ით, სს „სილქნეტის“ ეროვნული დაფარვის FTTx მაინც ვერ მიაღწევს შპს „მაგთიკომის“ დონეს.

მნიშვნელოვნად დაბალია შპს “მაგთიკომის” მაჩვენებელზე (88.6%). აბონენტების ათვისების თვალსაზრისით, FTTx ქსელის სიმძლავრის გამოყენებით, შპს “მაგთიკომი” აღწევს 43.3%-ს, ხოლო სს “სილქნეტი” 38.4%-ს. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, სს “სილქნეტმა” შესაძლოა დაიწყოს საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების მომსახურების შეთავაზება მცირე ოპერატორებისთვის, არსებული ქსელის სიმძლავრის გამოყენებით, მაგრამ პოტენციური კონკურენტის არარსებობის შეფასების კონტექსტში მივიჩნევთ, რომ სს “სილქნეტი” უკვე წარმოადგენს კონკურენტს ეროვნულ დონეზე და არა ბაზარზე ახალ შემსვლელ სუბიექტს.

ამასთან, ბაზარზე ოპერირებს 60 მცირე მოთამაშე, რომლებიც საკუთარი FTTx ძირითადი ქსელის გამოყენებით ახორციელებენ FTTx-ზე დაფუძნებული ფიქსირებული ფართოზოლოვანი საცალო ინტერნეტ მომსახურების მიწოდებას. აღნიშნული პატარა მოთამაშეები მხოლოდ შეზღუდულ გეოგრაფიულ არეალზე ოპერირებენ. მათი ამჟამინდელი ჯამური საცალო ბაზრის წილი მხოლოდ 7.1%-ია (იხ. დიაგრამა 55 და ცხრილი 57). ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი (თუნდაც ერთობლივად) შეძლებენ შექმნან საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების შეთავაზების სერვისი ეროვნული მასშტაბით ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში.

ასევე, გასათვალისწინებელია მჭიდროდ დაკავშირებული ბაზრებზე მოქმედი სხვა არსებული ოპერატორ(ებ)ის შესვლის გავლენა საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალურ დაშვების ბაზარზე. ბაზარზე შესვლა უფრო სავარაუდოა, როდესაც პოტენციურად ბაზარზე ახალშემსვლელი ავტორიზებული პირი უკვე იმყოფება მეზობელ ბაზრებზე ან გააჩნია ქსელის საკმარისი სიმძლავრე, მიაწოდოს ბაზარს შესაბამისი საბითუმო დაშვების სერვისი. მაგალითად, მესამე უმსხვილეს მობილური ქსელის ოპერატორს (შპს „სელფი მობაილს“) საქართველოში, შეუძლია განიზრახოს გახდეს კონვერგენტული მობილური/ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების მიწოდებელი ოპერატორი, რათა კონკურენცია გაუწიოს მის მთავარ კონკურენტებს შპს “მაგთიკომსა” და სს „სილქნეტს“. მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე შესვლით, შპს „სელფი მობაილის“ ქსელის სიმძლავრის გამოყენება ასევე შესაძლებელი იქნება ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების მომსახურების მიწოდებისთვის. ამის მისაღწევად, შპს „სელფი მობაილს“ მოუწევს დიდი ინვესტიციის ჩადება FTTx ადგილობრივი დაშვების ქსელებში. ამ თვალსაზრისით, შპს „სელფი მობაილის“ მობილური ტრანზიტული (backhaul) და ცენტრალური ქსელის სიმძლავრის ზოგიერთი ნაწილის გამოყენება შესაძლებელია, თუმცა მისი მხრიდან ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯების ძირითადი ნაწილის გაწევა მაინც საჭირო იქნება FTTx ადგილობრივი დაშვების ქსელის ნაწილში. ნაკლებად სავარაუდოა, რომ შპს „სელფი მობაილი“ შეძლებს შევიდეს მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე და შესაბამისად, ექნება შესაძლებლობა შესთავაზოს ბაზარს ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების სერვისი ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში.

ასევე საჭიროა განხილულ იქნეს „ოუფენ ნეტის“ ბაზარზე შესვლის შემთხვევა, რომელიც უზრუნველყოფს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელებით იმ დასახლებების დაფარვას, რომლებიც ამჟამად არ არიან დაკავშირებული ოპტიკურ ქსელთან. ამ დასახლებებში არსებული ფართების რაოდენობა საქართველოს მთლიანი ფართების რაოდენობის 15.6%-ს შეადგენს. მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, „ოუფენ ნეტი“ არ უზრუნველყოფს საცალო მომსახურების მიწოდებას. დაშვების მადიებლისთვის სრული საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების სერვისი ხელმისაწვდომის იქნება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოუფენ ნეტი და საცალო მომსახურების მიწოდებელი ერთად უზრუნველყოფენ საბითუმო დაშვების მომსახურების მიწოდებას შესაბამის ბაზარზე. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი კონკურენტული გავლენა შესაბამის ბაზარზე მცირე იქნება. ოუფენ ნეტს მოუწევს საბითუმო შეთანხმებების გაფორმება ყველა დასახლებაში (მრავალ ადგილობრივ ოპერატორთან სხვადასხვა დასახლებაში) და ამასთან, მისი მხრიდან მაინც ვერ განხორციელდება ეფექტური კონკურენტული ზეწოლა ეროვნული ბაზრის უმეტეს ნაწილზე საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების სერვისის მიწოდების თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებობს პოტენციური კონკურენციის ნაკლებობა ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარზე.

8.3.5 ბაზარზე შესვლის და გაფართოების ბარიერები

მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასებისას პროცედურების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის გაფართოებასთან დაკავშირებული ბარიერები, კერძოდ, ეს ბარიერები დამახასიათებელია გაჯერებული ბაზრის შესაბამისი სეგმენტისთვის, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ავტორიზებული პირისთვის ბაზრის სეგმენტზე ზრდის/გაფართოების საჭირო შესაძლებლობებს, იწვევს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებული კონკურენტული გარემოს (კონკურენტების არსებული რაოდენობის) კონსერვაციას, რამაც, შესაძლოა, გააუარესოს ბაზარზე არსებული კონკურენტული მდგომარეობა.“

ბაზარზე შესვლისა და გაფართოების ბარიერები ასევე შეიძლება წარმოიშვას ბაზარზე არსებული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის ქმედებების შედეგად, რომელიც ხელს უშლის ან აქტიურად აფერხებს ახალ ან მზარდ ოპერატორს იმავე ბაზარზე ახალი მომხმარებლების მოზიდვის მხრივ. ყველა არსებული ოპერატორი, რომელსაც აქვს პოტენციური შევიდეს საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ბაზარზე, არის ვერტიკალურად ინტეგრირებული ოპერატორი, რომელსაც გააჩნია საკუთარი FTTx ქსელი და ოპტიკურ-ბოჭკოვანი Backhaul ინფრასტრუქტურა. ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარზე შესვლისთვის ბაზარზე ახალმა შემსვლელმა ავტორიზებულმა პირმა უნდა ააშენოს საკუთარი ახალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურა. არსებულ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის ოპერატორს, რომელსაც გააჩნია მხოლოდ შეზღუდული გეოგრაფიული დაფარვა, ასევე მოუწევს ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა სხვა რაიონებში, რათა მნიშვნელოვანი კონკურენტული გავლენა იქონიოს ეროვნული დაფარვის მქონე არსებულ ოპერატორზე.

ამჟამად საქართველოში არ ხორციელდება საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების მომსახურების მიწოდება და ორ ოპერატორს, რომელსაც ყველაზე დიდი FTTx ქსელის დაფარვა აქვს, არ გააჩნია საკმარისი სტიმული დადოს კომერციული ხელშეკრულებები დაშვების მამიებელებთან, რადგან მიიჩნევენ, რომ ამით ისინი რისკავენ უფრო სწრაფად დაკარგონ მათი არსებული ბაზრის წილები.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერ ახალ ოპერატორს, რომელსაც სურს ბაზარზე შესვლა, ან ნებისმიერ მოქმედ ოპერატორს, რომელსაც სურს გაზარდოს ბაზრის წილი, აწყდება მნიშვნელოვან ბარიერებს. ერთ-ერთმა შედარებით მცირე საბაზრო წილის მქონე ოპერატორმა ახალი ქსელების ჯგუფმა, რომელიც ამჟამად სიდიდით მესამეა მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე, რეალურად განიცადა ბაზრის წილის შემცირება ბოლო 5 წლის განმავლობაში 9.4%-დან 6.3%-მდე (იხ. დიაგრამა 55). 2017 წლიდან მოყოლებული, ბაზარზე ახალმა შემსვლელმა ბევრმა ავტორიზებულმა პირმა (დაახლოებით 60 ოპერატორი) ბაზრის მხოლოდ 6.9% -იანი წილის მოპოვება მოახერხა. ეს გვიჩვენებს, რომ გაფართოების მიმართულებით უკვე არსებობს რეალური ბარიერები. სს „სილქნეტმა“ (საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხების ფლობის უპირატესობით) ინვესტიცია განახორციელა ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი დაშვების და ძირითად ქსელში, თუმცა ჯერ კიდევ შეზღუდული ეროვნული დაფარვა გააჩნია. კომპანია გაფართოების ბარიერის წინაშე დგას, რადგან იმ გეოგრაფიულ არეალებში სადაც საჭიროა ახალი ინვესტიციების განხორციელება მას არ გააჩნია მნიშვნელოვანი ადგილობრივი სატელეკომუნიკაციო-საკანალიზაციო არხების ინფრასტრუქტურა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ამჟამად არსებობს მნიშვნელოვანი ბარიერები ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარზე შესვლისა და გაფართოების მიმართულებით.

8.3.6 მსყიდველობითი ძალაუფლების არარსებობა, გრძელვადიანი და მდგრადი დაშვების ხელშეკრულებების გაფორმება

პროცედურების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს სერვისის პოტენციური მომხმარებლების მსყიდველობითი ძალაუფლების დაბალი დონე ან/და არარსებობა.

მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზრის სტრუქტურა შედგება ორი მსხვილი, კონვერგენტული, ვერტიკალურად ინტეგრირებული ქსელის ოპერატორისგან, რომლებიც კონკურენციას უწევენ მცირე FTTx ოპერატორების დიდ რაოდენობას, რომლებიც წარმოდგენილი არიან ბაზარზე შეზღუდული გეოგრაფიული დაფარვით (იხ. დიაგრამა 53). ზოგადად, დაშვების მაძიებლებს შეიძლება ჰქონდეთ მსყიდველობითი ძალაუფლება, თუ ისინი ყიდულობენ დიდ მოცულობებს და საშუალება ექნებათ, გადაერთონ სხვა მიმწოდებელზე ან დააკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნები თვითმომსახურების გზით. საქართველოს შემთხვევაში არ არსებობენ ალტერნატიული საბითუმო პროვაიდერები პოტენციური ეროვნული დაფარვით, რომელთა ქსელი მასშტაბით შპს „მაგთიკომის“ FTTx ქსელის მსგავსია. იმისათვის, რომ კონკურენტული საფრთხე ეფექტური იყოს დაშვების მაძიებლის მხრიდან და მან მოიპოვოს მსყიდველობითი ძალაუფლება, მოცულობებს, რომლებიც შეიძლება დაკმაყოფილდეს მიწოდების სხვა წყაროდან, უნდა ჰქონდეს მატერიალური გავლენა საბითუმო მიმწოდებლის მომგებიანობაზე. პრაქტიკულად, ეს მოითხოვს, რომ მოცულობები იყოს მნიშვნელოვანი და წარმოადგენდეს საბითუმო მიმწოდებლის მომსახურებების მთლიანი მოცულობის მატერიალურ ნაწილს.

თუ პატარა ოპერატორი უფრო დიდ ოპერატორებს მიმართავს ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების მოთხოვნით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ შპს „მაგთიკომი“ დადებს კომერციულ ხელშეკრულებას (მარეგულირებელი მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში).

საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე უკვე არსებობს სპილენძის წყვილებზე საბითუმო დაშვების წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრის შესაბამისი სეგმენტი, თუმცა უნდა აღინიშნოს პრაქტიკაში ძალზედ იშვიათად დადებული ხელშეკრულება დაშვების მაძიებლებსა და სპილენძის წყვილების პროვაიდერებს შორის. ამ შემთხვევაში და მომავალზე ორიენტირებული საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების შემთხვევაში, ნებისმიერი დაშვების მაძიებელს შეუძლია გამოიყენოს მსყიდველობითი ძალაუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეძლებენ სარწმუნოდ დაემუქრონ ქსელის მიმწოდებელს შესაბამისი საბითუმო სერვისის ალტერნატიული პროვაიდერისგან მიღებით. საქართველოში ასეთი მოცემულობა არ იყო სპილენძის წყვილებზე დაშვების საბითუმო ბაზარზე და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომავალშიც მოხდეს ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო სერვისის შემთხვევაში.

მსხვილი ოპერატორების მხრიდან საბითუმო შეთავაზებების არარსებობა მიუთითებს იმაზე, რომ პოტენციური დაშვების მაძიებლებს, რომელთაც სურთ გამოიყენონ ქსელის მიმწოდებლის ადგილობრივი და ცენტრალური ქსელის ინფრასტრუქტურა, რათა შეძლონ ბაზრის დაფარვის გაფართოება არ გააჩნიათ ეფექტური მსყიდველობითი ძალაუფლება. აქედან გამომდინარეობს, რომ საქართველოში მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე მცირე ოპერატორებს აქვთ ძალიან დაბალი მსყიდველობითი ძალაუფლება, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ფასებზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ბაზრის საბითუმო სეგმენტზე. წინასწარი რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოლაპარაკებების პროცესში მათი სუსტი პოზიციონირების გამო, მცირე ოპერატორებს საქართველოში შეეძლებათ დადონ გრძელვადიანი და მდგრადი ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების ხელშეკრულებები უფრო დიდ ოპერატორებთან.

8.3.7 კაპიტალის ბაზრებზე/ფინანსურ რესურსებზე მარტივი ან პრივილეგირებული წვდომა

პროცედურების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, კაპიტალთან და ფინანსურ რესურსებთან მარტივი ან პრივილეგირებული წვდომის შესაძლებლობა არის ავტორიზებული პირის მდგომარეობა, რომელიც მისი მოცულობიდან, საკუთრების ტიპიდან, ან ადგილობრივ და საერთაშორისო ჯგუფთან ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარე, შესაძლებელს ხდის ამ ავტორიზებული პირის სხვებთან შედარებით მარტივ დაშვებას, როგორც შიდა, ასევე გარე კაპიტალთან და ფინანსურ რესურსებთან, ინვესტიციების განხორციელების, ქსელის განახლების ან/და ქსელის გაფართოების საჭიროებიდან გამომდინარე.

ცხრილი 59 ძირითადი ფინანსური რესურსების ინდიკატორები 2019-2022 (მილიონი ლარი)

	2019	2020	2021	2022
EBITDA-				
- მაგთიკომი	306	295	353	466
- სილქნეტი	216	214	231	289
- სელფი მოზაილ	45	45	54	63
კაპიტალური დანახარჯი				
- მაგთიკომი	115	31	138	105
- სილქნეტი	99	105	71	73
- სელფი მოზაილი	22	46	39	25
მიმდინარე სესხი				
- მაგთიკომი		არა	არა	არა
- სილქნეტი		დიახ	დიახ	დიახ
- სელფი მოზაილ		დიახ	დიახ	დიახ

წყარო: შემუშავებულია კომუნიკაციების კომისიის სტატისტიკური ანგარიშების ელექტრონული ფორმებისა და ოპერატორის მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშების საფუძველზე

სასესხო დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა ზოგადად უფრო რთულია საქართველოში,⁶¹ ვიდრე ევროკავშირში და ამიტომ კომპანიებს, რომლებიც უკვე აგენერირებენ შემოსავალს მიმდინარე ოპერაციებიდან, ექნებათ უპირატესობა იმავე ბაზარზე არსებულ ორგანიზაციებთან შედარებით, რომლებმაც უნდა მოიზიდონ დაფინანსების გარე წყაროები ინვესტიციების განხორციელებისთვის და გაფართოებისთვის. შპს “მაგთიკომმა” ბოლო ოთხი ფინანსური საანგარიშგებო წლის განმავლობაში გამოიმუშავა უფრო მეტი თავისუფალი ფულადი რესურსი (EBITDA⁶²), ვიდრე მისმა კონკურენტებმა და განახორციელა მნიშვნელოვანი კაპიტალური ინვესტიციები (CAPEX) სასესხო დაფინანსების გარეშე. ამის საპირისპიროდ, სს “სილქნეტს” და შპს „სელფი მოზაილს“

⁶¹ https://www.eib.org/attachments/efs/smes_and_private_sector_financing_in_georgia_en.pdf

⁶² შემოსავალი საპროცენტო სარგებლის, გადასახადების და ცვეთის ხარჯების დაფარვამდე

მნიშვნელოვნად ნაკლები თავისუფალი ფულადი რესურსი გააჩნიათ, რამაც უზიძგა მათ გამოყენებინათ სასესხო დაფინანსება (იხ. ცხრილი 59).

ოპერატორებს, რომლებიც ბაზარს სთავაზობენ როგორც მობილურ, ასევე ფიქსირებულ სერვისებს, ზოგადად ექნებათ თვითდაფინანსების უფრო მდგრადი საშუალებები მათი უფრო მაღალი ბაზრის წილებისა და მასშტაბის უფრო დიდი ეკონომიის საფუძველზე (იხ. თავები 8.3.8 და 8.3.9).

ზოგადად, ბიზნესს გააჩნია უფრო მაღალი წვდომა ფინანსურ რესურსებზე, თუ ის საკმარისად ჯანსაღია სესხის დაფარვის (საპროცენტო ხარჯის ჩათვლით) თვალსაზრისით. არსებობს როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური ასპექტები, რომლებიც განსაზღვრავენ კომპანიის კრედიტუნარიანობას. მიუხედავად იმისა, რომ არაფინანსურ ასპექტებში შპს „მაგთიკომი“, სს „სილქნეტი“ და შპს „სელფი მობაილი“ შეიმღება შესადარისი იყოს მდგრადი და არაელასტიური მოთხოვნის გათვალისწინებით (სამივე კომპანია მზარდ ბაზარზეა), ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებული ფინანსური მახასიათებლები გამოარჩევს შპს „მაგთიკომს“ დანარჩენი ორისგან.

ცხრილი 60 ძირითადი ფინანსური რესურსების ინდიკატორები 2020-2022

კომპანიის სახელი	საოპერაციო ფულადი ნაკადები/ვალდებულება			EBITDA/საპროცენტო ხარჯი			EBITDA/ჯამური ვალდებულება			ვალდებულება/კაპიტალი		
	2020	2021	2022	2020	2021	2022	2020	2021	2022	2020	2021	2022
მაგთიკომი	7.25	10.3	14.8	9.57	16.3	15.33	N/A	N/A	N/A	0.04	0.04	0.03
სილქნეტი	0.12	0.2	0.32	2.38	2.6	2.5	0.32	0.39	0.54	N/A	N/A	N/A
სელფი მობაილი	0.11	0.09	0.09	0.81	0.88	1.08	0.10	0.11	0.10	N/A	N/A	N/A

წყარო: შემუშავებულია კომუნიკაციების კომისიის სტატისტიკური ანგარიშების ელექტრონული ფორმებისა და ოპერატორის

მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების საფუძველზე

როგორც წესი, ვალდებულების საკუთარ კაპიტალთან თანაფარდობა (D/E) 2.0-ზე მეტი მიუთითებს სარისკო სცენარზე ინვესტორისთვის/კრედიტორისთვის. 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სს „სილქნეტის“ ძირითადი საშუალებების მაჩვენებელმა 363 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო სასესხო ვალდებულების მიმდინარე ძირითადმა თანხამ 595 მლნ ლარი, შპს „მაგთიკომს“ არ გააჩნია სასესხო ვალდებულება, ხოლო მისი ძირითადი საშუალებები 449 მლნ ლარს შეადგენს. შესაბამისად, შპს „მაგთიკომს“ გააჩნია უფრო დიდი შესაძლებლობა, ნებისმიერი მომავალი სასესხო ვალდებულების გარანტირებისთვის.

ამიტომ მიჩნეულია, რომ შპს „მაგთიკომს“ აქვს უფრო მაღალი წვდომა კაპიტალსა და ფინანსურ რესურსებზე, ვიდრე მის კონკურენტებს.

8.3.8 მასშტაბის ეკონომია

პროცედურების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარებისას ერთპიროვნული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრის მეორეულ კრიტერიუმად, ბაზრის სტრუქტურულიდან და კონკურენტული მახასიათებლებიდან გამომდინარე, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს მასშტაბის ეკონომია.

მასშტაბის ეკონომია ვრცელდება ბაზრებზე, რომლებზეც საჭიროა დიდი ინვესტიციების განხორციელება ოპერირებისთვის, რაც შემდგომ ეტაპზე დაკავშირებულია მომსახურების მიწოდების უფრო დაბალ თვითღირებულებასთან. ფიქსირებული სატელეკომუნიკაციო ბაზარი მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებას მოითხოვს, განსაკუთრებით ადგილობრივი დაშვების ქსელის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. შპს „მაგთიკომმა“ და შედარებით ნაკლები მოცულობით სს „სილქნეტმა“ უკვე შექმნეს FTTx ქსელები საქართველოში, რომლებსაც აქვთ ეროვნული ან ეროვნულთან მიახლოებული დაფარვის მასშტაბები. ამასთან, შპს „მაგთიკომს“ აქვს აბონენტების აყვანის უკეთესი მაჩვენებელი საკუთარი ქსელის დაფარვის ფარგლებში (43%), ვიდრე სს „სილქნეტს“ (38%) (იხ. ცხრილი 58). დანარჩენმა ოპერატორებმაც შექმნეს FTTx დაშვების ქსელები, მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე,

რომლებიც თავისი მასშტაბით მნიშვნელოვნად მცირეა და ემსახურება უფრო მცირე გეოგრაფიულ არეალებს (იხ. ცხრილები 57 და 58).

ამიტომ მიჩნეულია, რომ შპს „მაგთიკომი“ სარგებლობს მასშტაბის მნიშვნელოვნად უფრო მაღალი ეკონომიით, ვიდრე დანარჩენი ოპერატორები. ეს დანარჩენი ოპერატორებისთვის იწვევს მიწოდების უფრო მაღალი დანახარჯების არსებობას, რაც მათ აყენებს არახელსაყრელ მდგომარეობაში ისეთი საცალო ტარიფების დაწესების თვალსაზრისით, რომლებიც ეფექტურად კონკურენტული იქნება მსხვილ ოპერატორებთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ ოპერატორებს შეუძლიათ ისარგებლონ დანახარჯების თვალსაზრისით გარკვეული უპირატესობებით, მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების ეროვნულ მასშტაბამდე გაფართოებით (ცალკე ან კოლექტიური) შეიძლება უზუნველყოფილ იქნეს მცირე ოპერატორების ერთეულის ხარჯების შესაბამისობა უმსხვილეს ოპერატორებთან.

8.3.9 მრავალფეროვნების ეკონომია, პროდუქტების/სერვისების დივერსიფიკაცია (მაგალითად, კომბინირებული პროდუქტები ან მომსახურება)

პროცედურების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მეორეულ კრიტერიუმად კომისიას შეუძლია განიხილოს მომსახურების სახეების მრავალფეროვნებით განპირობებული ეკონომია (მრავალფეროვნების ეკონომია). ამ კრიტერიუმს გააჩნია მასშტაბის ეკონომიის ანალოგიური ეფექტი, თუმცა ხარჯის შემცირება მიიღწევა ერთი და იმავე ინფრასტრუქტურის საშუალებით მიწოდებული სხვადასხვა ტიპის მომსახურებას შორის ფიქსირებული და ზედნადები დანახარჯების განაწილების შედეგად.

მრავალფეროვნების ეკონომია არსებობს ბაზარზე, როდესაც ოპერატორი ახორციელებს ერთზე მეტი მნიშვნელოვანი სერვისის მიწოდებას და ამას ახორციელებს თითოეულ სერვისთან დაკავშირებული საერთო რესურსის, მათ შორის, ქსელების, მარკეტინგის და დისტრიბუციის რესურსების გამოყენებით (იხ. ასევე თავი 8.3.10). მრავალფეროვნების ეკონომიამ შესაძლოა განპირობოს ავტორიზებული პირის საბაზრო უპირატესობა რადგან ის საშუალებას აძლევს ბაზრის მოთამაშეს ისარგებლოს მომსახურების ერთეულის დაბალი დანახარჯებით და ამასთან, მის მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს ერთზე მეტი სერვისი ერთი და იგივე მიწოდებისგან. სატელეკომუნიკაციო ბაზრებზე, მრავალფეროვნების ეკონომიას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ოპერატორი უზრუნველყოფს როგორც ფიქსირებული, ასევე მობილური მომსახურების მიწოდებას. შპს „მაგთიკომი“ სარგებლობს ყველაზე მაღალი ბაზრის წილით არა მხოლოდ მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე, არამედ ზოგადად, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე, ისევე როგორც მობილური სერვისების და მაუწყებლობის ტრანზიტის საცალო ბაზრებზე (იხ. ცხრილი 61).

ცხრილი 61 საცალო ბაზრის წილები აბონენტების მიხედვით (2022)

ოპერატორი	საცალო ბაზრის წილი აბონენტების რაოდენობის მიხედვით (2022)				
	მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისები	ყველა ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისი	ფიქსირებული ტელეფონია	მობილური სერვისები	მაუწყებლობის ტრანზიტი
მაგთიკომი	54.6%	48.3%	1,7%	42.6%	56.06%
სილქნეტი	32.0%	29.9%	68,9%	32.7%	36.99%
სხვა	13.4%	21.8%	29,4%	24.7%	6.95%
ჯამი	100%	100%	100%	100%	100%

შპს „მაგთიკომის“ ბაზრის წილები მას ყველა ძირითად ბაზარზე ანიჭებს მნიშვნელოვანი მრავალფეროვნების ეკონომიას, გარდა ფიქსირებული ტელეფონის ბაზრისა, რომელიც მსოფლიო ტენდენციის შესაბამისად, მცირდება საქართველოშიც - 680,769 აბონენტი 2017 წელს 286,716 აბონენტამდე 2022 წელს. სს „სილქნეტი“ ასევე სარგებლობს მრავალფეროვნების ეკონომიით, ის არის ერთადერთი სხვა ოპერატორი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ფიქსირებული, ასევე მობილური მომსახურების მიწოდებას. ყველა სხვა ოპერატორი საქართველოში (მათ შორის მესამე უმსხვილესი მობილური ოპერატორი შპს „სელფი მობაილი“ და ბევრი პატარა ფიქსირებული ქსელის ოპერატორი (მათ შორის შპს „სქაიტელი“ და ახალი ქსელების ჯგუფი) არ სარგებლობენ ანალოგიური მრავალფეროვნების ეკონომიით.

შპს „მაგთიკომს“ და სს „სილქნეტს“ ასევე გააჩნიათ უპირატესობა იმ მხრივ, რომ შეუძლიათ რამდენიმე საცალო სერვისის პაკეტურად შეთავაზება აბონენტებისთვის. მათი კონკურენტული უპირატესობა კომბინირებულ შეთავაზებებში ძირითადად გამოწვეულია მათი შესაძლებლობით, მოაქციონ ფიქსირებული, მობილური და ფასიანი ტელევიზიის სერვისები ერთსა და იმავე პაკეტში (იხ. ცხრილი 13) და მიაღწიონ ხარჯების შემცირებას სხვადასხვა სახის მომსახურებაზე ფიქსირებული ხარჯების გადანაწილების შედეგად.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ შპს „მაგთიკომი“, როგორც საქართველოში ბაზრის ლიდერი ძირითადი საკომუნიკაციო სერვისების მთელ სპექტრში, სარგებლობს უფრო მაღალი მრავალფეროვნების ეკონომიით, რისი დასტურია 59-ე ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაცია ფინანსური მაჩვენებლების შესახებ.

8.3.10 ვერტიკალური ინტეგრაცია

პროცედურების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მეორეულ კრიტერიუმად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ვერტიკალური ინტეგრაცია. ვერტიკალურად ინტეგრირებული ავტორიზებული პირები არიან ეკონომიკური აგენტები, რომლებიც საქმიანობენ მომსახურების მიწოდების ღირებულებათა ვერტიკალური ჯაჭვის როგორც საბითუმო, ისე საცალო დონეზე, რაც მათ ანიჭებს კონკურენტულ უპირატესობას სხვა ავტორიზებულ პირებთან შედარებით, რადგან მათ დამოუკიდებლად შეუძლიათ მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდება, მომსახურების მიწოდების კონტროლი და ბაზრის პოტენციურ ცვლილებებზე მყისიერი რეაგირება.

შპს „მაგთიკომი“, ისევე როგორც ყველა სხვა ოპერატორი, მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე არის ვერტიკალურად ინტეგრირებული ოპერატორი საკუთარი საცალო და ქსელური ოპერაციებით. მომხმარებლებისთვის მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების მიწოდების შესაძლებლობა თითოეული ოპერატორის მიერ უზრუნველყოფილია საკუთარი FTTx ქსელის გამოყენებით. საქართველოში არ არსებობს მარეგულირებელი ვალდებულება რომელიმე ოპერატორისთვის, უზრუნველყოს საბითუმო ადგილობრივი ან ცენტრალური დაშვება და ამ ბაზარზე არ არსებობს კომერციული შეთანხმებები ოპერატორებს შორის.

ვერტიკალური ინტეგრაციის საკითხი ჩნდება ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების გამოვლენასთან დაკავშირებით თუ ახალ მოთამაშეს FTTx ქსელის ინფრასტრუქტურის შექმნის გარეშე სურდა ბაზარზე შესვლა, ან არსებულ ოპერატორს ინფრასტრუქტურის შეზღუდული გეოგრაფიული დაფარვით, სურდა გაფართოება ინფრასტრუქტურაში დამატებითი ინვესტიციების გარეშე. ტელეკომუნიკაციებში ვერტიკალური ინტეგრაციის სარგებელი ძირითადად წარმოიქმნება ოპერატორის მიერ საკუთარი რესურსების კონტროლიდან, რომელიც გამოიყენება საბოლოო მომხმარებლების მომსახურების უკეთესი ხარისხის უზრუნველსაყოფად (და შესაბამისად მისი კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად). მაგალითად, საკუთარი ინფრასტრუქტურის კონტროლით, ოპერატორს შეუძლია განსაზღვროს საკუთარი პრიორიტეტები ახალი მომხმარებლების მოზიდვის და სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის მიმართულებით. სხვა ოპერატორის

ქსელზე საბითუმო დაშვებაზე დაყრდნობა ცვლის მის მდგომარეობას, რადგან დაშვების მაძიებლის პრიორიტეტები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ქსელის მიწოდებლის პრიორიტეტებს.

შესაბამისად, საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების მაძიებელს, მოუწევს დააბალანსოს საჭირო დაბალი დაფინანსების უპირატესობები (რომელიც წარმოიქმნება საბითუმო მომსახურების გამოყენებით და არა თვითმომსახურებით) კონტროლის დაკარგვასთან შედარებით იმ ფაქტორებზე, რომლებიც დაკავშირებულია მის მიერ საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდებული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფასთან.

ვინაიდან შპს „მაგთიკომს“ გააჩნია ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი ეროვნული მასშტაბით, ვერტიკალური ინტეგრაცია აძლევს მას შესაძლებლობას შესთავაზოს ბაზარს საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების მომსახურება და შესაბამისად, შეუძლია გააკონტროლოს საკუთარი საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი სერვისების მიწოდების ხარისხი.

მიუხედავად იმისა, რომ სხვა ოპერატორებიც ვერტიკალურად ინტეგრირებულები არიან, რომლებიც ახორციელებენ საცალო სერვისების მიწოდებას საკუთარი ქსელის გამოყენებით კონკრეტულ გეოგრაფიულ ლოკაციებზე, მათ, შპს „მაგთიკომთან“ შედარებით, არ აქვთ ვერტიკალური ინტეგრაციის უპირატესობა საქართველოს დანარჩენ ნაწილში (იხ. ცხრილი 58).

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ შპს „მაგთიკომს“, როგორც ოპერატორს, რომელსაც შეუძლია შესთავაზოს ბაზარს ეროვნულ დონეზე საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების სერვისები, ექნება მნიშვნელოვანი უპირატესობა დაშვების მაძიებელთან შედარებით, რომელსაც არ აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს სრული კონტროლი საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდებული მომსახურების ხარისხზე.

8.4 დასკვნა ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის გამოვლენის შესახებ

ნაკლებად სავარაუდოა, რომ შპს „მაგთიკომის“ საცალო ბაზრის წილი მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებების საცალო ბაზარზე (54.8% 2022 წელს) ჩამოვიდეს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმის ზღვარს, (40%) ქვემოთ, ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში.

შპს „მაგთიკომის“ FTTx ეროვნული დაფარვა, რომელიც დაფარული ფართების 88.4%-ს შეადგენს, მნიშვნელოვნად აღემატება ბაზრის ნებისმიერი სხვა მოთამაშის ანალოგიურ მაჩვენებელს. დაფარვის აღნიშნული მაჩვენებელი ადეკვატურად ასახავს შპს „მაგთიკომის“ ქსელის ეროვნულ შესაძლებლობებს, შესთავაზოს ბაზარს ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო სერვისები.

შპს „მაგთიკომი“ ფლობს მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებას ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარზე, მისი მაღალი ბაზრის წილების საფუძველზე (როგორც მისი შესაბამისი საცალო ბაზრის წილის, ასევე მისი FTTx ქსელის დაფარვის მიხედვით), რაც გამყარებულია რიგი მეორეული კრიტერიუმების ანალიზის შედეგებით, კერძოდ:

- ბაზარზე შესვლისა და გაფართოების ბარიერების არსებობა, რასაც ადასტურებს ეფექტიანი კონკურენციის და პოტენციური კონკურენციის ნაკლებობა ბაზრის ამ ანალიზის მომავალი 3 წლის პერსპექტივაში
- შპს „მაგთიკომის“ აბსოლუტური და ფარდობითი ზომა კონკურენტებთან მიმართებაში
- შპს „მაგთიკომის“ კონტროლი რთულად დუბლირებად ინფრასტრუქტურაზე, რომლის დუბლირებასაც კონკურენტები ვერ ახდენენ ეროვნული დაფარვის თვალსაზრისით
- მსყიდველობითი ძალის არარსებობა და შპს „მაგთიკომის“ სტიმულის ნაკლებობა გრძელვადიანი და მდგრადი საბითუმო ხელშეკრულებების დადების მიმართულებით

- შპს „მაგთიკომის“ მასშტაბის და მრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ეკონომია, რომელიც მიღებულია მისი ეროვნული ინფრასტრუქტურის მეშვეობით როგორც ფიქსირებული, ისე მობილური სერვისებისთვის, მისი ეროვნული სადისტრიბუციო არხებით და ვერტიკალური ინტეგრაციით

პროცედურების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ ბაზრის შესაბამისი სემენტის კვლევისა და ანალიზის შედეგად კომისია დაადგენს, რომ ერთ ავტორიზებულ პირს გააჩნია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, გამოირიცხება ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების არსებობა და მისი შემოწმების საჭიროება.

ვინაიდან პირველადი და მეორეული კრიტერიუმების ანალიზიდან გამომდინარე ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარზე ერთპიროვნული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ გამოვლინდა შპს „მაგთიკომი“, პროცედურების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზარი არ საჭიროებს ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების არსებობის გამოკვლევას.

9 კონკურენციის შეფასება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში

9.1 ქსელის დონეზე არსებული კონკურენციის ხელშეწყობის მიზანი

პროცედურების მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სპეციფიკური ვალდებულებების პირობები უნდა შეესაბამებოდეს საბაზრო უპირატესობის ფლობის და მისი ბოროტად გამოყენების, ბაზრის შესაბამისი სემენტზე შესვლის დაბრკოლებების ჩამოყალიბების შესაძლებლობების ხასიათს, უნდა იყოს თანაზომიერი და დასაბუთებული.

მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის შესაძლებლობა და სტიმული, ბოროტად გამოიყენოს თავისი საბაზრო უპირატესობა, შეიძლება განსხვავდებოდეს გეოგრაფიული ლოკაციების მიხედვით. ასეთ შემთხვევებში პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს დაკისრებული ვალდებულებების გეოგრაფიულ დიფერენციაციას.

„საინვესტიციო კიბის“ პრინციპი საშუალებას აძლევს ბაზრის ახალ მოთამაშეებს და მცირე ოპერატორებს, გაძლიერდნენ და მოიპოვონ საცალო ბაზრის წილი და საკმარისი შემოსავლები საკუთარ ოპტიკურ-ბოჭკოვან ინფრასტრუქტურაში ინვესტირებისთვის. აღნიშნულის მიღწევის საშუალებას მათ აძლევს საწყის ეტაპზე არსებულ ფართოზოლოვან ქსელებსა და სერვისებზე საბითუმო დაშვების მოპოვება საბოლოო მომხმარებლებისთვის მომსახურების მისაწოდებლად.

აქედან გამომდინარე, კონკურენციის მთავარი შემზღუდავი ქმედება შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის უარი ასეთი საბითუმო დაშვების მინიჭებაზე ან დაშვების შეთავაზება არაკონკურენტული პირობებით, რაც ხელს უშლის ბაზარზე ახალშემსვლელ ეკონომიკურ აგენტებს და უფრო მცირე ოპერატორებს გაფართოების თვალსაზრისით, რაც საბოლოოდ ზღუდავს მომხმარებლის არჩევანს.

როგორც წესი, ბაზრებზე, სადაც ხელმისაწვდომია ქსელზე დაშვების მომსახურება, მომავალზე ორიენტირებული დროის პერსპექტივაში, ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებული კონკურენციის არსებობიდან გამომდინარე, საბოლოო მომხმარებლები უფრო მეტად სარგებლობენ ქსელის ხარისხის გაუმჯობესებით, დაბალი ფასებით და ზოგადად საბოლოო მომხმარებლის საჭიროებებზე ადეკვატური რეაგირებით, განსხვავებით ისეთი ბაზრებისგან, სადაც მხოლოდ ერთი ქსელია.

წინასწარი რეგულირების მიზანია ბაზარზე შესვლის ბარიერების აღმოფხვრა, რომელიც აფერხებს მცირე ოპერატორების განვითარებას. შესვლის მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის ფართო ქსელი, მარკეტინგის სიძლიერე, ფინანსური შესაძლებლობები, მომსახურებების დივერსიფიკაცია და კომბინირებული

მომსახურებების შეთავაზება. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის ქსელში საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვება მიზნად ისახავს მცირე ოპერატორებისთვის შესვლის ამ ბარიერის აღმოფხვრას. მას შემდეგ, რაც პატარა ოპერატორი მიაღწევს აბონენტების და შემოსავლების გარკვეულ რაოდენობას დასახლებაში, მას შეუძლია გადაწყვიტოს საკუთარი ქსელის განვითარება.

კონკურენციის გეოგრაფიული შეფასება არის იმის განსაზღვრის ინსტრუმენტი, თუ სად არის ან უახლოეს მომავალში სად შეიძლება იყოს ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებული მდგრადი და ეფექტური კონკურენცია.⁶³

აღნიშნული კუთხით დასახლებების ანალიზისთვის განისაზღვრება „კონკურენტული გეოგრაფიული არეალის“ კონცეფცია - დასახლება, სადაც კონკურენტმა ქსელებმა შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდონ ბაზრის წილი საცალო ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მიხედვით და შესაბამისად, გახდნენ ეფექტური კონკურენტები ბაზარზე უკვე დამკვიდრებული უფრო დიდი მოთამაშე(ებ)ისთვის.

გეოგრაფიული შეფასების ძირითადი კრიტერიუმი უნდა იყოს კონკურენტების და (ეროვნული) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის საინვესტიციო გეგმები დასახლებების დონეზე. ასეთი ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში, კონკურენტუნარიანობის დონის განსაზღვრის მიზნით საჭიროა შეფასება გაკეთდეს ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე თითოეული დასახლების ფარგლებში..

პროპორციულობის პრინციპზე დაფუძნებით აუცილებელი მინიმალური რეგულაციის დასადგენად, საჭიროა განხილულ იქნეს სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში განსხვავებული სპეციფიკური ვალდებულებების განსაზღვრის შესაძლებლობა, რაც ორიენტირებული იქნება ინვესტიციების წახალისებაზე. როგორც წესი, კონკურენტული ლანდშაფტი არ არის ერთგვაროვანი და დამოკიდებულია თითოეულ დასახლებაში არსებული FTTx ქსელების რაოდენობაზე. შემდგომი ფაქტორია აბონენტების რაოდენობის შეფარდება დაფარული შენობების რაოდენობასთან. ასევე, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის აბონენტთა რაოდენობის შემცირება დასახლებაში (ან ამ არეალში მისი წილის მნიშვნელოვანი შემცირება აბონენტთა საერთო რაოდენობის კუთხით) ასახავს ალტერნატიული ოპერატორის წარმატებას. ეს შეიძლება შეფასდეს ან ალტერნატიული ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების განვითარებით, ან მათი აბონენტების რაოდენობის ზრდით, ან ორივეს კომბინაციით.

დროთა განმავლობაში ბაზრის დინამიკა იძლევა საშუალებას შეფასდეს, არის თუ არა დასახლება ეფექტური კონკურენციისკენ მიდრეკილი, მაშინაც კი, თუ ანალიზის ეტაპზე ჯერ კიდევ არ არის კონკურენტუნარიანი. ამგვარი დასახლებების გამოსავლენად გამოყენებულია რამდენიმე კრიტერიუმი ერთად, იმისათვის რომ განსაზღვრული წინასწარი რეგულაცია იყოს აუცილებელი მინიმუმი ამ გეოგრაფიულ არეალებში კონკურენტული გარემოს უზრუნველსაყოფად.

იმ ადგილებში, სადაც პარალელური ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელების განვითარება არ არის მოსალოდნელი, მომხმარებლის არჩევანის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სპეციფიკური ვალდებულებების სახით განისაზღვროს საბითუმო დაშვება.

⁶³ უნდა აღინიშნოს, როგორც უკვე განისაზღვრა საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ბაზარი ეროვნულია თავისი გეოგრაფიული მასშტაბით. ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების ბაზრისთვის მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი პირობები ერთნაირია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და სხვადასხვა დასახლებებში ინფრასტრუქტურული კონკურენციის განსხვავებული ინტენსივობის მტკიცებულება არ იყო საკმარისი სხვადასხვა გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრისთვის, თუმცა გეოგრაფიული არეალებზე არსებულმა განსხვავებულმა კონკურენტულმა პირობებმა შეიძლება მიზანშეწონილი გახადოს მარეგულირებელი ვალდებულებების სეგმენტაცია სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალზე.

9.2 ბაზარზე შესვლის ბარიერების შეფასების კრიტერიუმები

ვინაიდან არსებობს განსხვავებული ინფრასტრუქტურული კონკურენცია სხვადასხვა დასახლებაში (იხ. თავი 3.1), საჭიროა დადგინდეს კრიტერიუმების ერთობლიობა, რათა განისაზღვროს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის შესაძლებლობებისა და სტიმულის განსხვავებული მოცემულობა, გამოიყენოს საბაზრო ძალაუფლება ბაზარზე შესვლის შეზღუდვის თვალსაზრისით.

ბაზრების გეოგრაფიული სეგმენტაციის ობიექტური კრიტერიუმები (ან ვალდებულებების დიფერენციაცია), რომლებიც გამოიყენება ევროკავშირის სხვადასხვა წევრი სახელმწიფოს⁶⁴ მიერ, ასახავს ეროვნული გარემოებების განსხვავებებს. ეს კრიტერიუმები მოიცავს: (i) კონკურენტი ქსელების რაოდენობას და მახასიათებლებს, (ii) ბაზრის წილების გადანაწილებას და ტენდენციებს საცალო ფართოზოლოვანი აბონენტების მიხედვით, (iii) ფასებს და (iv) ბაზრის ქცევას. ვინაიდან საქართველოში ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარზე არ არსებობს საბითუმო შეთავაზებები, (iii) და (iv) კრიტერიუმები ვერ იქნება გამოყენებული.

შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნევა გამოყენებულ იქნეს შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

- i. კონკურენტი ქსელების რაოდენობა და მახასიათებლები
- ii. საცალო ფართოზოლოვანი მომხმარებლების რაოდენობა
- i. კონკურენტი ქსელების რაოდენობა და მახასიათებლები

ევროკავშირის ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები იყენებენ ოპერატორების მინიმალური რაოდენობის კრიტერიუმს დასახლების კონკურენტულობის შესაფასებლად და მიიჩნევენ, რომ 3 ან მეტი ქსელი აუცილებელია ლოკაციის კონკურენტულ ზონად განსაზღვრისთვის. ამავდროულად, ევროკავშირის ზოგიერთი მარეგულირებელი მიიჩნევს, რომ 2 პარალელური ქსელის არსებობა უკვე საკმარისი ნიშანია კონკურენციის პირობების არსებობისთვის საცალო ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების წილების ევოლუციის ანალიზთან ერთად. თუმცა, საქართველოს შემთხვევაში, ორი ქსელის არსებობა ტერიტორიაზე არ შეიძლება ჩაითვალოს იმის მანიშნებლად, რომ ტერიტორია კონკურენტუნარიანია, რადგან ამჟამინდელი ფიქსირებული ქსელის ზომით მეორე ოპერატორი (სს „სილქნეტი“) არის ევროკავშირში ე.წ. „ისტორიული“ (incumbent) ქსელის ანალოგიური და ის ფაქტი, რომ შპს „მაგთიკომმა“ წარმატებით განავითარა ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი საქართველოში, არ ადასტურებს, რომ შესაძლებელია ოპტიკურ-ბოჭკოვანი სხვა ალტერნატიული ქსელის განვითარება მარეგულირებელი ჩარევის არარსებობის შემთხვევაში.

მეტი რაოდენობის ქსელის არსებობა ნიშნავს, რომ საბოლოო მომხმარებლებს უფრო მეტი არჩევანის საშუალება აქვთ. ევროკავშირის ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები ასევე არ ადგენენ ზღვარს კონკურენტული ტერიტორიების განსაზღვრისთვის 3 ან მეტი ოპერატორზე მეტი რიცხვითი მნიშვნელობით, რადგან უფრო დიდი ზღვარი (მაგალითად, 4 ან მეტი ოპერატორი) მნიშვნელოვნად არ გააუმჯობესებს კონკურენტულ ზეწოლას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე

⁶⁴ ადგილობრივი და ცენტრალური დაშვებისთვის საბითუმო ბაზარზე გამოყენებული მარეგულირებელი ვალდებულებების დიფერენციაციის მაგალითებია: ბაზარი 3a: სლოვენია, დიდი ბრიტანეთი (Cullen International-ის მიხედვით) – შედარებით მსუბუქი სატარიფო რეგულაცია, იტალია (მილანი და დანარჩენი იტალია), კვიპროსი, ესპანეთი, ბელგიას გააჩნია ასეთი გადაწყვეტილება, თუმცა ჯერჯერობით არ არსებობს არეალი, რომელიც აკმაყოფილებს ამ პირობებს; ბაზარი 3b: სლოვენია, საფრანგეთი, იტალია

ოპერატორზე და არ ცვლის ბაზრის საერთო კონკურენტუნარიანობის სურათს ნებისმიერ მოცემულ ტერიტორიაზე.

ვინაიდან საცალო ბაზარი საქართველოში განისაზღვრა, როგორც მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზარი, რომელიც შედგება FTTx ტექნოლოგიის ქსელებისგან (იხ. თავი 3.4.1), ოპერატორების რაოდენობის მაჩვენებელი უნდა შეფასდეს მხოლოდ FTTx ქსელების რაოდენობით. კომისიის მიერ ოპერატორებისგან გამოთხოვილი მონაცემები აჩვენებს, რომ შპს „მაგთიკომს“ აქვს ყველაზე მაღალი დაფარვა, ხოლო სხვა ოპერატორები ოპერირებენ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალებზე, მაგალითად ისეთებზე, როგორცაა მუნიციპალური ცენტრები ან უფრო მჭიდროდ დასახლებული ლოკაციები, სადაც სს „სილქნეტი“ და ახალი ქსელები არიან წარმოდგენილი, ან საქართველოს სოფლები, სადაც შპს „სქაიტელი“ და სხვა მცირე ადგილობრივი ოპერატორები ოპერირებენ. შესაბამისად, დასახლებაში მხოლოდ ორი ქსელის არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მიუთითებდეს მდგრადი კონკურენციის სავარაუდო განვითარებაზე, შესაძლო ჰორიზონტალური კოორდინირებული ან არაკოორდინირებული შემზღვეველი ეფექტის გამო, რასაც ასახავს, მაგალითად, ბაზარზე სიდიდით მეორე ოპერატორის (სს „სილქნეტი“) პოლიტიკა ნაკლებად შევიდეს კონკურენციაში შპს „მაგთიკომთან“. სამი ან მეტი ოპერატორის შემთხვევაში ასეთი ეფექტი გაცილებით ნაკლებად მოსალოდნელია და ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ ბაზრის მეორე და მესამე მოთამაშეები შპს „მაგთიკომის“ საბაზრო პოლიტიკას გაჰყვებიან.

კონკურენტული თვალსაზრისით ორი და სამი ოპერატორის არსებობას შორის განსხვავება მნიშვნელოვანია, რადგან ერთ-ერთი კონკურენტი მაინც იძულებულია განახორციელოს ინოვაცია და უზრუნველყოს უკეთესი სერვისები FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების წილის შესანარჩუნებლად ან მისი გაზრდის მიზნით, თუმცა არც 4 ან მეტ ქსელის არსებობა მიიჩნევა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოცემულობად 3 ქსელის არსებობის შემთხვევაში არსებულ მოცემულობასთან შედარებით.

ii. შესაბამისი მომხმარებელთა ბაზის განაწილება დასახლებების მიხედვით

ერთი კრიტერიუმი მხოლოდ 3 ან მეტი ქსელის ზღვრის გამოყენება არ იქნება საკმარისი, მით უმეტეს, რომ მეორე და მესამე ოპერატორები შპს „მაგთიკომზე“ ბევრად მცირეა. დამატებითი კრიტერიუმები შეიძლება მოიცავდნენ თითოეული ოპერატორის ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების წილს ან დაფარვას (დაფარული ფართების რაოდენობას) თითოეული ოპერატორის მიერ. ფართოზოლოვანი ინტერნეტის აბონენტების კრიტერიუმი ზომავს საცალო დონზე არსებული კონკურენციის რეალურ დონეს, ხოლო დაფარვის კრიტერიუმი ზომავს პოტენციური კონკურენციის დონეს.

თუ გამოყენებული იქნება მომხმარებელთა შესაბამის რაოდენობასთან დაკავშირებული დამატებითი კრიტერიუმი, ეს გულისხმობს შპს „მაგთიკომისა“ და მისი კონკურენტების მომხმარებელთა რაოდენობის შედარებას. დაფარვის მონაცემები კი მიუთითებს, თუ რამდენად მოსალოდნელია, რომ გადაილახოს მაღალი სიჩქარის ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე შესვლის ბარიერი ამა თუ იმ დასახლებაში.

1. შპს „მაგთიკომის“ ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო აბონენტების რაოდენობა

დასახლებაში, სადაც შპს „მაგთიკომი“ ემსახურება საცალო ფართოზოლოვანი მომხმარებლების 40%-ზე ნაკლებს, მისი სტიმული, ხელი შეუშალოს საბითუმო დაშვებას, უფრო შეზღუდული იქნება

და კომერციული პირობებით მოლაპარაკების სტიმული იქნება უფრო დიდი. თუ შპს “მაგთიკომს” აქვს 50%, მაშინ არსებობს მრავალი შესაძლო კომბინაცია, რომელიც არ არის კონკურენტუნარიანი, მაგალითად 50%-40%-10% წილობრივი გადანაწილება აჩვენებს, რომ შპს “მაგთიკომისა” და მისი უახლოესი კონკურენტის გარდა, არცერთ სხვა ოპერატორს არ შეუძლია მიაღწიოს FTTx ფართოზოლოვანი ქსელის მნიშვნელოვან წილს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შესაძლო ჰორიზონტალური კოორდინაციის შემზღუდავი ეფექტი ორ დიდ ოპერატორს შორის. 50%-30%-20% წილობრივი გადანაწილების შემთხვევაში შპს “მაგთიკომის” წილი თითქმის ორჯერ აღემატება მის უახლოეს კონკურენტს. თუ შპს “მაგთიკომს” აქვს 40%, მაშინ FTTx ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტების მიხედვით წილების შესაძლო განაწილება ბევრად უფრო კონკურენტუნარიანია, მაგალითად 40%-40%-20% და 40%-30%-30% აჩვენებს, რომ ტერიტორია კონკურენტულია.

იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ოპერატორის ბაზრის წილი აღემატება შპს “მაგთიკომის” წილს FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მიხედვით საცალო ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის ბაზარზე, რომელიმე კონკრეტულ დასახლებაში, ეს გარემოება ყველა შემთხვევაში არ მიუთითებს ალტერნატიული ოპერატორის დომინირებაზე აღნიშნულ დასახლებაში ისე, რომ აიძულოს შპს “მაგთიკომი” შეცვალოს თავისი პოლიტიკა. შპს “მაგთიკომს” აქვს ძლიერი ეროვნული პოზიცია და არ განასხვავებს თავის ფასებს იმ დასახლებებში, სადაც მას არ გააჩნია FTTx ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტების ყველაზე მაღალი წილი.

2) მეორე და მესამე FTTx ოპერატორების ბაზრის წილი აბონენტების მიხედვით

იმ დასახლებებში, სადაც მეორე და მესამე ოპერატორმა (შპს “მაგთიკომის” გარდა) შეძლო მიეღწია ამ დასახლებაში FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მინიმუმ 10%⁶⁵ - იანი წილისთვის (რაც ასახავს ქსელის დაფარვას, ვთქვათ, ამ დასახლების 20%-ზე მეტ ფართობში) და შპს “მაგთიკომის” FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების წილი ამ დასახლებაში არ არის 40%-ზე მეტი, მივიჩნევთ, რომ არსებობს გონივრული შესაძლებლობა, რომ მეორე და მესამე ოპერატორებმა გააფართოვონ საკუთარი ქსელები, თუნდაც მარეგულირებელი მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში. მეორე და მესამე ოპერატორების FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მცირე წილი (10%-ზე ქვემოთ) აჩვენებს, რომ ტერიტორია ნაკლებად სავარაუდოა, რომ იყოს კონკურენტული, ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში.

FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების წილი 10%-ზე ნაკლები მესამე ოპერატორისთვის ნიშნავს, რომ მას არ აქვს საკმარისი გავლენა დასახლებაში. უფრო მაღალი (მაგალითად 15%) ზღვრის დაწესება FTTx ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტების წილის მიხედვით არსებითად არ შეცვლის საბაზრო პირობებს, მაგრამ შეამცირებს პოტენციურად კონკურენტული დასახლებების რაოდენობას.

აქედან გამომდინარე, შემდეგი სამი ძირითადი კრიტერიუმი კუმულატიურად უნდა დაკმაყოფილდეს, რათა კონკრეტული დასახლება იქნეს მიჩნეული კონკურენტულ დასახლებად. წინააღმდეგ შემთხვევაში დასახლება მიჩნეულ იქნება არაკონკურენტულად შპს “მაგთიკომის” მიმართ პროპორციული მარეგულირებელი ვალდებულებების არარსებობის პირობებში:

- i. 3 ან მეტი აქტიური FTTx ქსელის ოპერატორის არსებობა შესაბამის დასახლებაში.

⁶⁵ 10%-იანი ბარიერი წარმოდგენილია ევროკავშირის კონკურენციის კანონიდან (მუხლი 101(1) TFEU - (შემზღუდავი ხელშეკრულებების აკრძალვა), რომლის მიხედვითაც კონკურენტებს შორის შეთანხმებები, რომელთა საერთო ბაზრის წილი არ აღემატება 10%-ს, ითვლება, რომ არ აქვს შესაძენი გავლენა კონკურენციაზე. ანალოგიურად, მესამე ოპერატორის ბაზრის წილი აბონენტების მიხედვით (<10%-ზე) დასახლების დონეზე არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად მნიშვნელოვანად, რათა დავასკვნათ, რომ დასახლება კონკურენტუნარიანია.

- ii. შპს “მაგთიკომის” წილი FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტებში 40%-ზე ნაკლებია.
- iii. მეორე და მესამე ოპერატორთაგან (FTTx ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტების წილის მიხედვით) თითოეული ემსახურება FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობის მინიმუმ 10%-ს.

გარდა ამისა, გეოგრაფიულ სეგმენტაციისთვის გამოყენებული იქნება შემდეგი დამატებითი კრიტერიუმები:

- ა) დასახლებების ზომა მოსახლეობის მიხედვით
- ბ) FTTx ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტების შესაბამის წილებთან დაკავშირებული ტენდენციები
- გ) ქსელების დაფარვა დაფარული ფართების მიხედვით

ა) დასახლების ზომა

ზემოთ მოყვანილი ძირითადი კუმულატიური კრიტერიუმების გამოყენებასთან ერთად მნიშვნელოვანი ფაქტორია დასახლების ზომა. დამატებით ყურადღებას საჭიროებს 100,000-ზე მეტი მაცხოვრებელით დასახლებული გეოგრაფიული არეალები. საქართველოში ამ ზომის ოთხი დასახლებაა. დიდი დასახლებების დაფარვა ვერ განხორციელდება ერთი FTTx ოპტიკური განაწილების წერტილით. შესაბამისად, ზოგიერთი პატარა ქსელის ოპერატორი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ამ ქალაქების მხოლოდ ნაწილში, მაგალითად, ქალაქის ცენტრში. მთელი ქალაქის FTTx-ით დასაფარად საჭირო იქნება მნიშვნელოვანი დამატებითი ინვესტიციები. თუ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორზე არ ვრცელდება მარეგულირებელი მექანიზმები, ინვესტირების სტიმული შეიძლება მნიშვნელოვნად შეიზღუდოს მცირე ოპერატორებისთვის, რომელთაც სურთ თავიანთი აბონენტთა ბაზის გაფართოება ქალაქის დარჩენილ რაიონებში.

კიდევ ერთი ასპექტია აბონენტების განაწილება ყველაზე დიდ დასახლებებში. FTTx ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტების 10%-იანი წილი შეიძლება მიღწეული იყოს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ოპერატორი იმყოფება მხოლოდ ქალაქის ნაწილში, მაგალითად, გარეუბანში. ევროკავშირში მარეგულირებლებს, როგორც წესი, აქვთ წვდომა დეტალურ ინფრასტრუქტურულ მონაცემებზე, რომლებიც მოიცავენ ქსელის დასრულების წერტილებს ყველა შენობაში. ამ მონაცემებით შესაძლებელია თითოეულ გეოგრაფიულ არეალში კონკურენციის პირობების შეფასება. მიმდინარე ეტაპზე მონაცემები ამგვარი დეტალიზაციით საქართველოში ხელმისაწვდომი არ არის. ოთხ დასახლებაში, სადაც 100 000-ზე მეტი მოსახლეა, შესაძლოა თითოეულ FTTx ოპერატორს ჰქონდეს დაფარვის სხვადასხვა მახასიათებლები თითოეულ ქალაქში.

მოსახლეობის განაწილება (საქსტატის მონაცემების გამოყენებით) საქართველოს დასახლებებში ასეთია:

- თბილისი 1 000 000-ზე მეტი მოსახლეობის რაოდენობით
- სამი ქალაქი მოსახლეობის რაოდენობით 100,000-დან 200,000-მდე (ბათუმი, ქუთაისი და რუსთავი)
- დასახლებები 50,000 და ნაკლები მოსახლეობით⁶⁶.

⁶⁶ არ არსებობს დასახლებები 10,000-დან 50,000-მდე მოსახლეობით

იმისათვის, რომ ერთი ოპერატორი მოემსახუროს 10,000 აბონენტის პოტენციურ ბაზას, როგორც წესი, ამისათვის საჭიროა ერთი ოპტიკური განაწილების წერტილი. დასახლებაში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 100,000-ს (დაახლოებით 40,000 ოჯახი) აღემატება, ოპერატორს FTTx ქსელების მოსაწყობად უფრო მეტი ოპტიკური განაწილების წერტილის გამოყენება დასჭირდება, სადაც თითოეული მოემსახურება დასახლების სხვადასხვა ნაწილს.

უმსხვილესი დასახლებების შემთხვევაში (ამ ანალიზის მიზნებისთვის ეს ნიშნავს დასახლებებს 100,000-ზე მეტი მოსახლეობით) ოპერატორი, რომელიც წარმოდგენილია ოპტიკური დისტრიბუციის წერტილით ქალაქის ერთ ნაწილში, არ არის აუცილებელი წარმოდგენილი იყოს ქალაქის სხვა ნაწილში. ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელია უმსხვილესი დასახლებების ზოგიერთი ნაწილი განსხვავებული კონკურენტული პირობებით ხასიათდებოდეს, ვიდრე სხვა ნაწილები. საქართველოში 100 000-ზე მეტი მოსახლით 4 ქალაქია წარმოდგენილი. შესაბამისად, ასეთი დასახლებული პუნქტები ცალკე უნდა გაანალიზდეს იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების ძირითადი ჯგუფი კუმულატიურად არის დაკმაყოფილებული (სამი ან მეტი FTTx ქსელი, შპს “მაგთიკომის” წილი FTTx ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტებში 40%-ზე ნაკლებია, მეორე და მესამე ოპერატორების ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტების წილი თითოეულისთვის არის მინიმუმ 10%.)

ბ) FTTx ტექნოლოგიის ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების წილების ტენდენცია დასახლებებში

დაახლოებით 20,000 მოსახლით დასახლებულ პუნქტებში მოიაზრება რომ აბონენტების მაქსიმალური რაოდენობა დაახლოებით 8,000 შეიძლება იყოს. ამ დასახლებებში (ან უფრო დიდ დასახლებებში) ტენდენციები შეიძლება გონივრულად შეფასდეს, რადგან მცირე, შემთხვევითი ცვლილებები გავლენას ვერ მოახდენს კონკურენტუნარიანობის განსაზღვრაზე.

კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად მომავლის პერსპექტივის გათვალისწინებით, ტენდენციები უნდა გაანალიზდეს მინიმუმ 20,000 მოსახლეზე მეტი დასახლებებისთვის. თუ მომდევნო 3 წლის განმავლობაში ეს დასახლებები კონკურენტუნარიანობისკენ იქნება მიდრეკილი, ეს ნიშნავს, რომ შპს “მაგთიკომის” წილი FTTx ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტებში უნდა ჩამოვიდეს 40%-ზე დაბლა და მინიმუმ ორი სხვა ოპერატორი უნდა იყოს წარმოდგენილი FTTx ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტების მინიმუმ 10%-იანი წილით. თუ ეს ასეა, დასახლება შეიძლება ჩაითვალოს პირობითად კონკურენტულიდ.

2. FTTx ქსელის დაფარვა (დაფარული ფართები)

დასახლების კონკურენტუნარიანობის შეფასება ასევე შესაძლებელია FTTx ოპერატორების მიერ დაფარული ფართების რაოდენობისა და მომავალში ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმების გათვალისწინებით. ვინაიდან (ამ ეტაპზე თეორიული) პირობები, რომ დასახლება იყოს კონკურენტული, არის ის რომ შპს “მაგთიკომის” წილი FTTx ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტებში უნდა იყოს 40%-ზე ნაკლები და არსებობდეს მინიმუმ ორი სხვადასხვა FTTx ოპერატორი თითოეული FTTx ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტების წილით მინიმუმ 10%, შეიძლება დავასკვნათ, რომ სხვა ოპერატორებს შეუძლიათ კონკურენცია გასწიონ ბაზრის 60%-ისთვის. იმ შემთხვევაში თუ კონკურენტების ქსელები ფარავენ ფართების 60%-ზე ნაკლებს, მაშინ მათი ქსელის დაფარვის გაფართოება შესაძლებელია მხოლოდ მნიშვნელოვანი დამატებითი ინვესტიციებით. შესაბამისად, უნდა ჩაითვალოს, რომ მინიმალური (კუმულატიური) თეორიული კრიტერიუმებია:

- შპს “მაგთიკომის” უმსხვილესი კონკურენტის FTTx ქსელის დაფარვა უნდა მოიცავდეს დასახლების დონეზე არსებული ფართების მინიმუმ 50%-ს და

- სხვა ოპერატორს უნდა გააჩნდეს მინიმუმ 10% FTTx ქსელის დაფარვა (მეორე და მესამე ოპერატორებს ერთად უნდა გააჩნდეთ 60%). 10%-ზე დაბალი დაფარვის მქონე ოპერატორს, ერთი შეხედვით, არ გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა კონკურენციაზე, რადგან მას საბითუმო დაშვების შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში არ შეუძლია საფრთხე შეუქმნას შპს “მაგთიკომის” საბაზრო პოზიციას.

თუმცა, ეს თეორიული მინიმალური მაჩვენებლები ნაკლებად სავარაუდოა, რომ იმუშავებს პრაქტიკაში, რადგან ოპერატორისთვის შეუძლებლად ითვლება ყველა დაფარული ფართის ჩართვა და (FTTx ოპერატორებს შორის ქსელის დაფარვის სავარაუდო გადაფარვის გამო), შესაბამისად, ზღვრები უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად:

- შპს “მაგთიკომის” უმსხვილესი კონკურენტის FTTx ქსელი უნდა ფარავდეს დასახლებაში არსებული ფართების მინიმუმ 80%-ს და
- სხვა ოპერატორს უნდა გააჩნდეს მინიმუმ 20% FTTx დაფარვა (მეორე და მესამე ოპერატორებს ერთად უნდა გააჩნდეთ 80%-დან 100%-მდე დაფარვა)

FTTx ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტების წილისა და ქსელის დაფარვის ამ ძირითადი (კუმულატიური) კრიტერიუმების გარდა, უნდა იქნეს გამოყენებული შემდეგი დამატებითი კრიტერიუმები, გარკვეული სპეციფიკური დასახლებების კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად:

- a) დასახლების ზომა შეადგენს 100 000 მოსახლეზე მეტს
- b) ბაზრის ტენდენციები აჩვენებს, რომ დასახლება 20 000-ზე მეტი მოსახლეობით, მიდრეკილია კონკურენტუნარიანობისკენ FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების წილის დადგენილი ზღვრების დაცვით მომდევნო სამი წლის განმავლობაში: შპს “მაგთიკომის” წილი FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტებში 40%-ზე ნაკლებია და მესამე უმსხვილესი კონკურენტის წილი დასახლების დონეზე მინიმუმ 10%-ია.
- c) FTTx ინფრასტრუქტურის დაფარვა (დაფარული ფართების წილი) აღწევს მინიმუმ 80%-ს სიდიდით მეორე ოპერატორისთვის და 20%-ს მესამესთვის.

9.3 კრიტერიუმების რისკის შეფასება

ზემოთ აღწერილ კრიტერიუმებს აქვს თავისი შეზღუდვები, რომლებიც შეფასებულია ამ ნაწილში. ზოგიერთი შეზღუდვა გავლენას ახდენს ბაზრის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილზე და ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდვები შეიძლება დაიდლოს დამატებითი კრიტერიუმების გამოყენებით.

9.3.1 დასახლებები, სადაც არ არის წარმოდგენილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი, არ ექცევა კვლევის ფარგლებში

დასახლებები FTTx ქსელების გარეშე არ განიხილება მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის ბაზრის ნაწილად. სხვა ტექნოლოგიების არსებობის შემთხვევაში, საბაზისო ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის ბაზარი ჩაითვალა კონკურენტუნარიანად და შესაბამისად, არ საჭიროებს წინასწარ რეგულირებას.

დასახლებების გარკვეულ ნაწილში, სადაც არ არსებობს რომელიმე ტრანზიტული (Backhaul) ქსელის ოპერატორი, ოუფენ ნეტი (დაფინანსებულია ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის სახელმწიფო პროგრამის მიერ) უზრუნველყოფს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის Backhaul კავშირს. ამ უფრო შორეულ სოფლებში, შპს “მაგთიკომი”, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ოპერატორი, შეძლებს გააფართოვოს თავისი ეროვნული დაფარვა FTTx ქსელების მოწყობით.

9.3.2 დასახლებები, სადაც სხვა ოპერატორებს შპს “მაგთიკომზე” მეტი FTTx აბონენტი ჰყავთ

დასახლებებში, სადაც შპს “მაგთიკომის” წილი FTTx ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტებში 40%-ზე ნაკლებია ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი ბაზარზე, ითვლება, რომ შპს “მაგთიკომი” არ არის წამყვანი ოპერატორი ამ დასახლებაში აბონენტების მიხედვით არსებული ბაზრის წილებიდან გამომდინარე.

დასახლებებში, სადაც შპს “მაგთიკომი” წარმოდგენილია, მისთვის შედარებით ადვილია დაფარვის გაფართოება, რადგან მან უკვე მოაწყო ტრანზიტული (Backhaul) ქსელი და ოპტიკური სადისტრიბუციო წერტილი FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების დასახლებაში გასავრცელებლად. ამიტომ მიჩნეულია, რომ არ არსებობს მიზეზი, რის გამოც შპს “მაგთიკომი” უნდა გათავისუფლდეს საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების წინასწარი ვალდებულებისგან იმ დასახლებებში, სადაც შპს “მაგთიკომი” იმყოფება, მაგრამ FTTx ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტების მიხედვით 40%-ზე ნაკლები წილი აქვს.

არსებობს 13 დასახლება, ჯამში 260,986 მოსახლეობით, სადაც შპს “მაგთიკომის” წილი ფართოზოლოვანი ქსელის აბონენტებში 40%-ზე ნაკლებია, ხოლო სს “სილქნეტის” - 50%-ზე მეტი. ერთ-ერთი მათგანია ბათუმი - 152,839 მოსახლეობით, რომელიც იმის გამო, რომ მისი მოსახლეობა 100,000-ს აღემატება, საჭიროებს ინდივიდუალური მიდგომით შეფასებას (იხ. თავი 9.2). დანარჩენ 12 დასახლებაში სულ 108,147 მოსახლეა, რაც საქართველოს მოსახლეობის 3%-ზე ნაკლებია. ამ დასახლებებშიც კი, შპს “მაგთიკომის” მიერ დაფარული ფართების რაოდენობა (37,845) თითქმის უტოლდება კონკურენტი სს “სილქნეტის” მიერ დაფარული ფართების რაოდენობას (41,446) და ამიტომ ითვლება, რომ შპს “მაგთიკომს” FTTx ქსელის გაფართოება შედარებით მარტივად შეუძლია.

9.3.3 დასახლებებში, სადაც შპს “მაგთიკომი” არ არის წარმოდგენილი, მაგრამ არსებობენ სხვა FTTx ოპერატორები

ცხრილი 62 იმ დასახლებების შეფასება, სადაც შპს “მაგთიკომი” არ არის წარმოდგენილი, მაგრამ არიან სხვა ოპერატორები

ყველაზე მსხვილი ოპერატორი	დასახლებების რაოდენობა	მოსახლეობა	შინამეურნეობა	FTTx აბონენტების რაოდენობა
სილქნეტი	2	501	192	2
სქაიტელი	108	60,326	19,072	6,854
ახალი ქსელების ჯგუფი	1	547	166	33
სხვა	281	153,384	41,462	21,936
ჯამი	392	214,758	60,892	28,825
ეროვნული ბაზრის %	10.7%	5.8%	4.9%	3.5%

წყარო: კომისიის მიერ ოპერატორებისგან გამოთხოვილი ინფორმაცია დაფარვის შესახებ და კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონული ფორმები

62-ე ცხრილში ნაჩვენებია დასახლებები წარმოადგენს საქართველოს ბაზრის მხოლოდ მცირე ნაწილს (მოსახლეობის 5.8%). ამ დასახლებების დაახლოებით 72% (281 დასახლებული პუნქტი 392-დან) დაფარულია მცირე, დამოუკიდებელი ოპერატორების მიერ („სხვა“ ცხრილი 62-ში). 60,326 მოსახლეა წარმოდგენილი დასახლებებში, სადაც შპს „სქაიტელი ყველაზე“ დიდი ოპერატორია. სს „სილქნეტი“, როგორც სიდიდით მეორე ეროვნული ოპერატორი საქართველოში, წარმოდგენილია

მხოლოდ 2 (ძალიან მცირე) დასახლებაში, სადაც შპს “მაგთიკომი” არ არის წარმოდგენილი. ახალი ქსელების ჯგუფი ყველაზე დიდი ოპერატორია მხოლოდ ერთ დასახლებაში.

მცირე ოპერატორები („სხვა“) ძალიან განსხვავებული ჯგუფია. ისინი ვერ უზრუნველყოფენ შპს “მაგთიკომის” რაიმე კონკურენტულ შეზღუდვას ამ ბაზრის ანალიზის მომავლზე ორიენტირებულ პერსპექტივაში. მაშინაც კი, თუ ამ მცირე მოთამაშეებს შორის მნიშვნელოვანი კონსოლიდაცია მოხდებოდა, დასახლებების რაოდენობა და მოსახლეობა, რომლებშიც ისინი ლიდერ ოპერატორებს შორის არიან, არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ აიძულონ შპს “მაგთიკომი” შეცვალოს ეროვნულ დონეზე მარკეტინგისა და ფასების სტრატეგია, რათა კონკურენცია გაუწიოს ამ მცირე მოთამაშეების შეთავაზებებს. შპს „სქაიტელს“ ჰყავს მხოლოდ 6,854 FTTx აბონენტი იმ დასახლებებში, სადაც ის ამჟამად არის ყველაზე დიდი FTTx ოპერატორი, რაც წარმოადგენს ეროვნული საცალო FTTx-ზე დაფუძნებული ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის ბაზრის 1%-ზე ნაკლებს. ასევე არსებობს 15 დასახლება (სადაც შპს “მაგთიკომი” არ არის წარმოდგენილი) ორი FTTx ოპერატორით. ეს 15 დასახლება მოიცავს მხოლოდ 9,474 მოსახლეს, 1,672 აბონენტით, რაც წარმოადგენს საქართველოში FTTx ფართოზოლოვანი ინტერენტ მომსახურების მთლიანი აბონენტების მხოლოდ 0,17%-ს.

იქიდან გამომდინარე, რომ შპს „მაგთიკომის“ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების სტატუსი განსაზღვრულია საბაზრო სეგმენტზე რომლის გეოგრაფიულ ბაზრად მიჩნეულ იქნა საქართველო, მივიჩნევთ, რომ *წინასწარი* მარეგულირებელი ვალდებულებების დაწესება სხვა უფრო დიდ ოპერატორზე კონკრეტულ დასახლებაში, სადაც შპს “მაგთიკომის” წილი FTTx ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტებში 40%-ზე ნაკლებია, არ არის განსახილველი.

შეჯამების სახით, *წინასწარი* მარეგულირებელი ვალდებულებები უნდა იყოს გამოყენებული მხოლოდ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორზე, ამ შემთხვევაში შპს “მაგთიკომზე” ეროვნულ დონეზე. არსებობს დასახლებები, სადაც შპს “მაგთიკომი” არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ამ დასახლებების გამოყოფა ეროვნული ბაზრიდან და ამ დასახლებების ცალკე ბაზრებად განსაზღვრა არ იქნება პროპორციული. ერთის მხრივ იმიტომ, რომ ეს დასახლებები წარმოადგენს FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი დაშვებისთვის ეროვნულად განსაზღვრული საბითუმო ბაზრის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს და მეორეს მხრივ იმ მიზეზით, რომ ამ მცირე ოპერატორებზე დაშვების ვალდებულებების დაწესება არ გააუმჯობესებს ბაზრის საერთო კონკურენციის დონეს. უფრო მეტიც, თუ მარეგულირებელი დაშვების ვალდებულებები გამოყენებული იქნებოდა რომელიმე მცირე მოთამაშეზე, ეს შეიძლება იყოს ხელისშემშლელი საშუალება მათი ქსელებისა და სერვისების შემდგომი გაფართოებისთვის.

9.3.4 არასაკმარისად დეტალური მონაცემებით გამოწვეული რისკები

დაფარვის შეფასება იქნება სრულიად ზუსტი, თუ FTTx ქსელზე დაშვების მქონე ყველა ფართი ჩაიწერება ეროვნულ ინფრასტრუქტურულ მონაცემთა ბაზაში. დაფარვის შესახებ ზუსტი მონაცემები საქართველოში ჯერ არ არის ხელმისაწვდომი. სხვა ქვეყნებში ქსელის დაფარვის მონაცემების შედგენის პროცესი შრომატევადია და მიმდინარეობს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ასეთი მონაცემთა ბაზები იყენებს გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) მონაცემებს და ასევე უნდა იყოს შერწყმული სხვა წყაროების მონაცემებთან, როგორცაა მოსახლეობის აღწერის მონაცემები და ეროვნული კადასტრი.

ამ ბაზრის ანალიზისთვის არჩეული გეოგრაფიული სეგმენტაციის ერთეული არის საქართველოს დასახლებები, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ. ითვლება, რომ თითოეული დასახლების ფარგლებში ოპერატორის FTTx ქსელი არ არის თანაბრად განაწილებული. GPON-ის ქსელის არქიტექტურამ შეიძლება მიაღწიოს თეორიულ

მაქსიმუმს დაახლოებით 16 კმ-მდე ⁶⁷ოპტიკური განაწილების წერტილიდან. თბილისის დასახლებად განსაზღვრული ტერიტორია ძალიან დიდია და აქ მოსახლეობის რაოდენობა ძალიან დიდია იმისთვის, რომ მას მოემსახუროს FTTx ქსელის არქიტექტურა, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ ერთ ლოკაციაზე. სხვა დიდი ქალაქები (ბათუმი, ქუთაისი და რუსთავი) უფრო პატარაა და თეორიულად შეიძლება დაიფაროს ერთი ცენტრალური ადგილიდან. მაგრამ სინამდვილეში, ოპტიმალური დაფარვა მიუღწეველია, რადგან კაბელები არ შეიძლება განლაგდეს ოპტიმალური გეოგრაფიული დიზაინით.

არ არის ცნობილი რამდენად ფარავს თითოეული ოპერატორის FTTx ქსელი (ფართების დონეზე მონაცემების გარეშე) ერთმანეთს უმსხვილეს ქალაქებში. მაგალითად, შესაძლებელია, რომ ზოგიერთ ფართში, რამდენიმე FTTx ქსელი იყოს ხელმისაწვდომი, ხოლო სხვა შენობაში იმავე ქალაქში, შეიძლება სრულიად არ იყოს ხელმისაწვდომი FTTx დაფარვა. მცირე დასახლებებში მიჩნეულია, რომ კონკურენტული პირობები დასახლებების დონეზე ერთგვაროვანია, რადგან არსებული FTTx ოპერატორისთვის შედარებით ადვილი იქნება ქსელის დაფარვის გაფართოება დასახლებაში. ამგვარად, დასახლებაში არსებული კონკურენტული პირობები შეიძლება გაანალიზდეს და ჩაითვალოს ერთგვაროვანად და საჭიროების შემთხვევაში, მათზე გამოყენებული იქნეს ერთი მარეგულირებელი ვალდებულება. აქედან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ ამ ერთგვაროვნების პრინციპის გამოყენებისას უდიდეს ქალაქებზე (100,000-ზე მეტი მოსახლეობით) ერთი მარეგულირებელი ვალდებულების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს დიფერენცირებული გავლენა ქალაქის სხვადასხვა ნაწილში. საქართველოში 100 000-ზე მეტი მოსახლეობით 4 ქალაქია წარმოდგენილი, სადაც შესაძლოა ეს პრობლემა წარმოიშვას. ამ უმსხვილეს ქალაქებთან დაკავშირებით დეტალური (შენობის დონის) მონაცემების არარსებობის გამო, ბაზრის ამ ანალიზის პროცესში, ამ ქალაქებში კონკურენტული პირობების გაანალიზებისას საწყის ეტაპზე საჭირო იქნება სპეციალური კრიტერიუმების გათვალისწინება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომი ბაზრის ანალიზისთვის არის მოსალოდნელი კომისიას ჰქონდეს შესაძლებლობა გამოიყენოს დამატებით მონაცემები FTTx ქსელის დაფარვისა და გადაფარვების შესახებ თითოეულ დასახლებაში შენობის დონეზე (სახლის მისამართები), მათ შორის მონაცემები უფრო დეტალურ დონეზე ამ ქალაქებში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ შეუძლებელია დიფერენცირებული მარეგულირებელი ვალდებულებების გამოყენება დიდი დასახლების ფარგლებში დეტალიზაციის უფრო მაღალი დონის გარეშე და შესაბამისად, შერჩეული მიდგომა დასახლებების კონკურენტულობის შეფასებისა და სპეციფიკური ვალდებულებების განსაზღვრის თვალსაზრისით მიიჩნევა ოპტიმალურად.

9.3.5 არაზუსტი მონაცემებით გამოწვეული რისკი

FTTx ქსელის დაფარვის ანალიზის დროს გამოყენებულ იქნა რიგი მონაცემები (მონაცემები აბონენტების შესახებ, დაფარული ფართები და მოსახლეობის მონაცემები). ზოგიერთი მონაცემი გამომდინარეობს შეფასებებიდან, რომელიც ეფუძნება წარსულ მონაცემებს (შინამეურნეობების რაოდენობა). ამასთან, ქსელის დაფარვის შესახებ მონაცემები პირველად შეგროვდა კომისიის მიერ და გაცილებით რთულია მისი შემოწმება.

კონკურენციის შეფასებისას გამოყენებული ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემი ეფუძნება FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების რაოდენობას FTTx ოპერატორებისთვის თითოეულ დასახლებაში. აბონენტების რაოდენობასთან დაკავშირებული ეს

⁶⁷ <https://en.wikipedia.org/wiki/GPON>

მონაცემები გროვდებოდა მრავალი წლის განმავლობაში კომისიის მიერ და შეიძლება ჩაითვალოს ზუსტ მონაცემად. ამ მიზეზით, დაფარვის მონაცემები გამოიყენება მხოლოდ კონკურენციის გეოგრაფიული ანალიზის დამატებით კრიტერიუმად და უპირატესობა ენიჭება FTTx აბონენტების რაოდენობასთან დაკავშირებულ მონაცემებს.

9.3.6 დასკვნა

დასახლება მიჩნეული იქნება კონკურენტულად, თუ ანალიზის შედეგად გამოვლინდება, რომ დასახლებაში ახალმა შემსვლელმა ეკონომიკურმა აგენტმა და უფრო მცირე ოპერატორებმა ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში, შეიძლება წარმატებით აითვისონ და კონკურენცია გაუწიონ შპს „მაგთიკომს“. აღნიშნული პირობები მოსალოდნელია რომ შესრულდეს, თუ დაკმაყოფილდება შემდეგი კრიტერიუმები კუმულატიურად:

- i. დასახლების ფარგლებში არსებობს სამი FTTx ქსელის ოპერატორი
- ii. შპს „მაგთიკომის“ წილი FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მიხედვით 40%-ზე ნაკლებია
- iii. დასახლებაში ოპერირებს მინიმუმ ორი დამატებითი FTTx ქსელი, ხოლო თითოეულის ბაზრის წილი FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მიხედვით შეადგენს არანაკლებ 10%-ს

დასახლებებისთვის, სადაც ზემოაღნიშნული კუმულატიური კრიტერიუმები არ არის დაკმაყოფილებული, საჭიროებს დამატებითი შეფასებას, შესაფერისი და პროპორციული წინასწარი მარეგულირებელი ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით:

- a. დასახლებაში ოპერირებს სამი FTTx ქსელი, შპს „მაგთიკომის“ წილი FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მიხედვით 40% მეტია, მაგრამ სახეზეა ტენდენცია გახდეს 40%-ზე ნაკლები ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში, წარსულის სტაბილური ტენდენციის ექსტრაპოლაციის საფუძველზე.
- ბ. FTTx ქსელის დაფარვა: დასახლებაში წარმოდგენილია სამი ოპერატორი (შპს „მაგთიკომის“ ჩათვლით), აქედან შპს „მაგთიკომის“ კონკურენტ მინიმუმ ერთ ოპერატორს, გააჩნია დაფარული ფართების არანაკლებ 80%-ისა, ხოლო მეორეს დაფარული ფართების არანაკლებ 20%-ისა.

შემდგომი დამატებითი კრიტერიუმი გამოიყენება გაუმართლებელი დერეგულაციის თავიდან ასაცილებლად:

- გ. დასახლების ზომა არის 100,000 მოსახლეზე მეტი. ამ ზომის ოთხი ქალაქი ცალ-ცალკეა შეფასებული. თუ ძირითადი კუმულატიური კრიტერიუმები i., ii. და iii დაკმაყოფილებულია, ეს არ ნიშნავს, რომ ეს ქალაქები ფაქტობრივად კონკურენტუნარიანია მთელი ქალაქის მასშტაბით.

9.4 საქართველოს დასახლებების შეფასება თითოეული კრიტერიუმის გამოყენებით

განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც შეჯამებულია 9.3.6 თავში, განხორციელდა კონკურენციის შეფასება საქართველოს თითოეული დასახლების დონეზე. ამ შეფასების უპირველესი მიზანია, შპს „მაგთიკომზე“ გეოგრაფიულად დიფერენცირებული წინასწარი მარეგულირებელი ვალდებულებების განსაზღვრა. თითოეული დასახლებისთვის არჩეული სპეციფიკური ვალდებულებები (იხ. თავი 11) უნდა ეფუძნებოდეს კრიტერიუმებს, რომლებიც

გამოიყენება თითოეულ დასახლებაში ეფექტური კონკურენციის განსაზღვრისთვის და ვალდებულებები უნდა დაწესდეს დასახლებაში არსებული კონკურენციის დონის პროპორციულად.

წინასწარი მარეგულირებელი ვალდებულებების ეს სეგმენტაცია განხორციელდება ეტაპობრივად, თითოეული კრიტერიუმით შეფასება განხორციელდება ცალ-ცალკე, შემდეგ კი შედეგები შეფასდება კუმულატიურად.

9.4.1 კრიტერიუმი i.: დასახლებაში წარმოდგენილია სამი FTTx ქსელის ოპერატორი

პირველი კრიტერიუმი (დასახლებაში არსებული FTTx ქსელების რაოდენობის მიხედვით) სრულდება, თუ დასახლებაში წარმოდგენილია სულ მცირე სამი FTTx ქსელი და თითოეულზე დაერთებულია მინიმუმ ერთი აბონენტი. ვინაიდან საქართველოში FTTx ოპერატორებს შორის არ არსებობს საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ხელშეკრულებები, შესაბამისად არ არსებობენ ერთი ოპერატორის აბონენტები, რომლებიც დაკავშირებული არიან სხვა ოპერატორის ქსელთან. ამიტომ FTTx ქსელზე დაერთებული ერთი აბონენტის კრიტერიუმი საკმარისად ითვლება FTTx ქსელის ოპერატორის დასახლებაში ყოფნის შესაფასებლად. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქსელზე არ არის დაერთებული არც ერთი აბონენტი, ოპერატორის ქსელი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს დასახლებაში, მაგრამ ამ შემთხვევაში ითვლება, რომ ქსელი აბონენტის გარეშე ჯერ კიდევ არ ახდენს გავლენას კონკურენციაზე ამ შეფასების მიზნებისთვის.

I კრიტერიუმის მიხედვით, დასახლებები, რომლებშიც წარმოდგენილია სამზე ნაკლები FTTx ქსელის ოპერატორი, განიხილება არაკონკურენტულად. მაშინაც კი, თუ დასახლებაში წარმოდგენილია ორი FTTx ქსელის ოპერატორი, რადგან მაღალი ალბათობით არსებული ოპერატორების ქსელების გადაფარვა დაბალი იქნება ან გადაფარვა განხორციელდება დასახლების მხოლოდ შედარებით მცირე ნაწილში. ასეთ შემთხვევებში, საბოლოო მომხმარებლის არჩევანი შეზღუდულია.

შემდეგ ცხრილებში (ცხრილები 63-დან 65-მდე) წარმოდგენილია საცალო FTTx ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ სერვისების მოხმამარებლები.

ცხრილი 63 დასახლებების შეჯამება, სადაც იმყოფება სამზე ნაკლები FTTx ქსელის ოპერატორი

ოპერატორების რაოდენობა	დასახლებების რაოდენობა	შინამეურნეობების რაოდენობა	შეინამეურნეობების %	მოსახლეობა	ყველა ოპერატორის აბონენტები	შპს “მაგთიკომის” აბონენტები	ყველა ოპერატორის მიერ დაფარული ფართობი	შპს “მაგთიკომის” მიერ დაფარული ფართობი
2	182	110,539	8.8	360,059	68,059	50,943	174,522	114,540
1	767	200,842	16.0	696,003	88,393	66,929	164,715	133,611
SUM	949	311,381	24.9	1,056,062	156,452	117,872	339,237	248,151
0	2,611	191,442	15.3	636,235	0	0	861	667
TOTAL	3,560	502,823	40.2	1,692,297	156,452	117,872	340,098	248,818

წყარო: პასუხები კომუნიკაციების კომისიის დაფარვის შესახებ კითხვარზე

ცხრილი 63-დან ჩანს, რომ შპს “მაგთიკომს” გააჩნია FTTx ფართოზოლოვანი წვდომის მომხმარებლების საშუალოდ მაღალი წილი ორი ან მხოლოდ ერთი ოპერატორის მქონე დასახლებებში, 74.9% და 75.7% შესაბამისად. FTTx ფართოზოლოვანი წვდომის მომხმარებლების ეს წილი მნიშვნელოვნად აღემატება შპს “მაგთიკომის” ეროვნულ FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის ბაზრის წილს (54.7%).

დასახლებები, სადაც მხოლოდ I კრიტერიუმია შესრულებული, შეჯამებულია ქვემოთ

ცხრილი 64 დასახლებების შეჯამება სამი ან მეტი FTTx ქსელის ოპერატორის მონაწილეობით

ოპერატორების რაოდენობა	დასახლებების რაოდენობა	შინამეურნეობების რაოდენობა	შეინამეურნეობების %	მოსახლეობა	ყველა ოპერატორის აბონენტები	შპს “მაგთიკომის” აბონენტები	ყველა ოპერატორის მიერ დაფარული ფართები	შპს “მაგთიკომის” მიერ დაფარული ფართები
5	3	524,958	41.9	1,304,495	441,775	261,325	1,020,380	586,921
4	12	154,459	12.3	466,409	160,167	63,589	426,955	187,510
3	30	69,736	5.6	216,544	62,287	37,187	162,202	86,626
ჯამი	45	749,153	59.8	1,987,448	664,229	362,101	1,609,537	861,057

წყარო: პასუხები კომუნიკაციების კომისიის დაფარვის შესახებ კითხვარზე

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მხოლოდ 45 დასახლება სამი ან მეტი FTTx ქსელის ოპერატორით, ეს მოიცავს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას. უმეტეს შემთხვევაში, სამი ან მეტი ოპერატორი იმყოფება მოსახლეობის უდიდეს ცენტრებში. მცირე დასახლებები, რომლებზეც ოპერირებს სამი ან მეტი ქსელი, ძირითადად ტურისტული დასახლებებია.

შპს “მაგთიკომის” წილი FTTx ფართოზოლოვანი წვდომის მომხმარებლებში ამ 45 დასახლებაში მერყეობს 0%-დან 99%-მდე. სულ მხოლოდ 328 FTTx აბონენტია იმ დასახლებებში, სადაც შპს “მაგთიკომი” არ არის წარმოდგენილი სამ ან მეტი FTTx ოპერატორს შორის. მხოლოდ სამი (45-დან) დასახლებაა 3,639 მოსახლეობით, სადაც შპს “მაგთიკომის” წილი FTTx ფართოზოლოვანი წვდომის მომხმარებლებში 10%-ზე დაბალია. იმ დასახლებებში, სადაც შპს “მაგთიკომი” წარმოდგენილია 99%-იანი წილით, დანარჩენ ორ ან მეტი ოპერატორს თითოეულს მხოლოდ ძალიან ცოტა FTTx აბონენტი ჰყავს.

FTTx ქსელის ოპერატორების რაოდენობის კრიტერიუმის მიხედვით საქართველო შეიძლება დაიყოს კონკურენტუნარიანობის სამ კატეგორიად.

- დასახლებები სადაც ოპერირებს სამი ან მეტი FTTx ქსელის ოპერატორი – ისინი განიხილება, როგორც პოტენციურად კონკურენტუნარიანი დასახლებები
- დასახლებები, სადაც წარმოდგენილია FTTx ქსელის ერთი ან ორი ოპერატორი – ეს დასახლებები განიხილება, როგორც არაკონკურენტუნარიანი
- დასახლებები FTTx ქსელის ოპერატორების გარეშე

„კონკურენტუნარიანი ზონა“ განისაზღვრა (იხ. თავი 9.1), როგორც ტერიტორია, სადაც კონკურენტმა ქსელებმა შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდონ FTTx ფართოზოლოვანი წვდომის მომხმარებელთა წილი ამ დასახლებაში და შესაბამისად, გახდნენ ეფექტური კონკურენტები უკვე არსებული უფრო დიდი მოთამაშეებისთვის.

9.4.2 კრიტერიუმი ii.: შპს “მაგთიკომის” წილი FTTx ფართოზოლოვანი წვდომის მომხმარებელთა მიხედვით 40%-ზე დაბალია

მეორე კრიტერიუმი თეორიულად შეიძლება შესრულდეს მხოლოდ 2 ან მეტი FTTx ქსელის ოპერატორის მქონე დასახლებებში. ეს კრიტერიუმი თეორიულად არ ნიშნავს, რომ შპს “მაგთიკომი” მაინც ყველაზე დიდი ოპერატორია (მაგალითად, თუ FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების აბონენტების მიხედვით უმსხვილესი ოპერატორის ბაზრის წილი არის 35%, შპს “მაგთიკომი” წარმოდგენილია 33%-ით, ხოლო მესამე ოპერატორი 32%-ით). თუმცა საქართველოს დასახლებების ფარგლებში იქ სადაც შპს “მაგთიკომის” წილი FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების აბონენტების მიხედვით 40%-ზე დაბალია, შპს “მაგთიკომი” არ არის უმსხვილესი ოპერატორი დასახლებაში. დასახლებები, სადაც შპს “მაგთიკომი” საერთოდ არ არის წარმოდგენილი, ასევე მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

ცხრილი 65 დასახლებების შეჯამება, სადაც შპს “მაგთიკომის” წილი FTTx ფართოზოლოვანი ინტერნეტ სერვისების მომხმარებლების მიხედვით 40%-ზე ნაკლებია

ოპერატორების რაოდენობა	დასახლებების რაოდენობა	შინამეურნეობების რაოდენობა	შეინამეურნეობების %	მოსახლეობა	ყველა ოპერატორის აბონენტები	შპს “მაგთიკომის” აბონენტები	ყველა ოპერატორის მიერ დაფარული ფართები	შპს “მაგთიკომის” მიერ დაფარული ფართები
5	2	60,270	4.8%	195,778	58,588	22,413	147,529	79,270
4	4	103,573	8.3%	305,866	131,190	39,629	326,390	126,948
3	12	14,715	1.2%	49,977	13,403	4,009	33,104	13,740
2	57	18,553	1.5%	64,312	9,300	1,602	21,545	7,123
ჯამი	75	197,111	15.7%	615,933	212,481	67,653	528,568	227,081
1	375	57,966	4.6%	204,726	26,884	0	40,994	19
სულ	450	255,077	20.4%	820,659	239,365	67,653	569,561	227,100

წყარო: პასუხები კომუნიკაციების კომისიის დაფარვის შესახებ კითხვარზე

საქართველოში მოსახლეობის 16,7% ცხოვრობს დასახლებებში, სადაც შპს “მაგთიკომის” წილი FTTx ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტების მიხედვით 40%-ზე ნაკლებია. ამ მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს დასახლებებში სადაც ოპერირებს 3 ან მეტი FTTx ქსელის ოპერატორი.

საქართველოში არის მხოლოდ ერთი დასახლება (3 ან მეტი FTTx ქსელის ოპერატორით), სადაც შპს “მაგთიკომი” არ არის წარმოდგენილი. ეს არის დასახლება სადაც 328 მოსახლეა წარმოდგენილი და 35 FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტი.

არსებობს 57 დასახლებული პუნქტი (საერთო მოსახლეობით 18,553), სადაც მხოლოდ ორი FTTx ქსელის ოპერატორი არის წარმოდგენილი. ეს დასახლებები განიხილება, როგორც არაკონკურენტუნარიანი. ამ 57 დასახლებიდან მხოლოდ ორშია სს “სილქნეტი” წარმოდგენილი, როგორც უდიდესი FTTx ოპერატორი. ამ 57 დასახლებიდან 32-ში შპს “მაგთიკომის” მთავარი

კონკურენტი სხვა ოპერატორია (არა სს „სილქნეტი“). 32 დასახლებიდან 23-ში სქაიტელი არის ყველაზე დიდი FTTx ოპერატორი ორი ოპერატორიდან, ხოლო ამ 32 დასახლებიდან ერთ-ერთში ახალი ქსელებია ყველაზე დიდი ოპერატორი. ზოგადად ამ დასახლებებთან დაკავშირებით, სადაც მხოლოდ შპს “მაგთიკომი” და მეორე FTTx ოპერატორი არიან წარმოდგენილი, შპს “მაგთიკომმა” განაცხადა, რომ 100%-იანი დაფარვა გააჩნია FTTx ქსელით დაფარული შენობების თვალსაზრისით. იმ დასახლებებში, სადაც მხოლოდ ერთი FTTx ქსელის ოპერატორია წარმოდგენილი, მეორე კრიტერიუმი, რომელიც მოიცავს შპს “მაგთიკომის” მიერ FTTx ფართოზოლოვანი წვდომის მომხმარებლების 40%-ზე ნაკლები საბაზრო წილის ფლობას, არ მოქმედებს, რადგან შპს “მაგთიკომი” დასახლებაში არ არის წარმოდგენილი. დასახლებები, სადაც შპს “მაგთიკომი” არ არის წარმოდგენილი, გაანალიზებულია 9.3.3 თავში.

9.4.3 კრიტერიუმი iii.: სულ მცირე ორ ზომით მომდევნო ოპერატორს გააჩნია FTTx ფართოზოლოვანი წვდომის მომხმარებლების 10% და მეტი საბაზრო წილი

მესამე კრიტერიუმი მოითხოვს, რომ დასახლებებში, სადაც შპს “მაგთიკომია” წარმოდგენილი, არსებობდეს სულ მცირე ორი სხვა ოპერატორი, რომელთაგან თითოეულს ექნება მინიმუმ 10%-იანი ბაზრის წილი FTTx საცალო ფართოზოლოვანი წვდომის აბონენტების მიხედვით. ამრიგად, ეს კრიტერიუმი შეიძლება ეხებოდეს FTTx ქსელის სამ ოპერატორიან დასახლებას, რომელთაგანაც ერთ-ერთი შპს “მაგთიკომია” (მაგალითად 10%, 10%, 80%) და ასევე დასახლებას მხოლოდ ორი FTTx ოპერატორით და შპს “მაგთიკომის” გარშე (მაგალითად 50%, 50%). თუმცა, არსებობს მხოლოდ 10 დასახლება სადაც მხოლოდ ორი FTTx ოპერატორია და შპს “მაგთიკომი” არ არის წარმოდგენილი, 6,097 მოსახლეობით (იხ. ცხრილი 66)..

ცხრილი 66 დასახლებების შეჯამება, სულ მცირე, ორი სხვა FTTx ქსელის ოპერატორის მონაწილეობით და თითოეულის FTTx-ის მომხმარებლების მიხედვით 10% ან მეტი საბაზრო წილით

ოპერატორების რაოდენობა	დასახლებების რაოდენობა	შინამეურნეობების რაოდენობა	შინამეურნეობების %	მოსახლეობა	ყველა ოპერატორის აბონენტები	შპს “მაგთიკომის” აბონენტები	ყველა ოპერატორის მიერ დაფარული ფართები	შპს “მაგთიკომის” მიერ დაფარული ფართები
5	1	45,249	3.6%	147,635	44,049	16,707	110,507	60,296
4	4	59,429	4.7%	197,210	69,260	19,642	213,797	73,668
3	11	19,526	1.6%	63,117	14,212	6,404	48,598	19,197
2	10	1,858	0.1%	6,097	1,126	0	868	0
SUM	26	126,062	10.1%	414,059	128,647	42,753	373,770	153,161

წყარო: პასუხები კომუნიკაციების კომისიის დაფარვის შესახებ კითხვარზე

9.5 სამივე კუმულატიური კრიტერიუმის ერთად შეფასება


გეოგრაფიულ დონეზე კონკურენციის შეფასების ლოგიკური სქემის ალგორითმი ყველა კრიტერიუმის გამოყენებით ნაჩვენებია 67-ე სქემაზე. თითოეული კრიტერიუმი გამოიყენება თანმიმდევრულად ისე, რომ კუმულატიური შედეგი არის FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი დაშვების ბაზრის კონკურენტული პირობების გეოგრაფიული სეგმენტაცია, რომელიც მოიცავს ყველა დასახლებას, სადაც წარმოდგენილია FTTx ქსელი. შეფასების შედეგად მიღებული სამი

განსხვავებული შედეგი ასახავს სამი განსხვავებული დონის წინასწარი მარეგულირებელი ვალდებულების საჭიროებას, რომელთა კატეგორიზაცია ხდება შემდეგნაირად:

- სრული რეგულაცია
- მსუბუქი რეგულაცია
- მინიმალური რეგულაცია

ქვემოთ მოცემული სქემა მიზნად ისახავს განისაზღვროს გეოგრაფიული დასახლებები, სადაც სრული რეგულირება, მსუბუქი რეგულირება ან მინიმალური რეგულირება მიიჩნევა მიზანშეწონილად ეროვნული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის მიმართ. სადაც ბაზრის წილია (%) მითითებული დიაგრამაში, ეს ეხება FTTx ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო აბონენტების მიხედვით ბაზრის წილს დასახლებაში. სპეციფიკური ვალდებულებები ამ სამი დონისთვის განისაზღვრება მე-11 თავში.

სქემა 67 სქემა გეოგრაფიული სეგმენტაციის ანალიზისთვის



წყარო: კომუნიკაციების კომისიის კონსულტანტები

9.5.1 სამი ძირითადი კრიტერიუმი ერთად

ამ თავში სამი კრიტერიუმი ერთად არის გათვალისწინებული, მაგრამ მხოლოდ დასახლებებისთვის, სადაც კრიტერიუმი (i.) - დასახლებები, სადაც მინიმუმ სამი FTTx ქსელის ოპერატორია წარმოდგენილი - შესრულებულია. ვინაიდან სამივე კრიტერიუმი კუმულატიურად უნდა შესრულდეს, დასახლებები სადაც 3-ზე ნაკლები FTTx ქსელია წარმოდგენილი არ განიხილება კონკურენტულად და მათზე არ ხორციელდება დანარჩენი ორი ძირითადი კრიტერიუმის ან დამატებითი კრიტერიუმების ტესტირება. (იხ. თავი 9.2).

შემდეგ ცხრილებში ტერმინი „კონკურენტული“ ნიშნავს ტერიტორიას, სადაც კონკურენტმა ქსელებმა შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდონ FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების წილი დასახლებაში და შესაბამისად, გახდნენ ეფექტური კონკურენტები უკვე არსებული უფრო დიდი მოთამაშე(ებ)ისთვის (იხ. თავი 9.1).

დასახლებები სამი ან მეტი FTTx ქსელის ოპერატორით შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში. ასევე გათვალისწინებულია დამატებითი კრიტერიუმი, დასახლებების სიდიდე (100,000 მოსახლეზე მეტი ან ნაკლები)..

ცხრილი 68 კონკურენციის შეფასება შეჯამებულია იმ დასახლებებისთვის, რომლებზეც ოპერირებს სამი ან მეტი FTTx ქსელის ოპერატორი

კონკურენციის დონე	დასახლებების რაოდენობა	მოსახლეობა	მოსახ. %	შინამეურნეობა	შინამეურნეობის %
კონკურენტული	9	24,964	0.68	7,004	0.56
კონკურენტული, მაგრამ ძალიან დიდი	2	272,738	7.41	82,737	6.61
არაკონკურენტული	34	1,689,746	45.9	659,412	52.7

წყარო: კომისიის მიერ დაფარვის შესახებ კითხვარზე პასუხად ოპერატორებისგან მიღებული ინფორმაცია

დასახლებებში, სადაც სამი ან მეტი FTTx ქსელის ოპერატორია წარმოდგენილი, მოსახლეობის მნიშვნელოვანი უმრავლესობა ცხოვრობს არაკონკურენტულ რაიონებში (იხ. ცხრილი 68). მდგომარეობა აღწერილია შემდეგ სამ ცხრილში დასახლებებისთვის, სადაც იმყოფება 5, 4 და 3 FTTx ქსელის ოპერატორი. იმ ორ დასახლებაში სადაც 100,000-ზე მეტი მოსახლეა წარმოდგენილი სამივე კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, მაგრამ მათი ზომისა და FTTx ქსელის დაფარვის უფრო დეტალური მონაცემების მიუწვდომლობის გამო, შეუძლებელია დავასკვნათ, არის თუ არა ეს 2 დასახლება ზოგადად კონკურენტული. მხოლოდ 9 დასახლება აკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს კუმულატიურად და შეიძლება ჩაითვალოს კონკურენტულად და შესაბამისად, მიჩნეულ იქნეს მინიმალური რეგულაციის განსაზღვრის კანდიდატ დასახლებად.

ცხრილი 69 კონკურენცია დასახლებებში სადაც 5 FTTx ქსელის ოპერატორია წარმოდგენილი

რეგიონი	დასახლება	კონკურენცია	მოსახლეობა	შინამეურნეობა	აბონენტები სულ	შპს „მაგთიკომის“ წილი	სს „სილქნეტის“ წილი	შპს „სქაიტელის“ წილი	ახალი ქსელის წილი	სხვების წილი
თბილისი	თბილისი	არაკონკურენტული	1,108,717	464,688	414,183	57.68	34.36	0.04	6.81	1.11
იმერეთი	ქუთაისი	კონკურენტული მაგრამ ძალიან დიდი	147,635	45,249	44,049	37.93	44.91	0.14	16.95	0.07
შიდა ქართლი	გორი	არაკონკურენტული	48,143	15,021	14,539	39.25	57.30	0.22	3.16	0.08
დასახლებების რაოდენობა	3	ჯამი/საშუალო	1,304,495	524,958	472,771	55.28	36.04	0.05	7.64	0.98

წყარო: კომისიის მიერ დაფარვის შესახებ კითხვარზე პასუხად ოპერატორებისგან მიღებული ინფორმაცია

ხუთი FTTx ქსელის ოპერატორი იმყოფება საქართველოს მხოლოდ სამ დასახლებაში, მათ შორის თბილისში. ამ დასახლებიდან ორი არ აკმაყოფილებს სამივე ძირითად კუმულატიურ კრიტერიუმს. თბილისის შემთხვევაში, შპს “მაგთიკომის” წილი FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მიხედვით 40%-ზე მეტია, ხოლო გორის შემთხვევაში, დასახლების დონეზე არ არის წარმოდგენილი მინიმუმ ორი FTTx ქსელის ოპერატორი FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მიხედვით მინიმუმ 10%-იანი წილით.

ცხრილი 70 კონკურენცია დასახლებებში სადაც 4 FTTx ქსელის ოპერატორია წარმოდგენილი

მუნიციპალიტეტი	დასახლება	კონკურენცია	მოსახლეობა	შინამეურნეობა	მომხმარებლები სულ	შპს “მაგთიკომის” წილი	სს “სილქნეტის” წილი	შპს „სქაიტელის“ წილი	ახალი ქსელის წილი	სხვების წილი
აჭარა	ბათუმი	არაკონკურენტული	152,839	57,459	73,486	34.72	62.42	0.13	0.00	2.74
იმერეთი	ზეესტაფონი	არაკონკურენტული	20,814	6,618	5,928	45.29	40.81	0.00	13.88	0.02
იმერეთი	საჩხერე	არაკონკურენტული	6,140	1,807	1,279	80.30	16.42	3.21	0.00	0.08
კახეთი	თელავი	არაკონკურენტული	19,629	6,416	6,408	36.97	62.58	0.42	0.00	0.03
მცხეთა-მთიანეთი	დუშეთი	არაკონკურენტული	6,167	2,585	1,611	75.79	22.47	0.25	0.00	1.49
მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	არაკონკურენტული	7,940	3,040	3,555	64.64	34.80	0.48	0.00	0.08
სამეგრელო-ზემო სვანეთი	ფოთი	არაკონკურენტული	41,465	12,744	11,439	56.70	35.46	0.00	7.81	0.03
Samegrelo-zemo svaneti	ზუგდიდი	არაკონკურენტული	42,998	13,113	12,036	43.28	43.23	0.00	13.48	0.02
სამეგრელო-ზემო სვანეთი	სენაკი	არაკონკურენტული	21,596	7,074	5,658	55.69	43.74	0.37	0.00	0.19
სამცხე-ჯავახეთი	ახალქალაქი	კონკურენტული	8,295	2,210	2,751	29.37	16.50	0.07	0.00	54.05
შიდა ქართლი	რუსთავი	კონკურენტული მაგრამ ძალიან დიდი	125,103	37,488	48,545	22.54	23.69	0.00	53.77	0.00
შიდა ქართლი	კასპი	არაკონკურენტული	13,423	3,905	3,315	56.80	41.78	0.00	0.12	1.30
დასახლებების რაოდენობა	12	ჯამი/საშუალო	466,409	154,459	176,011	36.13	44.98	0.12	16.73	2.04

წყარო: კომისიის მიერ დაფარვის შესახებ კითხვარზე პასუხად ოპერატორებისგან მიღებული ინფორმაცია

დასახლებებში, სადაც FTTx ქსელის ოთხი ოპერატორია, ასევე ძირითადად არ არის კონკურენტული გარემო; რადგან 12 დასახლებიდან 10-ში სამივე ძირითადი კუმულატიური კრიტერიუმი არ არის დაკმაყოფილებული. კონკურენტულია მხოლოდ 2 დასახლება (რადგან სამივე ძირითადი კუმულატიური კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია), მაგრამ ერთ მათგანზე მოსახლეობის რაოდენობა 100,000 მოსახლეზე მეტია.

ცხრილი 71 კონკურენცია დასახლებებში სადაც 3 FTTx ქსელის ოპერატორია წარმოდგენილი

მუნიციპალიტეტი	დასახლება	კონკურენცია	მოსახლეობა	შინამეურნეობები	აბონენტები სულ	შპს “მაგთიკომის” წილი	სს “სილქნეტის” წილი	შპს „სქაიტელის“ წილი	ახალი ქსელის წილი	სხვების წილი
----------------	-----------	-------------	------------	-----------------	----------------	-----------------------	---------------------	----------------------	-------------------	--------------

						ს წილი	” წილი	ელის“ წილი	ბის წილი	
აჭარა	ქობულეთი	არაკონკურენტული	16,546	6,406	6,351	45.30	54.68	0.00	0.00	0.02
გურია	ოზურგეთი	არაკონკურენტული	14,785	4,895	3,610	82.71	0.03	0.00	0.00	17.26
იმერეთი	სამტრედია	არაკონკურენტული	25,318	7,774	6,208	49.02	31.67	0.00	0.00	19.31
იმერეთი	წყალტუბო	არაკონკურენტული	11,281	3,936	3,122	99.94	0.03	0.03	0.00	0.00
კახეთი	ახაშენი	არაკონკურენტული	2,420	790	519	39.31	51.64	0.00	0.00	9.06
კახეთი	ბუშეთი	კონკურენტული	1,090	332	235	20.43	66.81	12.77	0.00	0.00
კახეთი	ვანთა	კონკურენტული	937	307	183	0.55	65.03	34.43	0.00	0.00
კახეთი	ვანთაძიანი	კონკურენტული	1,529	503	325	23.38	56.31	0.00	0.00	20.31
კახეთი	კალაური	კონკურენტული	1,976	650	414	30.19	57.73	0.00	0.00	12.08
კახეთი	მუკუზანი	არაკონკურენტული	919	308	210	40.95	46.19	0.00	0.00	12.86
კახეთი	საგარეჯო	არაკონკურენტული	10,871	3,143	2,884	73.61	26.01	0.38	0.00	0.00
კახეთი	წნორი	არაკონკურენტული	4,815	1,617	1,087	59.98	39.93	0.09	0.00	0.00
კახეთი	ქვემო ხოდაშენი	კონკურენტული	1,277	416	277	14.44	73.29	12.27	0.00	0.00
კახეთი	შაშინი	კონკურენტული	2,342	752	512	26.95	58.40	0.00	0.00	14.65
მცხეთა-მთიანეთი	სტეფანწმინდა	არაკონკურენტული	1,326	477	588	96.43	0.17	3.40	0.00	0.00
მცხეთა-მთიანეთი	საგურამო	არაკონკურენტული	1,921	555	637	97.96	0.00	1.26	0.00	0.78
მცხეთა-მთიანეთი	წეროვანი	არაკონკურენტული	8,191	3,125	1,020	92.94	0.00	0.69	0.00	6.37
მცხეთა-მთიანეთი	წითელსოფელი	არაკონკურენტული	328	107	179	0.00	0.56	2.23	0.00	97.21
სამეგრელო-ზემო სვანეთი	მარტვილი	არაკონკურენტული	4,425	1,429	937	38.74	0.00	0.00	61.15	0.11
სამცხე-ჯავახეთი	ბაკურიანი	არაკონკურენტული	1,879	585	5,729	87.00	12.99	0.00	0.00	0.02
სამცხე-ჯავახეთი	დილისკა	კონკურენტული	2,374	556	462	5.41	0.00	57.14	0.00	37.45
სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	არაკონკურენტული	17,903	5,175	5,256	64.57	35.37	0.00	0.00	0.06
სამცხე-ჯავახეთი	ბორჯომი	არაკონკურენტული	10,546	3,559	3,943	40.35	59.62	0.00	0.00	0.03
სამცხე-ჯავახეთი	ნინოწმინდა	კონკურენტული	5,144	1,278	1,122	29.50	34.94	0.00	0.00	35.56
ქვემო ქართლი	კაზრეთი	არაკონკურენტული	4,340	1,297	1,176	82.40	0.00	7.23	0.00	10.37
ქვემო ქართლი	ვაზიანი	არაკონკურენტული	3,686	1,132	886	92.10	0.00	2.71	0.00	5.19
ქვემო ქართლი	კოდა	არაკონკურენტული	3,062	885	159	83.65	0.00	5.66	0.00	10.69
ქვემო ქართლი	ბოლნისი	არაკონკურენტული	8,967	3,502	2,487	71.33	23.52	0.00	0.00	5.15
ქვემო ქართლი	მარნეული	არაკონკურენტული	20,211	6,650	4,264	58.42	11.49	0.00	0.00	30.09
შიდა ქართლი	ხაშური	არაკონკურენტული	26,135	7,595	8,238	32.27	66.90	0.00	0.00	0.84
დასახლებების რაოდენობა	30	ჯამი/საშუალო	216,544	69,736	63,020	59.01	31.93	0.89	0.91	7.26

წყარო: კომისიის მიერ დაფარვის შესახებ კითხვარზე პასუხად ოპერატორებისგან მიღებული ინფორმაცია

FTTx ქსელის სამი ოპერატორის მქონე დასახლებების უმრავლესობაში გარემო არ არის კონკურენტული. 30 დასახლებიდან 22-ში სამივე ძირითადი კუმულატიური კრიტერიუმი არ არის დაკმაყოფილებული, დანარჩენ 8 დასახლებაში კი დაკმაყოფილებულია და შესაბამისად, გარემო კონკურენტულია. სამი FTTx ქსელის ოპერატორის მქონე ყველა დასახლებაში მოსახლეობის რაოდენობა 100,000-ზე ნაკლებია.

9.5.2 კონკურენციის შეფასება 100 000-ზე მეტი მოსახლეობით წარმოდგენილ დასახლებებში ოთხივე ქალაქს, სადაც 100 000-ზე მეტი მოსახლეა წარმოდგენილი, ჰყავს მინიმუმ 4 FTTx ქსელის ოპერატორი. FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მიხედვით შპს “მაგთიკომის” ბაზრის წილი თბილისში მნიშვნელოვნად აღემატება 40%-ს. ბათუმში შპს “მაგთიკომი” და სს “სილქნეტი” ერთად ფლობენ FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი საცალო მომსახურების აბონენტების 97.1%-ს. ქუთაისი და რუსთავი აკმაყოფილებენ სამივე ძირითად კუმულატიურ კრიტერიუმს.

ცხრილი 72 კონკურენცია 100,000-ზე მეტი მოსახლეობით წარმოდგენილ დასახლებებში

	მოსახლეობა	შინამეურნეობა	ყველა მომხმარებელი	შპს “მაგთიკომის” წილი	სს “სილქნეტის” წილი	შპს „სქაიტელის“ წილი	ახალი ქსელების წილი	სხვების წილი
თბილისი	1,108,717	464,688	414,183	57.68	34.36	0.04	6.81	1.11
ბათუმი	152,839	57,459	73,486	34.72	62.42	0.13	0.00	2.74
ქუთაისი	147,635	45,249	44,049	37.93	44.91	0.14	16.95	0.07
რუსთავი	125,103	37,488	48,545	22.54	23.69	0.00	53.77	0.00
ჯამი (დიდი 4 ქალაქი)	1,534,294	604,884	580,263	50.33	37.82	0.05	10.65	1.15

წყარო: კომისიის მიერ დაფარვის შესახებ კითხვარზე პასუხად ოპერატორებისგან მიღებული ინფორმაცია

თბილისი არ არის კონკურენტული, რადგან შპს “მაგთიკომის” წილი FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მიხედვით 40%-ზე მეტია. ბათუმი ასევე არ არის კონკურენტული, რადგან სიდიდით მესამე ოპერატორის ბაზრის წილი FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მიხედვით არ შეადგენს მინიმუმ 10%-ს. ქუთაისი და რუსთავი აკმაყოფილებენ სამივე კუმულატიურ ძირითად კრიტერიუმს, მაგრამ საჭიროებენ პროპორციულ რეგულირებას, რადგან მათი მოსახლეობის რაოდენობა 100 000-ზე მეტია. .

9.5.3 შპს “მაგთიკომის” ბაზრის წილი მიდრეკილია გახდეს 40%-ზე დაბალი

20,000-ზე მეტი მოსახლეობით წარმოდგენილ დასახლებებში ასევე შეფასებულია ბაზრის წილის განვითარების ტენდენციები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. მხედველობაში მიიღება მხოლოდ დასახლებები მინიმუმ სამი ოპერატორით, რადგან მხოლოდ ორი ოპერატორის არსებობის შემთხვევაში, რადგან მხოლოდ ბაზრის წილების ტენდენციების შესწავლა ვერ განსაზღვრავს, გაჩნდება თუ არა ადგილობრივ ბაზარზე მესამე FTTx ქსელის ოპერატორი. 5 წლის ტენდენციის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მხოლოდ ერთი დასახლებაა (სამტრედია), სადაც შპს “მაგთიკომის” წილი FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების აბონენტების მიხედვით 40%-ზე დაბალია მოდის და შესაბამისად მოსალოდნელია დასახლება გახდეს კონკურენტული (იხ.

ცხრილი 73 შპს “მაგთიკომის” ტენდენცია აბონენტების აბსოლუტური რაოდენობისა და ბაზრის წილების მიხედვით აღნიშნულია მწვანე ფერით).

მცირე დასახლებები (20,000 მოსახლეზე ნაკლები) არ იქნა გაანალიზებული, რადგან ამ დასახლებებში FTTx ფიქსირებული ფართობოლოვანი წვდომის აბონენტების რაოდენობა ზოგადად ძალიან მცირეა და მათმა მცირე ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის წილების მნიშვნელოვანი ცვლილება, შესაბამისად, არ არსებობს მკაფიო საფუძველი FTTx ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მომავალი წილის პროგნოზირებისთვის.

ცხრილი 73 მონაცემები იმის დასადგენად, მიდრეკილია თუ არა დასახლებები კონკურენციისკენ

დასახლება	FTTx აბონენტები					FTTx ფიქსირებული ფართობოლოვანი წვდომის ბაზრის წილები %				
	2018	2019	2020	2021	2022	2018	2019	2020	2021	2022
ოპერატორი										
სამტრედია	4,122	5,154	5,520	5,691	6,417					
მაგთიკომი	3,436	3,284	3,221	3,176	3,087	83.36	63.72	58.35	55.81	48.11
სილქნეტი		1,226	1,534	1,766	2,024	0.00	23.79	27.79	31.03	31.54
VGS ნეთვორქ	489	455	564	547	900	11.86	8.83	10.22	9.61	14.03
ლოკალ ნეტი				-	208	0.00	0.00	0.00	0.00	3.24
ლუკნეტი	197	189	198	202	183	4.78	3.67	3.59	3.55	2.85
დუბლაინი			3		15	0.00	0.00	0.05	0.00	0.23

წყარო: კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონული ფორმები

9.5.4 დაფარული ფართები

ოპერატორებისგან ინფორმაციის გამოსათხოვად გაგზავნილ კითხვარში ფართების დაფარვა (FTTx ქსელის დაფარვასთან დაკავშირებული) მოიცავდა შემდეგ განმარტებას: „მრავალბინიან კორპუსებში შენობის ყველა ერთეული დაფარულია, თუ ერთი ერთეული მაინც დაფარულია აქტიური ან არააქტიური კავშირის წერტილით. ერთბინიანი საცხოვრებელი კორპუსისთვის: თუ შესაძლებელია მისი დაკავშირება მნიშვნელოვანი ხარჯების გარეშე 7 დღის განმავლობაში.“

ცხრილი 74 FTTx ქსელით დაფარული ფართები

	საქართველო, ყველა ქალაქი			არ მოიცავს საქართველოს ქალაქებს 100.000 -ზე მეტი მოსახლით		
	აბონენტები	დაფარული ფართები	წილი	აბონენტები	დაფარული ფართები	წილი
მაგთიკომი	479,973	1,109,875	2.31	187,902	427,113	2.27
სილქნეტი	275,464	716,307	2.60	56,021	189,588	3.38
სქაიტელი	13,136	44,045	3.35	12,824	38,333	2.99

ახალი ქსელების ჯგუფი ⁶⁸	66,542	61,125	0.92	4,755	0	0.00
სხვა	40,550	35,655	0.88	33,900	30,416	0.90
ჯამი	875,665	1,967,008	2.25	295,402	685,450	2.32

წყარო: კომისიის მიერ დაფარვის შესახებ კითხვარზე პასუხად ოპერატორებისგან მიღებული ინფორმაცია

შპს „მაგთიკომის“, სს „სილქნეტის“ და შპს „სქაიტელის“ FTTx ქსელით დაფარული ფართების თანაფარდობა მომხმარებლების რაოდენობასთან მიმართებაში 2.31-დან 3.35-მდეა. ახალი ქსელების ჯგუფის და სხვა ოპერატორების ანალოგიური მაჩვენებელი 1:1-ზე დაბალი თანაფარდობით ხასიათდება, რაც მათ მონაცემებს არასანდოს ხდის, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ მსხვილი ოპერატორებისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული თანაფარდობა ჰქონდეთ.

ახალი ქსელების ჯგუფის FTTx ქსელები წარმოდგენილია ოთხ უდიდეს ქალაქში და დამატებით 11 დასახლებულ პუნქტში, დამატებით 183,701 მოსახლეობით. ამ დასახლებებიდან 4-ში, რომლებზეც წარმოდგენილია 105,592 მოსახლე, მისი წილი FTTx ფიქსირებული ფართობოლოვანი წვდომის მომხმარებლების მიხედვით 10%-ზე დაბალია. დანარჩენ 7 დასახლებაში 78,109 მოსახლეა, რაც საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 2%-ია.

სხვა FTTx ქსელის ოპერატორები იმყოფებიან ოთხ უდიდეს ქალაქში და დამატებით 382 დასახლებაში 687,921 მოსახლეობით. 269 დასახლებაში (საერთო მოსახლეობით 145,121) მცირე ოპერატორებიდან მხოლოდ ერთი წარმოადგენს ერთადერთ FTTx ქსელის ოპერატორს. შემდგომ 44 დასახლებაში 376,138 მოსახლეობით, მცირე ოპერატორების ბაზრის წილი FTTx ფიქსირებულ ფართობოლოვან მომსახურების აბონენტების მიხედვით 10%-ზე ნაკლებია. 56 დასახლების შემთხვევაში (76,093 მოსახლეობით) წარმოდგენილია მხოლოდ ორი პატარა FTTx ქსელის ოპერატორი. დასახლებები 3-ზე ნაკლები FTTx ქსელის ოპერატორით არ განიხილება კონკურენტულად. მცირე FTTx ქსელის ოპერატორების კონკურენტული გავლენა მხოლოდ 13 დასახლებაშია ასახული 90,623 მოსახლეობით (საქართველოს მოსახლეობის 3%).

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მხოლოდ შპს „სქაიტელს“ შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი კონკურენტული გავლენა და მხოლოდ 100,000 მოსახლეზე ნაკლები დასახლებების ძალიან შეზღუდულ რაოდენობაზე. მცირე მოთამაშეებს შეიძლება ჰქონდეთ შედარებით მცირე კონკურენტული გავლენა, რადგან ისინი ჩვეულებრივ 10%-ზე ნაკლები ბაზრის წილით არიან წარმოდგენილი. ახალი ქსელების ჯგუფის გავლენა შემოიფარგლება, მხოლოდ მისი ოპერირებით უდიდეს ქალაქებში.

FTTx ქსელის დაფარვის შემდგომი ანალიზი (FTTx ქსელებით დაფარული ფართები) შესაძლებელია მხოლოდ შპს „მაგთიკომის“, სს „სილქნეტისა“ და შპს „სქაიტელის“ მიერ მოწოდებული მონაცემების გამოყენებით. ანალიზი შემოიფარგლება 100,000-ზე ნაკლები მოსახლეობით დასახლებული პუნქტებით.

ოთხი ან ხუთი FTTx ქსელის ოპერატორის მქონე დასახლებები ან ძალიან დიდია (100,000 მოსახლეზე მეტი) ან არ აკმაყოფილებენ დაფარვის კრიტერიუმს (FTTx ქსელით დაფარული შენობების 80% მეორე ოპერატორისთვის და 20% მესამესთვის - იხილეთ თავი 9.2). სამი FTTx ქსელის

⁶⁸ „ახალი ქსელების ჯგუფის“ დაფარვის მონაცემები არაზუსტია. ვვარაუდობთ, რომ დაფარული შენობების შესახებ მონაცემები რეალურად ორჯერ მეტია. თუმცა, „ახალი ქსელების ჯგუფის“ ბაზრის წილი 8%-ზე ნაკლები აქვს. მისი წილიდან და იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ „ახალი ქსელების ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დაფარული ფართების პროცენტულმა მაჩვენებელმა 40% შეადგინა, საერთო ცდომილება შეფასებულია 5%-ზე ნაკლებით, რაც საკმარისად ზუსტია ამ ანალიზის მიზნებისთვის (იხ. აგრეთვე თავი 9.3.5).

ოპერატორის მქონე დასახლებებისთვის, 4 დასახლება აკმაყოფილებს ამ დაფარვის კრიტერიუმებს, მაგრამ სამი მათგანი უკვე მიკუთვნებულია, კონკურენტული დასახლებების ჯგუფს, FTTx ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მიხედვით.

ცხრილი 75 დაფარული ფართები: სს “სილქნეტი” 80%-ზე მეტი, სხვა ოპერატორები 20%-ზე მეტი

რეგიონი	დასახლება	კონკურენციის დონე 3 ოპ.	მოსახლეობა	შინამეურნეობა	აბონენტების ჯამი	შპს “მაგთიკომის” წილი	შპს “მაგთიკომის” ფართების დაფარვა	სს “სილქნეტის” ფართების დაფარვა	ფართების დაფარვა სხვა ოპ.
კახეთი	ბუშეთი	კონკურენტული	1,090	332	235	20.43	17.17	110.84	21.69
კახეთი	ვანთა	კონკურენტული	937	307	183	0.55	0.33	114.01	57.00
კახეთი	ქვემო ხოდაშენი	კონკურენტული	1,277	416	277	14.44	18.75	131.01	65.75
ქვემო ქართლი	მარნეული	მიდრეკილი კონკურენციის სკენ	20,211	6,650	4,264	58.42	93.76	131.43	31.84

წყარო: კომისიის მიერ დაფარვის შესახებ კითხვარზე პასუხად ოპერატორებისგან მიღებული ინფორმაცია

შენიშვნა: სადაც FTTx ქსელით დაფარული ფართების მაჩვენებელი მეტია ვიდრე შინამეურნეობების საერთო რაოდენობა, უჯრები აღინიშნება წითლად. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია დაფარული ფართების მაჩვენებელი, აღმატებოდეს შინამეურნეობების რაოდენობას, ისეთ ადგილებში, სადაც დაფარული ფართები მოიცავს ცარიელი ფართებს, თუმცა თავისთავად არ არის ვერ იქნება აღრიცხული შინამეურნეობების ნაწილში, რადგან ისინი მუდმივად არ არიან დაკავებულნი (მაგალითად, საზოგადოებრივი შენობები, ცარიელი სახლები და ბინები, რომლებსაც არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებლის სტატუსი).

9.6 დასკვნები კონკურენციის გეოგრაფიული ანალიზის შესახებ

გეოგრაფიულმა ანალიზმა გამოავლინა კონკურენციის განსხვავებული დონე საქართველოს დასახლებების მიხედვით. უმეტეს დასახლებებში (არა დასახლებების რაოდენობის, არამედ მოსახლეობის მიხედვით) ოპერირებს სამზე ნაკლები FTTx ქსელი და შესაბამისად, ისინი მიჩნეულია არაკონკურენტულად. დასახლებების უმრავლესობაში, რომლებზეც ოპერირებს მინიმუმ ერთი FTTx ქსელი და არ არის კონკურენტული, წარმოდგენილია შპს „მაგთიკომი“. არსებობს დასახლებები, (ძირითადად პატარა), სადაც შპს “მაგთიკომი” არ არის წარმოდგენილი. დეტალები წარმოდგენილია 9.3.3 თავში.

სამი ან მეტი FTTx ქსელის ოპერატორით წარმოდგენილ 45 დასახლებას შორის 9 კონკურენტულია, დამატებით 2 მიდრეკილია ეფექტური კონკურენტულობისკენ და კიდევ ორი ძალიან დიდია იმისათვის, რომ შეფასდეს, როგორც კონკურენტული, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთდროულად აკმაყოფილებენ სამ ძირითად კრიტერიუმს. საერთო ჯამში, კონკურენტული დასახლებებში ცხროვრობს საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 0.68%. ორ სხვა დასახლებაში, რომლებიც მიდრეკილია ეფექტური კონკურენციისკენ წარმოდგენილია საქართველოს მოსახლეობის 1.24%.

ცხრილი 76 კონკურენციის შეფასების შეჯამება დასახლებების მიხედვით

კონკურენციის დონე	დასახლებების რაოდენობა	მოსახლეობა	მოსახლეობის %
-------------------	------------------------	------------	---------------

კონკურენტული	9	24,964	0.68
კონკურენტული, მაგრამ ძალიან დიდი	2	272,738	7.43
მიდრეკილია კონკურენციისკენ	2	45,529	1.24
არაკონკურენტული, 3 ზე მეტი FTTx ქსელი	32	1,644,217	44.7%
არაკონკურენტული, 3-ზე ნაკლები FTTx ქსელი	949	1,056,062	28.77
არ არის კონკურენტული, წარმოდგენილია მათიკომი	589	2,485,521	67.70

წყარო: კომისიის მიერ დაფარვის შესახებ კითხვარზე პასუხად ოპერატორებისგან მიღებული ინფორმაცია და კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექსტრონულ ფორმებზე დაფუძნებული შეფასება

კონკურენტული დასახლებები ნაჩვენებია ცხრილში 77.

ცხრილი 77 კონკურენტული დასახლებების სია (კლასტერი III)

რეგიონი	დასახლება	კონკურენციის დონე	მოსახლეობა	შინამეურნეობების რაოდენობა	ჯამური აბონენტების რაოდენობა
სამცხე-ჯავახეთი	ახალქალაქი	კონკურენტული	8,295	2,210	2,751
კახეთი	ბუმეტი	კონკურენტული	1,090	332	235
კახეთი	ვანთა	კონკურენტული	937	307	183
კახეთი	ვაჩნაძიანი	კონკურენტული	1,529	503	325
კახეთი	კალაური	კონკურენტული	1,976	650	414
კახეთი	ქვემო ხოდაშენი	კონკურენტული	1,277	416	277
კახეთი	შაშანი	კონკურენტული	2,342	752	512
სამცხე-ჯავახეთი	დილისკა	კონკურენტული	2,374	556	462
სამცხე-ჯავახეთი	ნინოწმინდა	კონკურენტული	5,144	1,278	1,122
ჯამი			24,964	7,004	6,281

წყარო: კომისიის მიერ დაფარვის შესახებ კითხვარზე პასუხად ოპერატორებისგან მიღებული ინფორმაცია და კომუნკაციების კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექსტრონულ ფორმებზე დაფუძნებული შეფასება

დასახლებები, რომლებიც კონკურენტულია, მაგრამ ძალიან დიდია, განიხილება ცალკე:

ცხრილი 78 ასახლებების სია, რომლებიც კონკურენტულია, მაგრამ ძალიან დიდი

რეგიონი	დასახლება	კონკურენციის დონე	მოსახლეობა	შინამეურნეობა	ჯამური აბონენტები
იმერეთი	ქუთაისი	კონკურენტული, მაგრამ დიდი	147,635	45,249	44,049
შიდა ქართლი	რუსთავი	კონკურენტული, მაგრამ დიდი	125,103	37,488	48,545
ჯამი			272,738	82,737	92,594

წყარო: კომისიის მიერ დაფარვის შესახებ კითხვარზე პასუხად ოპერატორებისგან მიღებული ინფორმაცია და კომუნკაციების კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექსტრონულ ფორმებზე დაფუძნებული შეფასება

დასახლებები, რომლებიც მიდრეკილია კონკურენციისკენ შემდეგია:

ცხრილი 79 დასახლებების სია, რომლებიც მიდრეკილია კონკურენციისკენ

რეგიონი	დასახლება	კონკურენციის დონე	მოსახლეობა	შინამეურნეობა	ჯამური აბონენტები
ქვემო ქართლი	მარნეული	მიდრეკილი კონკურენციისკენ	20,211	6,650	4,264
იმერეთი	სამტრედია	მიდრეკილი კონკურენციისკენ	25,318	7,774	6,208
ჯამი			45,529	14,424	10,472

წყარო: კომისიის მიერ დაფარვის შესახებ კითხვარზე პასუხად ოპერატორებისგან მიღებული ინფორმაცია და კომუნიკაციების კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექსტრონულ ფორმებზე დაფუძნებული შეფასება

ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე კონკურენციის დონის მიხედვით დასახლებები შეიძლება დაჯგუფდეს 3 კლასტერად (დასახლებათა ჯგუფებად), შემდეგი სახით:

- **კლასტერი I:** დასახლებები, რომლებიც არ არის კონკურენტული ან არ არის მიდრეკილი ეფექტური კონკურენციისკენ. „I კლასტერში“ დასახლებები უნდა დარეგულირდეს მარეგულირებელი ვალდებულებ(ებ)ის სრული კომპლექტით, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე ბაზრის ანალიზის მე-11 თავში. „კლასტერი I“ მოიცავს საქართველოს ყველა სხვა დასახლებას (დასახლებები არ არის ჩამოთვლილი 77, 78 და 79 ცხრილებში).
- **კლასტერი II:** ყველა დასახლება, რომელიც მიდრეკილია ეფექტური კონკურენციისკენ ან უდიდეს ქალაქებში, სადაც არ არის საკმარისი მონაცემები FTTx ქსელის დაფარვის პირობების განსაზღვრისთვის ქალაქის უბნებს შორის. დასახლებები „II კლასტერში“ მიჩნეულია, რომ ექვემდებარება უფრო მსუბუქ წინასწარ რეგულირებას, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე ბაზრის ანალიზის მე-11 თავში. დასახლებები, რომლებიც მიდრეკილია ეფექტური კონკურენციისკენ წარმოდგენილია 79-ე ცხრილში, ხოლო დასახლებები რომლებზეც ეფექტური კონკურენციის არსებობის სრულფასოვნად შეფასება შეუძლებელია, წარმოდგენილია 78-ე ცხრილში.
- **კლასტერი III:** ყველა დასახლება, რომელიც კონკურენტულია. „III კლასტერში“ დასახლებებზე შეიძლება გავრცელდეს წინამდებარე ბაზრის ანალიზის მე-11 თავში განსაზღვრული ყველაზე მსუბუქი ვალდებულებები. დასახლებების სია მოცემულია 77-ე ცხრილში.

როგორც 9.3.4 თავში აღინიშნა მოსალოდნელია, რომ კომისიას ჰქონდეს შესაძლებლობა გამოიყენოს დამატებითი მონაცემები FTTx ქსელის დაფარვისა და გადაფარვების შესახებ თითოეულ დასახლებაში შენობის დონეზე (სახლის მისამართები), მათ შორის მონაცემები უფრო დეტალურ დონეზე უმსხვილეს ქალაქებში, რათა უზრუნველყოს დასახლებების დონეზე კონკურენტული გარემოს შეფასების მეტი სანდოობა (და, შესაბამისად, შემოთავაზებული მარეგულირებელი ვალდებულებების პროპორციულობა). ოთხი უმსხვილესი ქალაქიდან ერთის ან მეტის ჩართვა კლასტერ II-ში, რომელიც განისაზღვრა ბაზრის მიმდინარე ანალიზის ფარგლებში, გადაიხედება საჭიროების შემთხვევაში, ქსელის შესაძლო გადაფარვების შესახებ უფრო დეტალური მონაცემების საფუძველზე. აღნიშნული მონაცემების შეგროვება გაუმარტივებს კომისიას მიაკუთვნოს ესა თუ ის დასახლება სხვადასხვა კლასტერს დასახლებაში არსებული კონკურენტული გარემოდან გამომდინარე რეგულირების მიზნებისთვის.

9.7 კონკურენტული დასახლებების სიის განახლება

ვინაიდან ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზრის წინასწარი რეგულირება პირველად განიხილება საქართველოში და ბაზარზე არ გამოვლინდა II და III კლასტერებს მიკუთვნებული დასახლებების მნიშვნელოვანი რაოდენობა, მიზანშეწონილია, რომ კონკურენტული დასახლებების სიის პირველადი განახლება განხორციელდეს არაუადრეს 24 თვისა ამ ბაზრის ანალიზის შესახებ კომისიის გადაწყვეტილების დღიდან, ხოლო შემდეგ, არაუადრეს 1 წლის პერიოდისა.

10. რეგულირების არარსებობის შემთხვევაში შესაბამის საბითუმო ბაზარზე შესაძლო კონკურენციის პრობლემების ანალიზი

პროცედურების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სპეციფიკური ვალდებულებები უნდა იყოს კონკურენციასთან დაკავშირებით გამოვლენილი, დადასტურებული პრობლემის პროპორციული და ტექნიკურად შესრულებადი.

ამ თავში გაანალიზებული და განხილული იქნება ყველა შესაძლო კონკურენციის პრობლემა, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს შესაბამის საბითუმო ბაზარზე⁶⁹ რეგულირების არარსებობის შემთხვევაში. ეს თავი აკავშირებს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის განსაზღვრას და მარეგულირებელი ვალდებულებების განსაზღვრას, რადგან თითოეულმა დაწესებულმა მარეგულირებელმა ვალდებულებამ პროპორციულად უნდა მოაგვაროს კონკურენციასთან დაკავშირებული ერთი ან მეტი იდენტიფიცირებული პრობლემა.

კონკურენციის პრობლემები შეიძლება წარმოიშვას ოპერატორის უნარის ან განზრახვის გამო გამოიყენოს თავისი მაღალი ბაზრის წილი, ან დომინანტური პოზიცია ბაზარზე. ECNS-ის მარეგულირებელ სახელმძღვანელოში⁷⁰ შესაბამისი მარეგულირებელი ვალდებულებების დაწესებასთან დაკავშირებული მიდგომის შესახებ ევროპის მარეგულირებლების ჯგუფის (ERG) შესწორებული საერთო პოზიციის მიხედვით, ბაზარზე არსებობს სტანდარტული კონკურენციის პრობლემების ოთხი ჯგუფი, რომლებიც გამოვლენილია მარეგულირებლების გამოცდილების საფუძველზე:

- ძალაუფლების გამოყენების ვერტიკალური ბერკეტი
- ძალაუფლების გამოყენების ჰორიზონტალური ბერკეტი
- დომინანტური პოზიცია
- ტერმინაცია

ამ ბაზრის ანალიზის კონტექსტში, აქცენტი კეთდება ძალაუფლების გავრცელების ვერტიკალური ბერკეტის საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია შემდეგ პრაქტიკასთან: „... ნებისმიერი დომინანტი კომპანიის პრაქტიკა, რომელიც ზღუდავს მომხმარებლის სათანადო დაშვებას მის მიერ წარმოებულ აუცილებელ პროდუქტზე/რესურსზე (input), ბაზრის ერთი სეგმენტიდან („bottleneck“ სეგმენტი) მეორეზე (პოტენციურად კონკურენტულ სეგმენტზე) მონოპოლიური ძალაუფლების გავრცელების მიზნით.“⁷¹

არსებობს სამი ჩვეულებრივი სტრატეგია ბაზარზე დომინანტური პოზიციის გავრცელების ვერტიკალური ბერკეტის გამოსაყენებლად:

- შეთანხმებაზე უარის თქმა/დაშვებაზე უარის თქმა

⁶⁹ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის მიერ საბაზრო უპირატესობის ბოროტად გამოყენების გზით

⁷⁰ ERG Common Position on the Approach to Appropriate Remedies in the ECNS Regulatory Framework https://www.berec.europa.eu/sites/default/files/files/documents/erg_0330rev1_remedies_common_position.pdf

⁷¹ ERG (06) 33 ERG-ის შესწორებული საერთო პოზიცია ECNS მარეგულირებელ სახელმძღვანელოში შესაბამისი მარეგულირებელი ვალდებულებების დაწესების შესახებ (გვერდი 32)

- საბაზრო ძალაუფლების გამოყენება არასაფასო ცვლადების საშუალებით
- საბაზრო ძალაუფლების გამოყენება ფასის მეშვეობით

ERG-ის დოკუმენტში ნათქვამია: "მარეგულირებელი ვალდებულებების დაწესებისას, მარეგულირებლები ხშირად ვერ აკვირდებიან გარკვეული ტიპის ანტიკონკურენტულ ქცევას, თუმცა ისინი უნდა მოელოდნენ კონკურენციასთან დაკავშირებული პრობლემის წარმოქმნას, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის სტიმულიდან გამომდინარე ჩაერთოს ასეთ ქცევაში, რაც თავის მხრივ გამოკვლეული იქნება ბაზრის ანალიზის პროცესში. თუმცა, რადგანაც მარეგულირებელი ვალდებულებების დაწესება მოჰყვება ბაზრის განსაზღვრისა და ბაზრის ანალიზის ეტაპებს, მარეგულირებლებს ექნებათ ბაზრის დეტალური ცოდნა და სადაც ბაზარი არ იქნება ეფექტურად კონკურენტუნარიანი, მასზე განსაზღვრავენ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს და მისი საბაზრო ძალაუფლების წყაროს, ისევე როგორც კონკურენციის არსებულ და პოტენციურ პრობლემებს." ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ანალიზი შემდეგ თავებში უნდა ეფუძნებოდეს დომინანტი ოპერატორის ყველა მოსალოდნელ ქცევას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი სახის ქცევას უკვე ადგილი აქვს ბაზარზე, მაგრამ სავსებით სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს წინასწარი რეგულირების არარსებობის პირობებში შესაბამის ბაზარზე.

ამ დოკუმენტში გაანალიზდება ყველა სახის კონკურენციის პრობლემა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თუ ყველა აღნიშნული კონკურენციის პრობლემა არ აღმოიფხვრება და ამავდროულად აღნიშნული პრობლემები დაკავშირებული იქნება საბითუმო სერვისთან, რომელიც აუცილებელ საბითუმო რესურსს (input) წარმოადგენს საცალო მომსახურების მიწოდებისთვის ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს დაშვების პოტენციურ მადიებელს. ეს, თავის მხრივ, ზიანს აყენებს პოტენციურ საბოლოო მომხმარებლებს და შესაბამისად, არსებითად ასუსტებს კონკურენციას შესაბამის საცალო ბაზარზე.

10.1 კონკურენციის პრობლემების ზემოქმედების სეგმენტაცია I, II და III კლასტერებში

ბაზარზე დომინანტური პოზიციის გამოყენების ზემოთ აღნიშნული ვერტიკალური ბერკეტის სამი სტრატეგიის საფუძველზე, შეფასდა ბაზრის შესაძლო განვითარება და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის შესაძლო ქცევა (შესაძლო კონკურენციის პრობლემების თვალსაზრისით), რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს წინასწარი რეგულირების არარსებობის პირობებში.

ანალიზის შედეგად გამოვლინა, რომ კონკურენციის პრობლემების წარმოქმნის ალბათობა და მათი შესაძლო ზემოქმედება საბოლოო მომხმარებლების ინტერესებზე, სავარაუდოდ, განსხვავდება I, II და III კლასტერებზე მიკუთვნებულ დასახლებებში, ინფრასტრუქტურული კონკურენციის განსხვავებული პირობების და თითოეულ ამ არეალში პენეტრაციის განსხვავებული დონის გამო.

- კლასტერი I

I კლასტერს მიკუთვნებულ დასახლებებში, ინფრასტრუქტურული კონკურენციის არარსებობის და/ან კონკურენტების პენეტრაციის დაბალი მაჩვენებლების პირობებში კონკურენციის ყველა პრობლემა, რომლებიც განსაზღვრული იქნება 10.2-10.4 თავებში მოსალოდნელია, რომ რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, აისახება I კლასტერს მიკუთვნებულ დასახლებებში. ეს ასე იქნება, რადგან I კლასტერში არ არსებობს საკმარისი კონკურენტული შეზღუდვების წარმოქმნის ალბათობა, რათა შეამციროს ოპერატორის უნარი ან სტიმული, გამოიყენოს თავისი დომინანტური პოზიცია. კონკურენციის ეს პრობლემები, სავარაუდოდ, დარჩება I კლასტერს მიკუთვნებულ დასახლებებში ამ ბაზრის ანალიზის მომავალზე ორიენტირებულ პერსპექტივაში.

- კლასტერი II

II კლასტერს მიკუთვნებულ დასახლებებში, არსებული ინფრასტრუქტურული კონკურენციის დონის და/ან კონკურენტების პენეტრაციის მაჩვენებლების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის დომინანტური პოზიცია მომავალში გახდეს კონკურენტული, რადგან მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის წილი ფაბონენტების მიხედვით მცირდება.

შესაბამისად, ამ დასახლებებში კონკურენციის პრობლემები (იხ. 10.2 - 10.4 თავები) არ იქნება იმგვარი, რომ საბოლოო მომხმარებლებს იგივე ზიანი მიაყენოს, როგორც ეს I კლასტერს მიკუთვნებული დასახლებების შემთხვევაში განისაზღვრა, იქიდან გამომდინარე, რომ საბოლოო მომხმარებლებს II კლასტერში მიკუთვნებულ დასახლებებში ექნებათ უფრო მეტი არჩევანის საშუალება.

- კლასტერი III

მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ოპერატორის მხრიდან არაკონკურენტული ქცევის რისკი III კლასტერს მიკუთვნებულ დასახლებებში ყველაზე დაბალია, რადგან 9.6 თავში მოცემული ანალიზი მიუთითებს ინფრასტრუქტურული კონკურენციის მაღალ დონეზე და ფართოზოლოვანი სერვისების მიწოდებაზე კონკურენტი მიმწოდებლებისგან ამ კლასტერში. ეს ნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის დომინანტურ პოზიციას მისი კონკურენტები ზღუდავენ.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს არ შეუძლია ეფექტურად გამოიყენოს თავისი დომინანტური პოზიცია საბაზრო უპირატესობის ბოროტად გამოყენების გზით, რადგან დაშვების მაძიებლებს ექნებათ არჩევანი მიაწოდონ მომსახურება თავიანთ საცალო სეგმენტს თვითმომსახურების გამოყენებით. კომუნიკაციების კომისია მიიჩნევს, რომ კონკურენციის პრობლემებს, რომელიც განისაზღვრება 10.2-10.4.-მდე თავებში, დაშვებაზე უარის გარდა, III კლასტერში სავარაუდოდ არ ექნება ადგილი.

10.2 მიწოდებაზე უარი/დაშვებაზე უარის თქმა

ოპერატორმა, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ბაზარზე, შეიძლება სცადოს გამოიყენოს თავისი საბაზრო ძალაუფლება საცალო ბაზარზე (საცალო მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან სერვისებზე წვდომის ბაზარი) მის ქსელზე საბითუმო დაშვებაზე უარის თქმით და ამ გზით ხელი შეუშალოს კონკურენტების მხრიდან მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორისთვის ეფექტური კონკურენციის გაწევას ბაზრის საცალო სეგმენტზე.

ეს ქცევა განსაკუთრებით პრობლემურია და წარმოადგენს კონკურენციის მნიშვნელოვან პრობლემას, თუ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი ამავედროულად წარმოადგენს საბითუმო სერვისის პოტენციურ მიმწოდებელს ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების სერვისების მიმართულებით, რომლებიც შეუცვლელია სხვა ოპერატორებისთვის საცალო დონეზე მომსახურების გაწევისთვის. ეს ნიშნავს, რომ ოპერატორი წარმოადგენილია ორ ვერტიკალურ ბაზარზე და ბაზრის საბითუმო სეგმენტზე საბაზრო ძალაუფლების ფლობით, ის შეიძლება (არასამართლიანად) შეეცადოს გააძლიეროს თავისი პოზიციები ბაზრის საცალო სეგმენტზე, დაშვებაზე უარის თქმის გამოყენებით, კერძოდ უარი თქვას საცალო ბაზარზე არსებული კონკურენტებისთვის საბითუმო მომსახურების მიწოდებაზე. გარიგებაზე უარის თქმა არ მოიცავს მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი უარს ამბობს პოტენციური საბითუმო მომხმარებლისთვის (და ამავედროულად საცალო ბაზარზე არსებული კონკურენტის) მომსახურების მიწოდებაზე, უარის თქმის ეკვივალენტური პოზიცია შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის მხრიდან, დაშვების

მსურველისთვის მომსახურებაზე არაგონივრული პირობების დაწესება (მაგალითად, გადაჭარბებული საბითუმო ფასების დაწესებით და ა.შ).

კომუნიკაციების კომისიის აზრით, ამ შესაბამის საბითუმო ბაზარზე რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, მაღალია იმის ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორმა უარი თქვას საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების სერვისის მიწოდებაზე და ამავ დროს უარი თქვას მოლაპარაკებებზე, პოტენციურ კონკურენტებთან საცალო დონეზე, ამგვარი ქცევის მტკიცებულება უკვე არსებობს, რადგან ქართულ ბაზარზე საბითუმო გარიგებებს ამ მიმართულებით ადგილი არ ჰქონია. ვერტიკალურად ინტეგრირებული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის ეს ქცევა მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საცალო ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოზე, რადგან ოპერატორების უმეტესობა, ვერ შეძლებს თავიანთი სერვისების შეთავაზებას საბოლოო მომხმარებლებისთვის, იმ დასახლებებში, სადაც ისინი არ არიან წარმოდგენილი მათი FTTx ქსელით კონკრეტულ დასახლებებში, თუმცა აღნიშნულ დასახლებებს ფარავს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის FTTx ქსელი. ასეთი ქცევის საბოლოო გავლენით საბოლოო მომხმარებლებს შეუძირდებათ არჩევანი მათთვის შეთავაზებული სერვისებისა და ტარიფების თვალსაზრისით.

10.3 ძალაუფლების გამოყენება არასაფასო ცვლადების გამოყენებით

10.3.1 ინფორმაციის დისკრიმინაციული გამოყენება ან ინფორმაციის დამალვა

ეს კონკურენციის პრობლემა ეხება შესაძლო დისკრიმინაციულ პრაქტიკას, როდესაც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი საბითუმო ბაზარზე აწვდის საკუთარ საცალო ჯგუფს ინფორმაციას, რომელსაც ის არ აწვდის სხვა ოპერატორებს (დაშვების მაძიებლებს), რომლებიც იყენებენ ან აპირებენ გამოიყენონ მისი საბითუმო სერვისი მომსახურების მიწოდებისთვის საცალო დონეზე. ამის მაგალითი იქნება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის ქცევა, რომელიც არ მიაწვდის დაშვების მაძიებლებს ინფორმაციას მისი ქსელის ტოპოლოგიაში მომავალი ცვლილებების შესახებ, რამაც შეიძლება გაზარდოს დაშვების მაძიებლის ხარჯები და გავლენა მოახდინოს დაშვების მაძიებლის გეგმებზე ბაზრის გაფართოების მიმართულებით.

ისევე, როგორც უარი მიწოდებაზე/დაშვებაზე უარის თქმა თავში 10.2, ინფორმაციის დამალვით, ვერტიკალურად ინტეგრირებულ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს შეუძლია გაავრცელოს თავისი საბაზრო ძალაუფლება საბითუმო ბაზრიდან შესაბამის საცალო ბაზარზე.

კომუნიკაციების კომისიის აზრით, რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს შეიძლება ჰქონდეს სტიმული, არ მიაწოდოს თავის არსებულ და პოტენციურ კონკურენტებს დეტალური და დროული ინფორმაცია მის ქსელში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, რათა კონკურენტი საბოლოო ჯამში დაზარალდეს. ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის საცალო ჯგუფისთვის, თანაბრად მნიშვნელოვანია კონკურენტისთვის მისი ბიზნეს ოპერაციების დაგეგმვისა და ბიზნეს გადაწყვეტილების მიღებისას მარკეტინგისა და ინვესტიციების თვალსაზრისით.

ამ გზით, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს შეუძლია გამოიყენოს თავისი დომინანტური პოზიცია საბითუმო ბაზრიდან საცალო ბაზარზე, რითიც შესაბამისად, შეამცირებს კონკურენციის განვითარებას მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებაზე წვდომის საცალო ბაზარზე.

10.3.2 დაგვიანების ტაქტიკა

ეს კონკურენციის პრობლემა შეიძლება წარმოიშვას, თუ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი უარს არ იტყვის საბითუმო ხელშეკრულების დადებაზე (არ იტყვის უარს დაშვებაზე), თუმცა უზრუნველყოფს საბითუმო დაშვებას მკაფიო და დაგეგმილი განზრახვით, გადადოს მომსახურების მიწოდება დაშვების მაძიებლებისთვის.

ეს ქცევა იწვევს საბითუმო დაშვების სერვისს, რომელიც იმ დროზე გვიან მიეწოდება დაშვების მსურველ კონკურენტს, ვიდრე ეს ესაჭიროება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს იმავე სერვისის მიწოდებისთვის საკუთარი საცალო ჯგუფისთვის.

ასეთი ქცევის მთავარი მოტივაცია შეიძლება იყოს სხვა ოპერატორების შესვლის შეფერხება ბაზრის შესაბამის სეგმენტზე, ისევე როგორც დაშვების მაძიებლის მუშაობის ეფექტიანობაზე ზეგავლენა საბოლოო მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდების ან მათ პრობლემებზე რეაგირების მიმართულებით.

ამ გზით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი ახორციელებს თავისი საბაზრო ძალაუფლების გადაცემას საბითუმო ბაზრიდან საცალო ბაზარზე და შესაბამისად ამცირებს კონკურენციის განვითარებას მაღალი სიჩქარის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების საცალო ბაზარზე.

კომუნიკაციების კომისია მიიჩნევს, რომ რეგულაციის არარსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს შეიძლება გააჩნდეს სტიმული, უზრუნველყოს საბითუმო დაშვების სერვისების მიწოდება ვადებში, რომლებიც განზრახ დაგვიანებულია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის მიერ იგივე სერვისების მიწოდებასთან შედარებით საკუთარი საცალო ჯგუფისთვის.

ამ პოტენციური კონკურენციის პრობლემის წინაშე, საუკეთესო პრაქტიკის მქონე მარეგულირებლებმა დაადგინეს მომსახურების ეფექტიანობის რამდენიმე ძირითადი ინდიკატორი (KPI), რათა აკონტროლონ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების საბითუმო მომსახურების მიწოდება დაშვების მაძიებლებისთვის (იხ. თავი 11).

10.3.3 დაუსაბუთებელი მოთხოვნები/პრეტენზიები

დაუსაბუთებელი პრეტენზიები წარმოადგენს კონკურენციის პრობლემას, როდესაც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს შეუძლია დააწესოს გარკვეული კონტრაქტის პირობები საბითუმო სერვისების მიწოდებაზე, რომლებიც არ არის აუცილებელი საბითუმო მომსახურების მიწოდებისთვის, მაგრამ ისინი აშკარად ზრდიან მომსახურების მიწოდების ხარჯებს და აკარგვენ ბროს არსებულ და პოტენციურ კონკურენტებს საბითუმო და საცალო ბაზარზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის არასტანდარტული კონტრაქტის პირობა, რომელიც მოითხოვს საცალო ბაზარზე არსებული კონკურენტის კონკრეტულ ქცევას, რაც არ არის საჭირო საბითუმო მომსახურების მიწოდებისთვის, მაგრამ ზრდის კონკურენტების ხარჯებს ან ზღუდავს კონკურენტების გაყიდვებს.

ეს არის ერთ-ერთი მიმართულება, სადაც ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ყველაზე გავრცელებულია განვითარებად ბაზრებზე, რაც მოიცავს შემდეგს:

- სხვადასხვა სახის, ვადების, პირობებისა და ოდენობის მიხედვით დაუსაბუთებელი გადახდის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების დაწესება
- უფრო ძვირი ტექნოლოგიების ან/და რესურსების გამოყენების მოთხოვნის დაწესება
- გარე კონტრაქტორების არჩევანის პირობის განსაზღვრა
- იმაზე მეტი ინფორმაციის მოთხოვნა, რაც აუცილებელია საბითუმო მომსახურების უზრუნველსაყოფად და ა.შ.

კომისია მიიჩნევს, რომ რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს შეიძლება ჰქონდეს სტიმული დააწესოს ზემოაღნიშნული კონტრაქტის პირობების უმეტესი ნაწილი, რათა გაზარდოს დაშვების მაძიებლების ხარჯები და ამ გზით შეზღუდოს მათი უნარი გასწიონ კონკურენცია საცალო ბაზარზე. იგივე გაუმართლებელი მოთხოვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკურენტების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, რომელიც შეიძლება გამოიყენოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის საცალო განყოფილებაში.

ყოველივე ეს შეიძლება წარმოადგენდეს საბაზრო ძალაუფლების გადაცემის პრაქტიკას საბითუმოდან საცალო ბაზარზე

10.3.4 კონკურენტების შესახებ ინფორმაციის გაუმართლებელი გამოყენება

კონკურენციის ეს პრობლემა მჭიდრო კავშირშია წინა ნაწილში მოყვანილ პრობლემასთან, ანუ გაუმართლებელ მოთხოვნებთან. გაუმართლებელი მოთხოვნებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში მომხმარებელთა მონაცემები, რომლებიც მოთხოვნილი იყო საბითუმო სერვისის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, შეიძლება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის მხრიდან გამოყენებულ იქნეს კონკურენტის ქსელში არსებულ მომხმარებლებზე მორგებული მომსახურების შეთავაზებების მიწოდებისთვის და შესაბამისად, მათი გადმოზიდვის მიზნით.

კომისია მიიჩნევს, რომ რეგულაციის არარსებობის შემთხვევაში, გამოვლენილ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს შეიძლება ჰქონდეს სტიმული გაუმართლებლად გამოიყენოს ინფორმაცია კონკურენტების შესახებ. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს შემთხვევას, როდესაც საბითუმო სერვისების მიწოდების პროცესში დაშვების მაძიებლისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რეგულირებულ ოპერატორებს შეუძლიათ მიიღონ წვდომა თავიანთი კონკურენტების ბიზნეს გეგმებზე და გაუზიარონ ისინი საკუთარ საცალო ჯგუფს, რათა კონკურენცია გაუწიონ მათ საცალო დონეზე. მაგალითად, ეს შეიძლება მოხდეს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის ქსელის გარკვეულ უბნებზე, რომლებზეც დაშვების მაძიებლების მხრიდან მოთხოვნილია ცენტრალური ან ადგილობრივი დაშვების უზრუნველყოფა, აღნიშნული ინფორმაციის გამოყენებით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს შეუძლია განსაზღვროს დაშვების მაძიებლის საბოლოო მომხმარებლების პოტენციური სამიზნე ჯგუფები.

რეგულაციის არარსებობის შემთხვევაში (ანუ მარჟის შეკუმშვის თავიდან აცილება) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის საცალო ჯგუფმა შეიძლება შესთავაზოს მიზანმიმართული ფასდაკლებები მომხმარებლებს გარკვეულ არეალებზე, რათა მისცეს მათ სტიმული, არ შეცვალონ ოპერატორი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონკურენტების საცალო შემოსავლების შემცირება ასეთ ადგილებში, საბოლოო მომხმარებლების მხრიდან მათ მომსახურებაზე გადასვლასთან დაკავშირებით უარის თქმით ან მათი ხარჯების გაზრდით (მაგ. დამატებითი მარკეტინგული ხარჯები მომხმარებლების მოსაზიდად).

10.3.5 დისკრიმინაცია მომსახურების ხარისხის მიხედვით

ამ კონკურენციის პრობლემას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი, QoS დებულების დისკრიმინაციით, გავლენას ახდენს კონკურენტების ხარჯების ზრდაზე ან კონკურენტების შემოსავლის შემცირებაზე საცალო დონეზე.

QoS დონეზე შეიძლება გავლენა იქონიოს შემდეგი გზებით:

- საექვო ხარისხის სერვისების განზრახ მიწოდება

- მომსახურებაზე უარი გაურკვეველი და დაუბალანსებელი კრიტერიუმების გამო
- ხარვეზის აღმოფხვრის უფრო ნელი პროცედურები, ვიდრე ეს განსაზღვრულია საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის საცალო ჯგუფის პროცედურებით

რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს შეუძლია უზრუნველყოს საბითუმო ცენტრალური და ადგილობრივი დაშვების სერვისების მიწოდება QoS-სთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალი ხარისხით, იმ სერვისებთან შედარებით, რომლებსაც ისინი აწვდიან საკუთარ საცალო ჯგუფს. ვინაიდან მაღალი სიჩქარის მომხმარებლები მგრძობიარენი არიან QoS-ის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია სიჩქარეებთან, QoS-ის და წვდომის სიჩქარის შემცირებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კონკურენციაზე საცალო მაღალი სიჩქარის ფართოზოლოვანი წვდომის ბაზარზე. პრობლემა კიდევ უფრო დიდია, თუ დაშვების მაძიებელი ექსკლუზიურად უზრუნველყოფს საცალო მომსახურებას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის საბითუმო დაშვების სერვისებით.

ზემოაღნიშნული ქცევა, რა თქმა უნდა, გამოიწვევს საბოლოო მომხმარებლების ნდობის დაკარგვას, რამაც უარეს შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს ხელშეკრულების შეწყვეტა და დაშვების მაძიებელთა შემოსავლის შემცირება. ნდობის დაკარგვა მოითხოვს დამატებით ჩართულობას მომხმარებელთა მომსახურების ან ტექნიკოსების მუშაობაში და შესაბამისად, გავლენას მოახდენს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის არსებული ან პოტენციური კონკურენტების ხარჯების ზრდაზე.

რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს შეუძლია განზრახ მოახდინოს გავლენა QoS-ზე, დეფექტების შეკეთების პროცედურების უფრო ხანგრძლივ პერიოდში განხორციელებით, ვიდრე მაშინ, როდესაც საქმე ეხება მათი საცალო ჯგუფის საბოლოო მომხმარებლებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს, მის ქსელში პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში, შეუძლია პრიორიტეტი მიანიჭოს საკუთარი მონაცემების ტრაფიკს, ანუ საკუთარ ფართოზოლოვან სერვისებს, რომლებსაც სთავაზობს საცალო დონეზე (VOIP, IPTV, VoD) სხვა ოპერატორების მიერ ბაზრისთვის მიწოდებულ ფართოზოლოვან სერვისებთან შედარებით.

10.4 ძალაუფლების გამოყენების ბერკეტი ფასის გამოყენებით

10.4.1 დისკრიმინაცია ფასის გამოყენებით

დისკრიმინაცია ფასის გამოყენებით არის კონკურენციის პრობლემა, რომელიც სახეზეა მაშინ, როდესაც რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი სხვადასხვა ოპერატორს სთავაზობს იმაზე განსხვავებულ/მაღალ ფასებს ერთი და იგივე საბითუმო მომსახურებისთვის და დაშვების მაძიებლებს დაშვების სერვისისთვის, ვიდრე ის თავად ითვალისწინებს, ხარჯების სახით საცალო ტარიფებში (ტრანსფერული ფასები). დისკრიმინაცია ფასის გამოყენებით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორმა შესაძლოა გამოიყენოს (რომელიც ასევე ვერტიკალურად ინტეგრირებული ოპერატორია) საბითუმო ბაზარზე, რათა გაზარდოს მისი კონკურენტების ხარჯები საცალო ბაზარზე. უფრო მაღალი ფასის (რომელიც ჩვეულებრივ ხარჯებზე მეტია) დაწესებით კონკურენტებისთვის, ვიდრე მისი საცალო ჯგუფისთვის, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ახდენს მარჟის შეკუმშვას.

მოსალოდნელია, რომ რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, გამოვლენილ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს შეიძლება ჰქონდეს სტიმული, რომ მიმართოს ფასის გამოყენებით დისკრიმინაციის პრაქტიკას, კერძოდ, შესთავაზოს მომსახურება ცენტრალური და

ადგილობრივი დაშვების მსურველ ოპერატორებს, რომლებსაც იგი კონკურენციას უწევს საცალო ბაზარზე, იმაზე უფრო მაღალი ფასებით (გადაჭარბებული ფასები) დაშვების მომსახურებაზე, ვიდრე ის სთავაზობს თავის საცალო ჯგუფს ანალოგიურ მომსახურებისთვის.

10.4.2 ჯვარედინი სუბსიდირება

ჯვარედინი სუბსიდირებასთან დაკავშირებული კონკურენციის პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც ორ ბაზარზე ორი ფასია. მაშინ, როცა ერთ ბაზარზე (ბაზარი, რომელზეც იმყოფება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირი) დაწესებული ფასი ხარჯებზე მეტია, ხოლო მეორე ბაზარზე (ბაზარზე, სადაც ავტორიზებული პირის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების პოზიციის გავრცელება ხდება) დაწესებულია ხარჯებზე დაბალი ფასი (მტაცებლური ფასი). ოპერატორს, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება კონკრეტულ საბითუმო ბაზარზე, რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, შეუძლია დააკისროს დაშვების მსურველ ოპერატორს ხარჯზე მაღალი ფასი საბითუმო მომსახურებაზე და პარალელურად დააწესოს ხარჯზე დაბალი საცალო ფასი შესაბამის საცალო ბაზარზე, რაც გამოიწვევს მარჟის შეკუმშვის პრაქტიკას საცალო დონეზე არსებული კონკურენტებისთვის, რომლებიც იყენებენ საბითუმო მომსახურებას, საცალო მომსახურების მიწოდებისთვის. ამ გზით, ოპერატორს შეუძლია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების გავრცელება საბითუმო ბაზრიდან შესაბამის საცალო ბაზარზე. ჯვარედინი სუბსიდირება თავისთავად არ არის ანტიკონკურენტული. თუმცა, თუ ერთი ფასი არის გადაჭარბებული, ხოლო მეორე ფასი მტაცებლური, ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბაზრო ძალაუფლების გავრცელებისთვის მჭიდროდ დაკავშირებულ ბაზრებზე და შესაბამისად პოტენციურად კონკურენტულ ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვისთვის. თუ ბაზარი, სადაც დაწესებულია მაღალი ფასი არის საბითუმო ბაზარი, ხოლო ბაზარი, სადაც დაწესებულია მტაცებლური ფასი არის საცალო ბაზარი და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი წარმოადგენს ვერტიკალურად ინტეგრირებულ ავტორიზებულ პირს, ასეთ შემთხვევაში ჯვარედინი სუბსიდირება გამოიწვევს მარჟის შეკუმშვის პრაქტიკას.

მოსალოდნელია, რომ რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, გამოვლენილი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს შეიძლება ჰქონდეს სტიმული, შესთავაზოს საბითუმო ცენტრალური დაშვების (ბიტსტრიმ დაშვება) და ადგილობრივი დაშვების სერვისები შესაბამის ბაზარზე ხარჯზე მაღალი ტარიფებით, რითიც გაზრდის ოპერატორების ხარჯებს, რომლებიც გამოიყენებენ ზემოთხსენებულ სერვისებს, ამავდროულად, შესაძლოა შესთავაზოს ბაზარს საცალო სერვისები (ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტი, ფასიანი ტელევიზია და ა.შ.) ხარჯზე დაბალ ფასებში. ეს გამოიწვევს კონკურენტების მარჟის შეკუმშვას საცალო დონეზე, მათ ზარალს და საბოლოო ჯამში მათი ბაზრიდან გასვლას.

10.4.3 მტაცებლური ფასი

კონკურენციის პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია მტაცებლურ ფასებთან, აისახება მაშინ, როდესაც დომინანტი ოპერატორი ყიდის პროდუქტს ან მომსახურებას წარმოების ხარჯებზე დაბალი ფასებით, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, იმ მიზნით, რომ შეაფერხოს ბაზარზე შესვლა, ან აიძულოს კონკურენტები გავიდნენ ბაზრიდან, რაც საშუალებას მისცემს დომინანტ კომპანიას კიდევ უფრო გაზარდოს თავისი საბაზრო ძალაუფლება და აკუმულირებული მოგება.

ეკონომიკური ანალიზის მიხედვით, მტაცებლურ ფასს გააჩნია შემდეგი მახასიათებლები:

- (i) დაწესებული ფასი ხარჯებზე დაბალია
- (ii) ბაზარზე არსებული კონკურენტები ან განდევნილი არიან ბაზრიდან ან ხორციელდება მათი შევიწროება
- (iii) დომინანტ კომპანიას შეუძლია აინაზღაუროს ზარალი

ამგვარად, მტაცებლის პოზიცია გულისხმობს კომპრომის მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივებს შორის. მოკლევადიან პერიოდში მომხმარებლები ისარგებლებენ დაბალი ფასებით, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში დაზარალებიან კონკურენტების ლიკვიდაციით ან გასვლით ბაზრიდან.

როცა დომინანტი ოპერატორი ოპერირებს მტაცებლური ფასებით, მისი ამგვარი ქმედებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება მოხდება კონკურენტების მიერ ბაზრის დატოვების შემდეგ საცალო ფასის ზრდით. ამასთან, დომინანტი კომპანია კვლავ შეძლებს ბაზარზე შესვლის ბარიერების შენარჩუნებას.

შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს ჰქონდეს სტიმული, რომ უზრუნველყოს კონკურენციის შეფერხება საცალო ბაზარზე დაბალი საცალო ფასების დაწესებით. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი ამას გააკეთებს, რადგან ის არის ვერტიკალურად ინტეგრირებული ოპერატორი, რომელსაც გააჩნია დომინანტური პოზიცია ბაზარზე და ფინანსური სიძლიერე, რომელიც საშუალებას აძლევს მას მოკლევადიან პერსპექტივაში მიიღოს ზარალი, რათა აღმოფხვრას კონკურენცია გრძელვადიან პერსპექტივაში.

11. საფეხური 6 - მარეგულირებელი ვალდებულებები

როგორც წინა თავებში იყო განსაზღვრული, I, II და III კლასტერებში არსებობს სხვადასხვა დონის ინფრასტრუქტურული კონკურენცია, ისევე როგორც საცალო დონეზე განსხვავებული სააბონენტო ბაზა. ეს იწვევს ამ კლასტერებში მოქცეული დასახლებების კონკურენტუნარიანობის სხვადასხვა დონეს. საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ბაზარი განისაზღვრა ეროვნულ ბაზრად გეოგრაფიული თვალსაზრისით და შპს “მათიკომი” განისაზღვრა მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორად ეროვნულ დონეზე.

თითოეულ დასახლებაში არსებული ინფრასტრუქტურული კონკურენციის სხვადასხვა დონეებსა და საცალო ბაზარზე არსებული კონკურენციის დონეებზე ადეკვატური რეაგირებისთვის (როგორც ეს აღწერილია მე-9 თავში) შემოთავაზებული ვალდებულებების შერჩევა ხორციელდება კონკურენციის პრობლემების ხასიათიდან გამომდინარე, რომლებიც იდენტიფიცირებულია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობასთან ერთად, როგორც ეს აღწერილია მე-10 თავში.

წინამდებარე კვლევის მიზანია დააწესოს რეგულაციები, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. *წინასწარი* რეგულაციების დაწესებამ უნდა უზრუნველყოს ბაზრის საცალო სეგმენტზე უფრო მაღალი კონკურენცია და მეტი ინვესტიციებისა და ინოვაციების მოზიდვა საბოლოო მომხმარებლების სასარგებლოდ. ეს ამართლებს მარეგულირებელი ვალდებულებების დაწესების არჩევანს, რომლებიც განსხვავდება სხვადასხვა კლასტერებს შორის, ამ კლასტერებში ინფრასტრუქტურული კონკურენციის განსხვავებული დონის გათვალისწინებით. ეს მარეგულირებელი ვალდებულებები, პროცედურების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროპორციული უნდა იყოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკებთან.

მე-10 თავში განსაზღვრული კონკურენციის პრობლემების მიხედვით, მიზანშეწონილია განისაზღვროს მარეგულირებელი ვალდებულებების შემდეგი ჩამონათვალი, რომლებიც დეტალურად იქნება აღწერილი შემდგომ თავებში (თითოეული ვალდებულებისათვის):

კლასტერი I

- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება;

- დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება;
- ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება;
- სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება;
- დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება.

კლასტერი II

- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება;
- დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება;
- ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება;
- სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება;
- დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება.

III კლასტერი

- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება

პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით, რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ იმ დასახლებებზე, სადაც შპს “მაგთიკომი” არის წარმოდგენილი. თუ დასახლება აკმაყოფილებს კონკრეტული კლასტერის კრიტერიუმებს და შპს “მაგთიკომი” არ არის წარმოდგენილი ამ დასახლებაში, მასზე ვალდებულებები არ გავრცელდება, მანამ სანამ შპს “მაგთიკომი” არ შევა ამ დასახლებაში.

11.1 დაშვების ვალდებულება

I და II კლასტერი:

- უზრუნველყოს მესამე მხარის საბითუმო ადგილობრივი დაშვების სერვისებზე წვდომა (VULA, FTTx ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სერვისებისთვის ბაზრის განსაზღვრის შესაბამისად (იხ. თავები 6.3 და 6.4), გამჭვირვალობის ვალდებულებასთან ერთად;
- მიაწოდოს მესამე მხარეებს დაშვება ცენტრალური დაშვების საბითუმო სერვისებზე (ე.წ. „ბიტსტრიმ დაშვება“) გადაცემის წერტილით ეროვნულ და რეგიონულ დონეზე FTTx ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სერვისებისთვის ბაზრის განსაზღვრის შესაბამისად (იხ. თავები 6.3 და 6.4), გამჭვირვალობის ვალდებულებასთან ერთად;
 - IP დონე
 - Ethernet დონე
- უზრუნველყოს მესამე მხარის დაშვება ცალკეული ვირტუალური არხების სერვისებზე IPTV-სთვის (მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება multicast და დროითი წანაცვლება, VoD), VoIP, მონაცემთა გადაცემის და სხვა სერვისებზე (რომელიც შეთავაზებულია ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის საცალო ჯგუფის მიერ) ასევე, მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გარანტირებული გამტარუნარიანობის, მომსახურების ხარისხი და ტრაფიკის პრიორიტეტიზაციის საშუალებები (ისეთივე ხარისხითა და პირობებით, როგორც სერვისებისთვის, რომლებიც შეთავაზებულია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის მიერ საცალო სეგმენტზე წარმოდგენილი საბოლოო მომხმარებლებისთვის – დისკრიმინაციულობის აკრძალვის ვალდებულებების შესაბამისად);
- უზრუნველყოს ღია დაშვება ტექნიკურ ინტერფეისებზე, პროტოკოლებსა ან სხვა ძირითად ტექნიკურ საშუალებებზე, რომლებიც აუცილებელია სერვისების თავსებადობისთვის;
- უზრუნველყოს მესამე მხარის ხელმისაწვდომობა დამხმარე სერვისებზე (ფიზიკური ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებს და ბოძებს;

ოპტიკურ-ბოჭკოვან ძარღვებს(მაგ. გაუნათებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ძარღვები); გამოყოფილი არხებით მომსახურებას xWDM ან Ethernet ტექნოლოგიაზე დაფუძნებული). დამხმარე სერვისების მიწოდების მიზანი არის, დაშვების მსურველ პირს მიეცეს შესაძლებლობა მიაღწიონ მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე პირის ქსელში დაშვების/გადაცემის წერტილამდე. თუ ერთზე მეტი დამხმარე სერვისია ხელმისაწვდომი, დაშვების მსურველს შეუძლია აირჩიოს მისთვის ხელსაყრელი მომსახურება;⁷²

- უზრუნველყოს დაშვების მაძიებლის მიერ საკუთარი სააბონენტო მოწყობილობის ე.წ. GPE-ის გამოყენება;
- საცალო ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის უზრუნველსაყოფად საოპერაციო მხარდაჭერის სისტემებზე ან მსგავს პროგრამულ სისტემებზე წვდომის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს ჩამოთვლილ კომპონენტებს:
 - VULA სერვისზე და ცენტრალური დაშვების სერვისებზე დაშვების მაძიებელთა მოთხოვნების მონიტორინგის საინფორმაციო სისტემა; ინფორმაცია სერვისების მომხმარებელი ოპერატორის მოთხოვნის შესახებ გაუმართაობის აღმოფხვრის თაობაზე, მომხმარებელი ოპერატორის ხარვეზის აღმოფხვრის სამუშაოების მიმდინარეობისა და შედეგის ინფორმაციაზე წვდომის შესახებ; ქსელის დაფარვასთან დაკავშირებული ინფორმაცია; სერვისის ხელმისაწვდომობა. ყველაფერი ეს უნდა იყოს მოწოდებული B2B (Business to Business) ფორმატში, რომელიც მარტივია მართვის, კონტროლის და განახლების თვალსაზრისით.

III კლასტერი

კეთილსინდისიერი მოლაპარაკება დაშვების მაძიებელთან, რომელიც მოიცავს, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის ვალდებულებას უპასუხოს დაშვების ნებისმიერ გონივრულ მოთხოვნას 6 თვის განმავლობაში. მტკიცებულების ტვირთი, რომ კონკრეტული მოთხოვნა არ არის გონივრული, ეკისრება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ თავში განსაზღვრული დაშვების ვალდებულება მიმართულია 10.2 თავში განსაზღვრული კონკურენციის პრობლემების გადასაჭრელად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს მაინც რჩება საკმარისი სივრცე, იმისათვის, რომ გამოიყენოს თავისი საბაზრო პოზიცია 10.3-10.4 თავებში განსაზღვრული კონკურენციის პრობლემების შესაქმნელად. ეს ნიშნავს, რომ საჭიროა სხვა მარეგულირებელი ვალდებულებების დაწესება თითოეული კლასტერისთვის ამ თავით განსაზღვრული დაშვების ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

11.2 დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება

მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორმა, რომელსაც დაეკისრა დისკრიმინაციის აკრძალვის სპეციფიკური ვალდებულება, უნდა უზრუნველყოს მომსახურების თანაბარი პირობების მიწოდება თანაბარ პირობებში სხვა ოპერატორებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ იმავე მომსახურების მიწოდებას და უნდა მიაწოდოს მომსახურება და ინფორმაცია სხვა

⁷² ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს სერვისები არ წარმოადგენენ ამ შესაბამისი ბაზრის ნაწილს და შპს “მაგთიკომისთვის” დაკისრებული მათი მიწოდების ვალდებულება განისაზღვრება სხვა შესაბამის ბაზრებზე შპს “მაგთიკომის” შესაძლო მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების სტატუსისგან დამოუკიდებლად, სადაც ეს სერვისები ბაზრის განსაზღვრების ნაწილია. ეს სერვისები (დამხმარე სერვისები) დაწესებულია ამ შესაბამის ბაზარზე დაშვების ძირითადი ვალდებულების გაუმჯობესების მიზნით.

ოპერატორებს იმავე პირობებითა და ხარისხით, რასაც ის აწვდის საკუთარ საცალო სტრუქტურულ ქვედანაყოფს და მასთან აფილირებულ კომპანიებს⁷³.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლისა და პროცედურების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (მე-10.1 თავის დასკვნების საფუძველზე), მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს უნდა განესაზღვროს შემდეგი მარეგულირებელი ვალდებულებები:

კლასტერი I-II

- თანაბარი პირობების (ვადები, ფასები, ინფორმაცია, ხარისხი და ა.შ.) უზრუნველყოფა VULA და ცენტრალური დაშვების საბითუმო სერვისებისთვის (ბიტსტრიმ დაშვება) და მათთან დაკავშირებული სერვისებისთვის დაშვების მსურველი ყველა ოპერატორისთვის. ამ ვალდებულების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს 11.2.1 თავში განსაზღვრული KPI-ების მეშვეობით.
- სხვა ოპერატორებისთვის მომსახურებისა და მონაცემების მიწოდება იმავე პირობებითა და ხარისხით, როგორც ის აწვდის საკუთარი სერვისების უზრუნველყოფისთვის მის საცალო ერთეულსა და შვილობილი კომპანიებისთვის. ამ ვალდებულების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს 11.2.1 ნაწილში განსაზღვრული KPI-ების მეშვეობით;
- უნდა წარმოადგინოს კომისიაში მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტის საფუძველზე დადებული ხელშეკრულება ბაზრის ამ ანალიზით რეგულირებად სერვისებზე, მისი გაფორმებიდან 15 დღის ვადაში. აღნიშნული წარმოადგენს დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულების შესრულების მთავარ შესამოწმებელ ინსტრუმენტს. გადაცდომის ან განსაზღვრული მარეგულირებელი ვალდებულებების განზრახ დარღვევის შემთხვევაში, კომისია გამოიყენებს შესაბამისი რეაგირების მექანიზმებს.
- კომუნიკაციების კომისიისთვის ანგარიშის წარდგენა, 11.2.1 თავში განსაზღვრული KPI-ების შედეგებთან დაკავშირებით, დაშვების მიმღები ოპერატორების მიხედვით, რომლებისთვისაც უზრუნველყოფენ იმავე მომსახურების მიწოდებას ბაზარზე და ოპერატორების მონაცემების მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის საცალო ჯგუფის შედეგებთან შედარება (და მის შვილობილი კომპანიებთან, თუ ეს შესაძლებელია), რაც დაადასტურებს ბაზარზე ყველა ოპერატორის მიმართ თანაბარ მოპყრობას.

კლასტერი III

- არ ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებების დაწესებას, რაც ნიშნავს, რომ კომერციული მოლაპარაკებები განსაზღვრავს პირობებს დაშვების მაძიებელთათვის.

დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება მიმართულია 10.2 და 10.3 თავებში განსაზღვრული კონკურენციის პრობლემების და ასევე კონკურენციის ყველა მსგავსი პრობლემის, რომელიც პირდაპირ არ არის განსაზღვრული და შეიძლება გამოიწვიოს იგივე შედეგები ბაზარზე აღმოფხვრისკენ.

11.2.1 ვალდებულების შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPIs)

დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ძირითადი ინდიკატორებია(KPI)::

1. გადაცემის სიჩქარეების მიხედვით მიღებული მოთხოვნების რაოდენობა;
2. მიღებული მოთხოვნების რაოდენობა ყოფნის წერტილზე (POP);

73 შვილობილი კომპანიები (კომპანია, რომლებშიც დედა კომპანია 50%-ზე მეტ წილს ფლობს და მის ანგარიშგებებს იკონსოლიდირებს) ნაწილია უფრო ფართო კატეგორიისა - "აფილირებული კომპანიები", კომპანიები, რომლებზეც დედა კომპანიას შესაძლებლობა აქვს გაავრცელოს საკუთარი გავლენა, მაგალითად აქციონერების შეთანხმების გზით.

3. უარყოფილი მოთხოვნების რაოდენობა უარის თქმის მიზეზ(ებ)ის მითითებით;
4. მიღებული და შემდგომში უარყოფილი მოთხოვნების რაოდენობა ცალ-ცალკე ახალი და არსებული მომხმარებლებისთვის;
5. განსაზღვრულ ვადაში დაკმაყოფილებული მოთხოვნების რაოდენობა;
6. სასურველ ან მოსალოდნელ ვადაში დაკმაყოფილებული მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებელი, ცალ-ცალკე ახალი და არსებული მომხმარებლებისთვის;
7. საცალო ოპერატორის მიერ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორისთვის შეტყობინებული ხარვეზების რაოდენობა, რომლებიც სრულად მოგვარდა მის მიერ 2 დღის განმავლობაში, 2-დან 10 დღემდე და 10-დან 30 დღემდე შეტყობინებიდან; მოთხოვნების დროულად (გვიან/ნაადრევი) დაკმაყოფილების რაოდენობა;
8. მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალო დრო ცალ-ცალკე ახალი და არსებული მომხმარებლებისთვის;
9. მოხსენებული გაუმართაობის (დარღვევების) რაოდენობა დაშვების ტიპის მიხედვით;
10. პრობლემების მოგვარების საშუალო დრო ერთ სერვისზე;
11. განსაზღვრულ დროში გამოსწორებული ხარვეზების რაოდენობა ცალ-ცალკე თითოეული განსაზღვრული დროისთვის;
12. განსაზღვრული დროის მიღმა აღმოფხვრილი ხარვეზების პროცენტული მაჩვენებელი;
13. მომსახურების ხარისხი QoS VOIP-ისთვის.

და სადაც გამოყენებადია:

14. მომსახურების ხარისხი QoS IPTV-ისთვის;
15. მომსახურების ხარისხი QoS VoD-ისთვის.

11.2.2 მარჯის შეკუმშვის ტესტი

კომისია მონიტორინგს გაუწევს დისკრიმინაციის პრაქტიკას ფასის გამოყენებით მარჯის შეკუმშვის ტესტის გამოყენებით (MST) იმ შემთხვევაში, როდესაც საჩივრები მიიღება ოპერატორებისგან, რომლებიც კონკურენციას უწევენ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს. ტესტის ძირითადი ელემენტები კომისიის მიერ გამოქვეყნდება ვებგვერდზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 6 თვის განმავლობაში. MST შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა საცალო სერვისის მიმართ, რომელიც მოიცავს ფართოზოლოვან მომსახურებას (ანუ, კომბინირებული/პაკეტური შეთავაზებების ჩათვლით), მაგრამ კონცეფციის დეტალები განისაზღვრება ცალკე გადაწყვეტილებით, რომელიც დაკავშირებული იქნება მარჯის შეკუმშვის ტესტის მეთოდოლოგიასთან.

ეს ტესტი გამოიყენებს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N 5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზირებული პირების მიერ შემოსავლებისა და დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვისა და განაწილების მეთოდოლოგიური წესების“ შესაბამისად.

ტესტი დაფუძნებული იქნება შემდეგ ფორმულაზე:

$$RP_{\text{smp}} \geq WC_{\text{reg}} + WC_{\text{non-reg}} + RC.$$

სადაც RP_{smp} = მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონეს ოპერატორის საცალო მომსახურების ფასი

WC_{reg} = მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის რეგულირებული მომსახურების საბითუმო ხარჯი

$WC_{\text{non-reg}}$ = დაშვების მაძიებლის ქსელთან დაკავშირებული ხარჯი მომსახურების მიწოდებისთვის

RC = დაშვების მაძიებლის საცალო მომსახურების მიწოდების ხარჯი

აღნიშნული გულისხმობს, რომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის საცალო ფასი მოცემულ სერვისზე არ უნდა იყოს მისი საბითუმო ხარჯების, დაშვების მამდიბლის საკუთარი ქსელის ხარჯსა და მისი მომსახურების მიწოდებისთვის გაწეულ საცალო ხარჯებზე, ნაკლები ამ სერვისისთვის.

11.3 ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებს შეიძლება დაეკისროთ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მარეგულირებელი ვალდებულება გარკვეული ინფორმაციის გამოქვეყნების სახით, როგორცაა მაგალითად:

- ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები;
- ტექნიკური მახასიათებლები;
- ქსელის მახასიათებლები (ტოპოლოგია, დაფარვა და ა.შ.);
- მომსახურების გაწევის პირობები;
- ფასები.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, როგორც გამჭვირვალობის ვალდებულების ნაწილი, კომუნიკაციების კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს გამოაქვეყნოს მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტა ურთიერთჩართვისა ან/და დაშვების შესახებ, რის საფუძველზეც ოპერატორს, რომელიც ითხოვს ურთიერთჩართვას ან/და დაშვებას, არ მოუწევს დამატებითი ხარჯების გაწევა, რაც არ არის საჭირო მოთხოვნილი სერვისის მიღების უზრუნველსაყოფად. მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტა დეტალურად უნდა იყოს დაყოფილი ბაზრის საჭიროებების შესაბამისად და უნდა მოიცავდეს მომსახურების დეტალურ აღწერას, მასთან დაკავშირებულ პირობებს და მომსახურების ფასებს.

გამჭვირვალობის ვალდებულების მიზანია უზრუნველყოს, რომ ბაზარზე არსებულ ყველა ოპერატორს, რომლებიც წარმოადგენენ რეგულირებადი საბითუმო სერვისების არსებულ ან პოტენციურ მომხმარებლებს შესაბამის ბაზარზე, ჰქონდეთ გამჭვირვალედ ხელმისაწვდომი პირობები საბითუმო სერვისების გამოყენებისათვის, რომლებზე დაშვების ვალდებულება დაწესდა. როგორც 11.2 თავშია აღნიშნული, გამჭვირვალობის ვალდებულებას ემატება დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება. ეს იმიტომ ხდება, რომ რეგულირებადი საბითუმო დაშვების სერვისები მაღალი ტექნიკური მოთხოვნებით ხასიათდება, ისე, რომ დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულების შესრულება და მისი შესრულების სრული კონტროლი შესაძლებელია მხოლოდ გამჭვირვალობის ვალდებულების არსებობის პირობებში.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად და პროცედურების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად (მე-10.1 თავის დასკვნების საფუძველზე), მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს უნდა განესაზღვროს შემდეგი ვალდებულებები:

კლასტერი I-II

- მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 90 დღის ვადაში გამოაქვეყნოს კომუნიკაციების კომისიასთან შეთანხმებული საბითუმო ცენტრალური დაშვების სერვისის (ბიტსტრიმ დაშვება) მომსახურების მოწვევის წინადადება (მოწვევის ოფერტა). მოწვევის ოფერტა უნდა მოიცავდეს:

- ყველა ძირითადი დაშვების სერვისის, რომელსაც მოიცავს დაშვების ვალდებულებას (იხ. თავი 11.1) და განსაზღვრულ ბაზარს (იხ. თავები 6.3 და 6.4);
- ცალკეული ვირტუალური არხის სერვისებს, რომლებიც განსაზღვრულია 11.1 თავში;
- 11.1 თავში განსაზღვრულ დამხმარე მომსახურებებს.

დაშვების მსურველ კომპანიებმა არ უნდა გასწიონ იმგვარი დამატებითი ხარჯები, რომლებიც არ არის კავშირში მოთხოვნილი რეგულირებადი სერვისების მიწოდებასთან;

- გონივრული მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში საბითუმო VULA სერვისზე დაშვებასთან დაკავშირებული მომსახურების კომუნიკაციების კომისიასთან შეთანხმებული მოწვევის წინადადება (მოწვევის ოფერტის) გამოაქვეყნოს ოფიციალური მოთხოვნიდან 90 დღეში. მოწვევის ოფერტა უნდა მოიცავდეს:

- ყველა ძირითადი დაშვების სერვისის, რომელსაც მოიცავს დაშვების ვალდებულება (იხ. თავი 11.1) და განსაზღვრულ ბაზარს (იხ. თავები 6.3 და 6.4);
- დამატებითი ვირტუალური არხებზე დაშვების სერვისებს, რომლებიც განსაზღვრულია 11.1 თავში. (ანუ ცალკე ვირტუალური არხები);
- 11.1 თავში განსაზღვრულ დამხმარე მომსახურებებს.

შენიშვნა: საბითუმო VULA სერვისზე დაშვების მომსახურების ძირითადი პირობების შემცველი (დაშვების წერტილები, ფუნქციები, ფასი) , კომისიასთან შეთანხმებული მოწვევის ოფერტა უნდა გამოაქვეყნოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 90 დღის განმავლობაში, ხოლო მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტა უნდა გამოაქვეყნოს მხოლოდ გონივრული მოთხოვნის მიღებიდან 90 დღეში.

დაშვების მსურველ ოპერატორს არ უნდა მოუწიოს გასწიოს დამატებითი ხარჯები, რომლებიც არ არის საჭირო მოთხოვნილი რეგულირებადი სერვისების მიწოდებასთან;

- მოწვევის ოფერტაში მოცემული ქსელის ელემენტების ან სერვისების პირობების შეცვლის შემთხვევაში უნდა გამოაქვეყნოს შეცვლილი, კომისიასთან შეთანხმებული მოწვევის ოფერტა. როდესაც ცვლილება ეხება ახალი საცალო სერვისის ან ფუნქციების გაშვებას, მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორს შეუძლია დაიწყოს ახალი სერვისის შეთავაზება / ახალი ფუნქციებით მომსახურება მხოლოდ შეცვლილი მოწვევის ოფერტის გამოქვეყნებიდან 30 დღის შემდეგ;
- უზრუნველყოს, რომ მოწვევის ოფერტა იყოს დეტალური და სტრუქტურირებული მომსახურებებისა და და დაწესებული მარეგულირებელი ვალდებულებების შესაბამისად და მოიცავდეს ყველა სერვისის, ტექნიკურ მახასიათებლებს, დაკავშირებულ პირობებს და ფასებს. (ქვემოთ განსაზღვრულია მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტის შემადგენელი კომპონენტების მინიმალური ჩამონათვალი);
- კომუნიკაციების კომისიისთვის და დაშვების ყველა მაძიებლისათვის გამჭვირვალე მონაცემების მიწოდება ოპერაციული მხარდაჭერის ან პროგრამულ სისტემებზე, რომლებიც აუცილებელია საცალო ბაზარზე სამართლიანი კონკურენტული გარემოს უზრუნველსაყოფად და რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის რეგულირებადი სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებული მუშაობის მონიტორინგი.

კლასტერი III

- ამ კლასტერისთვის არ არის გათვალისწინებული გამჭვირვალობის მარეგულირებელი ვალდებულება, რაც ნიშნავს, რომ კომერციული მოლაპარაკებები განსაზღვრავს დაშვების პირობებს დაშვების მაძიებელთათვის.

ზემოაღნიშნული მარეგულირებელი ვალდებულება, დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებასთან ერთად, მიმართულია საბაზრო კონკურენციის განვითარებასთან დაკავშირებული ყველა დაბრკოლების აღმოფხვრისკენ, რომლებიც დაკავშირებულია ფასის გამოყენებით და არასაფასო ცვლადებზე დაფუძნებულ დისკრიმინაციასთან (თავები 10.3. და 10.4.).

11.3.1 მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტის (reference offer) მინიმალური შემადგენელი კომპონენტები

საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა) უნდა შეიცავდეს, მინიმუმ, შემდეგ ინფორმაციას:

- 1) ზოგადი დებულებები (მოწვევის ოფერტის სამართლებრივი საფუძველი, საგანი, ფარგლები და შეზღუდვები; მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტის ისტორიული განვითარება; მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტის ცვლილებები; მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტის ძალაში შესვლის თარიღი; მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადა; მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტის მიღება; არსებული კონტრაქტების ჰარმონიზაციის მეთოდი; განმარტებები, ტერმინები და მნიშვნელობები და გამოყენებული აბრევიატურების ჩამონათვალი; საკონტაქტო ინფორმაცია);
- 2) სერვისების აღწერა, რომლებიც შედის მოწვევის ოფერტის ფარგლებში, მათ შორის ნებისმიერი შესაბამისი დამხმარე სერვისი, დამატებითი და წინასწარი მომსახურება (ოპერაციული მხარდაჭერის სისტემების, საინფორმაციო სისტემების ან მონაცემთა ბაზების ჩათვლით წინასწარი შეკვეთისთვის, უზრუნველყოფის, შეკვეთის, ტექნიკური და სარემონტო მოთხოვნებისა და ბილინგისთვის);
- 3) ყველა რეგულირებულ სერვისზე წვდომის ტექნიკური პირობები, მათ შორის ქსელის არქიტექტურა (აღწერითი და სქემატური) და ქსელზე დაშვების ნებისმიერი შესაბამისი ტექნიკური სტანდარტი, განსაკუთრებით ტექნიკური გამოყენების შეზღუდვისა და უსაფრთხოების სხვა საკითხების მითითებით;
- 4) ქსელში გამოსაყენებელი მოწყობილობების სპეციფიკაციები;
- 5) პროცედურები მომსახურების შეთავაზებაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება მოიცავდეს მარეგულირებლისთვის შეტყობინების მოთხოვნას ასეთი ცვლილებების შესახებ, მაგალითად, ახალი სერვისების გაშვება, არსებულ სერვისებში ცვლილებები ან ფასების ცვლილება;
- 6) მომსახურების მიწოდების პირობები, რომელიც შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:
 - სერვისების გააქტიურების მოთხოვნის წარდგენის პროცედურა
 - მოთხოვნაზე რეაგირების დრო
 - დრო მოთხოვნის მიღებასა და სერვისის გააქტიურებას შორის
 - ტექნიკური გადაწყვეტა და ტექნიკურ გადაწყვეტასთან დაკავშირებული ხარჯი
 - მოთხოვნების უარყოფის ან/და მომსახურების მიწოდების მუდმივი/დროებითი შეჩერების მიზეზები
 - მოთხოვნის გაუქმება
 - გააქტიურების და მომსახურების მიწოდების პირობები
 - საჭირო თავსებადობის ტესტების დეტალები
 - ხარვეზის გამოსწორების პროცედურა
 - მომსახურების ხარისხის შეთანხმება (SLAs) შეკვეთის, მიწოდების, მომსახურების (ხელმისაწვდომობის) და ტექნიკური მომსახურების (შეკეთების) შესახებ, მათ შორის კონკრეტული ვადები თანხმობის ან უარის თქმასთან დაკავშირებით მომსახურების მიწოდებაზე ან სამუშაოს დასრულებასთან დაკავშირებით მოთხოვნებზე, ტესტირება და გადაცემა ან მომსახურების მიწოდება და ობიექტის

გადაცემა, დამხმარე სერვისების მიწოდებისთვის (როგორცაა ხარვეზების მოგვარება და შეკეთება)

- ხარისხის სტანდარტებს, რომლებსაც თითოეული მხარე უნდა აკმაყოფილებდეს თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, მათ შორის შესრულების ძირითადი ინდიკატორების (KPIs) დაზუსტება მომსახურების ხარისხის შეთანხმებასთან (SLA) მიმართებაში, საჭიროების შემთხვევაში
- მომსახურების ხარისხის გარანტიები (SLGs) შეკვეთის, მიწოდების, მომსახურების (ხელმისაწვდომობის) და ტექნიკური მომსახურების (შეკეთება), მათ შორის კომპენსაციის ოდენობა, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს ერთი მხარის მიერ მეორეზე სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან მოთხოვნების შესრულების დაგვიანების შემთხვევაში, ხარვეზების/დარღვევების აღმოფხვრის შეფერხება და ა.შ. ასევე კომპენსაციის მიღების უფლებამოსილების პირობები.

7) მომსახურების ფასები

8) ბილინგის, გადახდის და მისი სადაზღვევო ინსტრუმენტები

9) მომსახურების ხარისხი (ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა და საჩივრების მოგვარება)

10) წვდომა საოპერაციო მხარდაჭერის სისტემებზე, საინფორმაციო სისტემებსა და მონაცემთა ბაზებზე წინა პერიოდის მოთხოვნებისთვის, სერვისის მოთხოვნების, წარუმატებლობის შესახებ ანგარიშების და ბილინგის, მათ შორის ტექნიკური გამოყენების შეზღუდვები და პროცედურები ამ სერვისებზე წვდომისათვის;

11) მენეჯმენტი, ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება;

12) ზიანისათვის პასუხისმგებლობისა და ანაზღაურების განსაზღვრა და შეზღუდვა (მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორისა და დაშვების მომთხოვნი ოპერატორის პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურება; პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურება მესამე პირებისთვის);

13) ინფორმაციისა და კომერციული საიდუმლოების კონფიდენციალურობა;

14) ინტელექტუალური საკუთრების უფლება;

15) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორიდან საბოლოო მომხმარებლის სერვისების ოპერატორებს შორის მიგრაციის პროცედურა (მაგალითად, ტელევიზიის დამატება სერვისების პაკეტში, ინტერნეტის სიჩქარის ცვლილება). პროცედურა მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და მოიცავდეს ცვლილების მოთხოვნის პროცედურას, კერძოდ ის უნდა ასახავდეს თუ როგორ ხდება სერვისის განახლება საბითუმო ხარჯების ნებისმიერ ცვლილებასთან ერთად;

16) დავის გადაწყვეტის პროცედურები;

17) დანართები:

- ხელმისაწვდომი დაშვების წერტილების სია
- მომსახურების მოთხოვნა
- კონფიდენციალურობის შეთანხმება
- საბანკო გარანტიის ტექსტი
- გაუმართაობის/დარღვევის შესახებ შეტყობინების ფორმა
- მომსახურებით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების ფორმა
- ტერმინთა განმარტება, რომელიც შეესაბამება საბითუმო პროდუქტებს და სხვა შესაბამის პროდუქტებს

ეს მოთხოვნები სრულად შეესაბამება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკას.⁷⁴

11.4 სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის თანახმად, კომუნიკაციების კომისიას უფლება აქვს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს დააკისროს სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება, რაც დაკავშირებულია ხარჯთაღრიცხვასა და ფასების კონტროლთან, რომელიც მათ შორის მოიცავს ხარჯზე

⁷⁴ სტანდარტული შეთავაზება კონკრეტულად უნდა შეიცავდეს BEREC-ის მითითებით განსაზღვრულ ინფორმაციას სტანდარტული შეთავაზების მინიმალური სტანდარტების შესახებ.

ორიენტირებულ ფასებს და ხარჯთაღრიცხვის გამოყენების ვალდებულებას, რაც დაკავშირებულია გარკვეული ტიპის ურთიერთჩართვის და/ან დაშვების უზრუნველყოფის სერვისთან. ამ ვალდებულების განსაზღვრისას კომუნიკაციების კომისიამ გაითვალისწინა საბაზრო კონკურენციის ხელშეწყობა და საბოლოო მომხმარებლების გრძელვადიანი ინტერესები და ამავე დროს FTTx ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების წახალისების აუცილებლობა ყველა ოპერატორისთვის. ამიტომ კომუნიკაციების კომისიამ მე-9 თავში გაკეთებულ დასკვნებზე დაყრდნობით, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული კონკურენციის პირობებთან ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, განსაზღვრა სხვადასხვა მარეგულირებელი ვალდებულებები ფასების კონტროლთან დაკავშირებით თითოეულ გეოგრაფიულ არეალში. ეს განსხვავებული მარეგულირებელი ვალდებულებები (ასახავენ I, II და III კლასტერების კონკურენტუნარიანობის სხვადასხვა დონეს, ასევე მე-10 თავში განსაზღვრულ კონკურენციის პრობლემებს.

უნდა აღინიშნოს, რომ თავად ფასების კონტროლის ვალდებულება (ანუ ხარჯებზე ორიენტირებულობა), ფიქსირებული ფართოზოლოვანი წვდომის საცალო ბაზრის რეგულირების არარსებობის პირობებში, ვერ შეუშლის ხელს ზედმეტად დაბალი საცალო ფასების დაწესებას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების მიერ. კომისიამ გაითვალისწინა ეს ასპექტი ამ თავში I და II კლასტერებში კონკრეტული მარეგულირებელი ვალდებულებების დაზუსტებისას.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და პროცედურების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად (მე-10.1 თავის დასკვნების საფუძველზე), კომუნიკაციების კომისია განსაზღვრავს, რომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს მოეთხოვოს:

კლასტერი I:

- განსაზღვროს საბითუმო VULA და ცენტრალური დაშვების (ბიტსტრიმ დაშვება) სერვისების გამოყენების ფასები (ერთჯერადი და რეგულარული გადასახადი), რომელიც მოიცავს:
 - 11.1 თავში განსაზღვრულ ყველა მომსახურებას დაშვების ვალდებულების შესაბამისად;
 - 11.1 თავში განსაზღვრულ სპეციალური ვირტუალური არხის მომსახურებებს;
 - 11.1 თავში განსაზღვრული დაშვების მომსახურების მიმწოდებლის სააბონენტო მოწყობილობის ე.წ. „CPE“-ს გამოყენებისთვის.

ფასები, რომლებსაც დაშვების მაძიებელი გადაიხდის, უნდა ეფუძნებოდეს მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ სათანადოდ დასაბუთებულ ხარჯებს (ხარჯების დუბლირების გარეშე და იმ ხარჯების ასახვის გარეშე, რომლებიც არ არის აუცილებელი საბითუმო მომსახურების უზრუნველსაყოფად):

- ადგილობრივი დაშვების სერვისისთვის განისაზღვრება ერთი ფასი შეთავაზებული სიჩქარის მიუხედავად, Backhaul სერვისის (ქსელის რესურსის გამოყენების) ფასის გათვალისწინების გარეშე;
- Ethernet და IP დონეზე დაშვებისთვის (ჩართვის რეგიონულ ან ეროვნულ წერტილებში) განისაზღვრება ერთი ფასი ადგილობრივი დაშვების ნაწილში, სიჩქარის მიუხედავად, რომელსაც დაემატება ფასი Backhaul სერვისისთვის (ქსელის რესურსის გამოყენებისთვის). მნიშვნელოვანია, რომ თავიდან იქნეს აცილებული ხარჯების დუბლირება და/ან ორმაგი დარიცხვა (billing);

განსაზღვრული ფასები იქნება მაქსიმალური საბითუმო ტარიფები, რომლებიც გამოითვლება ცენტრალური და VULA სერვისზე დაშვებისთვის ქვემოდან ზემოთ (Bottom-Up) ხარჯთაღრიცხვის მოდელის გამოყენებით.

ამასთან, ამ შემთხვევაში მარჟის შეკუმშვის ტესტი (MST) არ არის საჭირო, რადგან ხარჯზე ორიენტირებული ფასების გაანგარიშება არ დატოვებს სივრცეს ბაზარზე არსებული ფასებით მარჟის შეკუმშვისთვის. ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, ყოველთვის არსებობს მარჟის შეკუმშვის ტესტის (MST) გამოყენების შესაძლებლობა თითოეული შემთხვევის კრილში (Case-by-Case) კომუნიკაციების კომისიისთვის კონკურენციის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

კლასტერი II:

- VULA სერვისზე დაშვებისთვის ხარჯზე ორიენტირებული მაქსიმალური ფასი (11.1 თავით განსაზღვრული ადგილობრივი დაშვების სერვისებისთვის) არ იქნება განსაზღვრული, მაგრამ ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს მარჟის შეკუმშვის ტესტი შემდგომი რეგულირების (*ex-post* რეგულირება) ფარგლებში და ტესტი უნდა ეფუძნებოდეს „გონივრული ეფექტური ოპერატორის მოდელს“ (“reasonable efficient operator”). ზემოაღნიშნული უნდა შეესაბამებოდეს ფორმულას „BEREC-ის სახელმძღვანელო დოკუმენტიდან ეკონომიკური განმეორებადობის ტესტის მარეგულირებელი აღრიცხვის მიდგომის შესახებ“ (მაგ: წინასწარი/სექტორისთვის სპეციფიკური მარჟის შეკუმშვის ტესტები)“ „BEREC Guidance on the regulatory accounting approach to the economic replicability test (i.e. ex-ante/ sector specific margin squeeze tests)“ დანართი 1-ის მე-3 პუნქტი წარმოდგენილია მარჟის შეკუმშვის ტესტის (MST-ის) ფორმულა, რომელიც განსაზღვრავს, რომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის საცალო ფასი არ შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის საბითუმო მომსახურების ხარჯების, დაშვების მაძიებლის საკუთარი ქსელის ხარჯებისა და დაშვების მაძიებლის საცალო მომსახურების გაწევის ხარჯების ჯამზე ნაკლები.
- უნდა განისაზღვროს საბითუმო ცენტრალური დაშვების (ბიტსტრიმ დაშვება) სერვისების გამოყენების ფასები, ზედა ზღვრული ტარიფები (ყველა ერთჯერადი და რეგულარული ტარიფი).
 - 11.1 თავში განსაზღვრულ ყველა ცენტრალური დაშვების სერვისს დაშვების ვალდებულების შესაბამისად
 - 11.1 თავში განსაზღვრულ სპეციალური ვირტუალური არხის სერვისებს,
 - 11.1 თავში განსაზღვრულ დამხმარე მომსახურებებს.

ფასები, რომლებსაც გადაიხდის დაშვების მაძიებელი, უნდა ეფუძნებოდეს სათანადოდ დასაბუთებულ ხარჯებს (ხარჯების დუბლირების გარეშე და იმ ხარჯების ასახვის გარეშე, რომლებიც არ არის აუცილებელი საბითუმო მომსახურების უზრუნველსაყოფად) :

- Ethernet და IP დონეზე დაშვებისთვის (რეგიონული ან ეროვნული ყოფნის წერტილი) განისაზღვრება ერთი ფასი, სიჩქარის მიუხედავად, რომელსაც დაემატება ფასი Backhaul სერვისისთვის (ქსელის სიმძლავრის გამოყენება). მნიშვნელოვანია, რომ თავიდან იქნეს აცილებული ხარჯების დუბლირება და/ან ორმაგი დარიცხვა (billing);

განსაზღვრული ფასები იქნება მაქსიმალური საბითუმო ტარიფები, რომლებიც გამოითვლება ცენტრალური დაშვებისთვის BU-LRIC მოდელის საფუძველზე.

ცენტრალური დაშვებისთვის მარჟის შეკუმშვის ტესტი(MST) არ არის საჭირო, რადგან ხარჯზე ორიენტირებული ფასების გაანგარიშება არ დატოვებს სივრცეს ბაზარზე არსებული ფასებით მარჟის

შეკუმშვასთან დაკავშირებული ქცევისთვის. ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, ყოველთვის არსებობს მარჯის შეკუმშვის ტესტის გამოყენების შესაძლებლობა თითოეული შემთხვევის ჭრილში (Case-by-Case) კომუნიკაციების კომისიისთვის კონკურენციის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

კლასტერი III

- არ ითვალისწინებს ფასების კონტროლის მარეგულირებელი ვალდებულების დაწესებას. საბითუმო გადასახადი განისაზღვრება კომერციული მოლაპარაკებების საფუძველზე. ნებისმიერი პრობლემის/დავის წარმოშობის შემთხვევაში შესაძლებელია მარჯის შეკუმშვის ტესტის გამოყენება კომუნიკაციების კომისიისთვის კონკურენციის კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების საფუძველზე.

ზემოაღნიშნული მარეგულირებელი ვალდებულება, დისკრიმინაციისა და გამჭვირვალობის ვალდებულებებთან ერთად, მიზნად ისახავს ყველა კონკურენციის პრობლემის გადაჭრას, რომლებიც დაკავშირებულია ფასზე დაფუძნებულ და არასაფასო ცვლადებზე დაფუძნებულ დისკრიმინაციასთან (განსაზღვრულია თავებში 10.3 და 10.4).

ქვემოდან-ზემოთ (Bottom-Up) ხარჯების დათვლის მოდელის მეთოდოლოგია, რომელიც უნდა გამოიყენოს მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორმა საბითუმო ხარჯების გამოსათვლელად, განისაზღვრება კომისიის ცალკეული გადაწყვეტილებით, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის 30 (3) მუხლის საფუძველზე.

11.5 განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშგება

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, კომუნიკაციების კომისიას უფლება აქვს, ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი რეგულაციების შესაბამისად, დააკისროს ვალდებულება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს, წარმოადგინოს განცალკევებული ანგარიშები ურთიერთჩართვასთან და/ან დაშვებასთან დაკავშირებული საქმიანობებისთვის.

ეს ვალდებულება შეიძლება დაწესდეს დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულების შესრულების კონტროლის მიზნით ან როცა ეს აუცილებელია სხვადასხვა აქტივობებს შორის გაუმართლებელი ჯვარედინი სუბსიდირების თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, ასეთი ვალდებულება შეიძლება დაეკისროს ვერტიკალურად ინტეგრირებულ ოპერატორს, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, რომ გახადოს მისი საბითუმო ფასები და ტრანსფერული ფასები გამჭვირვალე, კერძოდ, უზრუნველყოს დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულების შესრულება, ან საჭიროების შემთხვევაში, თავიდან აიცილოს უსამართლო ჯვარედინი სუბსიდირება.

ბუღალტრული ანგარიშების გამიჯვნის ეს ვალდებულება (მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის ელექტრონული საკომუნიკაციო სერვისების ხარჯებისა და შემოსავლების გამიჯვნა) ხელს უშლის კონკურენციის პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ფასის გამოყენებით დისკრიმინაციასთან და სერვისების ჯვარედინ სუბსიდირებასთან, დისკრიმინაციის აკრძალვისა და გამჭვირვალობის უკვე დადგენილ ვალდებულებებთან ერთად.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად და პროცედურების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად (მე-10.1 თავის დასკვნებზე დაყრდნობით), კომისია განსაზღვრავს, რომ საჭიროა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორმა:

კლასტერი I-II

- მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირის მიერ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ამ ბაზრის ანალიზით განსაზღვრული VULA და ცენტრალური დაშვების სერვისებისთვის (დამხმარე სერვისების ჩათვლით) განცალკევებული ანგარიშების წარმოება და კომისიაში წარმოდგენა.

კლასტერი III

- არ არის დაწესებული ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების განცალკევებული აღრიცხვის მარეგულირებელი ვალდებულება.

მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი ამ ვალდებულებას განახორციელებს კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზირებული პირების მიერ შემოსავლებისა და დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვისა და განაწილების მეთოდოლოგიური წესების“ შესაბამისად.

კომუნიკაციების კომისიის თვალსაზრისით, ეს მარეგულირებელი ვალდებულება წყვეტს 10.4 თავში განსაზღვრულ კონკურენციის პრობლემებს და ყველა დაბრკოლებას, რომელიც პირდაპირ არ არის განსაზღვრული და შეიძლება გამოიწვიოს იგივე ან მსგავსი შედეგები ბაზარზე. ნებისმიერი პოტენციური ჯვარედინი სუბსიდირების პრობლემა აღმოიფხვრება განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშების, დისკრიმინაციის აკრძალვისა და გამჭვირვალობის მარეგულირებელი ვალდებულებების გამოყენებით.

11.6 საბითუმო ფიქსირებული დაშვება: I, II და III კლასტერებისთვის შემოთავაზებული მარეგულირებელი ვალდებულებების მიმოხილვა

ცხრილი 80 მარეგულირებელი ვალდებულებების გეოგრაფიული სეგმენტაცია

ვალდებულებების გეოგრაფიული სეგმენტაცია			
კლასტერი ვალდებულებები	კლასტერი I : სრული ვალდებულებები	კლასტერი II: მსუბუქი ვალდებულებები	კლასტერი III: მხოლოდ დაშვება
ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება (კანონის მუხლი 31)	მოწვევის ოფერტის გამოქვეყნება ცენტრალური დაშვებისთვის დაშვების ყველა დონისთვის (გადაწყვეტილების მიღებიდან 90 დღეში)	მოწვევის ოფერტის გამოქვეყნება ცენტრალური დაშვებისთვის დაშვების ყველა დონისთვის (გადაწყვეტილების მიღებიდან 90 დღეში)	არ არის მოწვევის ოფერტის გამოქვეყნების მოთხოვნა, პირობებზე შეთანხმება უნდა მოხდეს კომერციული მოლაპარაკების რეჟიმში
	VULA სერვისზე დაშვებისთვის, მოწვევის ოფერტა მხოლოდ მოთხოვნიდან 90 დღეში (ძირითადი ელემენტები უნდა გამოქვეყნდეს გადაწყვეტილების მიღებიდან 90 დღის განმავლობაში)	VULA სერვისზე დაშვებისთვის, მოწვევის ოფერტა მხოლოდ მოთხოვნიდან 90 დღეში (ძირითადი ელემენტები უნდა გამოქვეყნდეს გადაწყვეტილების მიღებიდან 90 დღის განმავლობაში)	

<p>დისკრიმინაციის აკრძალვა (კანონის მუხლი 32)</p>	<p>ცენტრალური და (ასეთის არსებობის შემთხვევაში), VULA სერვისზე დაშვებისთვის – მონიტორინგი გამჭვირვალობის ვალდებულებით განსაზღვრული KPI-ებით</p>	<p>ცენტრალური და (ასეთის არსებობის შემთხვევაში), VULA სერვისზე დაშვებისთვის – მონიტორინგი გამჭვირვალობის ვალდებულებით განსაზღვრული KPI-ებით</p>	<p>არ არის განსაზღვრული: პირობებზე შეთანხმება უნდა მოხდეს კომერციული მოლაპარაკების რეჟიმში</p>
<p>განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშების ვალდებულება კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად (კანონის მუხლი 33)</p>	<p>ცენტრალური და (ასეთის არსებობის შემთხვევაში) VULA სერვისზე დაშვებისთვის</p>	<p>ცენტრალური და (ასეთის არსებობის შემთხვევაში) VULA სერვისზე დაშვებისთვის</p>	<p>არ არის განსაზღვრული</p>
<p>ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებზე დაშვების უზრუნველყოფის ვალდებულება (კანონის 34-ე მუხლი)</p>	<p>ცენტრალური და VULA სერვისზე დაშვებისთვის, დამხმარე სერვისების ჩათვლით</p>	<p>ცენტრალური და VULA სერვისზე დაშვებისთვის, დამხმარე სერვისების ჩათვლით</p>	<p>განსაზღვრულ ვადაში მოლაპარაკებისა და დაშვების უზრუნველყოფის ვალდებულება, მაგ. გონივრული მოთხოვნის შემთხვევაში 6 თვე. მტკიცების ტვირთი, რომ მოთხოვნა არ არის გონივრული, გადადის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორზე. მუხლი 36-ის ფარგლებში, რომელიც ეხება დავის გადაწყვეტის საკითხს შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში კანონის 19 მუხლის (1) პუნქტის შესაბამისად სიმეტრიული „დაშვების“ (და ურთიერთჩართვის) ვალდებულების ფარგლებში.</p>
<p>საფასო კონტროლი (კანონის მუხლი 35)</p>	<p>დაშვების მაქსიმალური ტარიფები ცენტრალური და VULA სერვისზე დაშვებისთვის გაანგარიშებული (დამხმარე სერვისების ჩათვლით) ხარჯთაღრიცხვის Bottom Up მოდელის საფუძველზე</p>	<p>დაშვების მაქსიმალური ტარიფები ცენტრალური დაშვებისთვის(დამხმარე სერვისების ჩათვლით) გაანგარიშებული Bottom Up ხარჯთაღრიცხვის მოდელის საფუძველზე. VULA სერვისზე დაშვებისთვის, მაქსიმალური ფასი არ</p>	<p>ტარიფზე შეთანხმება უნდა განხორციელდეს კომერციული მოლაპარაკებების საფუძველზე</p>

		არის განსაზღვრული, თუმცა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მარყის შეკუმშვის ტესტი შემდგომი რეგულირების (<i>ex-post</i>) ფარგლებში დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულების გათვალისწინებით	
დასახლებების რაოდენობა	589	4	9
მოსახლეობა	2,485,521	318,267	24,964

წყარო: კომპლექსურ კვლევაში ჩართული ექსპერტების ჯგუფი

11.7 როგორ აგვარებს მარეგულირებელი ვალდებულებების დაწესება კონკურენციის პრობლემებს

მე-10 თავში აღწერილია მიმდინარე და მოსალოდნელი კონკურენციის პრობლემები ფიქსირებულ ლოკაციაზე საბითუმო ადგილობრივი და ცენტრალურ დაშვების ბაზარზე. ცხრილი 81-ში მოყვანილია შეჯამება თუ როგორ უნდა იქნეს 11.1-დან 11.5 თავებში აღწერილი პოტენციური კონკურენციის პრობლემები აღმოფხვრილი შემოთავაზებული მარეგულირებელი ვალდებულებების გამოყენებით.

კონკურენციის ზოგიერთი მოსალოდნელი პრობლემის მოსაგვარებლად არ არის საკმარისი მხოლოდ ერთი მარეგულირებელი ვალდებულება, არამედ, მათი უმეტესი ნაწილის აღმოსაფხვრელად მოსალოდნელია, რომ ერთზე მეტი ვალდებულების გამოყენება იქნება საჭირო. ანალოგიურად, ერთ ვალდებულებას შეუძლია აღმოფხვრას (მთლიანად ან ნაწილობრივ) ერთზე მეტი კონკურენციის პრობლემა. მაგალითად, VULA-ზე დაშვების უზრუნველყოფის ვალდებულება თავისთავად არ არის საკმარისი კონკურენციის პრობლემების გადასაჭრელად, რადგან შპს “მაგთიკომს” შეუძლია დაყოვნების ტაქტიკა გამოიყენოს დაშვების პირობებზე მოლაპარაკებისას. ამიტომ, დაშვებაზე უარის თქმის რისკი აღმოფხვრილ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შპს “მაგთიკომი” ვალდებული იქნება არა მხოლოდ მოლაპარაკებაში ჩაერთოს დაშვებასთან

დაკავშირებით, არამედ წინასწარ გამოაქვეყნოს დაშვების პირობები, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოლაპარაკებების ვადაში გაწელების შესაძლებლობა.

ცხრილი 81 ასახავს მარეგულირებელი ვალდებულებების შერჩევას და გამოყენების ჰოლისტიკურ მიდგომას იმის შეჯამებით, თუ რომელი მარეგულირებელი ვალდებულება უზრუნველყოფს კონკურენციის პრობლემის აღმოფხვრას. მნიშვნელოვანია, რომ დაკისრებული ვალდებულებები განსაზღვრულია კონკურენციის პრობლემების მიერ კონკურენტული ბაზრისთვის პოტენციური ზიანის მიყენების დონის მიმართ პროპორციულად.

აღსანიშნავია, რომ თითოეულ მარეგულირებელ ვალდებულებას გააჩნია ერთი და იგივე მიზანი: შეამციროს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის საბაზრო ძალაუფლება და შეზღუდოს მისი უნარი იმოქმედოს კონკურენტებისა და მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად. ყველა გათვალისწინებული წინასწარი მარეგულირებელი ვალდებულება ცალკეულად თუ ერთად ხელს უწყობს ამ საერთო მიზნის მიღწევას და ავსებს ერთმანეთს. ერთ-ერთი ამ ვალდებულების ამოღებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საერთო მიზნის მიღწევას.

გარდა ამისა, მარეგულირებელი ვალდებულებების ეფექტურობა ასევე დამოკიდებულია 11.2.1 თავში აღწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად მონიტორინგის ეფექტურად განხორციელებაზე და ასევე, დაშვებასთან დაკავშირებული შემდგომი სირთულეების გამოვლენის შემთხვევაში, დაშვების მაძიებლის მიერ დავის დაუყოვნებლივ ინიცირებაზე „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 თავის (ავტორიზებულ პირთა შორის წარმოშობილი დავების განხილვისა და გადაწყვეტის წესები) ფარგლებში.

დამატებითი განმარტება ობიექტური ფაქტობრივი მახასიათებლების შესახებ, რომლებმაც გამოიწვიეს სპეციფიკური ვალდებულებების დიფერენცირების საჭიროება გეოგრაფიული თვალსაზრისით

როგორც ბაზრის ანალიზის მე-9.1 თავში აღინიშნა, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის შესაძლებლობა და სტიმული, ბოროტად გამოიყენოს თავისი საბაზრო უპირატესობა, შეიძლება განსხვავდებოდეს გეოგრაფიულად. ამ შემთხვევაში პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს დაკისრებული ვალდებულებების გეოგრაფიულ დიფერენციაციას.

დაშვების ვალდებულება გავლენას ახდენს რეგულირებელი ოპერატორის საინვესტიციო სტიმულებზე, კერძოდ იმ გეოგრაფიულ არეალებში, სადაც შეინიშნება ინფრასტრუქტურის მდგრადი და ეფექტური განვითარების ნიშნები მისი კონკურენტების მხრიდან შპს „მაგთიკომზე“ განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებები შედარებით მსუბუქი იქნება ვიდრე იმ დასახლებებში, სადაც პარალელური ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განლაგება/გაფართოება არ იქნება ეკონომიკურად მიზანშეწონილი. როგორც ამ ბაზრის ანალიზის 9.1 თავში აღინიშნა, ასეთ დასახლებებში მომხმარებლის არჩევანის უზრუნველსაყოფად საბითუმო დაშვების ვალდებულების სრული ნაკრები უნდა დაწესდეს .

ალტერნატიული ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის განვითარების შესაძლებლობის და მისი სიცოცხლისუნარიანობის შეფასების მიზნით დასახლებების დონეზე გამოყენებულ იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

- ოპერატორების რაოდენობა, რომლებიც დასახლებაში წარმოდგენილნი არიან საკუთარი FTTx ქსელებით;
- საბითუმო FTTx სიმძლავრის ფარდობითი ზომა (საქართველოს შემთხვევაში აღნიშნული ფასდება თითოეული ოპერატორის საცალო ბაზრის წილის საფუძველზე);
- მიუთითებს თუ არა FTTx საბითუმო ბაზრის წილები კონკურენტუნარიანობის ტენდენციას;

- ბაზრის მაქსიმალური პოტენციური წილი, რომელსაც შეუძლია მიაღწიოს ოპერატორმა მნიშვნელოვანი ინვესტიციების გარეშე (მისი FTTx ქსელის დაფარვის ზონაში არსებული დაფარული შენობების რაოდენობის მიხედვით);
- დასახლების ზომა (4 უდიდესი ქალაქი განსხვავებულ მიდგომას ითვალისწინებს).

მას შემდეგ, რაც შეფასდა კონკურენტული დონე დასახლებებში, ისინი გადანაწილდა I, II ან III კლასტერში და შემდეგ ეტაპზე დადგინდა მარეგულირებელი ვალდებულებები თითოეულ კლასტერში არსებული კონკურენტული გარემოს პროპორციულად.

რაც შეეხება კლასტერში დაკისრებული დაშვების ვალდებულებების პროპორციულობას რამდენად პასუხობს შემოთავაზებული ვალდებულებები იდენტიფიცირებულ კონკურენციის პრობლემებს (მათ შორის, კონკურენტული პრობლემების საფრთხის ალბათობას) და რატომ არ იქნება საკმარისი ნაკლებად მსუბუქი საშუალებები მსგავსი შედეგების მისაღწევად.

I კლასტერში კონკურენციის პრობლემები ყველაზე მაღალია, რადგან აღნიშნულ კლასტერში მოქცეულ დასახლებებში დომინანტი ოპერატორი მხოლოდ გაცილებით მცირე ოპერატორებთან ერთად არის წარმოდგენილი, შესაბამისად აღნიშნული დასახლებებისთვის შემოთავაზებულია მარეგულირებელი საშუალებების სრული ნაკრები, რათა უპასუხოს მიმდინარე დაბალი კონკურენტუნარიანობის დონეს. კლასტერ II-ში, სადაც რამდენიმე ოპერატორია წარმოდგენილი, რომლებსაც შეუძლიათ პოტენციური კონკურენცია გასწიონ ბაზარზე, რეგულაციები პროპორციულად უფრო მსუბუქია. მაგალითად, კლასტერ II-ში ადგილობრივი დაშვებისთვის, VULA მომსახურებისთვის⁷⁵ ზედა ზღვრული საბითუმო ტარიფის დაწესება არ არის გათვალისწინებული. III კლასტერში შემოთავაზებულია რეგულირების მხოლოდ მსუბუქი დონე (შპს „მაგთიკომის“ ვალდებულება უზრუნველყოს დაშვება გონივრულ ვადაში), რადგან უკვე არსებობს კონკურენტული წინააღმდეგობის საკმარისად მაღალი დონე.

რატომ არ იქნება საკმარისი მსუბუქი საშუალებები საჭირო შედეგების მისაღწევად.

ბაზრის მოთამაშეების შესაძლებლობას გააფართოვონ საკუთარი ქსელი განსაზღვრავს შპს „მაგთიკომზე“ დაწესებული დაშვების ვალდებულება. ფიქსირებულ ადგილას საბითუმო ადგილობრივი დაშვების ვალდებულება შედგება მხოლოდ ვირტუალური დაშვებისგან (ოპტიკური-ბოჭკოს გამოყოფის, კოლოკაციის გარეშე, შესაბამისად, შეთავაზებები არ საჭიროებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს შპს „მაგთიკომის“ მხრიდან და შეუძლია ადვილად განახორციელოს მომსახურების განმეორებით მიწოდება დაშვების პირველადი მომსახურების მიწოდების შემდგომ ეტაპზე.

შპს „მაგთიკომისა“ და დაშვების მაძიებლებს შორის ტრაფიკის გადაცემის სხვადასხვა წერტილი აუცილებელია იმისათვის, რომ დაშვების მაძიებლებს საშუალება მიეცეს განახორციელონ არჩეული ბიზნეს გეგმები ბაზრებზე შესვლისა და გაფართოების თვალსაზრისით. შპს „მაგთიკომის“ სხვა მარეგულირებელი ვალდებულებები (მათ შორის ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ფასების კონტროლი და ხარჯთაღრიცხვა, განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშგება, დისკრიმინაციის აკრძალვა) არის ვალდებულებები, რომლებიც აუცილებელია დაშვების ვალდებულების მხარდასაჭერად.

შპს „მაგთიკომის“ ერთადერთ მარეგულირებელ ტვირთს წარმოადგენს მომსახურების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტის) მომზადებისა და გამოქვეყნების მოთხოვნა, თუმცა იმ

⁷⁵ იმ შემთხვევაში, თუ კომისია აღმოაჩენს, რომ შპს „მაგთიკომი“ იყენებს დისკრიმინაციის პრაქტიკას საბითუმო მომსახურებაზე ტარიფის დაწესებისას (მაგალითად, შესთავაზოს უფრო მაღალი საბითუმო ფასი დაშვების მაძიებელს, რომელსაც შპს „მაგთიკომი“ აღიქვამს უფრო დიდი კონკურენტული საფრთხის მქონედ), მაშინ კომისიას შეუძლია გამოიყენოს მარჯის შეკუმშვის ტესტი. მარჯის შეკუმშვის ტესტის გამოყენება განმარტებულია ბაზრის ანალიზის 11.2.2 თავში.

შემთხვევაში თუ დაშვების მომსახურების გამოყენება მოხდება დაშვების მსურველის მიერ, მარეგულირებლის ტვირთი შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს, რადგან აღნიშნული მხარს დაუჭერს შპს „მაგთიკომის“ საბითუმო ბიზნესს. იმ შემთხვევაში, როდესაც დაშვების მადიებელი მოითხოვს კონკრეტულ ტექნიკურ ასპექტებზე მოლაპარაკებას, რომლებიც სათანადოდ არ არის დაფარული გამოქვეყნებული მოწვევის ოფერტით, მაშინ შპს „მაგთიკომს“ ექნება გარკვეული მარეგულირებელი ტვირთი. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ტვირთს, ასევე, ადგილი ექნება საბითუმო ცენტრალური დაშვების მომსახურების (ბიტსტრიმ დაშვება) მიწოდებაზე მოლაპარაკებების დროს და ამიტომ ნებისმიერი დამატებითი ტვირთი, რომელიც წარმოიქმნება VULA ვალდებულებიდან, სავარაუდოდ მცირე იქნება.

მოსაზრება, რომ ოპერატორი, რომელიც არ იყო მონოპოლიური პროვაიდერი, შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი, მთლიანად შეესაბამება ევროკავშირის მარეგულირებელ პრაქტიკას. პროცედურების მიხედვით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ანალიზი იგივე პრინციპებს და კრიტერიუმებს ეყრდნობა, როგორც ამას ევროკავშირის შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები ითვალისწინებს. მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებასთან დაკავშირებული რეგულაცია ვრცელდება „ოპერატორებზე, რომლებსაც შეიძლება ჩაითვალოს, რომ აქვთ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, ე.ი. ისინი ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, სარგებლობენ დომინირების ექვივალენტური პოზიციით, ანუ მათ გააჩნიათ საკმარისი ეკონომიკური ძალა, რომელიც აძლევს მათ მომხმარებლებისა და კონკურენტებისგან დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას.“ ევროკავშირის მარეგულირებელი ჩარჩო ამ ნაწილში არ განასხვავებს ისტორიულ (Incumbent) და არაისტორიულ (Non-Incumbent) ოპერატორს.

გამოიწვევს თუ არა მარეგულირებელი ვალდებულებები ინვესტიციების შემცირებას?

შემოთავაზებული მარეგულირებელი საშუალებები შექმნილია ბაზარზე ახალი შემსვლელი სუბიექტების და არსებული მოთამაშეების ინტერესების დასაცავად, რომლებსაც სურთ გაფართოება. ამ თვალსაზრისით, ინვესტიციების დონე უნდა გაიზარდოს, რადგან უფრო მეტი მოთამაშე შეეცდება გააუმჯობესოს თავისი პოზიცია ბაზარზე. შპს „მაგთიკომს“ გააჩნია მაღალი საინვესტიციო პოტენციალი, თუ გავითვალისწინებთ მნიშვნელოვნად მაღალ EBITDA მარჯას სხვა კონკურენტებთან შედარებით. შემოთავაზებული მარეგულირებელი მექანიზმები საშუალებას მისცემს შპს „მაგთიკომს“ ჩაანაცვლოს დანაკარგები საცალო შემოსავლების მიმართულებით (მისი კონკურენტების ბაზრის წილების გაზრდის შედეგად) მისი წარმატებული საბითუმო ოპერაციებით, სადაც ახალი შემოსავლების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ზღვრული დამატებითი ხარჯებით.

მთლიანობაში, შემოთავაზებულმა რეგულაციამ უნდა გაზარდოს სექტორის ინვესტიციები, როგორც ბაზარზე არსებული, ისე ახალი შემსვლელი სუბიექტების მხრიდან.

ფიგურა 81 კონკურენციის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

ჰიპოთეტური კონკურენციის პრობლემა	შემოთავაზებული წინასწარი მარეგულირებელი ვალდებულებები, რომელიც აღმოფხვრის კონკურენციის პრობლემას
მიწოდებაზე უარი / დაშვებაზე უარი	ცენტრალური(ბიტსტრიმ) და VULA დაშვების მომსახურება, ცალკეული ვირტუალური არხების/VLANების-(IPTV-სთვის და VOIP მომსახურებებისთვის) და სააბონენტო

	მოწყობილობის(CPE) ჩათვლით. დეტალური მოწვევის ოფერტის გამოქვეყნება.
გაჭიანურების და დაყოვნების სხვა მეთოდები	მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტის გამოქვეყნება დეტალური ინფორმაციით მკაცრად განსაზღვრულ ვადებში; შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI)
დისკრიმინაცია მომსახურების ხარისხის შეზღუდვით	დეტალური მოწვევის ოფერტა შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI)
არასაჭირო მოთხოვნები	მოწვევის ოფერტის დეტალიზაცია იმ დონემდე, რომელიც დაშვების მაძიებელს საშუალებას აძლევს მოითხოვოს მხოლოდ მისთვის საჭირო სერვისები; მოწვევის ოფერტის კომისიასთან შეთანხმება; ხელმოწერილი კონტრაქტების წარდგენა კომისიაში.
დაშვების მაძიებლებისგან მიღებული ინფორმაციის არასათანადო გამოყენება	ინფორმაციისა და კომერციული საიდუმლოების კონფიდენციალურობის ვალდებულება, როგორც მოწვევის ოფერტის ნაწილი
ინფორმაციის დამალვა	დეტალური მოწვევის ოფერტის მინიმალური შინაარსი / შემადგენელი ელემენტების განსაზღვრა
გადაჭარბებული ფასები და/ან ფასის გამოყენებით დისკრიმინაცია	ფასების კონტროლისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება (კლასტერი I და II) მარჟის შეკუმშვის ტესტი (კლასტერი II)
ჯვარედინი სუბსიდირება	განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშგება
მტაცებლური ფასი	მარჟის შეკუმშვის ტესტი

წყარო: კომპლექსურ კვლევაში ჩართული ექსპერტების ჯგუფი

წინამდებარე გადაწყვეტილების განსახილველად, საჯარო წარმოების ფარგლებში, ზეპირი მოსმენის სხდომა გაიმართა 2024 წლის 1 და 2 აგვისტოს, ხოლო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 8 აგვისტოს სხდომაზე. სხდომებზე გამოითქვა შემდეგი მოსაზრებები:

შპს „მაგთიკომის“ წარმომადგენელმა ლ. გიორგაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი გადაწყვეტილების პროექტი არის სადამსჯელო აქტი შპს „მაგთიკომის“ წინააღმდეგ. კომისიის მიერ წარმართული მთლიანი პროცესი არ იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ კომისია დაინტერესებულია მიიღოს ობიექტური, კვალიფიციური და სწორი გადაწყვეტილება. შპს „მაგთიკომი“ ამ ბიზნესში შემოვიდა 2016 წელს, მაშინ, როდესაც ოპტიკური ინტერნეტის მოცვა შინამეურნეობებში 30% იყო, ხოლო დღეს ეს მაჩვენებელია - 90%. შპს „მაგთიკომის“ მიზანი იყო საქართველოს ყველა მოქალაქეს ჰქონოდა წვდომა ხარისხიან და ხელმისაწვდომ მომსახურებებთან, რასაც წარმატებით გაართვა თავი, რისთვისაც დიდი, სარისკო ინვესტიციები განახორციელა. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კომპანიის სტრატეგია შეიცვლება და ამ მიმართულებით შპს „მაგთიკომი“ ინვესტიციებს აღარ განახორციელებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ის არეალები, რომელიც დღეს დაფარული არ არის, შპს „მაგთიკომის“ მიერ აღარ დაიფარება.

შპს „მაგთიკომის“ წარმომადგენლის განმარტებით, არ არსებობს არცერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ასეთი გადაწყვეტილება მოაგვარებს კონკურენციის პრობლემას. ასეთი გადაწყვეტილების ერთადერთი დასაბუთება არის ის, რომ მაღალი მოცულობის პაკეტი - 100 მბტ/წმ არის ძვირი. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ ამ მიმართულებით, ამ პროცესისგან დამოუკიდებლად, გაზარდა სიჩქარეები ფასის შეცვლის გარეშე, კერძოდ, 30 მბტ/წმ-იანი პაკეტის ფასად, რომელიც კომისიის კვლევით ევროპულ საშუალო მაჩვენებლებზე გაცილებით უფრო დაბალი იყო, შესაძლებელი გახდა 50 მბტ/წმ-იანი პაკეტის მიღება, ასევე, შემცირდა ფასი 100 მბტ/წმ-იანი პაკეტზე, თუმცა, კომისიის შეფასებით, აღნიშნულით კონკურენციის პრობლემა არ აღმოიფხვრება.

შპს „მაგთიკომის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, როგორც კომისიის კვლევიდან ირკვევა სამი ან მეტი ოპერატორი ფუნქციონირებს 474 დასახლებულ პუნქტში და ფარავს შინამეურნეობების 76%-ს, რაც არის 2 682 727 ადამიანი, მოსახლეობის 73%, ხოლო აბონენტების პროცენტული მაჩვენებელი არის 91%. აღნიშნული ცალსახად ადასტურებს, რომ კონკურენცია არის საკმაოდ მძაფრი. როდესაც ასეთი მაღალი მაჩვენებლები არსებობს როგორც სერვისის მიწოდების ხარისხის, ისე შინამეურნეობის დაფარვის თვალსაზრისით, კომისია აცხადებდა, რომ თითქოს საქართველოში არის მხოლოდ 9 გეოგრაფიული არეალი, სადაც არის კონკურენცია. მან შექმნა ე.წ. „კლასტერები“, განსაზღვრა პირობები და განაცხადა, რომ ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კონკრეტულ გეოგრაფიული არეალში კონკურენცია არ არის. ევროპული ქვეყნების პრაქტიკით, კონკრეტულ არეალში ორი ოპერატორის არსებობა კონკურენციის არსებობაზე მიუთითებს.

შპს „მაგთიკომის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმში შპს „მაგთიკომზე“ დაწესებული ვალდებულება, სადაც შპს „მაგთიკომი“ არ წარმოადგენს დომინანტ ოპერატორს, საშუალებას მისცემს სხვა ოპერატორებს ისარგებლონ დაშვების მომსახურებით შპს „მაგთიკომის“ ქსელზე, რაც კომისიის განმარტებით, ამ დასახლებაში უზრუნველყოფს ეფექტიანი კონკურენციის განვითარებას. აღნიშნული განცხადება ნიშნავს იმას, რომ კომისია ღებულობს ისეთ გადაწყვეტილებას, როლითაც შპს „მაგთიკომს“ მიადგება ზიანი.

შპს „მაგთიკომის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჰქონდათ მოთხოვნა კომპანიების მხრიდან ჩართულ ექსპერტებთან ერთად მომხდარიყო პოზიციების შეჯერება, თუმცა პროცესი ისე წარიმართა, რომ კომისიის მხრიდან ყოველთვის ხდებოდა პირდაპირი კომუნიკაციის შეზღუდვა ამ

ექსპერტებთან. ასევე, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ექსპერტების მიერ მომზადებული, ხელმოწერილი დოკუმენტაცია არ გადასცემია.

შპს „მაგთიკომის“ წარმომადგენლის განცხადებით, კომისიის მიერ მხოლოდ 2024 წლის 19 ივნისს მოხდა მოდელის გაზიარება და მერე სრულყოფილად 26 ივნისს. კომისიამ 15 ივლისამდე, 19 კალენდარული დღე მიიჩნია ადეკვატურ ვადად იმისთვის, რომ სრულყოფილი პოზიცია ყოფილიყო წარმოდგენილი. ამასთან, ის აღნიშნავს, რომ შპს „მაგთიკომის“ და მისი კონსულტანტების მიერ ჩატარებული ტესტის შედეგად გამოვლინდა, რომ კომისიის მიერ გაანგარიშებული ტარიფი ვერ ფარავს კომპანიის ხარჯებს. ასევე, შპს „მაგთიკომის“ გამოაგზავნა წერილი კომისიაში, რომლის საფუძველზეც მოითხოვდა განმარტებას, იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი მონაცემების ძალიან დიდი ნაწილი დაკორექტირდა, ან გარკვეული ველები შეივსო მათთვის უცნობი ლოგიკით, ამ მოდელში და თვალსაჩინოებისთვის წარმოდგინეს ორი მაგალითი, მათ კომისიის მხრიდან პასუხად მიიღეს განმარტება, მხოლოდ ორ წარმოდგენილ მაგალითზე. ასევე აღნიშნა, რომ ტარიფის განსაზღვრის პროცესში მუშაობა არ წარმართულა არც მეთოდოლოგიაზე და არც მის შედეგებზე. დამატებით აღნიშნა, რომ ფორსირებულ რეჟიმში მოდელში ასახული მონაცემების გადახედვისას შპს „მაგთიკომის“ აღმოაჩინა შედეგებზე გავლენის მომხდენი შეცდომები, რის შესახებ ეცნობა კომისიას, რაზედაც პასუხი მიიღეს, რომ კომპანიას კითხვები არ ჰქონდა ცხრამეტდღიან მონაკვეთში და ამიტომ კომისია არ განიხილავს ამ მონაცემებს. შესაბამისად, ღებულობს არასწორ გადაწყვეტილებას.

თ.ტყეშელაშვილმა სს „სილქნეტის“ წარმომადგენელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კომისიას გადაწყვეტილების ფარგლებში უნდა ემსჯელა უკვე არსებულ რეგულაციებთან დაკავშირებით, მათ შორის, მონაცემთა გადაცემის და ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებთან დაშვების ბაზრებზე. ასევე დასვა საკითხი არსებულ რეგულაციებთან მიმართებაში და გადაწყვეტილების პროექტით გათვალისწინებულ დამხმარე ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომელთა შორის, მისი აზრით შესაძლოა არსებობდეს გარკვეული გადაფარვები. ასევე შეეხო კომისიის მიერ 2019 წელს გაანგარიშებულ ბიტსტრიმ მომსახურებასთან დაკავშირებულ ტარიფებს, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატებოდა მიმდინარე ეტაპზე წარმოდგენილ ტარიფებს და აღნიშნულთან დაკავშირებით დაინტერესდა ცვლილების გამომწვევი მიზეზებით და გამოყენებული მეთოდოლოგიით.

ჯეიმს ბელისმა (სს „სილქნეტის“ კონსულტანტი, „ფრონტიერ ეკონომიკის“ დირექტორი) წარმოდგინა მათი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც შეეხებოდა შესაბამისი ბაზრების განსაზღვრის საკითხს, კერძოდ ცენტრალური დაადგილობრივი დაშვების ბაზრების ერთიან ბაზრად განხილვის საკითხს. ასევე დააფიქსირა მოსაზრება, რომ კომისიამ ზედმეტი აქცენტი გააკეთა 100 მბ/წმ სიჩქარის მომსახურების ხელმისაწვდომობაზე. მან აღნიშნა, რომ კომისიამ არასწორად გამოიყენა “მოდულიზირებული გრინფილდის მიდგომა”, კერძოდ კომისიას არ აქვს განხილული საკანალიზაციო ინფრასტრუქტურაზე დაშვების საკითხი და არასწორად აქვს მოქცეული ლოკალური და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზრების ერთიანი ბაზრის ქვეშ. ის ასევე შეეხო გეოგრაფიულად დიფერენცირებული ბაზრის განსაზღვრის საკითხს, კერძოდ კლასტერების განსაზღვრისა და დასახლებაში პარალელური ქსელების არსებობის შეფასების ნაწილში. მათი აზრით, არასაჭირო და არაპროპორციულმა რეგულაციებმა, შეიძლება ძალიან ცუდად იმოქმედოს ბაზრის განვითარებაზე, შეაფერხოს ინვესტიციები და ინფრასტრუქტურაზე დაფუძნებული კონკურენციის განვითარება.

ე. იმედაძემ ისაუბრა პროცესის გამჭვირვალობის შესახებ და აღნიშნა, რომ ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზრის კვლევის ფარგლებში ჩართული იყო ევროპელი ექსპერტების სამი ჯგუფი - ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ

შეთანხმების განხორციელების დახმარების AA Facility II-ს ფარგლებში დაქირავებული ექსპერტები, ევროკავშირის ინსტიტუციონალური განვითარების, ტექნიკური დახმარების და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის TAIEX-ის ექსპერტთა ჯგუფი და საკონსულტაციო კომპანიის Grant Thornton-ის კონსულტანტები ტარიფის დათვლის ნაწილში. მან აღნიშნა, რომ ექსპერტებთან წვდომა ოპერატორების და დაინტერესებული მხარეებისთვის შეუზღუდავი იყო და შესაბამისად, გაუგებარია, როდესაც ისევ დგას საკითხი ექსპერტების მიერ ხელმოწერილ დოკუმენტების წარდგენაზე რადგან ექსპერტების პოზიციები იყო დადასტურებული და დამოწმებული იმ ხელშეკრულებებისა, პორცედურების ფარგლებში რასაც AA Facility და ევროკომისიის შესაბამისი დახმარების ინსტრუმენტები ითვალისწინებს.

ე. იმედაძე ასევე, გამოეხმაურა სს სილქნეტისა და შპს მაგთიკომის წარმომადგენლების მიერ გამოთქმულ რამდენიმე მოსაზრებას. სახელდობრ, იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ კომისია მხოლოდ 100 მბ/წმ სიჩქარის მომსახურების ხელმისაწვდომობაზე დაკონცენტრირდა და არ გაითვალისწინა, დაბალი მოცულობის პაკეტები. მან ყურადღება გაამახვილა იმ მოცემულობაზე, რომ მაშინ როდესაც ევროკავშირის სახელმწიფოები მიზნად ისახავენ რომ მაღალი სიჩქარის ფიქსირებული გიგაბიტისანი ქსელი (1 გბიტ/წმ) დაფარავს ევროკავშირის ყველა ოჯახს, გაუგებარია საქართველო რატომ არ უნდა ფოკუსირდეს სულ მცირე 100 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტ მომსახურების ხელმისაწვდომობაზე მოსახლეობისთვის. ამასთან აღნიშნა რომ, ამ რპოცესსიც გამჭვირვალეა კომისიის მიდგომა, ყველა ტიპის მოცულობა შეფასდა და ეს ასახულია ფასების ე.წ. „ბენჩმარკი“ ანალიზის შედეგშიც და წინამდებარე კვლევის ნაწილშიც.

ასევე, ისაუბრა გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით იმის თაობაზე, რომ კვლევაში არასწორად იქნა გამოყენებული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების დადგენის პროცედურები ე.წ. „გაიდლაინები“ და ხაზგასმით აღნიშნა, ევროკავშირის ექსპერტებთან კონსულტაციები ღია იყო, არაერთი სამუშაო შეხვედრა შედგა და არ გაკეთებულა კონკრეტული მითითება, თუ სად იყო ეს „შეცდომა“ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შეფასების ნაწილში. აღნიშნა, რომ არანაირი კონკრეტული არ გაქდერებულა ასევე იმის შესახებ თუ რომელი კონკრეტული მაჩვენებლები მიუთითებს ბაზარზე კონკურენციის არსებობაზე.

ე. იმედაძე გამოეხმაურა იმ პოზიციასაც, რომ კომისიამ არ გაითვალისწინა ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ კანონი და სხვა არსებული რეგულაციები, რაზეც მიუთითა, რომ პოტენციურად რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრის შეფასება მოხდა სამი კრიტერიუმის ტესტით, რაც ფარავს აღნიშნულ საკითხს და განხილულია როგორც ევროკავშირის ექსპერტების კვლევის დოკუმენტში, ასევე, განსახილველი ბაზრის ანალიზის გადაწყვეტილების პროექტში. რაც შეეხება ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ კანონს, ეს არ გამორიცხავს ექს-ანტე რეგულირების არსებობას და მიუთითა, რომ ევროკავშირში დაშვების დირექტივა 2013 წლიდან დაინიცირდა და ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში ასევე, მოქმედია ცენტრალური და ლოკალური დაშვების ბაზრების წინასწარი, ე.წ. „ექს-ანტე“ რეგულაცია. აღნიშნა, რომ სწორედ ევროკავშირის გამოცდილებაზე დაყრდნობით შეფასდა არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში ექს-ანტე რეგულაციის საჭიროებები.

კომისიის წევრმა ასევე ისაუბრა, რომ კვლევაში მოყვანილი რაოდენობრივი შეფასებები ცხადად მიუთითებს ბაზარზე არსებულ დაბალკონკურენტულ გარემოზე, კერძოდ, დასახლებების დიდ ნაწილში (>77%) მხოლოდ ერთი ოპერატორის მომსახურებაა ხელმისაწვდომი და შპს „მაგთიკომის“ დაფარვისა და საბაზრო წილის მაჩვენებლები მის მნიშვნელოვან საბაზრო ძალას ცხადად წარმოაჩენს. მან გამოთქვა იმედი, რომ წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეგულაციები შპს „მაგთიკომისთვის“ იქნება მოტივაცია, რომ ერთის მხრივ საბითუმო დაშვების ნაწილი განავითაროს და მეორეს მხრივ ინოვაციებისკენ მიმართოს ძალისხმევა და სერვისულ კონკურენციაში შევიდეს კონკურენტებთან.

ასევე, აღნიშნა, რომ მიესალმება ბაზრის ორივე მსხვილი მოთამაშეს მიერ ფიქსირებული ოპტიკური ინტერნეტის შეთავაზებების გადახედვას სიჩქარეებისა და ფასების კუთხით და შემდგომი ბაზრის ანალიზის დროს ყველა ის დადებითი ცვლილება იქნება გათვალისწინებული, რომელიც მოსალოდნელია რომ მოყვებს მიმდინარე პროცესს. რაც შეეხება დაშვების ტარიფების ნაწილს, აღნიშნა, რომ თუ დადასტურდება რომ მაგთიკომის მხრიდან წარმოდგენილი რიცხვები საჭიროებს დაზუსტებას, გამოთქვა მზაობა დაიგეგმოს პროცესი სადაც შესაბამისი ცვლილებები იქნება გათვალისწინებული.

ე. იმედაძემ მადლობა გადაუხადა კვლევაში ჩართულობისთვის როგორც ევროკავშირის ექსპერტებს, ასევე, ოპერატორების მხრიდან ჩართულ კონსულტანტებს, ოპერატორების წარმომადგენლებსა და კომისიის სამუშაო ჯგუფს.

კ.ბექაურმა დამსწრე საზოგადოებას დეტალურად განუმარტა კვლევის მიმდინარეობის 2 წლიანი პერიოდის განმავლობაში, ევროკომისიის ექსპერტებისა და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით წარმართული პროცესის შესახებ, რომელიც იყო სრულიად გამჭვირვალე, როგორც ბაზრის კვლევის, ასევე ტარიფების გაანგარიშების ნაწილში და დეტალურად ისაუბრა პროცესთან დაკავშირებულ განვლილ ეტაპებზე თარიღების მითითებით.

კ.ბექაურმა მადლობა გადაუხადა პროცესის ყველა მონაწილეს, პირველ რიგში კი, ევროკომისიის იმ სტრუქტურებს რომლებმაც მხარდაჭერა გამოუცხადეს პროცესს და უზრუნველყვეს დაფინანსება, ასევე, ექსპერტების ჯგუფებს, რომელმაც ამ პროცესში მონაწილეობდნენ, ოპერატორებს ჩართულობისთვის და კომისიის სამუშაო ჯგუფს, რომელშიც მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა სტრუქტურული ერთეული მონაწილეობდა და მისი აზრით ძალიან მნიშვნელოვანი და საეტაპო პროცესი განხორციელდა ამ დაახლოებით 2 წლიან პერიოდში სატელეკომუნიკაციო ბაზრის ისეთი კომპლექსური კვლევით, რომელიც მისი აზრით, სამაგალითოა კვლევის ხარისხითა და შედეგებით.

12. სარეზოლუციო ნაწილი

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების, მე-20 -22-ე, 24-ე, 29-ე - 35-ე მუხლების, კომისიის 2024 წლის 22 თებერვლის №1 დადგენილებით დამტკიცებული „ბაზრის კონკურენტუნარიანობისა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრის მეთოდოლოგიისა და პროცედურების“ მე-5 - მე-8, მე-10 - მე-12, მე-14, მე-15 და მე-17 მუხლების, კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო კონსულტაციების მარეგულირებელი წესის“ მე-9 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VII და IX თავების შესაბამისად, კომისიამ, ერთხმად

გადაწყვიტა

1. ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების ბაზრის სეგმენტის გეოგრაფიულ საზღვრად განისაზღვროს საქართველოს ტერიტორია.
2. ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად განისაზღვროს შპს „მაგთიკომი“.
3. შპს „მაგთიკომს“, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, დაეკისროს შემდეგი სპეციფიკური ვალდებულებები:

3.1 ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება შემდეგი კონკრეტული პირობებით:

3.1.1 I და II კლასტერში მოქცეული დასახლებებისთვის (იხ. დანართი 2)

ა) დაშვება ადგილობრივი დაშვების საბითუმო სერვისებზე - "VULA" დაფუძნებული "FTTH" წერტილი-წერტილი (P2P) ქსელის არქიტექტურისთვის, "GPON" დაშვების ქსელის არქიტექტურისთვის, და "FTTB UTP Ethernet" სახლთან წვდომის ქსელის არქიტექტურისთვის;

ბ) დაშვება ცენტრალური დაშვების საბითუმო სერვისებზე (ე.წ. „ბიტსტრიმ დაშვება“) გადაცემის წერტილით ეროვნულ და რეგიონულ დონეზე "FTTx" ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სერვისებისთვის:

- "IP" დონე
- "Ethernet" დონე

გ) დაშვება ვირტუალური არხების საბითუმო სერვისებზე "IPTV"-სთვის (მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, multicast და დროითი წანაცვლება, VoD გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურება), "VoIP", მონაცემთა გადაცემის და სხვა სერვისებისთვის;

დ) დაშვება ტექნიკურ ინტერფეისზე, პროტოკოლებსა და სხვა ძირითად ტექნოლოგიებზე, რომლებიც აუცილებელია სერვისების თავსებადობის უზრუნველსაყოფად;

ე) დაშვება დამხმარე სერვისებზე, რომელიც, მათ შორის, მოიცავს დაშვებას შემდეგ მომსახურებებზე:

- სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებზე
- სატელეკომუნიკაციო ბოძებზე
- ოპტიკურ-ბოჭკოვან მარღვებზე გადამცემი მოწყობილობების გარეშე (გაუნათებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მარღვები)
- გამოყოფილი არხების იჯარის მომსახურება "xWDM" ან "Ethernet" ტექნოლოგიაზე დაფუძნებული

ვ) უზრუნველყოს დაშვების მაძიებლის მიერ საკუთარი სააბონენტო მოწყობილობის ე.წ. "CPE"-ს გამოყენება, რომელიც ტექნიკურად თავსებადია დაშვების ქსელთან;

ზ) საოპერაციო მხარდაჭერის სისტემებზე ან მსგავს პროგრამულ სისტემებზე მართვადი, კონტროლირებადი და განახლებადი ფორმატით წვდომის უზრუნველყოფა, რომელიც, მათ შორის, მოიცავს:

- ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების სერვისებზე დაშვების მაძიებელთა მოთხოვნების მონიტორინგის საინფორმაციო სისტემას
- ტექნიკური გაუმართაობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით სერვისების მომხმარებელი ოპერატორის მოთხოვნის დაფიქსირების სამუშაოებს
- ინფორმაციას ხარვეზის სერვისის მიწოდებელი ოპერატორის მიერ აღმოფხვრისა და ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებული სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ
- ინფორმაციას ქსელის დაფარვასთან დაკავშირებით
- ინფორმაციას მომსახურების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

3.1.2 III კლასტერში მოქცეული დასახლებებისთვის (იხ. დანართი 2)

დაშვება ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.1.1 პუნქტით განსაზღვრულ მომსახურებებზე გარდა დამხმარე სერვისებისა, გონივრული მოთხოვნის შემთხვევაში, განაცხადის მიღებიდან 6 თვის განმავლობაში.

3.2 დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.1.1 პუნქტით განსაზღვრული სერვისებისთვის შემდეგი კონკრეტული პირობებით:

3.2.1 I და II კლასტერში მოქცეული დასახლებებისთვის

ა) დაშვების მიმღები ყველა პირისთვის თანაბარი პირობების (ვადები, ფასები, ინფორმაცია, ხარისხი და ა.შ.) უზრუნველყოფა;

ბ) დაშვების მიმღები პირებისთვის მომსახურებისა და მონაცემების მიწოდება იმავე პირობებითა და ხარისხით, როგორც ის აწვდის თავის საცალო ერთეულს და მასთან აფილირებულ კომპანიებს საცალო სერვისების უზრუნველყოფისთვის;

გ) მომსახურების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტის) საფუძველზე დადებული ხელშეკრულების წარმოდგენა კომისიისთვის მისი გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;
დ) დანართი 1-ის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შესრულების ძირითადი ინდიკატორების (KPI) შედეგებთან დაკავშირებით კომისიისთვის ანგარიშის წარმოდგენა ყოველთვიურად (საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში), დაშვების მომსახურების მიმღები ოპერატორების მიხედვით.

3.3 ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.1.1 პუნქტით განსაზღვრული სერვისებისთვის შემდეგი კონკრეტული პირობებით:

3.3.1 I და II კლასტერში მოქცეული დასახლებებისთვის

ა) გამოაქვეყნოს კომისიასთან შეთანხმებული დაშვების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა) წინამდებარე გადაწყვეტილების დანართი 1-ის პუნქტი 1-ის შესაბამისად;

ბ) მოწვევის ოფერტის გამოქვეყნების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ბ.ა) ადგილობრივი დაშვების საბითუმო სერვისებზე და 3.1.1 პუნქტით განსაზღვრულ სხვა სერვისებზე(გარდა ცენტრალური დაშვებისა) მოწვევის ოფერტა ძირითადი პირობებით უნდა გამოქვეყნდეს წინამდებარე გადაწყვეტილების მიღებიდან 90 კალენდარული დღის ვადაში;

ბ.ბ) „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მომსახურებებზე მოწვევის ოფერტა დეტალური პირობებით უნდა გამოქვეყნდეს დაინტერესებული პირის განაცხადის მიღებიდან 90 კალენდარული დღის ვადაში;

ბ.გ) ცენტრალური დაშვების საბითუმო სერვისებზე და 3.1.1 პუნქტით განსაზღვრულ სხვა სერვისებზე(გარდა ადგილობრივი დაშვებისა) მოწვევის ოფერტა დეტალური პირობებით უნდა გამოქვეყნდეს წინამდებარე გადაწყვეტილების მიღებიდან 90 კალენდარული დღის ვადაში;

ბ.დ) მოწვევის ოფერტით განსაზღვრული პირობების შეცვლის შემთხვევაში, ავტორიზებული პირი ვალდებულია აღნიშნული ცვლილება შეათანხმოს კომისიასთან. თუ ცვლილება ეხება ახალი საცალო სერვისის ან ფუნქციების გაშვებას, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორს შეუძლია დაიწყოს ახალი სერვისისა თუ ფუნქციის შეთავაზება, მხოლოდ შესაბამისად განახლებული მოწვევის ოფერტის გამოქვეყნებიდან 30 დღის შემდეგ;

გ) უზრუნველყოს, რომ მოწვევის ოფერტა დეტალურად იყოს დაყოფილი ბაზრის საჭიროებებისა და დაწესებული მარეგულირებელი ვალდებულებების განხორციელების საჭიროებების შესაბამისად და მოიცავდეს ყველა სერვისის ტექნიკურ მახასიათებლებს, მათთან დაკავშირებულ პირობებსა და ფასებს, ამ გადაწყვეტილების დანართი 1-ით განსაზღვრული მოწვევის ოფერტის შემადგენელი კომპონენტების მინიმალური ჩამონათვალის მიხედვით;

დ) კომისიისთვის და დაშვების ყველა მამიებლისათვის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირის მიერ სპეციფიკური ვალდებულების შესრულების მონიტორინგისთვის საჭირო მონაცემების მიწოდება შესაბამისი ოპერაციული მხარდაჭერის სისტემებით ან მსგავს პროგრამულ სისტემებზე წვდომის გზით.

3.4 სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება შემდეგი კონკრეტული პირობებით:

3.4.1 I კლასტერში მოქცეული დასახლებებისთვის

განსაზღვროს ტარიფები (ყველა ერთჯერადი და რეგულარული გადასახადი) დანართი 1-ის მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი ზედა ზღვრული ტარიფების გათვალისწინებით, შემდეგი მომსახურებებისთვის:

ა) ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.1.1 პუნქტით განსაზღვრულ ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების მომსახურებებისთვის;

ბ) ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.1.1 პუნქტით განსაზღვრულ ვირტუალური არხების საბითუმო მომსახურებებისთვის “IPTV“-სთვის, “VoIP“-სთვის.

გ) დაშვების მომსახურების მიმწოდებლის სააბონენტო მოწყობილობის ე.წ. „CPE“-ს გამოყენებისთვის.

3.4.2 II კლასტერში მოქცეული დასახლებებისთვის

ა) ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.1.1 პუნქტით განსაზღვრულ ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი დაშვების მომსახურების ტარიფების განსაზღვრისას არ მოახდინოს საცალო და საბითუმო ტარიფებს შორის მარჟის შეკუმშვა (ე.წ. „margin squeeze“). მარჟის შეკუმშვის მეთოდოლოგიასთან და ფორმულასთან დაკავშირებული დეტალები წარმოდგენილია ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის დანართი 1-ის მე-3 პუნქტში;

ბ) ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.1.1 პუნქტით განსაზღვრულ ფიქსირებულ ლოკაციაზე საბითუმო ცენტრალური დაშვების (ე.წ. „ბიტსტრიმ“ დაშვება) სერვისებზე (ყველა ერთჯერადი და რეგულარული გადასახადი) განსაზღვროს ტარიფები დანართი 1-ის მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი ზედა ზღვრული ტარიფების გათვალისწინებით, კერძოდ,

ბ.ა) ფიქსირებულ ლოკაციაზე ცენტრალური დაშვების (ე.წ. „ბიტსტრიმ“ დაშვება) საბითუმო მომსახურებებისთვის;

ბ.ბ) ვირტუალური არხების საბითუმო სერვისები „IPTV“ და „VoIP“

ბ.გ) დაშვების მომსახურების მიმწოდებლის სააბონენტო მოწყობილობის ე.წ. „CPE“-ს გამოყენება.

3.5 დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება I და II კლასტერში მოქცეული დასახლებებისთვის ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.1.1 პუნქტით განსაზღვრული სერვისებისთვის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების“ შესაბამისად.

4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნებისთანავე.
5. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ო. ვოტ) გადაწყვეტილების შპს „მაგთიკომისთვის“ გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 64) გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „მაგთიკომისთვის“ ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.
7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობისა და ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს (ე. სიჭინავა).

დანართი 1

1. მომსახურების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტის) მინიმალური პირობები

საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა) უნდა შეიცავდეს, მინიმუმ, შემდეგ ინფორმაციას:

- 1) ზოგადი დებულებები (მოწვევის ოფერტის სამართლებრივი საფუძველი, საგანი, ფარგლები და შეზღუდვები; მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტაში ცვლილებების ისტორიული განვითარება; მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტის ცვლილებები; მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტის ძალაში შესვლის თარიღი; მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადა; მომსახურების წინადადების მოწვევის ოფერტის მიღების წესი; არსებული კონტრაქტების შესაბამისობაში მოყვანის მეთოდი;

- ტერმინების განმარტებები და გამოყენებული აბრევიატურების ჩამონათვალი და მნიშვნელობები; საკონტაქტო ინფორმაცია).
- 2) სერვისების აღწერა, რომლებიც შედის მოწვევის ოფერტის ფარგლებში, მათ შორის ნებისმიერი შესაბამისი დამხმარე სერვისი, დამატებითი და გაუმჯობესებული(advanced) მომსახურება (ოპერაციული მხარდაჭერის სისტემების, საინფორმაციო სისტემების ან მონაცემთა ბაზების ჩათვლით, შემდეგი საკითხების უზრუნველსაყოფად: წინასწარი მომართვის, მომსახურების მიწოდების, შეკვეთის, ტექნიკური და დაზიანების აღმოფხვრის მოთხოვნებისა და ბილინგისთვის).
 - 3) ყველა რეგულირებულ სერვისზე წვდომის ტექნიკური პირობები, მათ შორის ქსელის არქიტექტურის (აღწერითი და სქემატური) და ქსელზე დაშვების ნებისმიერი შესაბამისი ტექნიკური სტანდარტის, განსაკუთრებით ტექნიკური გამოყენების შეზღუდვისა და უსაფრთხოების სხვა საკითხების მითითებით.
 - 4) ქსელში გამოყენებადი მოწყობილობების სპეციფიკაციები.
 - 5) პროცედურები მომსახურების შეთავაზებაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, რომელიც მოიცავს მარეგულირებლისთვის შეტყობინებას ასეთი ცვლილებების შესახებ. ცვლილებებში მოიაზრება მაგალითად, ახალი სერვისების გაშვება, არსებულ სერვისებში ცვლილებები ან ფასების ცვლილება.
 - 6) მომსახურების მიწოდების პირობები, რომელიც შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:
 - სერვისების გააქტიურების მოთხოვნის წარდგენის პროცედურა
 - მოთხოვნაზე რეაგირების დრო
 - დრო მოთხოვნის მიღებასა და სერვისის გააქტიურებას შორის
 - ტექნიკური გადაწყვეტა და ტექნიკურ გადაწყვეტასთან დაკავშირებული ხარჯი
 - მოთხოვნების უარყოფის ან/და მომსახურების მიწოდების მუდმივი/დროებითი შეჩერების მიზეზები
 - მოთხოვნის გაუქმება
 - გააქტიურების და მომსახურების მიწოდების პირობები
 - საჭირო თავსებადობის ტესტირების დეტალები
 - ხარვეზის გამოსწორების პროცედურა
 - მომსახურების ხარისხის შეთანხმება (SLAs) შეკვეთის, მიწოდების, მომსახურების (ხელმისაწვდომობის) და ტექნიკური მომსახურების (შეკეთების) შესახებ, მათ შორის კონკრეტული ვადები თანხმობის ან უარის თქმასთან დაკავშირებით მომსახურების მიწოდებაზე ან სამუშაოს დასრულებასთან დაკავშირებით მოთხოვნებზე, ტესტირება და გადაცემა ან მომსახურების მიწოდება და ობიექტის გადაცემა, დამხმარე სერვისების მიწოდებისთვის (როგორცაა ხარვეზების მოგვარება და შეკეთება)
 - ხარისხის სტანდარტებს, რომლებსაც თითოეული მხარე უნდა აკმაყოფილებდეს თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, მათ შორის შესრულების ძირითადი ინდიკატორების (KPIs) დაზუსტება მომსახურების ხარისხის შეთანხმებასთან (SLA) მიმართებაში, საჭიროების შემთხვევაში
 - მომსახურების ხარისხის გარანტიები (SLGs) შეკვეთის, მიწოდების, მომსახურების (ხელმისაწვდომობის) და ტექნიკური მომსახურების (შეკეთება), მათ შორის კომპენსაციის ოდენობა, რომელიც გადახდის უნდა იქნეს ერთი მხარის მიერ მეორეზე სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან მოთხოვნების შესრულების დაგვიანების შემთხვევაში, ხარვეზების/დარღვევების აღმოფხვრის შეფერხება და ა.შ. ასევე კომპენსაციის მიღების უფლებამოსილების პირობები.
 - 7) მომსახურების ფასები.
 - 8) ბილინგის, გადახდის და მისი სადაზღვეო ინსტრუმენტები.
 - 9) მომსახურების ხარისხი (ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა და საჩივრების მოგვარება);
 - 10) წვდომა საოპერაციო მხარდაჭერის სისტემებზე, საინფორმაციო სისტემებსა და მონაცემთა ბაზებზე წინა პერიოდის მოთხოვნებისთვის, სერვისის მოთხოვნების, წარუმატებლობის

შესახებ ანგარიშების და ბილინგის, მათ შორის ტექნიკური გამოყენების შეზღუდვები და პროცედურები ამ სერვისებზე წვდომისათვის.

- 11) მენეჯმენტი, ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება.
- 12) ზიანისათვის პასუხისმგებლობისა და ანაზღაურების განსაზღვრა და შეზღუდვა (მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორისა და დაშვების მომთხოვნი ოპერატორის პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურება; პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურება მესამე პირებისთვის).
- 13) ინფორმაციისა და კომერციული საიდუმლოების კონფიდენციალურობა.
- 14) ინტელექტუალური საკუთრების უფლება.
- 15) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის მხრიდან საბოლოო მომხმარებლის მიერ მომსახურების ცვლილების/დამატების პროცედურა (მაგალითად, ტელევიზიის დამატება სერვისების პაკეტში, ინტერნეტის სიჩქარის ცვლილება). პროცედურა მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და მოიცავდეს ცვლილების მოთხოვნის პროცედურას, კერძოდ, ის უნდა ასახავდეს თუ როგორ ხდება სერვისის განახლება საბითუმო ხარჯების ნებისმიერ ცვლილებასთან ერთად.
- 16) დავის გადაწყვეტის პროცედურები.
- 17) დანართები:
 - ხელმისაწვდომი დაშვების წერტილების სია
 - მომსახურების მოთხოვნა
 - კონფიდენციალურობის შეთანხმება
 - საბანკო გარანტიის ტექსტი
 - გაუმართაობის/დარღვევის შესახებ შეტყობინების ფორმა
 - მომსახურებით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების ფორმა
 - ტერმინთა განმარტებები, რომელიც შეესაბამება საბითუმო პროდუქტებს და სხვა შესაბამის პროდუქტებს

2. ვალდებულების შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPIs)

დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ძირითადი ინდიკატორებია(KPI):

1. მიღებული მოთხოვნების რაოდენობა გადაცემის სიჩქარეების მიხედვით.
2. მიღებული მოთხოვნების რაოდენობა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ოპერატორის ჩართვის წერტილზე (POP).
3. უარყოფილი მოთხოვნების რაოდენობა უარის თქმის მიზეზ(ებ)ის მითითებით.
4. მიღებული და შემდგომში უარყოფილი მოთხოვნების რაოდენობა ცალ-ცალკე ახალი და არსებული მომხმარებლებისთვის.
5. განსაზღვრულ ვადაში დაკმაყოფილებული მოთხოვნების რაოდენობა.
6. სასურველ ან მოსალოდნელ ვადაში დაკმაყოფილებული მოთხოვნების პროცენტი, ცალ-ცალკე ახალი და არსებული მომხმარებლებისთვის.
7. საცალო ოპერატორის მიერ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორისთვის შეტყობინებული ხარვეზების რაოდენობა, რომლებიც სრულად მოგვარდა მის მიერ 2 დღის განმავლობაში, 2-დან 10 დღემდე და 10-დან 30 დღემდე შეტყობინებიდან.
8. მოთხოვნების დაგვიანებით ან დროზე ადრე დაკმაყოფილების რაოდენობა.
9. მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალო დრო ცალ-ცალკე ახალი და არსებული მომხმარებლებისთვის.
10. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორთან დაფიქსირებული პრობლემების რაოდენობა დაშვების ტიპის მიხედვით.
11. პრობლემების მოგვარების საშუალო დრო ერთ სერვისზე.
12. განსაზღვრულ დროში გამოსწორებული ხარვეზების რაოდენობა ცალ-ცალკე თითოეული განსაზღვრული დროისთვის.
13. განსაზღვრული დროზე უფრო დიდ ვადაში აღმოფხვრილი ხარვეზების პროცენტი.
14. მომსახურების ხარისხი (QoS) VOIP-ისთვის(ასეთის გამოყენების შემთხვევაში).

15. მომსახურების ხარისხი (QoS) IPTV-ისთვის(ასეთის გამოყენების შემთხვევაში).
 16. მომსახურების ხარისხი (QoS) VoD-ისთვის(ასეთის გამოყენების შემთხვევაში).

3. მარჯის შეკუმშვის ტესტი

მარჯის შეკუმშვის ტესტი გამოიყენებს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N 5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზირებული პირების მიერ შემოსავლებისა და დანახარჯების განცალკევებულად აღრიცხვისა და განაწილების მეთოდოლოგიური წესების“ შესაბამისად.

ტესტი დაფუძნებულია შემდეგ ფორმულაზე:

$$RP_{\text{sm}} \geq WC_{\text{reg}} + WC_{\text{non-reg}} + RC.$$

Where RP_{sm} = მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის საცალო მომსახურების ფასი

WC_{reg} = მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის რეგულირებული მომსახურების საბითუმო ხარჯი

$WC_{\text{non-reg}}$ = დაშვების მაძიებლის ქსელთან დაკავშირებული ხარჯი მომსახურების მიწოდებისთვის

RC = დაშვების მაძიებლის საცალო მომსახურების მიწოდების ხარჯი

აღნიშნული გულისხმობს, რომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის საცალო ფასი კონკრეტულ მომსახურებაზე არ უნდა იყოს მისი საბითუმო ხარჯების, დაშვების მომსახურების მიმდების საკუთარი ქსელის ხარჯსა და მისი მომსახურების მიწოდებისთვის გაწეულ საცალო ხარჯების ჯამზე ნაკლები.

4. ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზრის სერვისებზე განსაზღვრული ზედა ზღვრული ტარიფები

ადგილობრივი საბითუმო დაშვების სერვისის ხარჯზე ორიენტირებული ტარიფი	შპს “მაგთიკომის” CPE-ს (როუტერი/Wifi) გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯი	ქსელის ბოლო მონაკვეთზე დაშვება (last mile access) (VULA)
	თითოეული არხისთვის (ყოველთვიური)	თითოეული არხისთვის (ყოველთვიური)
ინტერნეტთან წვდომის სერვისები - ფიქსირებული ქსელი	[ლარი]	[ლარი]
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/GPON და FTTB/Ethernet 20 მბ/წმ	1.55	5.16
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/GPON და FTTB/Ethernet 30 მბ/წმ	1.55	5.16
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/GPON და FTTB/Ethernet 40 მბ/წმ	1.55	5.16
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/GPON და FTTB/Ethernet 50 მბ/წმ	1.55	5.16
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/GPON და FTTB/Ethernet 75 მბ/წმ	1.55	5.16
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/GPON და FTTB/Ethernet 100 მბ/წმ	1.55	5.16
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/GPON და FTTB/Ethernet 100+ მბ/წმ	1.55	5.16
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/P2P 20 მბ/წმ	1.55	57.17
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/P2P 30 მბ/წმ	1.55	57.17

ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/P2P 40 მბ/წმ	1.55	57.17
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/P2P 50 მბ/წმ	1.55	57.17
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/P2P 75 მბ/წმ	1.55	57.17
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/P2P 100 მბ/წმ	1.55	57.17
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/P2P 100+ მბ/წმ	1.55	57.17

ცენტრალური საბითუმო დაშვების სერვისის ხარჯზე ორიენტირებული ტარიფი	ქსელის ცენტრალური წერტილზე დაშვება, რეგიონული (Ethernet დონე)	ქსელის ცენტრალური წერტილზე დაშვება, (IP დონე მართვადი BRAS-ის გარეშე)	ქსელის ცენტრალური წერტილზე დაშვება, (IP დონე მართვადი BRAS-ით)
	თითოეული ლიარხისთვის (ყოველთვიური)	თითოეული არხისთვის (ყოველთვიური)	თითოეული არხისთვის (ყოველთვიური)
ინტერნეტთან წვდომის სერვისები - ფიქსირებული ქსელი	[ლარი]	[ლარი]	[ლარი]
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/GPON და FTTB/Ethernet 20 მბ/წმ	5.39	6.14	6.22
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/GPON და FTTB/Ethernet 30 მბ/წმ	5.49	6.56	6.68
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/GPON და FTTB/Ethernet 40 მბ/წმ	5.58	6.95	7.09
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/GPON და FTTB/Ethernet 50 მბ/წმ	5.66	7.28	7.46
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/GPON და FTTB/Ethernet 75 მბ/წმ	5.81	7.94	8.17
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/GPON და FTTB/Ethernet 100 მბ/წმ	5.90	8.33	8.59
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/GPON და FTTB/Ethernet 100+ მბ/წმ	6.61	11.38	11.89
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/P2P 20 მბ/წმ	57.40	58.15	58.23
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/P2P 30 მბ/წმ	57.49	58.57	58.69
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/P2P 40 მბ/წმ	57.58	58.95	59.10
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/P2P 50 მბ/წმ	57.66	59.29	59.47
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/P2P 75 მბ/წმ	57.82	59.95	60.18
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/P2P 100 მბ/წმ	57.91	60.34	60.60
ინტერნეტზე წვდომის სერვისები - FTTH/P2P 100+ მბ/წმ	58.62	63.39	63.90

5. ზედა ზღვრული ტარიფები ვირტუალური არხის სერვისებზე

ხარჯზე ორიენტირებული ტარიფები ტელევიზიისთვის (DTV) და VOIP ისთვის	დაშვებასთან დაკავშირებული ხარჯი (ლარი)	ტრაფიკის ხარჯი	ჯამური ხარჯი
ციფრული ტელევიზიის სერვისი:	[ლარი]	[ლარი]	[ლარი]
ციფრული ტელევიზია ინტერნეტთან კომბინაციაში	0.00	3.16	3.16

ცალკემდგომი ციფრული ტელევიზია	5.16	3.16	8.32
ციფრული ტელევიზია ინტერნეტთან კომბინაციაში, როგორც მეორე მომსახურება	0.00	3.16	3.16
მართვადი VOIP სერვისი:			
მართვადი VOIP (ინტერნეტ მომსახურებასთან კომბინაციაში)	0.00	0.00	0.00
ცალკემდგომი მართვადი VOIP (GPON/FTTB)	5.16	0.00	5.16

დანართი 2. კონკურენტული და კონკურენციისკენ მიდრეკილი დასახლებების სია

კონკურენტული დასახლებები -III კლასტერი	
რეგიონი	დასახლება
კახეთი	ბუმბუტი
კახეთი	ვანთა
კახეთი	ვაჩნაძიანი
კახეთი	კალაური
კახეთი	ქვემო ხოლმენი
კახეთი	შაშიანი
სამცხე-ჯავახეთი	დილისკა
სამცხე-ჯავახეთი	ქ. ნინოწმინდა
სამცხე-ჯავახეთი	ქ. ახალქალაქი

კონკურენციისკენ მიდრეკილი დასახლებები -II კლასტერი	
რეგიონი	დასახლება
იმერეთი	ქ. ქუთაისი
შიდა ქართლი	ქ. რუსთავი
იმერეთი	ქ. სამტრედია
ქვემო ქართლი	ქ. მარნეული

I კლასტერი - არაკონკურენტული დასახლებები

ყველა ის დასახლება, სადაც ხელმისაწვდომია ან გახდება ხელმისაწვდომი შპს „მაგთიკომის“ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი.

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე

ნ. კუკულაძე

წვერი

ივანე მახარაძე

ი. მახარაძე

წვერი

ვახტანგ აბაშიძე

ვ. აბაშიძე

წვერი

